ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკის აქტუალური საკითხები

(სამეცნიერო ნაშრომთა კრებული)

XIX გამოშვება

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 2001

კრებულში განხილულია საქართველოს ეკონომიკის სხვადასხვა დარგის წინაშე არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები, მსოფლიო ეკონომიკისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების საკითხები.

კრებული განკუთვნილია ბაკალავრების, მაგისტრებისა და ასპირანტებისათვის. გამოადგება აგრეთვე ეკონომიკის საკითხებით დაინტერესებულ ყველა პირს.

სარედაქციო კოლეგია:

პროფ. კ. აჩელაშვილი, პროფ. ე. ბოლოკაძე, პროფ. გ. გამსახურდია, პროფ. ე. მეძვაბიშვილი, პროფ. ნ. პაიჭაძე, პროფ. ა. სილაბაძე, პროფ. ლ. ჟორჟანაშვილი (მთავარი რედაქტორი), პროფ. დ. ძნელაძე, პროფ. თ. ჭიაბრიშვილი, ემდ ე. ხარაიშვილი, ემკ ნ. პა..ა-ჩაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი).

©თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2001

ე $\frac{0601000000}{608(06)-01}$

ა. ასვლედიანი

საზოგადოებრივი პოლიტიკა და ეკონომიკური ზრდა პოსტკომუნისტურ ქვეყნებში

საზოგადოებრივი პოლიტიკა, მისი დიზაინი და განხორციელება ერთ-ერთ ყველაზე დიდ თეთრ ლაქად რჩება პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკურ სისტემაში. სიტუაციას პოსტსაბჭოთა ქვეყნების საზოგადოებრივი პოლიტიკის განხორციელების გარემოს უნიკალურობა და სოციალური პირობების გაუმჯობესების რესურსების სიმწირეც ართულებს.

უნიკალურ თვისებებს პოსტსაბჭოთა გარემოს სწორედ მისი პოსტსაბჭოურობა ძენს. რაში მდგომარეობს ეს თვისებები? ამ თვალსაზრისით, მთავარია იმ განსხვავების გათვალისწინება, რომელიც არსებობს ეკონომიკური სისტემის ორგანულ (საბაზრო ძალებით გამოწვეულ) და ფუნქციურ (სახელმწიფოს ინიციატივით განხორციელებულ) ტრანსფორმაციას შორის. საბაზრო სისტემისაკენ მოძრაობის პროცესის ეფექტიანობის მიღწევის საქმეში, ჩვენი აზრით, განსაკუთრებული მნიშვნელობა საზოგადოებრივ პოლიტიკას და მის ხასიათს ენიჭება. ეს გამოწვეულია იმით, რომ ფუნქციური ტრანსფორმაციის პირობებში საბაზრო ურთიერთობების და, აქედან გამომდინარე, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა, უპირატესად სახელმწიფოს ჩარევას და აქტიურ ქმედებას მოითხოვს, ახალ სისტემასთან საზოგადოების წევრების ადაპტაციისათვის სტიმულების შესაქმნელად. თუმცა, ეს პროცესი საკმაოდ წინააღმდეგობრივია, ვინაიდან იგი საბოლოოდ ორიენტირებულია სახელმწიფოს როლის შესუსტებაზე სამოქალაქო საზოგადოების სასარგებლოდ. საზოგადოებრივი პოლიტიკის კეთება და განხორციელება, როგორც პროცესი, არის საზოგადოებიდან მომდინარე გამოწვევების, საზოგადოების მოლოდინისა და მოთხოვნილებებისადმი ადაპტაციის პროცესი. როგორც აღვნიშნეთ, ფუნქციური ტრანსფორმაცია ამგვარ ადაპტაციას აროულებს პოსტსაბჭოთა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების ინტერესთა არათანხვედრის და უფრო მეტიც,

კონფლიქტების გამო. აქ მხედველობაში გვაქვს პოლიტიკოსთა პოპულისტური ინტერესები გრძელვადიანი საზოგადოებრივი ინტერესების წინააღმდეგ; კორუმპირებულ სახელმწიფო მოხელეთა ინტერესები გრძელვადიანი საზოგადოებრივი (და პარადოქსულად, მათივე, როგორც საზოგადოების წევრთა) ინტერესების წინააღმდეგ. ამ კონფლიქტში კომპრომისის მოძებნა რთულდება იმ შეკრული წრის ფონზე, რომელსაც ფსევდო-დემოკრატია, ეკონომიკური კრიზისი და კორუფცია ქმნის. რას ეგულისხმობთ საზოგადოებრივ გრძელვადიან ინტერესებში და ვინ ან როგორ განსაზღვრავს მათ? საზოგადოებრივ გრძელვადიან ინტერესში აქ ვეარაუდობთ ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფას და მისი შედეგების გადანაწილების (ეკონომიკურ განვითარებაზე ორიენტირებული) სქემების შემუშავებას.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ამ ტრანსფორმაციის პერიოდში დგება ეკონომიკური სისტემის ცალკეულ აეტორთა პასუხისმგებლობის ანალიზის პრობლემა, რაც სოციალურ ჯგუფებს შორის არსებული ქსელების[1] და საზოგადოებაში ჩამოყალიბებული კოორდინაციული მექანიზმების[2] დახასიათებას მოითხოვს. შემოვიფარგლებით პოსტსაბჭოთა ქვეყნებში საზოგადოებრივი პოლიტიკის გარემოს მოკლე დახასიათებით, რადგან მიგვაჩნია, რომ მის წარმატებას შექმნილი გარემოს თავისებურებებიც განსაზღვრავს.

ნებისმიერი ქვეყნის საზოგადოებრივი პოლიტიკის ეფექტიანობის შეფასების კრიტერიუმი ამ ქვეყნის ცხოვრების დონეა, რადგან საზოგადოებრივი პოლიტიკა სოციალური პრობლემების გადაწყვეტის და სოციალური პირობების გაუმჯობესების პოლიტიკაა.

საზოგადოებრივი პოლიტიკის ძირითად რესურსებად ეკონომიკური ზრდა და ეკონომიკური განვითარება შეიძლება მივიჩნიოთ, რადგან ვფიქრობთ, ეკონომიკური ზრდის შედეგის განაწილებითი სქემების შემუშავების და განხორციელების მიზნების შესრულება სხვა მხრივ შეუძლებელია. ამასთან, გვინდა შევნიშნოთ, რომ

[1] აქ იგულისხმება იერარქიული, კოლექტიური, ინდივიდუალური ქსელები.
[2] იგულისხმება საბაზრო, ბიუროკრატიული, ოჯახური, ეთნიკური კოორდინაციული მექანიზმები

საზოგადოებრივ პოლიტიკასა და მის რესურსებს შორის ორმხრივი დამოკიდებულება არსებობს, ან სხვა სიტყვებით, ეფექტიანი საზოგადოებრივი პოლიტიკა მიმართულია, ერთი მხრივ, ამ რესურსების ზრდის, ხოლო, მეორე მხრივ, მათი მაქსიმალური ეფექტიანობით გამოყენებისაკენ.

როგორ შეიძლება პოსტსაბჭოთა ქვეყნების საზოგადოებრივი პოლიტიკის განხორციელების გარემოსა და პოლიტიკის ზოგადი დახასიათება?

არ არსებობს იდეალური პოლიტიკა და სოციალური პროგრამების პაკეტი, რომლის განხორციელებასაც ცდილობს მთავრობა; ანუ არ არსებობს სტრატეგიული გეგმა, რომელიც პოლიტიკის მკეთებლებს მათივე საქმიანობის ანალიზის, შეფასების და სამომავლო გეგმების დასახვის საშუალებას მისცემდა;

იდეალური საზოგადოებრივი პოლიტიკის მოდელის არარსებობა საუკეთესო ნიადაგს ქმნის გაუმჭვირვალე და სპონტანური ლონისძიებების გატარებისათვის და აქედან გამომდინარე, კორუფციისათვის;

საზოგადოებისათვის რეალურად ღირებული, მაგრამ პოლიტიკურად არაპოპულარული ლონისძიებების გატარება ხელისუფლებისათვის მიუღებელია;

არ არსებობს წნეხი საზოგადოების მხრიდან (ან ის ძალიან სუსტი და ასევე სპონტანურია), რაც აიძულებდა ხელისუფლებას, ეპასუხა საზოგადოების მოთხოვნილებებისა და ღირებულებებისათვის;

საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის უპირატესად იერარქიული (და არა, ინდივიდუალური) სტრუქტურა საზოგადოების ცალკეულ წევრებს პოლიტიკის კეთების პროცესში აქტიური მონაწილეობის პასუხისმგებლობას ხსნის;

პასუხისმგებლობის იერარქიული სტრუქტურა და საზოგადოებაში უპირატესად ბიუროკრატიული კოორდინირებული მექანიზმების არსებობა საუკეთესო საფუძველს ქმნის ეკონომიკური ზრდის შედეგის (თუ იგი პოზიტიურია!) საზოგადოების მხოლოდ პრივილეგირებულ ფენებსე გადანაწილებისათვის;

ეკონომიკური ზრდის სამართლიანი პრინციპით[1] გადანაწილების კულტურის არარსებობის უმთავრესი მიზეზი ამ გადანაწილების დანახარჯებია: სამართლიანი გადანაწილება პირად ინტერესებზე უარის თქმასა და უხეშად, საზოგადოებრივი მდგომარეობის თუ თანამდებობების არასრულფასოვნად გამოყენებას ნიშნავს, რაც მატერიალურად თუ სოციალურად კორუმპირებული სახელმწიფო მოხელეებისა თუ საზოგადოების სხვა წევრებისათვის საკმაოდ დიდ დანახარჯებთან (შემოსავლის მთავარი წყაროს დაკარგვასთან) არის დაკავშირებული;

ფუნქციური ტრანსფორმაციის პირობებში სახელმწიფო მუდმივად ე.წ. დირექტორის (და არა ზედამხედველის) როლში რჩება ეკონომიკურ სისტემაში და ხელს უშლის სამოქალაქო საზოგადოების და ბიზნესის განვითარებას.

განათლების ხარჯები მწირია ან ამ სფეროს დაფინანსება თითქმის სრულიად იგნორირებულია, რაც ქვეყნიდან პროფესიონალთა ტოტალურ გაღინებას იწვევს;

სოციალური დაცვის არაფორმალური სისტემა, კრიზისებისადმი მისი განსაკუთრებული მგრძნობიარობის გამო, თავისთავად, არასტაბილურია და მასზე დაყრდნობა, მთავრობის მხრიდან არარაციონალური.

მართალია, საზოგადოებრივი პოლიტიკის განხორციელების გარემოს ქვეყანაში არა მხოლოდ მთავრობა, არამედ, უპირატესად, საზოგადოება ქმნის, მაგრამ ფუნქციური ტრანსფორმაციის პერიოდში, ვფიქრობთ, ხელისუფლებას საზოგადოებასთან შედარებით მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება, რადგან რიგითი მოქალაქეების მენტალიტეტი ჯერ კიდევ არ არის ადაპტირებული ახალ გარემოსთან და მათი პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობის ხარისხი საკმაოდ დაბალია.

ხელისუფლების პასუხისმგებლობა სწორედ იმით გამოიხატება,

---

[1] სამართლიანში ეგულისხმობთ ეკონომიკურ სისტემაში მიმდინარე პროგრესული პროცესების ხელმისაწვდომობას და ამ განაწილების პროცესში საზოგადოების ფართო ფენების ჩაბმას.

რომ გამოიჩინოს პოლიტიკური ნება ეკონომიკური სისტემის ფუნქციურიდან ორგანული ტრანსფორმაციისაკენ ხელშესაწყობად. როგორც აღვნიშნეთ, ამ მიზნის განხორციელების ერთ-ერთი ინსტრუმენტი სწორედ საზოგადოებრივი პოლიტიკაა, თუმცა მას თავისი ლიმიტები გააჩნია.

პოსტსაბჭოთა საზოგადოებრივი პოლიტიკის უდიდესი ნაკლი მისი სპონტანურობაა, რაც საკმაოდ აშორებს მას სტრატეგიულად ეკონომიკურ ზრდასა და ეკონომიკურ განვითარებაზე ორიენტაციისაგან. მაგალითად, საქართველოს საზოგადოებრივი პოლიტიკის ორიენტირების გადახრა ეკონომიკური განვითარებისაგან უმთავრესად იმაში ვლინდება, რომ არ არსებობს ეკონომიკური ზრდის საზოგადოების ფართო ფენებზე გადანაწილების ტრადიცია. ქვეყანაში მიმდინარე ნებისმიერი პროგრესული ცვლილება (ლიმიტირებულად) მხოლოდ საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვისაა ხელმისაწვდომი, რაც, ჯერ ერთი, კიდევ უფრო ძაბავს ურთიერთობებს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფს შორის, აძლიერებს შემოსავლების დიფერენციაციას და, მეორე მხრივ, საზოგადოებას უკარგავს ნდობას ხელისუფლებისადმი.

თუნდაც მინიმალური პროგრესული ცვლილებების არახელმისაწვდომობა საზოგადოების ფართო ფენების მარგინალიზებას იწვევს, თაობებს საზოგადოებრივი აქტიურობის სტიმულებს უკარგავს, ამცირებს მათი, როგორც სამუშაო ძალის ან პოტენციური სამუშაო ძალის ეფექტიანობას. შედეგად ბუნებრივად ვიღებთ სოციალურად დაუცველ არაპროფესიონალთა აგრესიულ „არმიას", რომელიც არა მხოლოდ ამცირებს ეკონომიკური ზრდის ყოველგვარ შესაძლებლობას ქვეყანაში (ერთი მხრივ, თუნდაც მინიმალური სოციალური დაცვის საჭიროებისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, კრიმინოგენური სიტუაციის გამწვავების გამო), არამედ პერმანენტულად ინდიფერენტულ-იმედგაცრუებულ და არაეფექტიან ამომრჩეველად ყალიბდება. ამასთან, ყველაზე წარმატებული ეკონომიკების მაგალითები გვიჩვენებს, რომ პროფესიული მუშახელი ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რესურსია.

ასე რომ, საქართველოში სოციალური დაცვის არაფორმალური ქსელებისა და სოციალური კაპიტალის სასიცოცხლო საჭიროება "გადარჩენისათვის", მკვეთრად უარყოფით გაელენას ახდენს საზოგადოებრივი პოლიტიკის დიზაინსა და მიწოდებაზე, რაც, საბოლოოდ, ქვეყნის ცხოვრების დონეზე და ეკონომიკური განვითარების პოტენციალზე აისახება.

საზოგადოების მენტალიტეტის გარდაქმნა, გააქტიურება და პოლიტიკის კეთებაში მისი ჩაბმა, ცხადია, მხოლოდ რეფორმებით ვერ მოხერხდება და ამას ათწლეულები (თუ ასწლეულები არა) დასჭირდება. ამჟამად, მიგვაჩნია, რომ ერთადერთი რეალური გამოსავალი ხელისუფლებაზე ორიენტირებაა. ბუნებრივია, ხელისუფლების წევრებიც იგივე საზოგადოებიდან გამოსული ადამიანები არიან, მაგრამ იგულისხმება, რომ იღებენ რა მონაწილეობას არჩევნებში, მათ მეტი პასუხისმგებლობა ეკისრებათ (?!) საზოგადოების წინაშე ანუ ყველა გზა ხელისუფლების წევრთა პოლიტიკურ ნებასთან მიდის...

რა აყალიბებს პოლიტიკურ ნებას? მარტივად, არა მხოლოდ თავად ინდივიდთა პიროვნული და იდეოლოგიური ღირებულებები, არამედ, ვფიქრობთ, მათი ურთიერთობები პროფესიონალებთან. ახლადინდუსტრიალიზებული ქვეყნების მაგალითები გვიჩვენებს, რომ არსებობს გარკვეული ურთიერთობების ტრადიცია პროფესიონალებსა (იმ ადამიანებს, რომლებიც, ჩვენს შემთხვევაში, საზოგადოებრივი პოლიტიკის სპეციალისტები, ანუ ანალიტიკოსები არიან) და ხელისუფლებას (ამ პოლიტიკის განმახორციელებლებსა და გადაწყვეტილების მიმღებთა) შორის. სწორედ ამ ურთიერთობების არარსებობა. ან მათი სრული ფორმალიზება, პოსტკომუნისტური ქვეყნების საზოგადოების წინსვლის ერთ-ერთი მთავარი შემაფერხებელი მიზეზია.

რას მოველით კონკრეტულად ამგვარი ურთიერთობების დამკვიდრებისაგან? ცხადია, ეს არ არის პოსტსაბჭოთა საქართველოს ყველა პრობლემის გადაჭრის გზა, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ამ მიმართულებით მუშაობა საქართველოში ეკონომიკური სტიმულების

დეფიციტის შემცირების, საზოგადოების პოლიტიკაში მონაწილეობის გაზრდის, საზოგადოებასთან ხელისუფლების დაახლოების ერთ-ერთი გზაა. ამასთან, პროფესიონალებზე მოთხოვნის გაჩენა საზოგადოებაში დაბადებს პროფესიონალიზმის რეალური საჭიროების სტიმულებს (რომლებიც თითქმის არ არსებობს), რაც ნებისმიერ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდისა და განვითარების ერთ-ერთი წანამძღვარია. ამით საფუძველი ჩაეყრება პროფესიული სამუშაო ძალის ბაზრის წარმოშობას (სტრუქტურულად უმუშევარი სამუშაო ძალის ბაზრის წინაალმდეგ), გაჩნდება კონკურენცია, რომელიც ჯაჭვური რეაქციით დაბადებს სტიმულებს განათლების სისტემაში შესაბამისი ცვლილებებისათვის და შეამცირებს „ტვინების გადინებას" ქვეყნიდან; ამასთან, ხელს შეუწყობს დღემდე იგნორირებულ მიკროეკონომიკურ სტაბილიზაციას, რომელიც თავისთავად შექმნის პირობებს მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისათვის იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ქვეყნის ეკონომიკური ზრდის დონის ერთ-ერთი განმსაზღვრელი წარმოების ფაქტორების (უპირატესად, პროფესიული სამუშაო ძალის) დაგროვების დონე და ამ დაგროვების ზრდის ტემპია.

ლ. კობახიძე

ეკონომიკური ზრდის ზოგიერთი ფაქტორი

მსოფლიოს განვითარებად ქვეყნებს, პოსტინდუსტრიული ქვეყნებისგან განსხვავებით, ეკონომიკური განვითარების გზაზე მრავალი დაბრკოლება ელოდება, რომელსაც ემატება თითოეული მათგანის სპეციფიკური პრობლემებიც. თუმცა ყველა ქვეყანამ, განვითარების დონის მიუხედავად, ეკონომიკური ზრდის ტემპების გადასაჭრელად უნდა გადაწყვიტოს ორი საკითხი:

- ბუნებრივი რესურსების მარაგის მაქსიმალური სარგებლია-

ნობით გამოყენება, რაც უზრუნველყოფს მდგომარეობის გაუმჯობესებას დასაქმების სფეროში და რესურსების უფრო ეფექტიან განაწილებას ეკონომიკის სხვადასხვა დარგების მიხედვით.

საწარმოო რესურსების მარაგების შეცვლა · წარმოების საშუალებების მარაგის გაფართოებით, სამუშაოს ძალისა და უახლესი ტექნოლოგიების უფრო ეფექტიანი გამოყენების გზით.

მსოფლიოს მესამე ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაში ბუნებრივი რესურსების როლის ზოგადად შეფასება საკმაოდ რთულია. სირთულე ის არის, რომ სასარგებლო წიაღისეული ძალზე არათანაბრადაა განაწილებული ქვეყნების მიხედვით. 80-იანი წლების მონაცემებით განვითარებად ქვეყნებში თავმოყრილია ბოქსიტების, კობალტის, სპილენძის, ნავთობის, კალის, ნიკელის, ფოსფატისა და ბუნებრივი აირის მსოფლიო მარაგის 2/3-ზე მეტი; რკინის მადნისა და ურანის მსოფლიო მარაგის 1/3; ვოლფრამის მანგანუმის, ტყვიისა და ქრომის მარაგის 1/4. ამასთან, აღნიშნული წიაღისეულის ‘ეფექტური ნაწილი 45 ქვეყანაზე მოდის. განვითარებადი ქვეყნების სანედლეულო რესურსების ბაზის დამახასიათებელი თვისებაა მისი დაბალი დივერსიფიკაციის დონე. მხოლოდ 12 ქვეყანას აქვს 2-ზე მეტი სახის ნედლეულის მარაგი.

იშვიათია შემთხვევა, როდესაც განვითარებადმა ქვეყნებმა თავიანთი სასარგებლო წიაღისეულის მარაგის წყალობით მიაღწიეს ეკონომიკური ზრდის ტემპების დაჩქარებას და შემოსავლების მნიშვნელოვან ზრდას. ამის მაგალითია ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნები. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ხშირ შემთხვევაში ბუნებრივი რესურსები მსხვილი მრავალეროვნული კომპანიების კონტროლს ექვემდებარება. ამასთან ერთად ფასების საგრძნობი ცვალებადობა განვითარებადი ქვეყნებიდან ექსპორტირებული სოფლის მეურნეობის პროდუქციასა და ნედლეულზე ხელს უწყობს მათი ეკონომიკური განვითარების არასტაბილურობას.

განვითარებადი ქვეყნების 2/3-ს საერთოდ არ გააჩნია ბუნებრივი რესურსების მარაგი. ბევრი მათგანი სასოფლო-სამეურნეო საკარგულების ნაკლებობას განიცდის ბუნებრივია, რომ ბუნებრივი

რესურსების ნაკლებობა აფერხებს ეკონომიკურ ზრდას. ამდენად ბევრი ქვეყნისათვის თითქმის მიუღწეველია განვითარების დონე, რომელზეც დასავლეთის სახელმწიფოები იმყოფებიან. თუმცა არ უნდა დავივიწყოთ იაპონიის, შვეიცარიისა და ისრაელის მაგალითი, რომელთაც შეზღუდული სანედლეულო ბაზის მიუხედავად, ცხოვრების მაღალ დონეს მიაღწიეს.

შრომითი რესურსების მხრივ განვითარებადი ქვეყნების დიდი ნაწილისათვის დამახასიათებელია: მოსახლეობის მაღალი ტემპებით ზრდა, უმუშევრობის ფართო გავრცელება და დაბალი შრომის ნაყოფიერება.

დაბალი და საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნებში მოსახლეობა ყოველწლიურად საშუალოდ 2%-ით იზრდება, მათ წილად მოდის მოსახლეობის მსოფლიო მატების 80%. პროგნოზების თანახმად, თუ ასე გაგრძელდა, განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობა 35 წელიწადში გაორმაგდება. ბევრი ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნის მოსახლეობის ზრდა წინ უსწრებს საკვები პროდუქტების წარმოების ზრდას, რაც იწვევს პირადი მოხმარების კატასტროფულ დონემდე დაცემას.

ერთი შეხედვით ცხოვრების დონის ამაღლება შესაძლებელია სამომხმარებლო საქონლის, პირველ რიგში კვების პროდუქტების წარმოების გაფართოებით, მაგრამ აქ თავს იჩენს ახალი პრობლემა. სამომხმარებლო საქონლის წარმოების გაფართოება, რომელიც აუმჯობესებს ცხოვრების დონეს, ამავე დროს ხელს უწყობს მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდასაც, რაც, საბოლოო ჯამში, ანეიტრალებს თავდაპირველ ეფექტს.

მოსახლეობის სწრაფი ზრდის გამო, მშპ-ს მოცულობის ზრდის მიუხედავად, მისი სიდიდე ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით შეიძლება არ შეიცვალოს ან დაეცეს კიდეც. არსებობს კიდევ რამდენიმე გარემოება, რომლებიც მოსახლეობის გადაჭარბებული ზრდის შედეგად წარმოიშობა და სერიოზულ პრობლემებს ქმნის ეკონომიკური განვითარებისათვის. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ რაც უფრო მეტია მოსახლეობა, მით უფრო ნაკლებია დანაზოგები, რაც

ზღუდავს ქვეყანაში კაპიტალის დაგროვების შესაძლებლობებს. შედეგ, რაც უფრო სწრაფად იზრდება მოსახლეობა, მით უფრო ძნელია რეალური კაპიტალის სასურველი დონის შენარჩუნება ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით. შედეგად მცირდება შრომის ნაყოფიერება, რაც უარყოფითად მოქმედებს ეროვნულ შემოსავალზე. კიდევ ერთი სირთულე ის არის, რომ განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობა დიდად არის დამოკიდებული სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. სწრაფი დემოგრაფიული ზრდა ხელს უწყობს ისედაც შეზღუდული ბუნებრივი რესურსების, პირველ რიგში მიწის გამოფიტვას მისი ძალზე მაღალი ინტენსიურობით გამოყენების გამო. დაბოლოს, ქალაქის მოსახლეობის სწრაფი ზრდა სოფლებიდან მასარდ მიგრაციასთან ერთად უამრავ პრობლემას წარმოშობს, რომელთა გადაწყვეტაც მოითხოვს ეკონომიკური ზრდის პროგრამებიდან რესურსების გადმორთვას.

განვითარებადი ქვეყნების დიდი უმრავლესობისათვის დამახასიათებელია უმუშევრობა და არასრული დასაქმება. ზოგიერთი მონაცემებით ქალაქებში უმუშევრობის დონე 15-20%-ს აღწევს, რასაც ხელს უწყობს მოსახლეობის მასობრივი მიგრაცია სოფლებიდან ქალაქებში. ქალაქის მოსახლეობის მატება მნიშვნელოვნად უსწრებს წინ სამუშაო ადგილების ზრდას, რის შედეგადაც კიდევ უფრო იზრდება უმუშევრობა.

ასევე მწვავედ დგას სამუშაო ძალის არასრული გამოყენების პრობლემა. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი თვითდასაქმებულია და მიუხედავად იმისა, რომ არ შეიძლება მათ უმუშევრები ეწოდოთ, მათი პოტენციალი აშკარად არასრულადაა გამოყენებული.

მესამე მსოფლიოს ქვეყნებში შრომის ნაყოფიერება, როგორც წესი, ძალიან დაბალია. ინვესტირება ფიზიკურ კაპიტალში გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული, ამიტომ მომუშავენი არასაკმარისად არიან უზრუნველყოფილნი მოწყობილობებითა და ინსტრუმენტებით, რაც უარყოფითად მოქმედებს შრომის ნაყოფიერებაზე. ამავე დროს, ღარიბი ქვეყნების უმრავლესობა ვერ ახერხებს საკმარისი სახსრების მობილიზაციას ადამიანისეულ კაპიტალში ინვესტირებისათვის.

ხარჯები განათლებასა და ჯანდაცვაზე ამ ქვეყნებში ძალზე მცირეა. განათლების დაბალი დონე, შიმშილი, კვალიფიციური სამეცნიერო პერსონალის ნაკლებობა ყოველივე ეს ცუდ გარემოს ქმნის ეკონომიკური განვითარებისა და ინდუსტრიალიზაციისათვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეწარმეთა ფენის არ არსებობა. კვალიფიციური კადრების უკმარისობა, რომლებიც აუცილებელია განვითარების ნებისმიერი პროგრამების განხორციელებისათვის.

გარე მიგრაციის პროცესი გარკვეულწილად ამსუბუქებს მოსახლეობის ბუნებრივი ზრდით წარმოქმნილ პრობლემებს. მაგრამ ამავე დროს აღნიშნულის შედეგად ქვეყანას ხშირად აკლდება სამეშო ძალის ყველაზე უფრო ფასეული და საუკეთესო ნაწილი, კვალიფიციური პროფესიონალები, რომელთაც მაღალი შრომითი კულტურა გააჩნიათ. აღნიშნული პრობლემა ამცირებს სამეშაო ძალის კვალიფიკაციის საერთო დონეს და შესაბამისად შრომის ნაყოფიერებასაც.

ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია კაპიტალის დაგროვება, რომლის ნორმა და მოცულობა კელავწარმოების მატერიალური და სოციალური პირობების ერთობლიობით განისაზღვრება და დამოკიდებულია ცალკეული ქვეყნის განვითარების დონესა და ეკონომიკის მდგომარეობაზე.

განვითარებადი ქვეყნების უმეტეს ნაწილში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის შედეგად დაგროვების ნორმები რამდენადმე დღესდღეობით საინვესტიციო საქონლის დიდ დეფიციტს განიცდის. პრობლემები, რომლებიც ამ ქვეყნებში დაგროვების ნორმის ზრდას აფერხებს დაკავშირებულია შრომის დაბალ ნაყოფიერებასთან, საწარმოო ძალთა განვითარების დაბალ დონესთან, კელავწარმოების არახელსაყრელ პირობებთან და, საბოლოოდ მოსახლეობის ძირითადი ნაწილის სიღატაკესთან.

კაპიტალის დაგროვება დანაზოგების და ინვესტიციების ზრდის შედეგად ხორციელდება. საჭიროა მოხმარების შესლუდვა და დანაზოგების ზრდა, რათა გამოთავისუფლდეს რესურსები საქმმხმარებლო პროდუქციის წარმოებიდან და საინვესტიციო

საქონლის წარმოებაზე გადაერთოს. უნდა აღინიშნოს, რომ მოსმარების შეზღუდვა და დანაზოგებისა და კაპიტალდაბანდებების ზრდა ჩამორჩენილ ქვეყნებში დიდ სირთულებთანაა დაკავშირებული. დანაზოგების წილი მეპ-ში განვითარებადი ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია. ტროპიკული აფრიკის ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 2-5%-მდე მერყეობს. ამავე დროს ზოგან რიგი განვითარებული სახელმწიფოების ანალოგიურ მაჩვენებლს არ ჩამოუვარდება. მაგალითად, ინდოეთსა და ჩინეთში იგი შესაბამისად 21 და 36%-ია. მიუხედავად ამისა, განვითარებადი ქვეყნების მეპ იმდენად მცირეა, რომ მაშინაც კი, როდესაც შეფარდებითი მაჩვენებლით ისინი დასავლეთის სახელმწიფოებს არ ჩამოუვარდებიან, დანაზოგების აბსოლუტური სიდიდე უმნიშვნელოა.

უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე სექტორის შედარებით მცირე ხვედრითი წონა განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაში უარყოფითად მოქმედებს არა მარტო შრომის ნაყოფიერებაზე, არამედ მიუთითებს ძირითადი ფონდების ნაკლებობაზე, რაც ამცირებს მათი მოდერნიზაციის გაფართოების შესაძლებლობებს საამორტიზაციო ანარიცხების ხარჯზე.

საყურადღებოა, რომ ბევრი ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნიდან ხდება კაპიტალის გადინება საზღვარგარეთ. მაგრ მცხოვრებნი თავიანთი დანაზოგების ინვესტირებას ინდუსტრიულ სახელმწიფოებში ახდენენ. ამის მიზეზი ისაა, რომ განვითარებად ქვეყნებში კაპიტალის დაბანდება მეტ რისკთანაა დაკავშირებული - მოსალოდნელი პოლიტიკური დესტაბილიზაციის, საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილების ან ინფლაციის გამო. განვითარებადი ქვეყნების დიდ ნაწილში განვითარებული არაა საწარმოო კაპიტალდაბანდებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა, რაც უარყოფით საინვესტიციო კლიმატს ქმნის. ამავე დროს კაპიტალის ექსპორტი დაკავშირებულია იმასთან, რომ ინდუსტრიულ ქვეყნებში უფრო ფართოა ინვესტირების ობიექტების არჩევანი და მაღალია საპროცენტო განაკვეთი.

გამოკვლევების თანახმად, განვითარებადი ქვეყნებიდან

კაპიტალის გადინება საკმაოდ დიდ მასშტაბებს აღწევს. ამავე დროს პარალელურად იზრდება ინვესტიციების იმპორტი და უცხოური სესხების ნაკადი. საქმე ისაა, რომ უცხოური სესხების ძირითადი ნაწილი სწორედ მათ ხელში ხვდება, ვინც შემოდგომაში ამ სახსრების ინვესტირებას ახდენს საზღვარგარეთ. ამის შედეგია ის, რომ კაპიტალის იმპორტი განვითარებად ქვეყნებში არ აუმჯობესებს კაპიტალის წარმოქმნის პროცესს, რომელიც ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების ზრდას.

ეკონომიკური პროგრესი განისაზღვრება არა მხოლოდ დაგროვების რაოდენობრივი პარამეტრებით, არამედ ხარისხობრივადაც. სამეურნეო განვითარების ტემპების დაჩქარება შესაძლებელია არა მარტო ძირითადი ფონდების ზრდით, არამედ მათი გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებითაც. ნებისმიერ სიტუაციაში სასურველია, რომ წარმოების ზრდა შრომის და კაპიტალის მინიმალურ დანახარჯებთან იყოს დაკავშირებული. განვითარებად ქვეყნებში ჩამორჩენილი ეკონომიკური სტრუქტურების გარდაქმნისა და დივერსიფიკაციის პროცესი მიმდინარეობს და, ბუნებრივია, მწვავედ დგას ძირითადი ფონდების გაფართოების პრობლემა. ეს იმას ოდი ნიშნავს, რომ დაგროვების ზრდის გარეშე წინსვლა შეუძლებელია. ამასთან საჭიროა არსებული ფონდების მაქსიმალური ეფექტიანობით გამოყენება.

კაპიტალის დაგროვება ხშირად მჭიდრო კავშირშია ტექნიკურ პროგრესთან. პერსპექტივა, რომელსაც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი სთავაზობს განვითარებად ქვეყნებს, დიდია, მაგრამ ამისათვის ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა, სახელმწიფოს მართვის ზოგიერთი პრიორიტეტი და თვით მიდგომა ეკონომიკური მოვლენისადმი. ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი წინაპირობაა ტექნიკურ სიახლეთა ფართო დანერგვა და მათი ეფექტიანი გამოყენება მეურნეობის ყველა სფეროში.

ახალი ტექნოლოგიების გამოყენება, როგორც წესი, ახალი საინვესტიციო საქონლის გამოყენებას გულისხმობს. გარკვეულ დონემდე აღნიშნული საქონლის წარმოებაში ჩართვა შესაძლებელია

კაპიტალის დაგროვების დაჩქარების გარეშე. თუკი ყოველწლიური კაპიტალდაბანდებები წარმოების მოდერნიზაციაზე გამოიყენება ძველთან შედარებით უფრო სრულყოფილი მოწყობილობების შესაძენად, წარმოების ზრდა შესაძლებელია ინვესტიციების ზრდის გარეშეც.

განვითარებად ქვეყნებს შეუძლიათ გამოიყენონ განვითარებული ქვეყნების მიერ დაგროვილი ტექნოლოგიური ცოდნა და გამოცდილება, თუმცა აქაც გარკვეული პრობლემა იჩენს თავს. ინდუსტრიულ სახელმწიფოებში გამოყენებული ახალი ტექნოლოგიები, როგორც წესი, კაპიტალტევადი და შრომის დამზოგველია. განვითარებად ქვეყნებს ესაჭიროებათ ისეთი ტექნოლოგიები, რომლებიც შესაბამისობაში იქნება მათი რესურსების მდგომარეობასთან. იმის გათვალისწინებით, რომ მათ ახასიათებთ არაკვალიფიციური სამუშაო ძალის სიჭარბე და საინვესტიციო საქონლის ნაკლებობა, მათთვის მისაღებია შრომატევადი და კაპიტალდამზოგველი ტექნოლოგიები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ინდუსტრიულ ქვეყნებში გამოყენებული თანამედროვე ტექნოლოგიების დიდი ნაწილი არ გამოდგება განვითარებადი ქვეყნებისათვის და მათ თავად უნდა შეიმუშაონ საკუთარი ტექნოლოგიები.

თ. ბამსახურდია

საბიუჯეტო რესურსების ეფექტიანი გაგოყენება საბიუჯეტო პროცესის სრულყოფის თვალსაზრისით

საბაზრო ურთიერთობების დამყარება გულისხმობს ისეთი სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენას, რომელიც საბიუჯეტო რესურსების მაქსიმალურად ეფექტიანი გამოყენების საფუძველზე გაითვალისწინებს საზოგადოების წინაშე არსებულ პრიორიტეტებს. ამ მიზნის მისაღწევად მეტად მნიშვნელოვანია საბიუჯეტო პროცესის რაციონალიზაციის და სრულყოფის ორგანიზაციული ღონისძიებები. მხედველობაში გვაქვს ბიუჯეტის პროექტის მომზადება, შედგენა, წარდგენა, განხილვა, დამტკიცება და რეალიზაცია და, შესაბამისად, კონტროლის ეტაპების განხორციელების ხარისხი. მართალია, საბიუჯეტო პროცესის ორგანიზაციაში თითოეულ სტადიას თავისი დატვირთვა გააჩნია, მაგრამ ისინი მაინც ერთი მთლიანი სისტემაა. სწორედ ამიტომ საბიუჯეტო პროცესის მეცნიერულ შესწავლას საფუძვლად უნდა დაედოს ასეთი მეთოდოლოგიური მიდგომა.

ქვეყანაში მოქმედი საბიუჯეტო პროცესის ავკარგიანობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ საბიუჯეტო კრიზისის დაწყებიდან (1995 წელი) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს არ შეუსრულებია ძირითადი ეკონომიკური ფუნქციები, მათ შორის: ეროვნული პროდუქტის განაწილების, მთავრობის ფისკალური პოლიტიკის იარაღის, რომელიც მიმართულია მაკროეკონომიკური მიზნების მისაღწევად და სხვა [1].

საბიუჯეტო პროცესის ორგანიზაციული საკითხების განხილვის სანიმუშო მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ აშშ-ში ჯერ კიდევ 1921 წლიდან მიღებული კანონი „ბიუჯეტისა და ანგარიშგების შესახებ". ამ ქვეყნის პრეზიდენტი, როგორც პასუხისმგებელი პირი ფედერალური ბიუჯეტის შემოსავლების და აღსრულების საქმეში, საკანონმდებლო ორგანოს წინაშე ამ ფუნქციის უსრულველყოფას, ახორციელებს პრეზიდენტის ადმინისტრაციის შემადგენლობაში

შექმნილი სპეციალური საბიუჯეტო სამმართველოს მეშვეობით. სემოთ აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, პრეზიდენტთან ერთად ცალკეული სამინისტროები და უწყებების ხელმძღვანელები კონსტიტუციური უფლებების ფარგლებში პასუხისმგებელნი არიან კონგრესის წინაშე. მათ ევალებათ გათვალისწინებული საბიუჯეტო ხარჯების დასაბუთება. 1974 წელს მიღებული კანონის საფუძველზე საბიუჯეტო კანონები გაფართოვდა, რის შედეგადაც კონგრესის წევრებს გადამწყვეტი გაკლენის მოხდენა შეუძლიათ ბიუჯეტის დამტკიცების პროცესზე [2].

ბიუჯეტის წარდგენის პროცესში უნდა დაიცვან მთელი რიგი. პირობები. კერძოდ, პრეზიდენტი ვალდებულია ბიუჯეტის პროექტი წარუდგინოს კონგრესს არა უგვიანეს იანვრის პირველი ორშაბათისა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აშშ-ში საანგარიშო პერიოდი იწყება 1 ოქტომბერს და მთავრდება შემდეგი წლის 30 სექტემბერს, ე.ი. ბიუჯეტი წარედგინება ახალი საანგარიშო წლის დაწყებამდე 9 თვით ადრე. რაც შეეხება საქართველოს პრეზიდენტს. მის მიერ ბიუჯეტის პროექტის პარლამენტისადმი წარდგენა ხდება საბიუჯეტო წლის დაწყებამდე 3 თვით ადრე. აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ეს ვადებიც საქართველოში თითქმის რეგულარულად ირღვევა სამინისტროების და უწყებების არაკვალიფიციური მუშაობის გამო. აშშ-ში ეს კანონი მკაცრად არის დაცული, ვინაიდან ბიუჯეტის პროექტის დეტალური განხილვის დონეზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული წარდგენის ვადების დაცვა, საბიუჯეტო პროცესის შემდგომი ეტაპების ხარისხი და ეფექტიანობა, რაც, ჩვენი აზრით, საქართველოს საბიუჯეტო პროცესის სრულყოფის მიმართულებით აუცილებლად. უნდა გაითვალისწინონ. აშშ-ში კანონი ბიუჯეტისა და ანგარიშგების შესახებ ასევე მოითხოვს, რომ პრეზიდენტმა მომავალი წლის საფინანსო წლის საბიუჯეტო განაცხადი უნდა წარადგინოს დაბალანსებული ფორმით, სადაც ბიუჯეტის საერთო მოცულობა განისაზღვრება ორი უკანასკნელი წლის საშუალო არითმეტიკულ დონეზე. გამონაკლისი შეიძლება დაიშვას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საომარი მოქმედებაა ან ქვეყანა იმყოფება ეკონომიკური დაცემისა და კრიზისის

პირობებში. ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ ბიუჯეტის დაბალანსებისათვის ბიუჯეტის მოცულობა, როგორც წესი, მერყეობს ქვეყნის შიდა პროდუქტის მოცულობის 18-20%-ის ფარგლებში, სადაც ბიუჯეტის დეფიციტი გათვალისწინებულია მშპ-ს 1-1,5%-მდე [3]. აღნიშნული მდგომარეობას თუ შევადარებთ საქართველოში მიმდინარე პროცესებს, დავინახავთ შემდეგს: 1. ბიუჯეტის მომზადების და წარდგინების ვადები რეგულარულად ირღვევა; 2. ბიუჯეტი დგება უხარისხოდ და არასრულყოფილად; 3. ბიუჯეტის წარდგენის ვადების დარღვევისათვის საერთოდ უგულებელყოფილია პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა. სწორედ ამიტომაა, რომ საქართველოში ბიუჯეტის განხილვა-დამტკიცების პროცესი სტიქიურად მიმდინარეობს, არ ხდება პარლამენტის მხრიდან ალტერნატიული წინადადებების წარმოდგენა-დასაბუთება და ფაქტობრივად თვითდინებაზეა მიშვებული. მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ ბიუჯეტის განხილვა-დამტკიცება არაორგანიზებულ ხასიათს ატარებს. რაც შეეხება საქართველოში დაბალანსებული ბიუჯეტის მიღწევას, ამასაც ლაპარაკიც კი ზედმეტია, ვინაიდან, სამწუხაროდ, ხდება სხვადასხვა მათემატიკური მანიპულაციის მეშვეობით ბიუჯეტის ხელოვნური დაბალანსების მიღწევა, რაიმე კრიტერიუმის გარისაზღვრის გარეშე. მომავალში აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ განვითარებული ქვეყნების გამოცდილება. ასე მაგალითად, საქართველოში 1977 წელს (ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ამ წელს დაფიქსირდა ეკონომიკის ზრდის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები) ბიუჯეტის მოცულობა შეადგენდა ქვეყნის მშპ-ს 10,1%-ს (ტერიტორიული ერთეულების საბიუჯეტო შემოსავლების ჩათვლით). თუ ამ მონაცემებს შევადარებთ მთელ რიგ განვითარებულ ქვეყნებში ბიუჯეტების შემოსავლების მოცულობას, დავინახავთ, რომ ამ ქვეყნებში შემოსავლების ოდენობა მშპ-ს მოცულობის 40-45%-ია, ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, შვედეთში 50%-ს აღემატება. რაც შეეხება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებს, ეს მაჩვენებელი დაახლოებით 27%-ის ტოლია. აღნიშნული მიმართულებით საქართველოში არსებული მაჩვენებლის 'მეტარება (10.1%). ვფიქრობთ,

კომენტარს არ საჭიროებს.

აშშ-ში ბიუჯეტის პროექტის თითოეული მუხლი შინაარსობრივად სრულყოფილად არის გაშიფრული და დასაბუთებული, წინააღმდეგ შემთხვევაში კონგრესის მიერ განხილვა არ მოხდება. აღსანიშნავია ისიც, რომ მიღებული კანონპროექტის ფარგლებში მოძიებული საფინანსო წლისთვის გამოყოფილი თანხები ჯერ კიდევ არ განსაზღვრავს იმ კონკრეტულ მოცულობათა სამუშაოს, რომელთა შესასრულებლად ფედერალური ხელისუფლება რეალურად დახარჯავს ამ თანხებს. ამის მიზეზი ის არის, რომ აღნიშნულ ქვეყანაში ბიუჯეტით განსაზღვრული ფინანსური სახსრების გამოყოფა ხდება ეტაპობრივად და ამისათვის არსებობს საკმაოდ რთული მექანიზმი, რაც გამორიცხავს სახსრების არამიზნობრივ გამოყენებას. გამოყოფილი თანხების ხარჯვაზე დაწესებულია მკაცრი ფინანსური კონტროლი ფედერალური ხელისუფლების მიერ, რომელიც, თავის მხრივ, გულისხმობს წინასწარ სანქციონირებას, საბიუჯეტო უფლებამოსილებათა მკაცრად დაცვას, საბიუჯეტო ვალდებულებათა უთუოდ მკაცრულებას და ფულადი ხარჯების რეალური მოთხოვნის დასაბუთებას. ყოველივე ზემოთ აღნიშნული გასათვალისწინებელია საქართველოში ბიუჯეტური პროცესის სრულყოფის გზების განსაზღვრისას.

განვითარებულ ქვეყნებში განსაკუთრებულ ყურადღებას ამსახურებს ბიუჯეტური პროცესის შესწავლისას საბიუჯეტო უფლებამოსილების განსაზღვრის საკითხი. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ის, რომ ბიუჯეტის შესახებ კანონში ხაზგასმულია კონგრესის მიერ მაკონტროლებელი ფუნქციების გაძლიერება, რაც გამოიხატება არა უბრალოდ ფულადი რესურსების გასაელის მოცულობაზე კონტროლის დაწესებაში, არამედ საბიუჯეტო უფლებამოსილებების მკაცრად დაცვაში.

აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ საბიუჯეტო უფლებამოსილებათა მკაცრად განსაზღვრა ემყარება შემდეგს: პირველი, განსაზღვრული ფინანსური უფლებამოსილება განაპირობებს იმას, რომ ფედერალურმა უწყებამ წინასწარ იკისროს საგადამხდელო

ვალდებულება და განახორციელოს მისი დროული გადახდა; მეორე. სესხის აღების უფლებამოვალეობები თავის მხრივ. ფედერალურ უწყებებს ნებას აძლევს აიღოს გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულება ან პროცენტული სესხები, რომ განახორციელოს დროული გადახდა; მესამე, კონტრაქტის გაფორმების უფლებამოსილება ფედერალურ უწყებებს შესაძლებლობას აძლევს დადონ კონტრაქტები და სხვა სახელშეკრულებო ვალდებულებები ასიგნებათა მისაღებად და მათ დროულად გასასტუმრებლად.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ფულის რეალური ხარჯვის პროცესზე კონტროლის მექანიზმი. მხედველობაში გვაქვს ის, რომ ფედერალური უწყება მიკემული საბიუჯეტო უფლებამოვალეობათა საფუძველზე ავტომატურად კისრულობს ბიუჯეტის ხარჯების ხარჯვის კონკრეტულ ვალდებულებებს. ამ ვალდებულებებიდან გამომდინარე, მიუხედავად ბიუჯეტიდან გამოყოფილი განსაზღვრული თანხების მოცულობისა, ეს ფულადი სახსრები იხარჯება რეალურად მხოლოდ მაშინ, როცა აღმასრულებელი ორგანოები აანალიზებენ ანგარიშებს. აღნიშნულ საკითხს თუ პრაქტიკულად, იურიდიული თვალსაზრისით მიუდგებით, საგანგებო უფლებამოსილება ხორციელდება ასანალიზებლად გაცემული ბანკის ჩეკების ან გადახდილი ნაღდი ფულის მიხედვით, ანუ რომ ამ შემთხვევაშიც ფულადი სახსრები ფედერალური ხაზინიდან ფაქტობრივად არ ამოიღება და არც იხარჯება.

აშშ-ს ფინანსური პრაქტიკის თავისებურება ისაა, რომ საბიუჯეტო უფლებამოსილება თითქმის არასდროს არ ეკითხება მიმდინარე საფინანსო წლის რეალურ ხარჯებს, რის გამოც საბიუჯეტო უფლებამოსილების მთავარი მიზანია მრავალწლიანი ფედერალური პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფა.

მართალია კონგრესი ოფიციალურად საბიუჯეტო უფლებამოსილებას ამტკიცებს ერთი საფინანსო წლის ფარგლებში, მაგრამ „ი. არ ნიშნავს, რომ მისი უფლებამოსილება არ გრძელდება მიმდინარე წელზე სხვა სიტყვებით რომ ეთქვათ, საბიუჯეტო უფლებამოსილებისა ის ნაწილი, რომელიც ჯერ არ გაზრდილა ეასაელის ნაწილში,

მართალია, ავტომატურად წყდება მიმდინარე საფინანსო წლის დამთავრებისას და ეჭვარ მოხდება მისი ანასლაურება, მაგრამ ცალკეულ განსაკუთრებულ შემთხვევაში, რომლებიც სპეციალურად არის დაფიქსირებული კანონში, გაიცემა ნებართვა, რომ იგი განხორციელდეს 2 ან მეტი წლის განმავლობაში, ზოგჯერ კი განუსაზღვრელი დროითაც. ასეთ საბიუჯეტო უფლება-მოვალეობას უწოდებენ 2 წლიან, 3 წლიანსა და უვადოს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი სახელმწიფოს მაგალითზე, ეროი წლის კადით ბიუჯეტის შედგენა იწვევს ინერციას, ვინაიდან ამ პერიოდში შეუძლებელია დეტალურად გაანალიზდეს ამა თუ იმ პროგრამის ეფექტიანობა, რომლის შესრულებისათვის ბიუჯეტიდან სახსრებია გამოყოფილი.

დღევანდელ პირობებში აუცილებელია „ციკლური დაბალანსებული ბიუჯეტის" შედგენაზე გადასვლა. ჩვენი აზრით, წლიური ბიუჯეტი არ იძლევა სრულ სურათს 'შემოსავლებისა და დანახარჯების ურთიერთობის რეალური განსაზღვრისას, ვინაიდან დანახარჯებს იმავე წელს მოაქვს შემოსავალი უკუგების სახით და, შესაბამისად, შემოსავლისა და დანახარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი დაუბალანსებელი რჩება [4].

ჩვენ საკუთარი ეიზიარებთ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ აუცილებელია ახალი საბიუჯეტო ვადის შემოღება, რომლის დროსაც სამინისტროს, უწყების და სხვა სამეურნეო ერთეულების საქმიანობა და შედეგების ანალიზი განხორციელდება 4 წელიწადში ერთხელ, რაც საშუალებას მოგვცემს ყოველწლიურად გავააანალიზოთ დასაფინანსებელი ობიექტთა დაახლოებით მეოთხედი ნაწილი ოთხწლიანი მცოცავი გრაფიკის საფუძველზე. მაკროეკონომიკურ კონტექსტში მუშაობის წარმართვა დეფიციტის მართვის მიმართულებით ეულისხმობს იმას, რომ რესურსების განაწილება უნდა განხორციელდეს არა როგორც მხოლოდ ამოცანა, რომელიც უზრუნველყოფს წარმოების ზრდას, არამედ ამასთანავე, როგორც ხარჯების შემცირების კორექტირების საფუძველი.

საქართველოში მიმდინარე საბიუჯეტო - საგადასახადო სისტემის

სრულყოფა, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს საბიუჯეტო დეფიციტის შემცირების ამერიკული გამოცდილების გამოყენებას. მხედველობაში გვაქვს ეკონომიკის პრიორიტეტების და საფინანსო პოლიტიკის ორიენტაციის ცვლილებების საფუძველზე სახელმწიფო რესურსების ეფექტიანი და დინამიკური განაწილება, მკაცრი საბიუჯეტო შეზღუდვის პირობებში გრძელვადიანი პროგრამების სტაბილური დაფინანსება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის სრულყოფისათვის, ჩვენი აზრით, საჭიროა შემდეგი ღონისძიებების გატარება: პირველი, სახელმწიფო პროგრამების ფინანსური რესურსებით დაფინანსების უწყვეტობის უზრუნველყოფისთვის უნდა განისაზღვროს ფულად საშუალებათა მიზნობრივი გამოყენება და მასზე კონტროლის გაძლიერებისათვის სამსაფეხურიანი სისტემა. პირველ საფეხურში ეგულისხმობა ფულად საშუალებათა ხარჯვისათვის ნებართვის დაშვებას, მეორე საფეხურზე ასიგნებათა დამტკიცებას და მესამე საფეხურზე კი, წინა ორი საფეხურის გავლის შემდეგ საბიუჯეტო ხარჯების რეალურ ხარჯვას; მეორე, სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენის და აღსრულების გაძლიერებისათვის სახელმწიფო კანცელარიაში მომზადდა პირობები სპეციალური ადმინისტრაციულ-საბიუჯეტო სამსახურის შექმნისათვის; მესამე, პარლამენტის კომიტეტებს შორის საბიუჯეტო საქმიანობის კოორდინაციის გაუმჯობესებისათვის აუცილებელია მათ შორის შეთანხმებისა და პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის ნორმატიული მექანიზმების შემუშავება. მხედველობაში გვაქვს როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ყველა შტოში, ასევე პარლამენტის შესაბამის კომიტეტებში საბიუჯეტო პროცესის შესრულებაში მკაფიო საპროცედურო რეგლამენტისა და მკაცრი საკონტროლო ვადების განსაზღვრა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული ხელს შეუწყობს რა საბიუჯეტო პროცესის სრულყოფას, ჩვენი აზრით, მაქსიმალურად შეამცირებს ბიუჯეტის მეშვეობით კორუფციის წყაროების წარმოქმნას, საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის მოქმედების ეფექტიანობის ამაღლებასთან

ერთად, მნიშვნელოვნად შეამცირებს არამიზნობრივი ხარჯების მოცულობას, რაც საერთო ჯამში, ხელს შეუწყობს ჩვენი ეკონომიკის გაჯანსაღებისთვის პირობების შექმნის დაჩქარების პროცესს.

ლიტერატურა

1. დ. გიორხელიძე, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი: პრობლემები, სტრატეგიის კონტურები. საქართველოს ეკონომიკის მიმართულებები, 2000, № 3-4 გვ. 67
2. რ. კაკულია, ფინანსების ზოგადი თეორია, თბ., 1998 , გვ. 146
3. ა. კოლუაშვილი, საბიუჯეტო პროცესის სრულყოფა საბიუჯეტო რესურსების ეფექტიანი გამოყენების უპირველესი პირობაა, ჟურნალი მაკრო მიკრო ეკონომიკა № 1-2, 2000, გვ. 32
4. ?. გამსახურდია, საბიუჯეტო პროცესის სრულყოფის პრობლემები, ჟურნალი „გადასახადები", ივნისი, 2000, გვ. 22

ნ. ცაბარეიშვილი

ცენტრალური ბანკი მაკროეკონომიკური რეგულირების სისტემაში: უცხოური გამოცდილება და საქართველოს სინამდვილე

ცენტრალური ბანკის მიერ განხორციელებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკა მაკროეკონომიკური რეგულირების შემადგენელი ნაწილია. ცენტრალური ბანკი განსაზღვრავს ეკონომიკის არტერიაში ფულადი ნაკადების მოცულობას. საკრედიტო ინსტიტუტებსე

ზემოქმედებით იგი გარკვეულ პირობებს ქმნის მათი ფუნქციონირებისათვის. ამ პირობებშია დამოკიდებული კომერციული ბანკებისა და სხვა საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების საქმიანობის მიმართულებები, რაც გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. ფულად-საკრედიტო სისტემის ეროვნული თავისებურებანი განსაზღვრავს ეკონომიკაზე ცენტრალური ბანკის მარეგულირებელი ზემოქმედების ხარისხს და გავლენას ახდენს მისი ფუნქციონირების პირობებზე. ეროვნული საბანკო სისტემა მნიშვნელოვნად ზემოქმედებს ცენტრალური ბანკის ფულად-საკრედიტო რეგულირების გზებსა და მეთოდებზე.

ცენტრალური ბანკების პოლიტიკა მიმართულია კრედიტისა და ფულადი ემისიის (საკრედიტო ექსპანსია) სტიმულირებაზე ან მათ შეკერებასა და შეზღუდვაზე (საკრედიტო რესტრიქცია). საკრედიტო ექსპანსიის დროს იზრდება კომერციული ბანკების რესურსები, რომლებიც კრედიტების გაცემისას ზრდიან მიმოქცევაში ფულის საერთო მასას. საკრედიტო რესტრიქცია კი იწვევს კომერციული ბანკების კრედიტების გაცემის შესაძლებლობების შეზღუდვას და გავლენას ახდენს ეკონომიკის ფულით გაჯერებაზე.

ქვეყნის ცენტრალური ბანკი შეიმუშავებს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სტრატეგიულ კონცეფციას. ამ მიზნის მისაღწევად იგი იყენებს ინსტრუმენტების კომპლექსს, რომლებიც კლასიფიცირდება: ა) პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების ფორმებად; ბ) ზემოქმედების ობიექტებად; გ) მარეგულირებელი პარამეტრების რაოდენობრივ და თვისებრივ ნიშნებად. ასეთი კლასიფიცირება ძირითადად დამახასიათებელია განვითარებული ქვეყნების ცენტრალური ბანკებისათვის, რაც ფართოდ არის გაშუქებული ეკონომიკურ ლიტერატურაში [1,2]. ყველა ეს ინსტრუმენტი გამოიყენება ერთიან სისტემაში და, თავის მხრივ, იყოფა შემდეგ ორ ჯგუფად: 1. ზოგადი, რომელიც გავლენას ახდენს მთლიანად სასესხო კაპიტალის ბაზარზე და 2. შერჩეითი, რომელიც განკუთვნილია კრედიტის კონკრეტული სახის რეგულირებისათვის. პირველს მიეკუთვნება: საალრიცხვო (დისკონტის) პოლიტიკა: ოპერაციები ღია ბაზარზე; ბანკების სავალდებულო

რეზერვების ნორმების ცვლილება; ხოლო მეორეს - პრიორიტეტული დარგების კრედიტებზე რაოდენობრივი პარამეტრების დადგენა; სპეციალური საკრედიტო-საფინანსო დაწესებულებების შექმნა, რომლებიც შეძლებდნ მცირე საპროცენტო განაკვეთებით პრიორიტეტული დარგების დაკრედიტებას აწარმოებენ და საარგებლობენ შელავათებით ცენტრალურ ბანკში თამასუქების განადღებისას; სხვადასხვა სახის შელავათების გავრცელება იმ საკრედიტო დაწესებულებებზე, რომლებიც გასცემენ კრედიტებს ეკონომიკის პრიორიტეტულ სფეროებზე. ამასთან, დიდ როლს თამაშობს არა მარტო ეკონომიკის მარეგულირებელი მდგომარეობა განსაზღვრულ ისტორიულ მომენტში, არამედ ცენტრალური ბანკის ტრადიციებიც. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ცენტრალური ბანკის შესაძლებლობების საკმარისად მკაცრი რეგლამენტაციები ავსტრიისა და გერმანიის კანონმდებლობებიდან, სადაც დამკიდრებულია ფულად-საკრედიტო რეგულირების ყველა ნებადართული სახე. აღსანიშნავია ისიც, რომ „ინგლისის ბანკის" ინსტრუმენტები კანონმდებობით პრაქტიკულიად არ რეგულირდება. ასეთ განსხვავებას საინტერესო შედეგებამდე მივყავართ. „ინგლისის ბანკი" თავისი სტრატეგიის რეალიზაციის ყოველ ეტაპზე მხისწრაფვის გამოიყენოს რეგულირების ახალი მეთოდი. ძნელია გამოვყოთ „ინგლისის ბანკის" მიერ გამოყენებული ფულადი პოლიტიკის მექანიზმები ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. "ინგლისის ბანკის" ინსტრუმენტების განვითარებას შეიძლება მსოლოდ ქრონოლოგიურად ვადევნოთ თვალყური. ინგლისის ცენტრალური ბანკის ამა თუ იმ მეთოდის სიჭარბე ხშირად დამოკიდებულია იმაზე, ხელისუფლების სათავეში კონსერვატორული თუ ლიბერალისტული მთავრობა იმყოფება. ამასთან, არ შეიძლება არ აღინიშნოს ინგლისის საბანკო სისტემასა და „ინგლისის ბანკის" საქმიანობაში ღრმა ტრადიციების არსებობა. ზწორედ ტრადიციების საფუძველზე ინგლისში იქმნება ერთიანი ფულად-საკრედიტო რეგულირება. „ინგლისის ბანკი" უპირატესობას ანიჭებს საბანკო ხელსტემიდან კონტაქტების ორგანიზაციას სპეციალიზებული საკრედიტო ინსტიტუტების ჯგუფით – დისკონტის

სახლებით*

ეს უკანასკნელი ინგლისის საბანკო სისტემის მნიშვნელოვანი ინსტიტუციური თავისებურებაა, რომელიც მიიაჩნია როლს ასრულებს ფულადი პოლიტიკის განხორციელებაში. მათ მიეკუთვნება რვა ინსტიტუტი, რომლებიც იკავებენ შუალედურ მდგომარეობას ცენტრალურ ბანკსა და სხვა საკრედიტო ინსტიტუტებს შორის. ამგვარი თავისებური მდგომარეობა იმით არის განპირობებული, რომ ინგლისის საბანკო სისტემაში მხოლოდ ამ საკრედიტო ინსტიტუტებს აქვთ ცენტრალურ ბანკში რეფინანსირების პრივილეგია. ამის გამო, დისკონტის სახლები ვალდებულნი არიან, „ინგლისის ბანკისაგან" განსხვავებით, მიიღონ ყოველკვირეულად სახაზინო თამასუქები სრული მოცულობით, რაც ამ უკანასკნელისათვის ერთობ ხელსაყრელია, რადგანაც დიდ ბრიტანეთში სახაზინო ფასიანი ქაღალდების გაყრცელების ამოცანა ეკისრება ცენტრალურ ბანკს.

დისკონტის სახლები შუამავლის როლში გამოდის „ინგლისის ბანკსა" და საბანკო სისტემას შორის, რაზედაც ცენტრალურ ბანკს არ შეუძლია უშუალოდ გაკლენის მოახდენა, რადგანაც სხვა საკრედიტო ინსტიტუტებს პირდაპირ არ მიუწვდებათ ხელი ცენტრალური ბანკის რეფინანსირებაზე, როგორც ეს სხვა ქვეყნებში ხდება.

---

* თავდაპირველად დისკონტის სახლების (discont houses) ძირითადი ფუნქცია იყო მოკლევადიანი კომერციული თამასუქების ყიდვა (გაინაღდება), გამოიყენებოდა თამასუქების გასანაღდებლად "ინგლისის ბანკში". შემდეგ დისკონტის სახლები ხდებოდნენ იმ სახაზინო თამასუქების უმსხვილესი მყიდველები, რომლებსაც უშვებდა მთავრობა რეგულარულ ყოველკვირეულ აუქციონზე. დისკონტის სახლები ბანკთაშორისი ბაზრიდან ი'სიდავენ სახსრებს მოკლევადიანი სესხების ფორმით მოთხოვნამდე დაფარვის პირობით ან მოკლე შეტყობინებით. ამასთან, ისინი ქმნიან საბანკო სექტორის ლიკვიდობის რეგულირების დახვეწილ და მგრძნობიარე მექანიზმს. კომერციული ბანკების მიერ სესხების მსხვილი გამოძახების შემთხვევაში დისკონტის სახლებს შეუძლიათ მიმართონ "ინგლისის ბანკს" კრედიტორისათვის, რომელიც მოქმედებს როგორც უკანასკნელი ინსტანციის კრედიტორი.

ცენტრალური ბანკის სტრატეგია შეიძლება დაეახასიათოთ რიგი კრიტერიუმების საფუძველზე. ცენტრალური ბანკების სტრატეგიის განსაზღვრის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია ეროვნულ ეკონომიკაში ფულადი მასის ზრდის ტემპების რეგულირება ან ეროვნული ვალუტის კურსის რეგულირება, ანუ რეგულირება შიდა და გარე მაჩვენებლებზე .

ცენტრალური ბანკის მიერ ამა თუ იმ სტრატეგიის არჩევა მთლიანად დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკის ორიენტაციაზე, მის ეკონომიკურ პოლიტიკაზე. ამასთან, შეინიშნება შემდეგი ტენდენცია: განვითარებული ქვეყნების ცენტრალური ბანკები მძლავრი შიდა ბაზრით ორიენტირებულია ფულადი მასის ზრდის ტემპების რეგულირებაზე ანგარიშსწორების ინდექსის ფარგლებში. ამგვარი სტრატეგია აქვს გერმანიის ფედერალურ ბანკს, „ინგლისის ბანკს" და ამერიკის შეერთებულ შტატებში ფედერალურ სარეზერვო სისტემას.

განასხვავებენ ეროვნული ფულადი ერთეულის შიდა და გარე სტაბილურობას. შიდა სტაბილურობაში იგულისხმება არაინფლაციური განვითარება, ხოლო გარე სტაბილურობაში - ეროვნული ერთეულის კურსის სტაბილურობა სხვა ვალუტებთან მიმართებაში.

ფულადი მასის ზრდის რეგულირებისას ეკონომიკის საერთო მდგომარეობის მიხედვით განასხვავებენ ფულადი მასის ზრდის სტიმულირების ღონისძიებებს (ექსპანსიური საკრედიტო პოლიტიკა) ან მისი ზრდის შენარჩუნების ღონისძიებებს (რესტრუქციული და ანტიინფლაციური პოლიტიკა). მაგრამ სტაგფლაციის პირობებში ცენტრალურ ბანკს უსდება ეკონომიკური რეგულირების ინსტრუმენტების კომპრომისული შეხამების ძებნა, როგორც ეს ხდება ამჟამად აღმოსავლეთი ევროპისა და პოსტსაბჭოურ ქვეყნებში.

ეროვნული ვალუტის კურსის რეგულირებას, როგორც ცენტრალური ბანკის სტრატეგიის მეორე ვარიანტს (გარე მაჩვენებელზე ორიენტირს) უპირატესობას ანიჭებს ექსპორტზე ორიენტირებული განვითარებული ეკონომიკის მქონე ევროპის ქვეყნები. ამის მაგალითია ავსტრია, ბელგია, ნიდერლანდები და ა.შ.

არჩეული კონცეფციის შესაბამისად ცენტრალური ბანკები

პრიორიტეტს ანიჭებენ ან ფულად (ერთ შემთხვევაში), ან საკალკულატორო (მეორე შემთხვევაში) პოლიტიკას და ინსტიტუტების ზემოქმედებას წარმართავენ არჩეული სტრატეგიის შესაბამისად.

ცენტრალური ბანკის განკარგულებაშია რიგი ინსტრუმენტებისა, რომელთა საშუალებითაც იგი ახორციელებს ფულად-საკრედიტო რეგულირებას. აღნიშნული ინსტრუმენტების არჩევა დამოკიდებულია ცენტრალური ბანკის სტრატეგიაზე. გარკვეულ ეკონომიკურ სიტუაციაში ცენტრალური ბანკის მიერ გამოყენებული ინსტრუმენტები მაქსიმალურად ქმედითუნარიანი უნდა იყვნენ. აღსანიშნავია ცალკეული ჯგუფების ან ყველა საკრედიტო ინსტიტუტის კონკურენტუნარიანობაზე ზემოქმედების ზომიერების მნიშვნელოვანი მოთხოვნა. ამასთან დაკავშირებით ცენტრალური ბანკის ყველა ღონისძიება ორ ჯგუფად იყოფა. პირველ მათგანს მიეკუთვნება ზემოქმედების ღონისძიებები, რომლებიც ეხება არა ყველა კომერციულ ბანკს, არამედ მხოლოდ ნაწილს ამ ბანკებისა (მაგალითად, გყრ-ის საკრედიტო ინსტიტუტების ცალკეული ჯგუფებისათვის საკალდებულო რეზერვების სხვადასხვა განაკვეთების დადგენა; რუსეთის ბანკის მიერ საკალუტო ლიცენზიების გაცემის პრაქტიკა, მეორე ჯგუფი მოიცავს იმ ღონისძიებებს, რომლებიც ეხება ყველა საკრედიტო ინსტიტუტს. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ცენტრალური ბანკის მიერ საალრიცხვო (დისკონტის) პოლიტიკის განხორციელება, რაც წვრილი და მსხვილი ბანკებისათვის იწვევს განსხვავებულ შედეგებს. ინსტრუმენტები, რომლებიც ორივე ჯგუფს მიეკუთვნება, შეესაბამება ცენტრალური ბანკის მოთხოვნების ნეიტრალურობას, რადგანაც ისინი ერთნაირად ზემოქმედებენ საკრედიტო ინსტიტუტების კონკურენტუნარიანობაზე მთლიანად ყველა ბანკთან.

ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნების გათვალისწინებით, ცენტრალური ბანკის ეკონომიკური რეგულირების ინსტრუმენტები შეიძლება დავახასიათოთ შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: ტრადიციული ან არატრადიციული; ადმინისტრაციული ან საბაზრო; ზოგადი ქმედებების ან შერჩევითი მიმართულებების; პირდაპირი ან არაპირდაპირი ზემოქმედების; მოკლე-, საშუალო- და გრძელვადიანი.

არატრადიციული ინსტრუმენტები წარმოიშვა საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებზე პირობების ცვლილებებით, აგრეთვე, ახალი საკრედიტო ინსტიტუტების ჯგუფების გამოჩენით.

ადმინისტრაციულს მიეკუთვნება ინსტრუმენტები, რომლებსაც აქვთ რა დირექტივების, ინსტრუქციებისა და წესების ფორმა, გააჩნიათ აგრეთვე სხვადასხვა წარმომავლობა, რაც ემყარება ეროვნულ ბანკსა და ხშირად თავისუფალი არჩევანის მიმართულებას ან საკრედიტო ინსტიტუტების მოქმედებებს. ადმინისტრაციული მეთოდები ძირითადად დამახასიათებელია განვითარებადი ქვეყნების ცენტრალური ბანკებისათვის, მაგრამ პრაქტიკაში განვითარებული ქვეყნების ცენტრალური ბანკების რეგულირებაში ადმინისტრაციულ მეთოდებს გარკვეული ადგილი უკავიათ. ადმინისტრაციული რეგულირების ღონისძიებებს, ფართო გაგებით, მიეკუთვნება ცენტრალური ბანკის ყველა ის ბერკეტი, მეთოდი, რომელთა დახმარებითაც იგი ახორციელებს თავის მაკონტროლებელ ფუნქციას (მაგალითად, კომერციული ბანკების ანგარიშგებებს). XX საუკუნის 60-იან წლებში პრაქტიკულად ევროპის ყველა ქვეყანაში გამოიყენებოდა კომერციული ბანკების პრაქტიკა. ამჟამად აღნიშნული შესღუდვები მთლიანად გაუქმებულია მხოლოდ გერმანიაში, დანიასა და დიდ ბრიტანეთში. უფრო და უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება საპროცენტო განაკვეთების საბერძნეთსა და პორტუგალიაში, სადაც აღნიშნულის გარდა საკრედიტო ინსტიტუტები ვალდებულნი არიან ღია ბაზრის პოლიტიკის ფარგლებში შეინარჩუნონ აქტივები ფასიან ქაღალდებში. აღნიშნული ღონისძიება, უპირველეს ყოვლისა, მიმართულია ფასიანი ქაღალდების განთავსებაზე. მეორე მხრივ, ამგვარი განაწესი ზღუდავს კომერციული ბანკების მიერ კრედიტების გაცემის შესაძლებლობას კერძო სექტორზე. რეგულირების ადმინისტრაციულ მეთოდებს შეიძლება მივაკუთვნოთ აგრეთვე ცენტრალურ ბანკში საკრედიტო ინსტიტუტების მინიმალური საეალდებულო რეზერვების შენახვა. განვითარებულ ქვეყნებში (დიდი ბრიტანეთის, კანადისა და ლუქსემბურგის გარდა), კომერციული ბანკები ვალდებულნი არიან განათავსონ თავიანთი სახსრები მინიმალური რეზერვების სახით

ცენტრალურ ბანკში. მაგრამ აღნიშნული ინსტრუმენტის გამოყენებისას სხვადასხვა ქვეყანაში შეინიშნება არსებითი განსხვავება ფინანსური ბაზრის განვითარების ეროვნული თავისებურებების გამო. ცენტრალური ბანკები იყენებენ განსხვავებული სტრუქტურის მინიმალურ რეზერვებს, მათი სიდიდის ამპლიტუდას და რხევის სიხშირის, საკრედიტო ინსტიტუტებზე გასაცემი კრედიტების პროცენტების დარიცხვის განსხვავებულ სისტემას და განსხვავებულ პირობებს მათი რეფინანსირებისას.

მინიმალური რეზერვების მოთხოვნები წარმოიშვა როგორც საკრედიტო ინსტიტუტების ლიკვიდობის დაზღვევა და კლიენტების შენატანების გარანტი. მინიმალური რეზერვების გამოყენების აღნიშნული მოტივი დღესაც არსებობს. ბანკების ლიკვიდობის მხარდაჭერისას, ცენტრალური ბანკი ასრულებს „უკანასკნელი ინსტანციის კრედიტორის" ფუნქციას. მინიმალური რეზერვები, როგორც ფულადი პოლიტიკის ინსტრუმენტი, ორმაგ როლს ასრულებს: ფულად ბაზარზე ემსახურება ლიკვიდობის მიმდინარე რეგულირებისას და ერთდროულად ასრულებს საკრედიტო ფულის ემისიის შეხრუჭის როლს. ბევრ ქვეყანაში, პრაქტიკულად, მინიმალური რეზერვები აღარ იხმარება, როგორც „მკაცრი" რეგულირების ინსტრუმენტი, რადგანაც ცენტრალური ბანკები ამჯობინებენ „ღია ბაზრის" უფრო მოქნილ პოლიტიკას.

გერმანიის ფედერალური ბანკის კანონის თანახმად, ცენტრალური ბანკი უფლებამოსილია საკრედიტო ინსტიტუტებისაგან მოითხოვოს უპროცენტო მინიმალური რეზერვების შენახვა.

იმისათვის, რომ კომერციულმა ბანკებმა ცენტრალურ ბანკში შეინახონ უპროცენტო რეზერვები, მათ კომპენსაციის სახით გააჩნიათ გარკვეული შეღავათები:

- უფასო უნაღდო ანგარიშსწორების განხორციელება გერმანიის ფედერალური ბანკის საშუალებით;
- კომერციული ბანკების ჭარბი ნაღდი ფულადი სახსრების ჩარიცხვა ვალდებულებების მინიმალური რეზერვების შესავსებად.

ზემოთ ჩამოთვლილი „საკომპენსაციო შეღავათების" გარდა,

დამატებით გამოიყენება სუბვენციური რეფინანსირება თამასუქების განაღდების გზით. ზოგჯერ სარეზერვო მოთხოვნები შეიძლება შესრულდეს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების შეძენის გზით, რაც თან სდევს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებას. ამ მოტივებით ხელმძღვანელობს ცენტრალური ბანკი, ადგენს და მინიმალური რეზერვების მაღალ დონეს შედარებით მცირე პროცენტით. ასეთ პოლიტიკას ძირითადად ახორციელებს ის ცენტრალური ბანკი, რომელიც იძულებულია დააფინანსოს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი.

მინიმალური რეზერვების განაკვეთების დადგენისას დიდი როლი აკისრია ცენტრალურ ბანკსა და კომერციულ ბანკებს შორის მოლაპარაკებებს. მაგალითად, ნიდერლანდში საკრედიტო ინსტიტუტების ნაღდი (საკასო) რეზერვების ზრდა განისაზღვრება ცენტრალურ ბანკსა და კომერციულ ბანკებს შორის ამ სიდიდის შეთანხმებით. მინიმალური რეზერვების გაანგარიშებისას ბალანსის ძირითადი მუხლია არასაბანკო დაწესებულების შენატანები ბალანსის პასივის მხარეს. ზოგჯერ მინიმალური რეზერვების განსაზღვრისას აღრიცხვას ექვემდებარება ბანკთაშორისი ვალდებულებებიც.

პრაქტიკულად ყველა განვითარებულ ქვეყანაში მონაცემთა მიწოდების პროცესი კომერციული ბანკებით მინიმალური რეზერვების გაანგარიშებისათვის ფორმალიზებულია. გერმანიის ფედერალური ბანკი სთავაზობს სპეციალიზებული ფორმულარის გამოყენებას, რომლის საშუალებითაც ცალკეული საკრედიტო ინსტიტუტები განაცხადებენ თავიანთი ვალდებულებების შესახებ, რომლებიც ექვემდებარებიან აღრიცხვას მინიმალური რეზერვების გაანგარიშებისას.

მინიმალური რეზერვების განაკვეთები ქვეყნების მიხედვით მნიშვნელოვნად იცვლება. იტალიასა და ესპანეთში დადგენილია უმაღლესი განაკვეთები, შესაბამისად, 25% და 17%. საპირისპირო პოლუსზე იმყოფება იაპონია, სადაც მინიმალური რეზერვების განაკვეთი ჩვეულებრივ 2,5%-ს არ აჭარბებს. „ინგლისის ბანკი", რომელიც პრაქტიკულად, მინიმალურ რეზერვებს არ იყენებს როგორც ფულადი

პოლიტიკის ინსტრუმენტს, საკრედიტო ინსტიტუტებიდან ითხოვს მხოლოდ ვალდებულებების 0.45%-ს. მინიმალური რეზერვების განაკვეთებს შორის ასეთი არსებითი განსხვავება იმით აიხსნება, რომ ქვეყანაში, სადაც დადგენილია მაღალი სარეზერვო განაკვეთი, ვალდებულებები მინიმალური რეზერვებში ნეგულებრივ უპროცენტო როლია.

უკანასკნელ ხანს, ბევრ განვითარებულ ქვეყანაში, როგორც ბანკის ლიკვიდობის რეგულირების ინსტრუმენტი, მინიმალური რეზერვების პოლიტიკის გამოყენების ეფექტიანობა და საბანკო ოპერაციების რენტაბელობის კონტროლი დაეკა. იაპონიაში სარეზერვო განაკვეთებმა 70-იანი წლების შუა პერიოდში, ნავთობის კრიზისის შემდეგ, დიდი ცვლილებები განიცადა, მაგრამ ამის შემდეგ ისინი მაინც იმავე დონეზე დარჩნენ. აშშ-ში ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ უარი განაცხადა მინიმალური რეზერვების განაკვეთის ცვლილებების მექანიზმზე, მაგრამ გერმანიის ფედერალური ბანკი წარმატებით იყენებს მოცემულ ინსტრუმენტს, თუმცა უფრო იშვიათად, ვიდრე ბრეტონ-ვუდსის სავალუტო სისტემის ფუნქციონირების პერიოდში.

ცენტრალური ბანკების მისწრაფება მინიმალური რეზერვების დაცვით მიაღწიონ მოთხოვნების გარკვეულ შესრულებას, უპირისპირდება კომერციული ბანკების ცდებს, კანონის ფარგლებში თავი აარიდონ გადასახადებს საალდებულო რეზერვების მხარდაჭერით. ამრიგად, 70-იანი წლების ბოლოს, აშშ-ის ბევრი ბანკი გამოეიდა ფედერალური სარეზერვო სისტემიდან იმის გამო, რომ მინიმალური რეზერვების მითითება ეხებოდა მხოლოდ წევრ-ბანკებს. ახალი ფინანსური ოპერაციების განვითარებამ და სარეზერვო ტვირთისაგან დამოუკიდებელი ევრობაზრების გაჩენამ წარმოშვა აშშ-ის კომერციული ბანკების ახალი შესაძლებლობები (როგორიცაა, ევრობაზარზე გავრცელებული დეპოზიტები), დარჩენილიყვნენ ეროვნული მინიმალური რეზერვებით გარშემოფარგლული. ცალკეული ქვეყნის ცენტრალური ბანკი ან საერთოდ არ იყენებს მინიმალური რეზერვების მექანიზმს (ლუქსემბურგი), ან მინიმალურ რეზერვებში აღრიცხვას არ ექვემდე-

ბარება არარეზიდენტების ის დეპოზიტები, რომლებიც კომპენსიდება არარეზიდენტების კრედიტებით (გერმანია).

საეალდებულო რეზერვების მექანიზმი, როგორც საკრედიტო პოლიტიკის ერთ-ერთი საბაზრო ინსტრუმენტი, გამოიყენება პრაქტიკულად ყველა განვითარებულ ქვეყანაში. ამასთან, ქვეყნები, რომლებიც ინარჩუნებენ მყარი ვალუტის კურსს, აღნიშნულ ინსტრუმენტს იყენებენ მკაცრი რეგულირების პოლიტიკის ფარგლებში. საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების განვითარებით. მათ შორის, საბანკო სექტორში თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნისას მსხვილი რეგიონული ეკონომიკური გაერთიანებების მინიმალური რეზერვების პოლიტიკა ითხოვს მუდმივ ადაპტაციას ცვლილებების გამომწვევ პირობებზე.

XX საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში მკაფიოდ გამოვლინდა განვითარებული ქვეყნების ცენტრალური ბანკების მისწრაფება, გამოიყენონ საბაზრო მეთოდები ეკონომიკური რეგულირების პროცესებში. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ღია ბაზარზე ოპერაციების გამოყენების გაფართოება, ევროპის ბევრ ქვეყანაში კაპიტალის მოძრაობის ლიბერალიზაცია. ღია ბაზრის პოლიტიკა არის ცენტრალური ბანკის მიერ მყარპროცენტიანი ფასიანი ქაღალდების (სახაზინო თამასუქები, უპროცენტო სახაზინო ვალდებულებები, სახელმწიფო სესხის ობლიგაციები, სამრეწველო ობლიგაციები, პირველი კლასის მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდები და სხვ.) ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების განხორციელება ღია ბაზარზე. ღია ბაზრის პოლიტიკის განხორციელების ტრადიციული საშუალებებია ოპერაციები სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებით მეორეულ ბაზარზე, რომელიც დამახასიათებელია დიდი ბრიტანეთისათვის, გერმანიის, საბერძნეთის, იტალიისა და საფრანგეთისათვის. პირველად ბაზარზე ოპერაციები სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებით ხორციელდება დიდ ბრიტანეთში მკაცრად განსაზღვრულ ფარგლებში. „ინგლისის ბანკისათვის" ღია ბაზრის პოლიტიკა გამოდის ეკონომიკური რეგულირების წამყვანი ინსტრუმენტის როლში. სხვა ღონარჩენ ინსტრუმენტებს იყენებენ არარეგულარულად. ღია ბაზრის

პოლიტიკის განხორციელებისას „ინგლისის ბანკი" კონცენტრირდება ორ ძირითად ოპერაციაზე: გრძელვადიანი პოლიტიკის ფარგლებში სახელმწიფო სესხის ობლიგაციებით ოპერაციებზე, ხოლო მოკლევადიანი პოლიტიკის ფარგლებში - სახაზინო იაბლასუქებით ოპერაციებზე. აღნიშნული პოლიტიკა ხორციელდება დისკონტის სახლების საშუალებით ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის მყარი განაკვეთების დადგენის გზით. ამრიგად, ფულად ბაზარზე იქმნება ლიკვიდური რესურსების დეფიციტი, რაც ხელს უწყობს დისკონტის პოლიტიკის წარმატებულ განხორციელებას. ღია ბაზრის პოლიტიკის ფარგლებში პირველად ბაზარზე ოპერაციები არასახელმწიფო ფასიანი ქაღალდებით ვერ პოულობს ფართო გავრცელებას.

ეკონომიკის გამოცოცხლებისათვის ცენტრალური ბანკი ხრდის მოთხოვნას ფასიან ქაღალდებზე. იგი ან აფიქსირებს კურსს, რომლის მიღწევისასაც იგი შეისყიდის ფასიანი ქაღალდების ნებისმიერ შეჩოთავაზებული მოცულობას, ან შეიძენს მის განსაზღვრულ ოდენობას მიწოდების კურსისაგან დამოუკიდებლად. პირიქით, თუ ცენტრალური ბანკის მიზანია საბანკო სექტორის რესურსების შემცირება, მაშინ იგი ღია ბაზარზე მიწოდების მხარეზეა, ატარებს რა კონტრაქტულ პოლიტიკას. ამ შემთხვევაში ცენტრალურ ბანკს აქვს თავისი მიზნების განხორციელების რეალიზაციის ორი შესაძლებლობა: ან განაცხადოს კურსი, რომლის მიღწევისაც ცენტრალურ ბანკს მიეწოდება ფასიანი ქაღალდების ნებისმიერი ოდენობა, ან დამატებით მიეწოდოს ფასიანი ქაღალდების განსაზღვრული ოდენობა.

ღია ბაზრის კონტრაქტიური პოლიტიკა იწვევს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებიდან შემოსავლების გაზრდას და საკრედიტო ინსტიტუტებიდან თავიანთი რეზერვების ნაწილის დანაკლისს.

ღია ბაზრის პოლიტიკის განხორციელების დროს [illegible] მნიშვნელოვანი განსხვავებისას შესაძლებელია საერთო ტენდენციების განსაზღვრა, რაც იმით გამოიხატება, რომ სხვადასხვა ქვეყნის ცენტრალური ბანკები დიდ ყურადღებას უთმობენ მოცემული ინსტრუმენტის განვითარებას, ეს კი დაკავშირებულია ეკონომიკის საბაზრო რეგულირების და არა ადმინისტრაციული რეგულირების მეთოდები.

ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების ცენტრალური ბანკების პრაქტიკაში არსებობს გრძელი - და მოკლევადიანი ზემოქმედების მექანიზმები, რომლებიც მიმართულია შესაბამისად ფულადი პოლიტიკის უახლოესი და გრძელვადიანი მიზნების რეალიზაციაზე. განასხვავებენ ფულადი პოლიტიკის რეალიზაციის ინსტრუმენტებს, როგორც რეგულირების „მკაცრ" და „დახვეწილ" ინსტრუმენტებს.

იმ ინსტრუმენტების კომბინირების ხელოვნება, რომლებსაც იყენებს ფულად-საკრედიტო პოლიტიკა სხვადასხვა მიზნის მისაღწევად, დამოკიდებულია მათ წარმატებულ შერწყმაზე. რეგულირების გრძელვადიანი მიზნების რეალიზაციის მაგალითია ფულადი პოლიტიკის (მაგალითად, მინიმალური რეზერვების პოლიტიკა, რეფინანსირების პოლიტიკა და სხვა) ტრადიციული ინსტრუმენტები. მოკლევადიანი მიზნების განხორციელებას ემსახურება არატრადიციული მექანიზმები (მაგალითად, საგალუტო პოლიტიკის ჩარჩოებში „სვოპ" ოპერაციები, არბიტრაჟი ღია ბაზრის ჩარჩოებში), აგრეთვე, ტრადიციული ინსტრუმენტები (გერმანიაში – ოპერაციები ფედერალური ფასიანი ქაღალდებით).

ქვეყნის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა უფრო დინამიკური და ცვალებადია, ვიდრე ფისკალური პოლიტიკა. ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, გარდა იმისა, რომ მოწოდებულია მიაღწიოს ეროვნული ვალუტის სტაბილურობას, იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ისეთი ამოცანების გადაწყვეტაში, რომელიც: ქვეყნის ეკონომიკური ზრდა, მოსახლეობის რაციონალური დასაქმება, ოპტიმალური საგადასახდელო ბალანსის ფორმირება და ა.შ.

როგორც ცნობილია, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ტრადიციულად რამდენიმე გზით ხორციელდება: პირველ რიგში, ცენტრალური ბანკი ატარებს „ძვირი ფულის" პოლიტიკას, რაც გულისხმობს მიმოქცევაში ფულადი მასის შეზღუდული რაოდენობით გაშვებას, ეს კი იწვევს კომერციული ბანკების რეზერვების შემცირებას და, შესაბამისად, საკრედიტო რესურსების შეზღუდვას. აღნიშნული პოლიტიკის ვატარების დროს საბანკო პროცენტები მაღალია, რის

გამოც იზღუდება წარმოების განვითარების მასშტაბები და ინვესტიციების განვითარება, თუმცა „ძვირი ფულის" პოლიტიკის გატარებას აქვს თავისი დადებითი მხარე, რაც უპირველესად გამოიხატება ფულის მიმოქცევის სიჩქარის ზრდასა და, შესაბამისად, ინფლაციური პროცესების დამუხრუჭებაში. ე.ი. „ძვირი ფულის" პოლიტიკის გატარების დროს ცენტრალური ბანკი ადგენს ბანკებიდან სარეზერვო ანარიცხების პროცენტს. იმ შემთხვევაში, თუ ეს პროცენტი იზრდება, ცენტრალური ბანკი ამ გზით ადიდებს იმ სახსრების მოცულობას, რომელთა შენახვაც ევალებოდა კომერციულ ბანკებს ცენტრალურ ბანკში. ამის შედეგად მცირდება ბანკების განკარგულებაში არსებული საკრედიტო რესურსების მასა და, პირიქით, სარეზერვო ანარიცხების განაკვეთის შემცირების შემთხვევაში ბანკებს ეძლევა დამატებითი სახსრები საწარმოებისა და მოსახლეობის დაკრედიტებისათვის.

პრაქტიკაში ხშირად იყენებენ „იაფი ფულის" პოლიტიკასაც, რაც ნიშნავს ფულის მასის გაზრდილი რაოდენობით მიმოქცევაში გაშვებას, საბანკო პროცენტების მაღალი განაკვეთების დაწესებას, რაც იწვევს საინვესტიციო რესურსების ზრდას და, შესაბამისად, წარმოების აღორძინებას, მაგრამ აღნიშნული პოლიტიკის გატარების ყველაზე უარყოფითი მხარეა მიმოქცევაში ზედმეტი ფულის დაგროვება, რაც საქონლისა და მომსახურების დეფიციტის პირობებში იწვევს ინფლაციასა და ჰიპერინფლაციას.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში (მათ შორის, საქართველოშიც) ფულად-საკრედიტო სისტემის რეფორმირების პროცესი რთულად და წინააღმდეგობრივად მიმდინარეობს. განუვითარებელი ფინანსური ბაზრები, მაკროეკონომიკური არასტაბილურობა და სუსტი საბანკო ზედამხედველობა ამუხრუჭებს ფულად-საკრედიტო რეფორმის გატარებას. ამიტომ, ბუნებრივია, შეუძლებელია იგი განხორციელდეს ერთბაშად. რეფორმირების ეს პროცესი მოითხოვს ხანგრძლივ პერიოდს - ფულად-საკრედიტო რეგულირების თანდათანობით ჩართვას ფინანსური ლიბერალიზაციის ფართომასშტაბიან პროცესში.

საქართველოში ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამტარებელი

ეროვნული ბანკი, ჯერ ერთი, ცვლის მონეტარულ პარამეტრებს (სალიკვიდურობა და დისკონტის განაკვეთებს, საგალდებულო რეზერვებს და ა.შ.), ხოლო შემდეგ ცდილობს აღნიშნული ფაქტორებით სტიმულირება მოახდინოს კაპიტალის ინვესტირებაზე, სამომხმარებლო მოთხოვნაზე, ფასწარმოქმნაზე, არეგულიროს მოთხოვნა-მიწოდება და სხვ. ყოველივე ამან გაელენა უნდა იქონიოს მთლიანი შიდა პროდუქტის, ეროვნული შემოსავლისა და სხვა მაკროეკონომიკური მაჩვენებლების მოძრაობაზე. ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკა, მისი რეალიზაცია და შედეგები სქემატურად ასე შეიძლება წარმოვადგინოთ: ფულადი მასა - პროცენტის ნორმა - ინვესტიციები - ეროვნული შემოსავალი და მთლიანი შიდა პროდუქტი.

საქართველოში საბანკო სისტემის ტრანსფორმაციის პროცესი 1991 წლიდან დაიწყო, რომელიც მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის ფონზე მიმდინარეობდა: ამ დროისათვის ეროვნული ბანკი გაუმართებელ ლიბერალურ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას ატარებდა. ქვეყანაში სწრაფად იზრდებოდა კომერციული ბანკების რიცხვი (1992 წელს რეგისტრირებული იყო 200 ბანკი, 1995 წელს მათი რიცხვი 229-მდე გაიზარდა, 1996 წლიდან დაიწყო უკუპროცესი. ამავე წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომერციული ბანკების რაოდენობა 101 გახდა, 1997 წლისათვის - 62, 1998 წლისათვის 53, 1999 წლისათვის - 43, 2000 წლისათვის - 37, ხოლო 2001 წლის 1 ივნისის მდგომარეობით საქართველოში ფუნქციონირებდა 28 კომერციული ბანკი და 2 უცხოური ბანკის ფილიალი (თურქეთი და აზერბაიჯანი)*. კომერციული ბანკების ასეთი სიმრავლე განპირობებული იყო საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობით, არარსებული საბანკო კანონმდებლობით და ბანკების ლიცენზირების სუსტი ადმინისტრირებით. აუცილებელი გახდა საბანკო სისტემის რეფორმირება, რასაც უსდა უზრუნველეყო საბანკო სისტემის მდგრადობა. საქართველოში ახლად ჩამოყალიბებული საბანკო სისტემისათვის მნიშვნელოვანი მოვლენა – ფულადი რეფორმა - ეროვნული ვალუტის შემოღება და მისი სტაბილური გაცვლითი კურსის შენარჩუნება გახლავთ.

* საქართველოს ეროვნული ბანკის ოპერატიული მონაცემები.

საქართველოში საბანკო სისტემის რეფორმის განხორციელება დაიწყო საერთაშორისო საფინანსო ფონდის, მსოფლიო ბანკის, ევრობანკისა და სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების დახმარებით. ამ მიმართულებით ეროვნულმა ბანკმა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. 1995 წელს ეროვნული ბანკისა და სომხეთის ცენტრალური ბანკის ინიციატივით შეიქმნა „ამიერკავკასიის და ცენტრალური აზიის ქვეყნების საბანკო ზედამხედველობის რეგიონული ჯგუფი, რომლის ეგიდითაც ხდებოდა „საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის" მიერ შემუშავებული საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრება. ამ თვალსაზრისით პირველ ეტაპზე მოხდა „კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების" და „ფულად ფორმაში მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნების" დაწესება, აგრეთვე, შემოღებულ დანაკარგების დარეზერვების პრაქტიკა. ამავე პერიოდიდან დაიწყო საქართველოს ეროვნული ბანკის თანამედროვე ტიპის საბანკო ზედამხედველობის სტრუქტურის ჩამოყალიბება, საზედამხედველო ფუნქციების ამოქმედება და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. სრულყოფილი გახდა საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზაც. 1995 წლის 23 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ეროვნული ბანკის შესახებ", 1996 წლის 23 თებერვალს კი კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ".

საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობის შედეგად ფულად-საკრედიტო სფეროში ჩამოყალიბდა მთელი რიგი დადებითი ტენდენციები: ფულის შეზღუდული მოწოდების გამო შესაძლებელი გახდა ინფლაციური პროცესების მართვა, შენარჩუნდა ხარჯ ფულადების მიმართ ლარის გაცვლითი კურსის სტაბილურობა, მოხდა ბანკების კონსოლიდაცია და გაჯანსაღება, რაც მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნის ეტაპობრივად გაზრდამ განაპირობა. მაგრამ არსებული ფულად-საკრედიტო სისტემის მიზანი, შეინარჩუნოს ეროვნული ვალუტის სიმყარე, მეტად ძვირად უჯდება ქვეყანას. ფულადი სტაბილიზაციის უკან იმალება ქვეყნის ფულადი მიმოქცევის მთელი სისტემის მოშლა. ასეთ პირობებში ინფლაციის შენელება და ლარის კურსის შენარჩუნება ამუხრუჭებს ეკონომიკის განვითარებას.

დღეისათვის საქართველოში არსებული ფულად-საკრედიტო სისტემა ვერ ახდენს ფულზე მოთხოვნისა და მიწოდების დაბალანსებას და არსებული საემისიო პოლიტიკით საქართველოს ეროვნული ბანკი ფულად-საკრედიტო ურთიერთობების მარეგულირებელი ფუნქციის მაგივრად უფრო ანტიინფლაციური ფუნქციის შემსრულებელი ხდება.

ბოლო წლებში საქართველოში ფულის მიწოდება ხდებოდა ეროვნული ბანკის წმინდა საერთაშორისო აქტივების შემცირების, ასევე, წმინდა საშინაო აქტივებისა და საბიუჯეტო სექტორის წმინდა შიდა კრედიტების მოცულობის ზრდის კვალობაზე. მათი რაოდენობრივი პარამეტრები განისაზღვრებოდა საქართველოს ხელისუფლების მიერ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან შეთანხმებული საფინანსო პროგრამით. თუ 1996 წელს საქართველოში მოქმედი ბანკების ჯამური აქტივები 235,5 მლნ ლარს შეადგენდა, 2001 წლის 31 მარტის მდგომარეობით საბანკო სისტემის მთლიანი აქტივები 725 მლნ ლარი იყო, რაც 2000 წლის მაჩვენებელს 22%-ით აჭარბებდა. 2001 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოში მოქმედი 30 ბანკიდან 10 უმსხვილესი ბანკი აკონტროლებს მთლიანი აქტივების 75%-ს და მთლიანი სესხების 80%-ს.*

ამასთან აღსანიშნავია, რომ ამჟამად ქვეყნის ფულად-საკრედიტო რეგულირების ერთადერთი პირდაპირი (საბაზრო) ინსტრუმენტები - საჭალდებულო რეზერვების ნორმა - მუდმივ ცვლილებას განიცდის. საჭალდებულო რეზერვების ნორმის გაზრდა ჩვეულებრივ ფულის მიწოდების შემცირებას ემსახურება. მისი შემცირებისას იზრდება ფულის მიწოდება და მულტიპლიკაციური ეფექტი, რაც აფართოებს ბანკის დაკრედიტების შესაძლებლობებს. როგორც აღინიშნა, საჭალდებულო რეზერვების ნორმა სხვადასხვა სიდიდისაა. საჭალდებულო რეზერვების ნორმა დამოკიდებულია ფულად-საკრედიტო სისტემის განვითარების თავისებურებაზე, კერძოდ, ინფლაციისა და საბანკო სისტემის მდგრადობის დონეზე, დაუბრუნებელი კრედიტების წილზე და ა.შ. საერთაშორისო პრაქტიკაში საჭალდებულო რეზერვების ნორმის

* საქართველოს ეროვნული ბანკის ოპერატიული მონაცემები.

ცვლილება იშვიათად ხდება, რადგან მისი მცირეოდენი ცვლილება მიმოქცევაში ფულადი მასის რაოდენობის მნიშვნელოვან ცვლილებას იწვევს. საეალდებულო რეზერვების ნორმა ემსახურება კომერციული ბანკების ლიკვიდობის სათანადო დონის უზრუნველყოფასა და მათ საქმიანობაზე კონტროლის აუცილებლობას.

საერთაშორისო გამოცდილებიდან განსხვავებით, საქართველოში საეალდებულო რეზერვების ნორმა ხშირ კორექტირებას განიცდიდა. მაგალითად, 1995 წლის ბოლოდან დღემდე იგი 20%-დან 14%-მდე შემცირდა, მაგრამ ამის მიუხედავად, იგი საკმაოდ მაღალია და ანტიინფლაციური ზომების გატარების მიზნით ითვალისწინებს კომერციული ბანკების მიერ ფულის მიწოდების შეზღუდვას. საეალდებულო რეზერვების ნორმა ქვეყანაში უნიფიცირებულია, როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში მოზიდული სახსრებისათვის. არსებობენ ქვეყნები, რომლებიც მიმართავენ მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების დიფერენციაციას ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში მოზიდული დეპოზიტების მიხედვით. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ უცხოურ ვალუტაში მოზიდულ სახსრებზე მაღალი განაკვეთის დაწესება იწვევს არა მარტო მათი ხვედრითი წონის შემცირებას, არამედ უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების მოცულობის შეზღუდვასაც, რადგან, ერთი მხრივ, ბანკები ინტერესდებიან მოიზიდონ ეროვნულ ვალუტაში დეპოზიტები, ხოლო, მეორე მხრივ, ადგილი აქვს უცხოურ ვალუტაში საკრედიტო რესურსების გაძვირებას, რამაც უნდა შეამციროს მათზე მოთხოვნა.

მინიმალური სარეზერვო მოთხოვნის განაკვეთის დიფერენცირება საქართველოში დადებით შედეგს გამოიღებს. იგი მართალია გაზრდის ლარში მოზიდული სახსრების ოდენობას და რამდენამდე შეამცირებს სასესხო განაკვეთებს ეროვნულ ვალუტაში, მაგრამ ეროვნული ვალუტისადმი არსებული უნდობლობის გამო ნაკლებად სავარაუდოა, რომ მნიშვნელოვნად იკლოს უცხოურ ვალუტაში დეპოზიტების ოდენობამ და არსებითად შემცირდეს უცხოური სესხების მოცულობა. მართალია, საპროცენტო განაკვეთები მათზე მოიმატებს, მაგრამ საქართველოს ეკონომიკის ფაქტობრივი დოლარიზაციის მაღალი

დონის გამო, ეს კარდინალურად არ იმოქმედებს დოლარულ სესხებსე არსებული მოთხოვნის დინამიკაზე [3].

საქართველოში ბოლო წლების მანძილზე არსებულმა ფისკალურმა კრიზისმა, რასაც დაემატა ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების საგარეო წყაროებიდან სახსრების არასრულად მიღება, გამოიწვია ბიუჯეტის დაფინანსების მნიშვნელოვნად გაუარესება. 1998-1999 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების ფაქტობრივი მოცულობის საფუძველზე დეფიციტის თანხა განისაზღვრა შესაბამისად, 184 მლნ და 137,5 მლნ ლარით. დეფიციტის დაფინანსება განხორციელდა საქართველოს ეროვნული ბანკის სესხებით: 1998 წელს - 128,8 მლნ და 1999 წელს - 97,5 მლნ ლარი. აქედან ეროვნულმა ბანკმა 134,8 მლნ ლარის სესხით მოახდინა დეფიციტის დაფინანსება*. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სახელმწიფო ხარჯების დაკრედიტების პრაქტიკა მეტად უარყოფით ტენდენციად ყალიბდება. ბიუჯეტის ემისიური დაფინანსება მნიშვნელოვან ნაკლად უბრუნდება ეკონომიკას, რადგან ზრდის შიდა ვალს, უშუალო გაელენას ახდენს ინფლაციისა და გაცვლითი კურსის სტაბილურობაზე, ამცირებს უცხოური ვალუტის რეზერვებს, ხელს უშლის საპროცენტო განაკვეთების რეალური სიდიდის ფორმირებას.

საგულისხმოა, რომ საქართველოში გატარებულ ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ეტაპი გამოიკვეთა: თავდაპირველად, რეფორმების საწყის ეტაპზე ლიბერალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკა გატარდა, რაც მსოფლიო ეკონომიკაში ცნობილი „იაფი ფულის" პოლიტიკის ელემენტებს შეიცავდა, რომელიც შემდეგ ეტაპზე „ძვირი ფულის" პოლიტიკით შეიცვალა. მაგრამ ეკონომიკური სტაბილიზაციისაკენ მიმართული ფულად-საკრედიტო პოლიტიკა უნდა განხორციელდეს არა „ძვირი ფულის" (მოთხოვნის დაცემა - ინფლაციის დაქვეითება) ხანმოკლე ეფექტის სქემის ჩარჩოებში, არამედ შემდეგი პრინციპით: ინვესტიციების გადიდება - წარმოების გაფართოება - უმუშევრობის შემცირება - საბიუჯეტო შემოსავლების ზრდა - ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება

* საქართველოს ეროვნული ბანკის ოპერატიული მონაცემები.

- ინფლაციის დაქვეითება. ამ ამოცანის გადაჭრის მიზნით აუცილებელია ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში ისეთი ცვლილებების შეტანა, რომლებიც მიმართული იქნება საინვესტიციო სფეროს გაყართოების, ფულადი მიმოქცევის ნორმალიზაციისა და საკრედიტო ემისიის აქტიურობისაკენ.

ლიტერატურა

1. Поляков В.П., Московкина Л.А., Структура и функции центральных банков. Зарубежный опыт, М., 1996
2. Бахметов С.А., Центральный банк и денежно-кредитная полтика, Санкт-Петербург, 1996
3. კაკულია მ., ასლამაზიშვილი ნ., დოლარიზაცია საქართველოში: მასშტაბები, ფაქტორები, დაძლევის გზები, თბ., 2000

კ. კაციტაძე

საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობათა პროგრესული მეთოდები მოწინავე კაპიტალისტური ძვეყნების ბანკების გამოცდილების გათვალისწინებით

თანამედროვე პირობებში მსოფლიო ეკონომიკის განვითარებას ბევრი ტენდენცია და მიმართულება გააჩნია. საბაზრო-ეკონომიკურმა ურთიერთობებმა თავისი დამახასიათებელი ატრიბუტებით განვითარების 2 საუკუნის მანძილზე რთული გზა განვლეს: სხვადასხვა პერიოდში ხდებოდა მუდმივი ცვლილებები წარმოებისა და საზოგადოების სოციალური სტრუქტურის სფეროებში. ინდუსტრიული ერა, რომელიც სამრეწველო რევოლუციით ხასიათდებოდა, შეიცვალა საინფორმაციო ერით რომლის სრულყოფა ამჟამადაც მიმდინარეობს მაღალგანვითარებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოებში.

ინდუსტრიული ერა ხასიათდებოდა უპირატესად მატერიალური

წარმოების დარგების განვითარებით, რაც განსაკუთრებით შეეხებოდა მრეწველობას. მისი წილი გაუხრელად იზრდებოდა როგორც მოსახლეობაში, ასევე ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტსა და ეროვნულ შემოსავალში. თვით წარმოება მასობრივ ხასიათს აღარებდა, რომელიც ორიენტირებული იყო ფართო მოხმარების ნაწარმზე, ხოლო წარმოების ეფექტურობის ამაღლების ძირითად ფაქტორს წარმოადგენდა ცოცხალი შრომის დანახარჯების ეკონომია განსხვავებულ ფორმებში.

საინფორმაციო ერა, რომელიც წარმატებით დაინერგა აშშ-ში, იაპონიაში, გერმანიაში, სინგაპურში, ტაივანში, საძრავი კორეასა და სხვა ქვეყნებში, ხასიათდებოდა ეკონომიკაში, მომსახურების სფეროთა უპირატესი ზრდით, განსაკუთრებით იმ დარგებისა, რომლებიც დაკავშირებულია ინფორმაციის გადამუშავებასთან, ყოველგვარი საშუამავლო საქმიანობის განხორციელებასთან.

თუკი ინდუსტრიულ ერაში ზედმეტი ლირებულების ძირითადი წყაროა უმეტესწილად საწარმოო მუშაკების ფიზიკური შრომა, საინფორმაციო ერაში ესაა საინჟინრო და მართვადი შრომა, რასაც თან ერთვის მარკეტინგით დაკავებულთა შრომაც. ყოველივე ამან მაღალგანვითარებულ ქვეყნებში თითქმის განაპირობა შეიქმნა ფერმერთა, მეწარმეებთა და კოოპერატორთა ფენის ჩამოყალიბება. ამგვარი ტენდენცია საკარაუდოდ მომავალშიც გაგრძელდება.

ანალოგიურ პროგნოზს აკეთებს აშშ-ს სტატისტიკური ბიურო – იმ პროფესიათა შორის, რომელთა რიცხვი ამ ქვეყანაში ყველაზე დიდი ტემპით გაიზრდება, ალბულ ცოტა იქნება მუშების რაოდენობა. სამაგიეროდ 1,5-ჯერ იმატებს ინჟინრების, ეგმ-ის პროგრამისტების, ბუღალტრებისა და იმ კატეგორიის ხალხის რაოდენობა, რომელთა საქმიანობა ინფორმაციის გადამუშავებას უკავშირდება.

ფრანგი ეკონომისტი სეი [1] ჯერ კიდევ სამრეწველო რევოლუციის პერიოდში წარმოების მართვის წესს ასე აყალიბებდა: „საჭიროა შემცირდეს წარმოების დანახარჯები, რათა გაიზარდოს მოგება".

ეს გონიერი რჩევა გარკვეული პერიოდის განმავლობაში გამოადგა

ბევრ მეწარმეს, როცა მრეწველობის დარგები, ბაზარი და გამოსაშვები პროდუქციის ასორტიმენტი ხანგრძლივი დროის განმავლობაში შედარებით სტაბილურ ხასიათს ატარებდნენ.

ამერიკელი მეცნიერ-ეკონომისტი ჯ. სამუელსონი [2] აღნიშნავდა: „მწარმოებლებს შეუძლიათ მოგების გაზრდა და ფასების კონკურენციაში გაძლება პირველ ყოვლისა, დანახარჯების შემცირების გზით, რაც თავის მხრივ, მიიღწევა ეფექტური მეთოდების დანერგვით".

თანამედროვე მარკეტინგი ფართოდ გამოიყენება ბანკის საქმიანობაში. მისი ობიექტური საფუძველია საფინანსო ბაზრის ჩამოყალიბება-განვითარება. დასავლეთის ქვეყნებში საბანკო სფეროში იგი ჩამოყალიბდა სამრეწველო და საკრედიტო კომპანიების საქმიანობის გამოცდილების საფუძველზე. ეს გარემოება აძლიერებს ბანკების როლს საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობათა სრულყოფის საქმეში.

თანამედროვე ეპოქაში მსოფლიო საფინანსო ბაზარზე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პროდუქციის, მომსახურებათა რეალიზაციას, შემოსავლების გაზრდასა და ხარჯების მინიმიზაციას. ამათგან აქცენტი ამ უკანასკნელ ფაქტორზე კეთდება, რადგან ამჟამად საფინანსო ინსტიტუტები და განსაკუთრებით ბანკები შემოსავლების მობილიზაციისა და მოგების მიღების პროცესში ხელმძღვანელობენ ე.წ. "ეფექტიანობის" პრინციპით, რაც გულისხმობს ბაზრის ამა თუ იმ სეგმენტზე მიღებული შემოსავლების ანალიზის საფუძველზე მომავალი ხარჯების გაწევის მიზანშეწონილებას. ამის დასტურია მსოფლიოს ზოგიერთი უმსხვილესი ბანკის (დოიჩე ბანკი, დრეზდნერბანკი, აბნ-ამრო) მაგალითები, რომლებმაც აღნიშნულ პრინციპზე დაყრდნობით მიიღეს გადაწყვეტილება მთელ რიგ ქვეყნებში თავიანთი ფილიალებისა თუ წარმომადგენლობების დახურვის შესახებ.

აქედან გამომდინარე საქართველოსთვის, როგორც ახალგაზრდა დამოუკიდებელი ეკონომიკისთვის, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ისეთი საბანკო სისტემის ფორმირების საკითხი, რომელიც ორიენტირებული იქნება საერთაშორისო სტანდარტებისა და პროგრესული მეთოდების გამოყენებაზე.

მოწინავე ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს, რომ კომერციული ბანკები ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებენ. მათ არ გააჩნიათ ფულად-საკრედიტო ემისიის უფლება და ისინი კრედიტებს გასცემენ მათ მიერ რეალურად მოზიდული სახსრების ფარგლებში.

ამჟამად კომერციული ბანკების მთავარი როლი გამოიხატება იმაში, რომ კომერციული ბანკების მოზღვავებას თან ახლავს კონკურენციის გამძაფრება საბანკო სფეროში და მონოპოლიზმის შესუსტება. გარდა ამისა, ძირფესვიანად იცვლება მეურნეობაში საკრედიტო ურთიერთობების ხასიათი და ისინი ბაზრის ორგანული ელემენტები ხდებიან.

ბანკების განვითარების მსოფლიო პრაქტიკა მოწმობს, რომ კომერციული ბანკები კელავაც აქტიურ როლს თამაშობენ განვითარებული ქვეყნების ბაზრის ფორმირებაში, რაც დასტურდება ქვემოთ მოყვანილი მონაცემებით [3].

ცხრილის ანალიზი გვიჩვენებს, რომ თუმცა კომერციული ბანკების წილი ომისშემდგომ პერიოდში საკმაოდ შემცირდა, მათ მაინც წამყვანი ადგილი უჭირავთ აშშ-ის საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებათა შორის.

საინტერესოა, რომ კომერციული ბანკების კრედიტებს აშშ-ში მეორე ადგილი უჭირავთ კორპორაციების დაფინანსების საქმეში. კლიენტს შეუძლია კომერციული ბანკისაგან მიიღოს ნებისმიერი სახის ფინანსური მომსახურება, რაც მეტყველებს მიმოქცევის სფეროს განსაზღვრულ ოპტიმიზაციაზე.

ასევე მნიშვნელოვანია კომერციული ბანკების წილი საშომხმარებლო და საიპოთეკო კრედიტის ბაზარზე. ეს განსაკუთრებით ეხება მცირე ბანკებს, რომლებიც აშშ-ში უმრავლესობას შეადგენენ (დაახლოებით 13 ათასამდე). საერთოდ, აშშ-ში ბანკების დაყოფა სამ ჯგუფად ხდება. ესენია: მცირე (აქტივები 300 მლნ აშშ დოლარამდე), საშუალო (300 მლნ-დან 5 მლრდ დოლარამდე) და მსხვილი (5 მლრდ დოლარს ზემოთ) ბანკები. უკანასკნელ ჯგუფს ეკუთვნის ცხრა უმსხვილესი ბანკი, რომელთა აქტივები 100 მლრდ დოლარს აჭარბებენ.

აღნიშნული ბანკების მიერ ჩატარებული ოპერაციების მთავარი მიმართულებაა სამომხმარებლო და საცალო დაკრედიტება.

ცხრილი 1

აქტივთა წილი (%) აშშ-ის მთელი საფინანსო დაწესებულებების აქტივთა საერთო ჯამში

საფინანსო დაწესებულები	წლები				
	1960	1970	1980	1990	2000
კომერციული ბანკები	57,3	38	36	32,5	28
სადაზღვეო კომპანიები	23,3	19,9	16,5	15,4	14,2
საშემნახველო ინსტიტუტები	12,4	19	20,5	19,1	18,7
საპენსიო ფონდები	2,7	12,7	15,7	17,2	19,1
ფულის ბაზრის ფონდები	–	–	1,9	3,1	6,4
სხვა დანარჩენი	4,3	11,4	9,4	12,7	13,6

კომერციული ბანკების ადგილი და როლი საკრედიტო ბაზარზე რეგულირდება შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით. აშშ-ს კანონმდებლობით განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული კომერციულ და საინვესტიციო საქმიანობას შორის პრინციპულ გამიჯვნაზე. საბანკო ბიზნესში დიდი ყურადღება ექცევა სახელმწიფოს მხრიდან საფინანსო-საკრედიტო ბაზრის დეტალურ მართვა-რეგულირებას. ცხადია, ასეთი გამოცდილება უნდა გამოვიყენოთ ჩვენს ქვეყანაშიც.

მარკეტინგის თავისებურებები საბანკო სფეროში განპირობებულია, პირველ ყოვლისა, საბანკო პროდუქციის სპეციფიკით. ამერიკულ ეკონომიკურ ლიტერატურაში ბანკის მიერ გაწეული

ნებისმიერი მომსახურება ან ოპერაცია იწოდება საბანკო პროდუქციად – bank product.

კომერციულ ბანკებში პროდუქცია ორ ძირითად კლასად იყოფა: მომსახურებანი აქტიური და პასიური ოპერაციების მიხედვით. პასიური ოპერაციების განხორციელება ხდება ძირითადად მოსახლეობის დროებით თავისუფალი სახსრების აკუმულირების მიზნით. რაც შეეხება აქტიურ ოპერაციებს, ამ შემთხვევაში კომერციული ბანკები ახდენენ მოსიდული სახსრების ისეთ განაწილებას, რომლის დროსაც უზრუნველყოფილია მოგების კონკურენტუნარიანი დონე და მათი ფუნქციონირებისათვის აუცილებელი მდგრადობა.

ჩვენი აზრით, საინტერესოა საბანკო მომსახურების ისეთი სახეები, რომელთა საშუალებითაც წარმოების განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების საფინანსო ბაზრის ფორმირება.

ასე მაგალითად, აშშ-ში ბანკის პასივები ყალიბდება ორი ძირითადი წყაროდან: ანაბრებიდან და ფულად ბაზარზე საბანკო სესხებიდან. მოსახლეობას ანუ ამერიკული ტერმინოლოგიით – საცალო კლიენტურას, გაეწევა შემდეგი სახის მომსახურებები:

გადასარიცხი ანგარიშები (transaction accounts) – ესაა ჩვეულებრივი საჩეკო ანგარიშები; სპეციალური საჩეკო ანგარიშები; საშემნახველო ანგარიშები; ფულადი ბაზრის სადეპოზიტო ანგარიშები; NOW ანგარიშები (negotiable order of withdrawal); სუპერ NOW ანგარიშები; ანგარიშები ვადიანი ანაბრის მიხედვით (ვადით 7-დან 31 დღემდე, 31 და მეტი დღე). არსებობს აგრეთვე ე.წ. ანგარიშ-პაკეტები, რომლებითაც ხდება მომსახურებათა სრული ასორტიმენტის შეთავაზება.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ფულადი ბაზრის სადეპოზიტო ანგარიშები (money market deposit accounts) განსაკუთრებით გამოიყენებოდა 70-80-იანი წლების მიჯნაზე, როცა იყო სიძნელეები ეკონომიკაში (ინფლაცია, კონკურენციის გამძაფრება). 1982 წელს, მაგალითად, ნებადართული იყო ანგარიშების გახსნა საწყისი ბალანსით 2500 აშშ დოლარი, ხოლო 1985 წელს – 1000 აშშ დოლარი. ამ ანგარიშზე არ არის დაწესებული შეზღუდვა მისი მფლობელისთვის

გამოტანის თვალსაზრისით, მაგრამ თანხის მოხსნა მოცემული ანგარიშიდან შესაძლებელია არაუმეტეს თვეში სამჯერ (ჩეკის გამოწერით). საპროცენტო განაკვეთი თავდაპირველად არ იყო შეზღუდული. ბანკი ანგარიშის მფლობელს ახდევინებს შესაბამის საფასურს საოპერაციო ხარჯების საკომპენსაციოდ.

შემნახველი ანგარიშებიდან ანაბრის ამოღება ხორციელდება დაუყოვნებლივ მფლობელის მოთხოვნის მიხედვით. საპროცენტო განაკვეთი 1987 წლამდე შეზღუდული იყო (5,5%). დღეისათვის მდგომარეობით კი ბანკებს საშუალება აქვთ მეანაბრეების მოსაპოვებლად ერთმანეთს მწვავე კონკურენცია გაუწიონ, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მათ შეუძლიათ ნებისმიერი საპროცენტო განაკვეთის შეთავაზება. როდესაც ანაბარი განისაზღვრება 7-დან 31 დღემდე, მაშინ გასაცემი პროცენტი შემოიფარგლება 5,5-ით, ხოლო თუ ვადა აჭარბებს 31 დღეს, მაშინ საპროცენტო განაკვეთის ქვედა და ზედა საზღვარი არ დგინდება. თუკი ანაბარი ვადაზე ადრე გაიტანეს, ბანკი კლიენტს ახდევინებს ჯარიმას.

მოწინავე კომერციული ბანკები განვითარებულ ქვეყნებში ყოველთვის ცდილობენ კლიენტისგან მიიღონ მაქსიმალური მოგება და სთავაზობენ კომპლექსურ მომსახურებას – ჩეკების შეუზღუდავ გამოწერას, უფასო სარეკო მომსახურებას, სამომხმარებლო კრედიტის ზოგიერთ ტიპზე პროცენტის შემცირებას და .სხვა. უკანასკნელ პერიოდში საფინანსო ბაზარზე ფართოდ გამოიყენება სადეპოზიტო სერთიფიკატები. ისინი ფულის ბრუნვადობის დაჩქარების აქტიური საშუალებაა და გააჩნიათ სხვადასხვა ვადა (თვე, სამი თვე, ექვსი თვე). მნიშვნელოვანია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ სადეპოზიტო სერთიფიკატებს აქვთ არალიმიტირებული პროცენტი, რომელიც ზუსტად ასახავს მოთხოვნა-მიწოდების მდგომარეობას ფულად ბაზარზე. ეს კარგად ჩანს გერმანული ბანკის მაგალითზე (ცხრილი №2) [3].

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, განსაკუთრებით უკანასკნელ პერიოდში, კლიენტთა მიერ აკრედიტივების როგორც საიმედო საბანკო პროდუქტის გამოყენება (Letters of Credit). კერძოდ, ბანკები თავის თავზე იღებენ კლიენტის დავალებით გახსნან აკრედიტივი, რომელიც

ცხრილი 2

საპროცენტო განაკვეთი სადეპოზიტო სერთიფიკატზე ერთ-ერთი გერმანული ბანკის მაჩვენებლების მიხედვით

წლები	სადეპოზიტო სერტიფიკატები		
	ერთთვიანი	სამთვიანი	ექვსთვიანი
1982	12,04	12,27	12,57
1983	8,96	9,07	9,27
1984	10,19	10,37	10,68
1985	7,96	8,04	8,24
1986	6,61	6,51	6,50
1987	6,75	6,87	7,01
1988	8,18	8,41	8,51

არის გარკვეული გარანტია და ავალდებულებს კლიენტს შეასრულოს ფინანსური ვალდებულებები. საინტერესოა, რომ ამჟამად მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების კორპორაციათა 40%-ზე მეტი, რომლებსაც კომერციული ბანკები ემსახურებიან, მიმართავენ მომსახურების ასეთ ფორმას.

ლიტერატურა

1. კ. კაციტაძე. ეკონომიკური ინტეგრაციის პროგრესული სისტემები საერთაშორისო საბანკო ანგარიშსწორების სფეროში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქუთაისის სამეცნიერო ცენტრის შრომები, ტომი III, თბ., 1999, გვ. 133-136
2. Самуэльсон П., Экономика, М., 1964, с.57
3. Хруцкой В.Е. и др., Современный Маркетинг», М., Финансы и Статистика, 1991, с.253
4. L. Mobley, K. McKeowh, Beyond IBM, N.Y., 1989, p. 115
5. K. Katsitadze, Features of effecting payments through banking network: cover

and serial methods, Bulletin of the Kutaisi Scientific Center of the Georgian Academy of Sciences, Tbilisi, 1999, p. 137

პროფ ლ. ყორღანაშვილი

ვენჩურული ბიზნესი და საქართველოში მისი განვითარების პერსპექტივები

ტრადიციულად ბიზნესის ყველაზე მომგებიან სახეებად ითვლება ნავთობი, იარაღითა და ნარკოტიკებით ვაჭრობა, აგრეთვე სამორინეებისა და ბორდელების შენახვა. მაგრამ XX საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდა ბიზნესის კიდევ ერთი სახეობა, რომელიც თავისი მომგებიანობითა და რისკიანობით არ ჩამოუვარდება აღნიშნულთ. ესაა ვენჩურული ბიზნესი, რომელიც გულისხმობს ახალი იდეების, პროგრესული სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავებების დაფინანსებასა და მათ დაყვანას გაყიდვისათვის მიზანშეწონილ დონემდე ანუ კომერციალიზაციას. ვენჩურული ბიზნესი საჭიროებს დიდ ცოდნას, დიდ ფულსა და დიდ გარჯას, მაგრამ წარმატების შემთხვევაში იგი უსარმაზარი მოგების მომტანი „ოქროს ძარღვია".

თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკური წარმატებების გასაღებია პირველობა სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების სფეროში, ამიტომ საკუთარი „სილიკონის (კაუბადის) ველის" (Silikon valley) არსებობა პრესტიჟის საკითხად იქცა იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებიც ცდილობენ ტექნოლოგიურად განვითარებული ქვეყნების რიცხვში მოხვედრას. აღნიშნულის გამო, მსოფლიოს თანამედროვე რუკაზე გაჩნდა მრავალი სახელწოდება „სილიკონის" ზედსართავით.

„სილიკონზე“ მოდას ბიძგი მისცა ცენტრალური კალიფორნიის მაღალი ტექნოლოგიების (high tech) ინდუსტრიამ. ამ სილიკონის ველში განლაგებულია 4 ათასზე მეტი კომპიუტერული ფირმა ნახევარი მილიონი თანამშრომლით. აქ უშვებენ აშშ-ის რაკეტებისა და თვითმფრინაველების წარმოების 1/3-ს, ნახევარგამტარების მსოფლიო წარმოების 1/5-ს, კომპიუტერების 1/6-ს. გერმანიაში სარისკო დაფინანსების ბახტრიონად იქცა დიდი მიუნჰენი (ბავარია), ინდოეთი ამაყობს თავისი „სილიკონის პლატოთი“, შოტლანდია – „სილიკონის გლენით“ და ა.შ.

ვენჩურულმა ბიზნესმა შეუწყო ხელი მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების გადასელას განვითარების პოსტინდუსტრიულ ფაზაზე. ვენჩურული დაფინანსება გახდა ამერიკის ეკონომიკის მამოძრავებელი ძალა. იგი უზრუნველყოფს ნათელ მომავალს კალიფორნიული რეცეპტით "high tech - high life - high risk" (მაღალი ტექნოლოგიები – ცხოვრების მაღალი დონე – მაღალი რისკი).

ვენჩურული ბიზნესის არსი განისაზღვრება მისი შემდეგი სპეციფიკური თვისებურებებით: 1. კაპიტალდაბანდებათა ობიექტების როლში სარისკო პროექტების წარმოდგენა; 2. კაპიტალის პორტფელური მართვა; დაბანდებათა მნიშვნელოვანი ნაწილის ჩადება ინოვაციური კაპიტალის საწესდებო კაპიტალში; 4. ვენჩურული კაპიტალისტის აქტიური მონაწილეობა პროექტის მართვაში ან მის მიერ საიმედო კონტროლის უზრუნველყოფა; 5. პროექტის სიმწიფის ფაზაში ბიზნესიდან ვენჩურული კაპიტალისტის წინასწარ განსაზღვრული გამოსელა.

ვენჩურული კაპიტალის ძირითად წყაროებს მიეკუთვნებიან: კერძო ინვესტორები, მცირე ინოვაციური კომპანიები, მსხვილი კორპორაციები, საატრასტო ფონდები, სპეციალური სახელმწიფო ფონდები და პროგრამები.

აშშ-ის სილიკონის ველში არსებობს ფინანსური პრობლემების გადაწყვეტის საინტერესო ხერხი. აქ თვეში ერთხელ სადილ-პრეზენტაციაზე იკრიბება ვენჩურულ კაპიტალისტთა ჯგუფი, ე.წ. „ანგელოზების ბანდა“, რომელსაც წარუდგენენ 1-2 ახალ ფირმას. სადილის

ბოლოს წრეზე უშვებენ ქუდს, რომელშიც „ფულის ტომრები" ყრიან თავიანთ საეიზიტო ბარათებს 'შესაძლო შენატანის მითითებით. ამბობენ, რომ ამ სადილზე მოხვედრილებს შეუძლიათ წყნარად იყვნენ თავიანთი ფირმის მომავალზე. „ანგელოზების" ინტერესი დაფუძნებულია კაპიტალისტის მუდმივ ოცნებაზე მიაგნონ „ოქროვან ძარღვს", მაგალითად ისეთს, როგორიც აღმოჩნდა Apple Computers რომლის აქციები 3 წლის შემდეგ 100-ჯერ გაიზარდა. შესაბამისად, ვენჩურული კაპიტალისტის წარმატება აქციების ზრდასა დაფუძნებული: სტატისტიკის მიხედვით იგი წელიწადში დაახლოებით 66%-ს შეადგენს.

იმავე სტატისტიკის თანახმად ვენჩურული ფონდისათვის შეთავაზებული 100 წინადადებიდან ერთი ფინანსდება და დაფინანსებული 10 ფირმიდან მხოლოდ 3 აღწევს წარმატებას 3-5 წლის შემდეგ. სანაგიეროდ, წარმატებას მიღწეული ფირმების აქციების გაყიდვით ვენჩურული კაპიტალისტი ანაზღაურებს ყველა წარუმატებლობას და იღებს მოგებას, რომელიც დაახლოებით 10-15%-ით აღემატება საბანკო პროცენტს.

ამა თუ იმ ახალ კომპანიაში ფულის დაბანდების საშუალო ვადა 5-7 წელია. ამ ვადის ბოლოს ვენჩურული კაპიტალისტი სრულებრივ გამოდის კომპანიიდან მისი წარმატება-წარუმატებლობის მიუხედავად.

ინვესტიციების ამოგების შემთხვევაში გაშლილი ბიზნესი მიეყიდება სტრატეგიულ ინვესტორს ან იგი იყიდება საფონდო ბაზარზე აქციების განთავსების გზით. ზოგიერთ შემთხვევაში მისი გამოყენება ხდება გამომგონებელთა მიერ.

ვენჩურული ბიზნესის დიდი მნიშვნელობისა და სარგებლიანობის მიუხედავად, ჩვენს ქვეყანაში ბიზნესის ეს სახეობა ყოველთვრივად არ ვითარდება. ამის მიზეზი, უპირველესად ისაა, რომ ჩვენ არ გაგვაჩნია ახალ ტექნოლოგიებთან და სარისკო ინვესტიციებთან მუშაობის გამოცდილება, აგრეთვე, ფინანსური ინფრასტრუქტურა ასეთი ინვესტიციებისათვის. გარდა ამისა, საქართველოში ჯერ არ არსებობს ვენჩურული ბიზნესის მთავარი პირობა — განვითარებული

საფონდო ბაზარი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ვენჩურული კაპიტალის მუშაობის მთავარი პრინციპი – ახალი კომპანიის გაყვანა საფონდო ბაზარზე, დროის შემდგომ პერიოდში აქციების კურსის ზრდის შედეგად მოგების მისაღებად.

საქართველოს, როგორც ინტელექტუალური პოტენციალით მდიდარ ქვეყანას, დიდი პერსპექტივები გააჩნია ვენჩურული ბიზნესის განვითარებისათვის. ამისათვის, უპირველესად, უნდა ჩამოყალიბდეს ინტელექტუალური საკუთრების სრულყოფილი ბაზარი, აგრეთვე ამუშაოდეს საფონდო ბაზარი. უნდა შეიქმნას ვენჩურული ფონდები, რომლებიც შეძლებენ მაღალრენტაბელური სარისკო პროექტების დაფინანსებასა და, ამასთან, წარუმატებელი ინვესტიციების დაფარვას. ვენჩურული ფონდების შექმნისას გასათვალისწინებელია აშშ-ის გამოცდილება, სადაც არსებობს რამდენიმე ასეული ასეთი ფონდი. ისინი ძირითადად კერძო სახსრებითაა შექმნილი. ვენჩურული ფონდები მთლიანობაში ჩართავენ დაახლოებით 10 მლრდ $, რაც არც ისე დიდი თანხაა. ჩვეულებრივი ვენჩურული ფონდის კაპიტალი შეადგენს 30-50 მლნ $, ხოლო ყველაზე მსხვილის – 200-300 მლნ $-ია. კაპიტალდაბანდებათა უკუგების კარგ მაჩვენებლად ითვლება წლიური 40%, ხოლო ძალიან კარგად – კაპიტალის ზრდა 10-ჯერ 5 წლის განმავლობაში. ნორმალურად ითვლება აგრეთვე წლიური 20-30%. ვენჩურულ ბიზნესში ინვესტიციების მაღალი რისკის მიუხედავად მათი ფაქტორების შემთხვევები იშვიათია.

ვენჩურული ბიზნესის განვითარებისათვის საქართველოს წამყვან უნივერსიტეტებთან მიზანშეწონილია ბიზნეს-ინკუბატორების, ტექნოპარკების შექმნა, რომლებიც გახდებიან ვენჩურული ფირმების პროტოტიპები. ბიზნეს-ინკუბატორები უზრუნველყოფენ დასაქმებას, რადგან მთელ მსოფლიოში ისინი ითვლებიან უმუშევრობასთან ბრძოლის ყველაზე ეფექტიან ინსტრუმენტად. ევროპის 22 ქვეყანაში ჩატარებულმა 2000-ზე მეტი ასეთი საწარმოს გამოკვლევამ აჩვენა, რომ 5 წლის განმავლობაში მათი მეშვეობით შექმნილია თითქმის 12 ათასი სამუშაო ადგილი, უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში აშშ-ის სილიკონის ველში კი – 200 ათასზე მეტი სამუშაო ადგილი.

საქართველოში არსებული ეკონომიკური სიტუაციის გამო, ჩვენს ქვეყანაში ახალი იდეების, სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავებების გაყიდვა ნაკლებადაა შესაძლებელი, ამიტომ არსებული პოტენციალიდან საჭიროა პერსპექტიული პროექტების მოძებნა და მათი „გაყიდვისწინა" მომზადება უცხოეთში რეალიზაციის მიზნით. ამ საქმეში წამყვანი როლი უნდა ითამაშოს საქპატენტმა.

ვენჩურული ბიზნესი მრეწველობის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და ტექნოლოგიური აღმავლობის, კრიზისიდან ქვეყნის გამოყვანის საშუალებაა, ამიტომ სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს მის განვითარებას.

ც. ცხვარიაშვილი

ფასწარმოქმნის ზოგიერთი მეთოდი საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში

საბაზრო ურთიერთობების პირობებში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი ფასებს და ფასწარმოქმნის პოლიტიკას უჭირავს. ბაზარზე ღირებულება ფასის საშუალებით გამოვლინდება და სხვადასხვა ობიექტური ან სუბიექტური ფაქტორების გავლენით მუდმივად იცვლება. შესაბამისად ფასიც განიცდის ცვლილებას. ბაზარზე ფასები მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთდამოკიდებულების საფუძველზე მოძრაობენ, ამდენად ფასები, თავის მხრივ, აქტიურ ზემოქმედებას ახდენენ მოთხოვნასა და მიწოდებაზე. ამ შეანასკნელის გამო ეკონომისტთა ერთი ნაწილი ცდილობს ეკონომიკური პრობლემები ფასების დაწესების გზით გადაწყვიტოს, რაც მოკლე დროის მანძილზე ზოგჯერ ამართლებს, მაგრამ მისი გამოყენება

როგორც ეკონომიკის ერთადერთი მეთოდისა, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გაუმართლებელია და თანაც მიუღებელია, რადგან ფასწარმოქმნა საკმაოდ რთული პროცესია. იგი ეკონომიკური მეცნიერების უძველეს პრობლემათა რიცხვს მიეკუთვნება. მათი კვლევა-ძიების პირველი ნიშნები უნდა ვეძიოთ უძველესი დროის ფილოსოფოსების, კერძოდ, არისტოტელეს, ქსენოფონტესა და პლატონის შრომებში. მართალია, ამ პერიოდში საქონელწარმოება არსებობდა მხოლოდ მარტივი სახით, მაგრამ მისი მოქმედების სივრცე იმდენად ფართო და ყოველისმომცველი იყო, რომ სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა მეცნიერული ანალიზი იმთავითვე იბიექტურ აუცილებლობად გადაიქცა. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივ კვლავწარმოებაში ფასწარმოქმნა დიდ როლს თამაშობს, დღემდე ჯერ კიდევ არ არის მის შესახებ ნამოყალიბებული ერთიანი თეორია. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ფასი მრავალფაქტორიანი მოვლენაა და ამავე დროს გაბსაკუთრებით საკუთრივ ფასი უშუალოდ ზემოქმედებს მოგებაზე, იგი წარმოების მოცულობის განსაზღვრის ძირითადი ორიენტირია. თუმცა, თავის მხრივ, ბაზარზე სარეალიზაციო საქონელთა ფასები არსებითად საბაზრო ფაქტორებით, მათ შორის მოთხოვნითა და მიწოდებით განისაზღვრება. საწარმომ თავისი ფასწარმოქმნის კონკრეტული პოლიტიკის განხორციელებისას უნდა გაითვალისწინოს ორი წესი:

1. ფასები ღაკავშირებული უნდა იყოს დანახარჯებთან;

2. ფასებმა უნდა უსრუნველყონ საქონლისა და მომსახურების წარმოებისა და რეალიზაციის მთელი ჯაჭვის მომგებიანობა. ამდენად, ფასების ფორმირების პროცესი მიმდინარეობს არა წარმოებაში, არამედ რეალიზაციის სფეროში. ბაზარზე, სადაც ალგილი აქვს მოთხოვნისა და მიწოდების, აგრეთვე კონკურენციისა და მონოპოლიის მოქმედებას, საქონლის ღირებულება პოულობს საზოგადოებრივ აღიარებას. ე.ი. საქონელსა და მომსახურებაზე ფასების დადგენის მექანიზმი ითვალისწინებს საწყისი ფასის განსაზღვრასა და შემდეგ მის კორექტირებას სხვადასხვა ფაქტორის ზემოქმედებითა და გათვალისწინებით. საბჭოთა ეკონომიკაში ფასების დაწესების მეთოდი ითვალისწინებდა

ფასების დაწესებას პროდუქციის გამოშვებამდე, რის გამოც ბაზრის გაეცლება ფასების დონეზე ძალიან სუსტი იყო და შეიძლება ითქვას, ის მხოლოდ მოთხოვნის ხარისხის ფიქსაციას ახდენდა. საბაზრო ურთიერთობების პირობებში საქონლის მესაკუთრენი და მყიდველები ურთიერთხელშეკრულების პრინციპზე დაყრდნობით აწესებენ ფასებს ამ დროს სახელმწიფო მხოლოდ ფასწარმოქმნის საერთო პრინციპებს და წესებს განსაზღვრავს. ფასების სახელმწიფო რეგულირება დაიშვება მხოლოდ საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებულ ცალკეულ შემთხვევებში. 1993 წლის 10 აგვისტოს და 1997 წლის 26 ნოემბრის საქართველოს პარლამენტის დადგენილებით მიღებულია საქართველოს კანონი ფასებისა და ფასწარმოქმნის საფუძვლების შესახებ, რომელშიც განმარტებულია საქართველოში ფასების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების საბაზრო ფასწარმოქმნის ფორმირებისა და ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლები*. კანონში გამოყენებულია ფასების ისეთი ძირითადი ცნებების განმარტებები, როგორიცაა: „თავისუფალი (საბაზრო) ფასი", რომელიც ყალიბდება მოთხოვნა-მიწოდების გაეცლენით, „სახელმწიფო რეგულირებადი ფასი (ტარიფი)", რომელიც განისაზღვრება სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების მიერ, „სახელმწიფო ფიქსირებული ფასი", რომელიც განსაზღვრავს მყარად დაწესებულ სიდიდეს, „ზღვრული ფასი", რომელიც რეგულირებადი ფასის ნაირსახეობაა და გულისხმობს სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების მიერ ფასის ზედა (მაქსიმუმი) და ქვედა (მინიმუმი) ზღვარის ან ორივეს ერთად დაწესებას, „მოსოციალიურად მაღალი (დაბალი) ფასი", რომელიც ყალიბდება სასაქონლო ბაზარზე გამყიდველების (მყიდველების) დომინირებული მდგომარეობის პირობებში, „დემპინგური ფასი", რომელიც წარმოდგება როგორც შიდა ბაზრის ფასებთან (მათ შორის წარმოებისა და რეალიზაციის ხარჯებთან) შედარებით განსრახ შემცირებული ფასი, რომელსაც გამყიდველი აწესებს საექსპორტო პროდუქციაზე საგარეო ბაზარზე

* გაზეთი «საქართველოს რესპუბლიკა» 1993 წლის 10 აგვისტო; 1997 წ. 26 ნოემბერი

არაკეთილსინდისიერი კონკურენციის მიზნით.

საბაჭრო ურთიერთობაზე გარდამავალ პერიოდში როგორც ჩვენთან, ისე ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებში დაფიქსირდა უპირატესად ორი სახის – თავისუფალი და რეგულირებადი ფასების მოქმედება.

საბაჭრო მეურნეობას, როგორც აღვნიშნეთ, შეესაბამება თავისუფალი ფასები, მაგრამ, როგორც პრაქტიკულმა გამოცდილებამ დაგვანახა, თუნდაც რადიკალური გარდაქმნების პირობებში, თავისუფალ ფასებზე სრული და თანაც მკვეთრი გადასვლა არ შეიძლება.

ფასების ლიბერალიზაცია იმ პირობებში, როდესაც ჯერ კიდევ არ არსებობს კონკურენცია, იწვევს ინფლაციას და ხელს უწყობს ავტორიტარული ეკონომიკური ურთიერთობების გაბატონებას. წარმოების მოცულობის გადიდების ნაცვლად ხდება მისი შემცირება.

როგორც წესი, საქონელზე ფასების დადგენა ხელოვნებაა. ვინაიდან ფასმა უნდა გაითვალისწინოს მოთხოვნა საქონელზე, წარმოების ხარჯებზე, კონკურენტების ფასებზე, ურთიერთშემცვლელი საქონლის ფასებზე, სახელმწიფო პოლიტიკა ფასწარმოქმნის საკითხში, ხარისხისა და უნიკალურობის ღირსება. ძალიან დაბალი ფასები წარმოებისათვის არ იძლევა მოგების, ხოლო ძალიან მაღალი ფასი კი მოთხოვნის ფორმირების საშუალებას. საქონელზე ფასის დადგენისათვის აუცილებელია შემდეგი სახის ინფორმაცია, რომელიც მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში (იხ. ცხრილი №1).

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ცნობილია ფასწარმოქმნის ისეთი სახის მეთოდები, რომლებიც თავისებურად წარმოგვიდგენენ ფასების შესახებ მოსაზრებებს, ფასის დადგენის ყველაზე მეტად გავრცელებული მეთოდებია:

1. ფასის დადგენა საქონელზე წარმოების ხარჯების მიხედვით.
2. ფასის განსაზღვრა მოთხოვნის ორიენტაციით.
3. ფასის დადგენა მიმდინარე ფასის დონის საფუძველზე.

ხარჯების საფუძველზე საქონლის ფასების დადგენის მეთოდი

ცხრილი №1

1. ბაზარზე მთლიანი ინფორმაცია, ბაზრის სეგმენტი, ძირითადი კონკურენტები, გაყიდვის ზრდის პერსპექტიეები, ბაზრის ცალკეული სეგმენტების ერთმანეთთან ურთიერთმოქმედება	2. ინფორმაცია ბაზრის კონიუნქტურაზე, კონკურენტუნარიანი საქონელი, მყიდველის მოთხოვნილება ფასის ცვლილების შესაძლებლობა, ცალკეული საქონლის წილის ცვლილება ბაზარზე, ბაზარზე კონკურენციის წილი, კონკურენტების ფინანსური მდგომარეობა, კონკურენტების საკარაულო მოქმედება ბაზრის პირობების ცვლილებების შემთხვევაში
3. ინფორმაცია ფასებზე, კონკურენტუნარიანი საქონლის ფასები, ლიდერი ფასები, გაყიდული საქონლისა და ფასთა შორის თანაფარდობა. ბაზრის თავისებურება ფასისა და მისი სტრუქტურის დამოკიდებულებაში: დათმობა, კრედიტის მიცემის შესაძლებლობა, ლონისძიება გასაღების სტიმულირებაზე	4.ინფორმაცია მთავრობის პოლიტიკაზე, ბაზარზე მთავრობის პოლიტიკის გაელენა, ცალკეულ ფირმებზე მთავრობის პოლიტიკის გაელენა. სახელმწიფო ორგანიზაციების ძირითადი მომწოდებლები. ფასების სახელმწიფო რეგულირება
5. ინფორმაცია წარმოებაზე და დანახარჯებზე. ფირმის წარმოების მოცულობა და სასაწყობო მარაგი. დანახარჯები წარმოების დონისა და სასაწყობო მარაგების შესაბამისობა, წარმოების მოცულობის ცვლილებების და სასაწყობო მარაგების დანახარჯების შეგროვებაზე გაელენა, დანახარჯები, რომლებსაც აქვთ ურთიერთობა ფასების საკითხის გადაწყვეტილების მიღებაში. ინფორმაცია, აუცილებელი ობიექტური ფასების დადგენისას.	6. ინფორმაცია საქონლის ნაეაჭრის ამონაგებსა და მოგებაზე, თანაფარდობა საქონლის ნაეაჭრის ამონაგებსა, მოგებასა და დანახარჯებს შორის, წარმოების მოცულობის გაელენა ნაეაჭრი საქონლის ამონაგებსა და მოგებაზე. ხარჯები გასაღების სტიმულირებაზე, მოგების წილი ერთეულ პროდუქციაზე. კონკურენტებთან მაცი შედარება.

გამოხატავს წარმოებაზე ტრადიციულ ორიენტაციას და გაცილებით ნაკლებ საბაზრო მოთხოვნას. არსებობს ორი ვარიანტი: წარმოების ხარჯების მთლიანი და ხელრული მეთოდების გამოყენება.

მთლიანი ხარჯების მეთოდის გამოყენების დროს ცვალებადი ხარჯების გარდა გათვალისწინება წარმოების მუდმივი გასაღებები, იმ დაბანდების პროპორციულად, რასაც ცალკეული შემადგენელი ელემენტი შეიტანს საქონლის წარმოებაში, თუმცა მას შემდეგი სახის ნაკლოვანება გააჩნია: 1) არ ექცევა ყურადღება საქონელზე მოთხოვნის ფაქტორს. ამიტომ შეიძლება არ გაიყიდოს ძალიან მაღალი ფასის გამო. 2) რანაირი მეთოდიც არ უნდა იყოს, საქონლის ოპერირებულებაზე მუდმივი დანახარჯები ნებისმიერია. შერჩეულ მეთოდთან დაკავშირებით პროდუქციაზე ფასები შეიძლება ძნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს.

ხელრული ხარჯების მეთოდი – ნაწარმის ფასის გაანგარიშების დროს გათვალისწინებენ მხოლოდ იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ გადაიტანება მოცემული ნაწარმის წარმოებაზე იმიტომ, რომ გაიზარდოს გაყიდვის მოცულობა და დაიკავოს დიდი წილი ბაზარზე. მაშინ წარმოება ახდენს ფასების ფორმირების მხოლოდ ხელრული ფასების გათვალისწინებით. მიუხედავად ამისა, ამ მეთოდის გამოყენებით ფასის დადგენა მთლიანად წარმოების მიერ გამოშვებულ პროდუქციაზე არ შეიძლება იმიტომ, რომ მუდმივი ხარჯები უნდა დაებრუნდეს წარმოების საერთო საკრებ ამონაგებში.

მოთხოვნის ორიენტაციით ფასი განისაზღვრება იმ პირობით, რომ მომხმარებელმა გაიაროს თანაფარდობა საქონლის ღირებულებასა და ფასს შორის და შეადაროს მას ანალოგიური საქონლის მაჩვენებლები, რომელსაც უშვებს სხვა წარმოება. წარმოების ხარჯები გათვალისწინება ფასების დადგენის გადაწყვეტილების დროს, როგორც შერჩეულებული ფაქტორი, როგორც წესი, რაც უფრო მაღალია საქონლის დიფერენცირება, მით მეტია მეიდეველების ფასების ელასტიკურობა.

საქონელი შეიძლება დიფერენცირებული იყოს ტექნიკური ხასიათის საფუძველზე, შეფუთვაზე, დიზაინზე, გემოვნებაზე,

რეკლამაზე, საქონლის დროულ მიწოდებაზე, მის ადგილამდე მიტანაზე, სადაც არის მოთხოვნა, გაყიდვის შემდგომ სერვისზე. ფასწარმოქმნის ამ მეთოდის ძირითადი ფაქტორია მომხმარებლის აღიარება. მწარმოებელს აქვს თავისუფალი მოქმედების საზღვარი ფასის დადგენის დროს. თუ საქონელს აქვს მრავალრიცხოვანი შემცვლელი მტკიცე პოზიცია ბაზარზე და ასევე ოლიგოპოლიურ ბაზარზე მუშაობის დროს მას შეუძლია შეცვალოს ფასი იმ შემთხვევაში, თუ გამოიყენებს ისეთ საქონელს, რომელსაც მყიდველი აღიარებს როგორც ახალს. ექსპერიმენტის ჩატარების დროს აუკილებელია გაითვალისწინოთ, რომ საქონელზე ფასების ზრდა მას შემდეგ, როცა ის უკვე ბაზარზე გამოჩნდა შედარებით დაბალი ფასების არსებობის შემთხვევა, საკმარისად რთულია. მიუხედავად ამისა, ამ მეთოდის დახმარებით ორიენტაციის განსაზღვრა ფასწარმოქმნაში მისაღებია. საქონელზე ფასების დადგენა მიმდინარე ფასების დონის საფუძველზე დაკავშირებულია დარგის კოლექტიების წინდახედულობასთან. ეს მეთოდი უფრო მეტად გამოიყენება მაშინ, როდესაც იყიდება ერთსახელიანი საქონელი ან ადგილი აქვს წმინდა და ოლიგოპოლიური კონკურენციის ბაზრის მოქმედებას. მწარმოებლები ამ შემთხვევაში ითვალისწინებენ კონკურენციის პირობებს და აწესებენ კონკურენტების ფასთან შედარებით ცოტა მაღალ ან დაბალ ფასებს, მაგრამ თუ საქონელს გააჩნია რაღაც თვისებები, რომელიც განასხვავებს ამ საქონელს კონკურენტების საქონლისაგან ან მიიღება მყიდველებისაგან, როგორც სხვა საქონელი, მასზე ფასი შეიძლება დაწესდეს მოქნილად. კონკურენტების ფასების გაუთვალისწინებლობის გარეშე. ერთსახელიანი საქონლის საწარმოები ბაზარზე, როგორც წესი, უთვალთვალებენ კონკურენტების ფასების ცვლილებებს. მრავალსახელიანი საქონლის ბაზარზე მათ აქვთ უფრო მეტი თავისუფალი შესაძლებლობა ფასების ცვლილებაზე რეაგირებაში, რომლებსაც კონკურენტები ახორციელებენ, რათა აირჩიონ თავისთვის საკუთარი სტრატეგია, ამდენად მწარმოებელმა უნდა შეაფასოს კონკურენტების სტრატეგია. თუ მწარმოებელმა გადაწყვიტა, რომ კონკურენტმა შეამცირა ფასი იმ თვალსაზრისით, რომ ჩასცეს ბიძგი

ფასების შემცირებას და მოთხოვნის საერთო ზრდას ხანგრძლივ პერიოდსე და ვარაუდობს, რომ სხვა კონკურენტები უთვალთვალებენ მას, მაშასადამე გაჩსრდება ბაზრის ტევადობა, აგრეთვე ის იძულებული იქნება შეამციროს ფასი, თუ მწარმოებელს შეუძლია კონკურენტების მოქმედებაზე უპასუხოს მარკეტინგული შესაძლებლობით, თავისი საქონლის მხარდაჭერით, ამ შემთხვევაში ფასი არ მცირდება.

იმისათვის, რომ მტკიცედ გვჯეროდეს - ფასი სწორედ არის თუ არა დადგენილი საქონელზე, სასურველია - ჩავატაროთ პარამეტრული შეფასება შესაძლარ საქონელზე. მაგალითად, ზამთრის პალტოს პარამეტრებია: ქსოვილის ხარისხი, ფერადოვნების ხარისხი, მოდის შესაბამისობა, გვირისტის ხარისხი, საყელოს ხარისხი, ქარგაუმტარი საფენი და სხვა.

მწარმოებლების ბაზარზე შესვლის პერიოდში შეუძლიათ გაყიდონ საქონელი შედარებით დაბალ ფასებში მოთხოვნის სტიმულირების მიზნით. ამით მიიღწევა ორი მიზანი: ა) დიდი რაოდენობით პროდუქციის გამოშვება ამცირებს მის თვითღირებულებას და ვასაღების ხარჯებს ერთეულ პროდუქციაზე, ბ) არსებული და პოტენციური კონკურენტების გასწრება, მაგრამ მხედველობაში უნდა გვქონდეს ის, რომ არ წარმოიშვას საშიშროება მოთხოვნის ისეთი ზრდისა, რომელიც წარმოების სიმძლავრეებს აღემატება. თუმცა შესაძლებელია მაღალი ფასების დადგენა და «ნაღების მოხსნის» პოლიტიკის გამოყენება თუ ბაზარზე შეიქმნა ისეთი სიტუაცია, როდესაც მყიდველთა ნაწილი მზადაა გადაიხადოს საქონელზე ნორმალურ საბაზრო ფასზე ზეით. მყიდველთა ამ ნაწილის დაკმაყოფილების შემდეგ, ფასი საქონელზე მცირდება.

ამ პოლიტიკას აქვს აზრი იმ შემთხვევაში თუ: ა) ბაზრის წილი, რომლისთვისაც მის განხორციელებას ვარაუდობენ, იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ნაწარმის დიდ რაოდენობაზე გაყიდული ამოცანების დანაკარგი დაბალი ფასების გამო შედარებით პირველ დაწყებით ფასთან იქნება მნიშვნელოვანი; ბ) საქონლის მცირე პარტიის გამოშვების დროს, ერთეულ პროდუქციაზე წარმოებისა და გასაღების დანახარჯების დონე უმნიშვნელოდ აღემატება წარმოების

შესაძლებლობათა მთლიანი დატვირთვის დროს არსებული ხარჯების დონეს; გ) დადგენილ და ნორმალურ საბაზრო ფასს 'ბორის სხვაობა არც ისე დიდია, რომ არ ქმნიდეს პირობებს ბაზარზე კონკურენციის შენარჩუნებისათვის. ამ პოლიტიკას აქვს კარგი შედეგები იმ შემთხვევაშიც, როცა არსებობს მნიშვნელოვანი წინააღმდეგობები ბაზარზე გასვლისათვის (პატენტი, საქონლის დამუშავების დროს ხარჯების მაღალი დონე, ნედლეულისა და მასალების გამოყენებაზე კონტროლი, ბაზარზე საქონლის სარეალიზაციო პირობების გააქტიურებით, მაღალი და ხანგრძლივი დროის ხარჯების გათვალისწინების ნიადაგზე).

პროფ. გ. ნადირაშვილი

მარკეტინგი - ბიზნესის ფილოსოფია, საძონელმცოდნეობა - კომერციული საქმიანობის საფუძველი

ციფილიზებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში მეტად მნიშვნელოვანია ბიზნესისა და კომერციული საქმიანობის როლი. ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკა წარმატებებს ვერ მიაღწევს, თუ არ შეიქმნა მათი განვითარებისათვის ხელშემწყობი გარემო-პირობები. ბიზნესისა და კომერციის აღმავლობისათვის, რაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის საფუძველია, აუცილებელია ამ საქმიანობის შესაბამისი მეცნიერებათა პრიორიტეტული განვითარება და მათი მიღწევების პრაქტიკაში გამოყენება.საყოველთაოდაა ცნობილი, რომ XX ს. ბოლო ათწლეულში აშშ-ის ეკონომიკაში მიღწეული დიდი წარმატების საფუძველი ინფორმატიკასა და კომპიუტერულ ტექნოლოგიასთან ერთად გახდა კომერციული ტექნოლოგიაც.

ბიზნესი და კომერციული საქმიანობა რთული, მაგრამ საინტერესო სფეროა. სამწუხაროდ საქართველოში მათ ჯერ კიდევ ვერ მოიპოვეს თანამედროვე ცივილიზებული ფორმა და შინაარსი. ამას სხვა პირობებთან ერთად ხელს უშლის მარკეტინგის, ბიზნესის და სხვა მეცნიერებათა სპეციალისტების არასათანადო მომზადება, დაბალი პროფესიონალიზმი, წარმატებული ბიზნესისა და კომერციული საქმიანობის წარმართვის წესების, პრინციპების, ფორმებისა და მეთოდების არცოდნა. არადა დღეს მწვავე მოთხოვნილებაა თანამედროვე ტიპის კომერციისა და მარკეტინგის კადრებზე. ამიტომ საჭიროა ჩვენი საზოგადოებისათვის ჯერ კიდევ უცნობი ეკონომიკური ცნებებისა და კატეგორიების სათანადო დონეზე გააზრება, შესწავლა და პრაქტიკული გამოყენება. აშკარაა, რომ საზოგადოება ჯერ კიდევ სათანადოდ გაუცნობიერებელ ეკონომიკურ მოვლენებს მიჰყვება ბრმად, ინსტიქტურად, რაც ქაოსს წარმოშობს და ყოველივე ამას „საბაზრო ეკონომიკის კანონზომიერებებად" აცნობიერებთ.

საბაზრო ურთიერთობათა პირობებში ეკონომიკის ნებისმიერ სფეროში მოპოვებულ უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტებისათვის ერთ-ერთი ყველაზე ფუძემდებლური სამეცნიერო დისციპლინაა მარკეტინგი, რომელსაც აშშ-ში და სხვა განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში გააჩნია სწავლებისა და პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების საუკუნოვანი ისტორია. ეს აიხსნება ამ მეცნიერების უაღრესად ფართო დიაპაზონით.

საყოველთაოდაა ცნობილი, რომ კონკურენტულ საბაზრო გარემოში მარკეტინგი, როგორც „ბიზნესის ფილოსოფია" და „მოქმედების სახელმძღვანელო" კონცეფცია შეუცვლელი პირობაა წარმატებული სამეურნეო საქმიანობისათვის (ბიზნესისათვის), როგორც მატერიალური წარმოების, ასევე მიმოქცევისა და მოხმარების სფეროში. მარკეტინგს ახასიათებს უსარმაზარი ეკონომიკური პოტენციალი და შესაძლებლობები საბაზრო პირობებში საწარმოთა პრაქტიკული საქმიანობის ეფექტიანობისა და რენტაბელობის ასამაღლებლად. აღიარებულია, რომ გარდამავალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში სპეციალისტს (მენეჯერს, კომერსანტს, საქონელმცოდნეს, ეკონომისტს

და სხვ.) მოეთხოვება უნიკერსალური ცოდნა და ჩვევები. სამეურნეო საქმის წარმატებისათვის საწარმოს (ყოფილის) ხელმძღვანელი ერთიანლობულად კარგი ორგანიზატორი, მეწარმე, ბიზნესმენი და კომერსანტი უნდა იყოს, რაც მოითხოვს ახალ, მრავალმხრივ ცოდნას და ადამიანებთან ურთიერთობების ახალ ჩვევებს.

საქართველოში საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრებაში ბიზნესმა და კომერციულმა საქმიანობამ გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს. ეკონომიკური რეფორმების 5-6 წელმა განელო, მაგრამ ჯერაც არასწორად განმარტავენ და არასწორადაა გაგებული თვით „ბიზნესისა" და „კომერციის" ცნებები.

<u>ბიზნესი</u> ინგლისური წარმოშობის სიტყვაა და პირდაპირი მნიშვნელობით საქმეს ნიშნავს. ფართო გაგებით კი იგი გულისხმობს საწარმოო-ეკონომიკურ საქმიანობაში მონაწილე მხარეთა (მოქალაქეთა ან მოქალაქეთა ჯგუფის, კერძო პირებისა და საწარმოების) შორის სამეურნეო ურთიერთობას, რომლის შედეგია კომერციული სარგებლიანობა მოგების ან სხვა რაიმე ფორმით. ციფილიზებული ბიზნესის მიზანია საზოგადოებრივი კეთილდღეობის მიღწევა. პოსტსაბჭოური ქვეყნებისათვის ჯერჯერობით არაა დამახასიათებელი ცივილიზებული ბიზნესი, რადგან იგი ძირითადად არსებობს ფარული (ჩრდილოვანი), კრიმინალური ფორმით. ბიზნესის არასწორ გაგებას ჩვენს პირობებში ისიც უწყობს ხელს, რომ მისი განვითარება ძირითადად მოხდა არა მატერიალური წარმოების, არამედ მიმოქცევის სფეროში. პრაქტიკაში იხმარება ტერმინი „მეწარმეობა", რომელიც ბიზნესის კერძო შემთხვევაა. მას ახორციელებს კერძო პირი - მეწარმე თავისი სახსრებითა და უნარით, რისკით. თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში „მეწარმოება" და „ბიზნესი" სხვადასხვა განსაზღვრებით გვხვდება, თუმცა არსებითი განსხვავება მათ შორის მრავალი სპეციალისტის აზრით არ არსებობს. ბევრ ქვეყანაში „ბიზნესი" და „მეწარმოება" სინონიმებადაა მიჩნეული და განმარტებულია როგორც საწარმოო-ეკონომიკური საქმიანობა, რომლის მიზანია კომერციული სარგებლობის მიღება. ამავე დროს მათი აბსოლუტური გაიგივება ალბათ არასწორი იქნება, რადგან საერთოსთან ერთად განსხვავებული

ნიშნებიც გაანალიზეთ.

აღსანიშნავია, რომ „ბიზნესის" სინონიმად მიიჩნევენ „კომერ-ციასაც", ხოლო კომერციულ საქმიანობას აიგივებენ მარკეტინგულ საქმიანობასთან.

<u>კომერცია (კომერციული საქმიანობა)</u> განსაკუთრებული სფეროა, რომელზედაც დამოკიდებულია ფირმის სამეურნეო - ეკონომიკური მუშაობის შედეგები. კომერციული საქმიანობა ძირითად ისახავს და მიმართულია კონკრეტული საქონლის რეალიზაციაზე. მაშინ, როდესაც მარკეტინგული მუშაობა ორიენტირებულია კონკურენტუნარიანი საქონლის წარმოებასა და გასაღებაზე, მარკეტინგულ საქმიანობაში დიდი მნიშვნელობა აქვს პროდუქციის წარმოებაზე გადაწყვეტილების მიღებამდე გასაღების პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც მოიცავს აგრეთვე თითოეული საქონლისა და ბაზრისათვის გასაღების არხებისა და მეთოდების განსაზღვრას, მოსალოდნელი დანახარჯების გაანგარიშებას გასაღებაზე, რეკლამაზე, ტრანსპორტირებაზე, გაყიდვის შემდგომ ტექნიკურ მომსახურებაზე და ა.შ. კომერციული საქმიანობის განხორციელება ხდება იმის მიუხედავად, გამოიყენება თუ არა მარკეტინგი როგორც წარმოება - გასაღების მართვის განსაზღვრული სისტემა. კომერციასა და მარკეტინგს შორის საერთო არის ის, რომ მარკეტინგული საქმიანობის რეალიზაცია ხდება კომერციული ოპერაციების განხორციელების პროცესში. კომერციულ ოპერაციათა ტექნოლოგიას არ მოიცავს მარკეტინგი და მას დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში ბევრი უმწვავესი პრობლემა წარმოიშვა, რომელთა გადაწყვეტა ურთულესი საქმეა და დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მიზანმიმართულად და შემოქმედებითად იქნება გამოყენებული მარკეტინგი - ჭეშმარიტად ცოდნის „საგანძური", მსოფლიო გამოცდილების „ყულაბა" წარმარტებული საბაზრო საქმიანობისათვის.

მარკეტინგზე, როგორც ეკონომიკურ შეხედულებათა, კომერ-ციული საქმიანობის კოორდინაციის ფუნქციათა და ბიზნესის ფილო-სოფიის სისტემაზე, სპეციალისტთა შორის ერთიანი შეხედულება

არ არსებობს, თუმცა, ერთი რამ ცხადია, რომ კონკრეტული ბაზრის პირობებში მომგებიანი (ეფექტიანი) მუშაობისათვის იგი უდიდეს შესაძლებლობებს იძლევა ფირმებისათვის, მეწარმეებს კი სთავაზობს სხვადასხვა პრობლემათა გადაწყვეტის გზებსა და საშუალებებს. მარტო იმ ფაქტის აღვნიშვნაც საკმარისია, რომ საბაზრო სისტემის კლასიკურ ქვეყნებში მარკეტინგული კვლევები უზრუნველყოფენ კომერციული წარმატების 80%-ს, მაგრამ იმ პირობით, რომ საწარმოს სამეურნეო-ეკონომიკური საქმიანობა წარიმართება მარკეტინგული კვლევების რეკომენდაციებით. ზემოთქმულიდან გამომდინარე, სხვადასხვა ინსტიტუტებიდან ალბათ სწორია შეხედულება, რომლის მიხედვით მარკეტინგი არის მაქსიმალური სარგებლიანობის (მოგების) და კონკრეტული უპირატესობის უზრუნველყოფის მიზნით ფირმის ან კორპორაციის მთელი კომერციული საქმიანობის სისტემა, რომელიც დაკავშირებულია საქონლის დამუშავებასთან, წარმოებასა და გასაღებასთან, მომსახურების შეთავაზებასთან, რაც ორიენტირებულია ბაზრისა და მომხმარებლის რეალური მოთხოვნის კომპლექსურ შესწავლა-დაკმაყოფილებაზე.

საბაზრო სისტემის პირობებში, თეორიული და პრაქტიკული საქმიანობის მასშტაბური და ურთულესი საკითხების გადაწყვეტა მნიშვნელოვნად იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად შემოქმედებითად და წარმატებით გამოიყენებენ ფირმები მარკეტინგს, როგორც თანამედროვე ბიზნესის კონცეფციასა და ფილოსოფიას, ეკონომიკურ შეხედულებათა სისტემას. ეს კი ნიშნავს:

მარკეტინგში უმთავრესია ბაზრის რეგულირებისადმი სისტემური მიდგომა, ე.ი. პრობლემათა კომპლექსური შესწავლა-გადაწყვეტა, მიზნობრივი ორიენტაცია მომხმარებელზე, რაც აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს საქონლის მწარმოებელმა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მარკეტინგი არ იწყება იქ, სადაც მთავრდება წარმოება, პირიქით წარმოების ხასიათი და მასშტაბი ნაკარნახევია მარკეტინგით. საერთოდ არ ღირს პროდუქციის (მომსახურების) დაპროექტების, დამუშავების დაწყება, თუ წინასწარ არაა შესწავლილი მომხმარებელი, მისი მოთხოვნა. შეიძლება ჩანდეს, რომ ჩვენი ეკონომიკის კრიზისული

მდგომარეობა, დაუკმაყოფილებელი სამომხმარებლო მოთხოვნა, ცხოვრების დაბალი დონე, დისპროპორციები ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში არ იძლევიან მარკეტინგის გამოყენების შესაძლებლობას. მაგრამ საქმე ისაა, რომ სწორედ მარკეტინგი შეუწყობს ხელს მათ გადალახვას, ამიტომაც მისი გამოყენება ჩვენი ეკონომიკის პირობებში არა მხოლოდ შესაძლებელი, არამედ აუცილებელიცაა;

მარკეტინგის სტრატეგიის ორიენტაცია აუცილებელია პერსპექტივაზე, ამიტომ საკმარისი არაა ეიცოდეთ მხოლოდ ბაზრის არსებული კონიუნქტურა, არამედ აუცილებელია ისიც ეიცოდეთ, თუ ბაზრის კონიუნქტურა როგორ შეიცვლება პერსპექტივაში. მარკეტინგი გვასწავლის ბაზრის პროგნოზირების და რეგულირების მეთოდებს;

აგრეთვე მარკეტინგი გვასწავლის, თუ რა მოცულობის დანახარჯები უნდა გაეიღოთ მარკეტინგული საქმიანობის ჩასატარებლად საქონლის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის გათვალისწინებით. საქონლბრუნვის 6% დანახარჯების შემთხვევაშიც კი უზრუნველყოფილი იქნება მაღალი მოგება, თუ ფირმის იმიჯი კარგია და სარეალიზაციო საქონელი ხარისხიანია. მარკეტინგულ საქმიანობაზე გაწეული ხარჯები არაა რეკომენდებული იყოს 11%-ზე მეტი;

მარკეტინგის როლი დიდია ფირმასა (საწარმოს) და მისი საქონლის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფაში. კონკურენტუნარიანობა საწარმოს სიცოცხლისუნარიანობის ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია, რომელიც ასახავს მის მიერ ჩატარებული ყველა სამუშაოს ეფექტიანობას.

საერთაშორისო გამოცდილება მარკეტინგულ საქმიანობაში შემდეგი რეკომენდაციების ფორმულირების საშუალებას იძლევა. მარკეტინგი საწარმოს სამეურნეო-ეკონომიკური საქმიანობის წარმართვის მთავარი ფუნქციაა, ამიტომ საწარმოს პერსონალის მიერ მარკეტინგი აღიარებული უნდა იყოს როგორც საქმიანი აზროვნების ფილოსოფიური კონცეფცია, რომელზედაც დამოკიდებულია მთელი სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანობა, საქონელმწარ-

მოებლისათვის მარკეტინგი პერსპექტივის პროგნოზირების ძირითადი მეთოდია. საწარმომ მარკეტინგს უნდა დაუმორჩილოს მთელი თავისი საქმიანობა იდეიდან დაწყებული, პერსპექტიული საქონლის (მომსახურების) გამოშვებითა და რეალიზაციით დამთავრებული; მთავარი მარკეტინგულ საქმიანობაში მიზანმიმართულება, რომელსაც უნდა დაექვემდებაროს საწარმოს როგორც ძირითადი, ისე დამხმარე სამუშაოების ჩატარება; ბაზრის პირობებში განსაკუთრებით იზრდება ფირმის საშმართველო აპარატის მთლიანად და განსაკუთრებით ხელმძღვანელის პროფესიული პასუხისმგებლობა.

<u>საქონელმცოდნეობა.</u> როგორც მეცნიერება საქონლის სახმარი ღირებულებისა და სამომხმარებლო თვისებების, ხარისხის შესახებ წარმოიშვა კაპიტალიზმის განვითარების გარიჟრაჟზე. საქონელმცოდნეობა კლასიკური მეცნიერების სახით პირველად ჩამოყალიბდა და განვითარდა იმ ქვეყნებში (გერმანია, ავსტრია, საფრანგეთი და სხვ.), სადაც სწრაფად განვითარდა საგაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები, კაპიტალისტური წარმოება და განაწილების სისტემა.

ტერმინი „საქონელმცოდნეობა" (გერმ. warenkunde) XVI საუკუნიდან იხმარება, ხოლო ლაიფციგის „უნივერსიტეტის პროფესორმა, ეკონომისტ-იურისტმა კარლ გუნტერ ლუდოვიცმა 1756 წელს გამოთქვა აზრი, რომ მიმოქცევის სფეროს აუცილებლად უნდა ემსახურებოდეს მეცნიერების სპეციალური დარგი - კომერციული მეცნიერება, რომელიც უნდა მოიცავდეს საქონლით ვაჭრობის ორგანიზაციასა და ეკონომიკას, საბუღალტრო აღრიცხვას, საქონელმცოდნეობას. არაერთი ავტორიტეტული მეცნიერი საქონელმცოდნე თუ პრაქტიკოსი - სპეციალისტები თვლიან, რომ „საქონელმცოდნეობა" ფუნდამენტური მეცნიერული ცოდნაა საქონელზე, მის ყოველისმომცველ მახასიათებლებზე (როგორც ეკონომიკური, ისე ტექნოლოგიური). ეს ცოდნა აუცილებელია დამამზადებელ საწარმოთა ტექნოლოგებისათვის, სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და საგაჭრო ორგანიზაციათა საქონელმცოდნეების, ექსპერტების, კომერსანტების, ეკონომისტების, ბუღალტრების, მარკეტერებისა და მენეჯერებისათვის. ამიტომ ცდებიან ის

ეკონომისტები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ საქონელმცოდნეობას კავშირი არა აქვს ეკონომიკურ მოვლენებთან და პროცესებთან და საერთოდაც არ მოიხსენიებენ ეკონომიკურ მეცნიერებათა შორის. წარმოუდგენელია საქონლისა და მისი ბაზრის კვლევა-შესწავლა საქონელმცოდნეობის გარეშე. დღევანდელ პირობებში ამა თუ იმ მეცნიერების დარგის ან სპეციალობის მოძველებული შეხედულებებით შეფასება დიდ ზიანს მოუტანს საზოგადოებას, მეცნიერების განვითარებას.

რუსეთში და მთლიანად საბჭოთა სიერკეში საქონელმცოდნეობის განვითარება'ს ზეგავლენა იქონია 1917 წ. ოქტომბრის რევოლუციამ, მაშინ როდესაც მისი განვითარება კაპიტალისტურ სამყაროში მიმდინარეობდა საბაზრო ეკონომიკის (კაპიტალისტური წარმოებისა და განაწილების) კანონების ზეგავლენით. ევროპულ და რუსულ მიმართულებასთან ერთად ჩამოყალიბდა საქონელმცოდნეობის იაპონური მიმართულებაც. აღმოსავლეთ კორეაში (სეული) დაარსდა საქონელმცოდნეობრივ მეცნიერებათა აკადემია. მეოცე საუკუნის 80-იან წლებში შეიქმნა საქონელმცოდნეობისა და ტექნოლოგიების საერთაშორისო საზოგადოება. ცნობილია, რომ აშშ-ის კომერციულ სასწავლებელში დიდი ადგილი აქვს დათმობილი საქონელმცოდნეობრივი დისციპლინების შესწავლას: „პოლიტიკა ხარისხის სფეროში", „პოლიტიკა ასორტიმენტის სფეროში". მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპი ხასიათდება მეცნიერული ცოდნის სხვადასხვა დარგის ინტეგრაციით. ეს პრობლემა დგას საქონელმცოდნეობის როგორც გამოყენებითი მეცნიერების, ასევე სხვა კომერციული მეცნიერების წინაშეც, რომელთა შესწავლის ობიექტია ამა თუ იმ კუთხით სამომხმარებლო ბაზარი, მისთვის დამახასიათებელი შემდეგი კრიტერიუმებით: ბაზრის საქონლით გაჯერების მდგომარეობა; მიწოდება-მოთხოვნის თანაფარდობა, რაც თავის მხრივ განსაზღვრავს ბაზარზე საქონლის ფასს, მოთხოვნის დაკმაყოფილების დონეს, საქონლის ასორტიმენტის სტრუქტურასა და სისრულეს; საქონლის ხარისხს; საქონლის კონკურენტუნარიანობას.

სამომხმარებლო ბაზრის განვითარების პერსპექტივები

მოითხოვენ ამ კრიტერიუმების კომპლექსურ შესწავლა-გამოკვლევას, რომლის რეალიზაცია ყველაზე მეტად ხელეწიფებათ მარკეტერებს, ექსპერტებს, კომერსანტებს, საქონელმცოდნეებს, რომლებიც თავის პროფესიულ საქმიანობას უნდა ახორციელებდნენ კომპლექსურად. საქონელი არა მარტო საქონელმცოდნეობრივი, არამედ კომერციული საქმიანობის ობიექტიცაა. განსხვავება ამ ორ საქმიანობას შორის იმაშია, რომ საქონელს სხვადასხვა დიალექტიკით მოიკვლევენ. საქონელმცოდნეობრივი საქმიანობა კომერციული საქმიანობის შემადგენელი მნიშვნელოვანი ნაწილია და მიმართულია უშუალოდ საქონელზე და მის თანმხლებ მომსახურებაზე (შენახვა, გასაყიდად მომზადება, ხარისხის კონტროლი და შეფასება და სხვ). კომერციული საქმიანობა უფრო დიდი დიალექტიკით ხასიათდება, მოიცავს არა მარტო საქონელს, არამედ მომსახურებასაც (ძირითადი და დამხმარე), ფასიან ქაღალდებს, ინტელექტუალურ პროდუქციას, აგრეთვე მუშაობას, რომელიც დაკავშირებულია საქონელმოძრაობის ორგანიზაციასთან.

საქონელმცოდნეები პროფესიულ საქმიანობას ახორციელებენ ტექნოლოგებთან და მარკეტერებთან მჭიდრო კავშირურთიერთობაში. ტექნოლოგიები უზრუნველყოფენ პროდუქციის წარმოებას, ე.ი. მათ უკავიათ პროდუქციის წარმოების საწყისი ეტაპი. წარმოების სფეროდან პროდუქციის გადასვლა მიმოქცევის სფეროში აქცევს მას საქონლად და სწორედ აქ გადაიქცევა საქონელმცოდნეობრივი საქმიანობის ობიექტად. საქონელმცოდნეობრივ საქმიანობას ორი ძირითადი მიმართულება აქვს: ტექნოლოგიური, რომელიც უზრუნველყოფს საქონელმოძრაობის ტექნოლოგიას და ორგანიზაციული, რომელიც მიმართულია გასაღების სტიმულირებაზე, მოთხოვნის და გასაღების ბაზრების გამოელინებაზე, საქონლის შესყიდვის ორგანიზაციაზე. ამიტომ როგორც წარმოებაში, ისე ვაჭრობაში ორი ტიპის საქონელმცოდნე - კომერსანტია საჭირო: საქონელმცოდნე - ტექნოლოგი და საქონელმცოდნე - ორგანიზატორი. საქონელმცოდნე - კომერსანტისა და მარკეტერების საქმიანობა გარკვეულად ეფაცველება ერთმანეთს, ხდება ერთგვარი დუბლირება.

ფართო პროფილის კომერსანტის მომზადებასა და საქონელ-

მკოდნეობის სწავლებაში ძირითადი ყურადღება უნდა დაეთმოს საქონლის კლასიფიკაციას, საბაზრო-მარეტინგული თვისებების ფორმირების, ხარისხის და კონკურენტუნარიანობის შეფასების, ჯგუფური ასორტიმენტის დახასიათების საკითხებს. სპეციალისტებმა უნდა იცოდნენ ახალი ტექნოლოგიის შესახებ ცნობები. მეცნიერული მიღწევები, სამამულო და იმპორტული საქონლის ბაზრის განვითარების ტენდენციები, რაც საშუალებას მისცემს მათ სწორედ მოახდინონ ორიენტირება, საქონლის ბაზრის კონიუნქტურაში, საქონლის ხარისხის დონის გათვალისწინებით პროფესიულად განსაზღვრონ საქონლის ფასები, გამოაქვეყნონ სამომხმარებლო უპირატესობა, აამაღლონ სარეალიზაციო საქონლის კონკურენტუნარიანობა მოგებიანი კომერციული საქმიანობის განსახორციელებლად.

საქონელმცოდნეობა ერთ-ერთი ძნიშვნელოვანი ფუძემდებლური დისციპლინაა ისეთი სპეციალისტების პროფესიონალური კომპეტენტურობის ჩამოყალიბებაში, როგორიცაა: ექსპერტები, საქონელმცოდნეები, კომერსანტები, ეკონომისტები, მარკეტერები. ერთდროულად საქონელმცოდნეობა არის საბაზო სასწავლო დისციპლინა სხვა მრავალი ზოგადპროფესიული და სპეციალური დისციპლინებისათვის - კომერციული საქმიანობის ორგანიზაცია და მენეჯმენტი, ეკონომიკა, ექსპერტიზა, საბუღალტრო აღრიცხვა, მარკეტინგი და სხვ. მათ აერთიანებს თანმხლები და მომდევნო საგანთაშორისი ეკონომიკური კავშირები. გარდა ამისა, საბაზრო სისტემის პირობებში საქონელმცოდნეობრივი ცოდნა აუცილებელია ბუღალტრების, ეკონომისტების, მენეჯერების და ტექნოლოგებისათვის, რამდენადაც სასაქონლო რესურსების აღრიცხვა, დაგეგმვა, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ანალიზი, წარმოების მართვა და სხვა პროფესიული საქმიანობა უნდა განხორციელდეს საქონლის თავისებურებების, ფუძემდებლური მახასიათებლების და მათი ცვლილებების გათვალისწინებით.

საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლამ აჩვენა მარკეტინგისა და საქონელმცოდნეობის, როგორც მეცნიერებათა და საქონელმცოდნეობა და მარკეტერთა როგორც სპეციალისტთა პრიორიტეტი ბიზნესსა და კომერციულ საქმიანობაში. 90-იან წლებში და დღესაც ეროვნული

ეკონომიკისა და შიგასაფირმო დონეზე საქონლის ხარისხის კონტროლის შესუსტებამ გამოიწვია ბაზრის გაჯერება უხარისხო, ფალსიფიცირებული და ცალკეულ შემთხვევაში ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიში სამამულო და უცხოური საქონლით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულია კანონი მომხმარებელთა ინტერესების დაცვის შესახებ, მაინც არ ხორციელდება სამთავრობო ღონისძიებები უხარისხო სამამულო და იმპორტული საქონლისაგან სამომხმარებლო ბაზრის დასაცავად. გაითვალისწინა რა ახალი სოციალურ-ეკონომიკური პირობები, კერძოდ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, ბიზნესის, მეწარმეობისა და კომერციის განვითარება, მწვავე მოთხოვნილება თანამედროვე კომერციის სფეროს კადრებსე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დროულად ჩამოყალიბდა ერთ-ერთი თანამედროვე და პროგრესული კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტი, სადაც მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული ახალი - თანამედროვე ტიპის კომერსანტების და მარკეტერების მოსამზადებლად. სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის კოორდინაციის მიზნით ფაკულტეტზე ჩამოყალიბდა სამომხმარებლო ბაზრისა და პროდუქციის კონკურენტუნარიანობის მარკეტინგული კვლევის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია, მუშავდება ცალკეული თემები და აქ პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად ჩაბმული არიან ასპირანტები, მოწინავე სტუდენტები, ყოველწლიურად ისტამბება სამეცნიერო ნაშრომთა კრებულები: „მარკეტინგის აქტუალური საკითხები", „ახალგაზრდა მეცნიერთა, ასპირანტთა შრომები" მარკეტინგის, კომერციის, ტურიზმის საკითხებზე. სწავლულ ექსპერტთა საბჭოს დახმარებით წყდება საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების დაცვის საბჭოს შექმნა და სხვ. წარმატებები მეტი იქნებოდა, რომ იყოს გარკვეული ფინანსური დახმარება. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ის, რომ არ იგრძნობა სათანადო უწყებებისგან მხარდაჭერა ბაზრისა და კომერციული საქმიანობის შემსწავლელ მეცნიერებათა სფეროში სამეცნიერო კვლევების განვითარებისათვის. არადა საქართველოს ეკონომიკის აღმავლობისათვის ასეთი სამუშაოების ჩატარებს სასიცოცხლო მნიშვნელობისაა.

პროფ. ე. ბოლოკაძე

სადაზღვევო საძონლის მარაგი ვაჭრობაში

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში ბაზრის სუბიექტების საქმიანობას უმეტეს შემთხვევაში თან ახლავს სხვადასხვა გაუთვალისწინებელი მოვლენა, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენენ მათ კომერციულ საქმიანობაზე. არც თუ იშვიათად თვით მოთხოვნისა და მიწოდების მკვეთრი ცვლილებაც კი საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში აყენებს საქონლის გამსაღებელ ფირმებსა და საწარმოებს. ამიტომ, საქონელმიმოქცევის პროცესების შეუფერხებლად წარმართვისა და არასასურველი სიტუაციიდან უმტკივნეულოდ გამოსვლის მიზნით, სავაჭრო საწარმოს უნდა გააჩნდეს გარკვეული რაოდენობის სადაზღვევო მარაგი. ამგვარი მარაგის როლი და მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში, რომლისთვისაც დამახასიათებელია გაუთვალისწინებელ ფაქტორთა სიუხვე. საქონლის მარაგის ფორმირებაში არათანაბარსომიერება და არითმია იწვევს სავაჭრო დარბაზისა და დამხმარე სათავსის გადატვირთვას ან მოცდენას, სატრანსპორტო საშუალებათა არაეფექტიანად გამოყენებას, რეალიზაციის გეგმების შეუსრულებლობას, მიმოქცევის ხარჯების ზრდას და, ერთი სიტყვით, საავაჭრო საწარმოთა საქმიანობის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის გაუარესებას. ამ არასასურველ მოვლენათა მინიმუმამდე დაყვანის მიზნით საჭიროა სადაზღვევო და საგარანტიო მარაგის ოპტიმალური ოდენობით განსაზღვრა.

სოციალისტური მეურნეობის პირობებში, საბრუნავი საშუალებების ნორმირების მეთოდიკის თანახმად, სადაზღვევო მარაგი განისაზღვრებოდა სასურსათო საქონელზე 5-%-მდე, ხოლო არასასურსათო საქონელზე 100%-ის ფარგლებში მიმდინარე მარაგის მიმართ. სადაზღვევო მარაგის ამ წესით განსაზღვრა ხშირად არ შეესაბამებოდა მის წინაშე წაყენებულ მოთხოვნებს და საგრძნობლად სცილდება რეალურად გარცდილ საჭიროებას.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში სადაზღვევო

მარაგის განსაზღვრისას მხედველობაშია მისაღები სხვადასხვა ფაქტორი, რომლებიც პირობითად შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად. მათგან პირველი დაკავშირებულია საქონელზე მოთხოვნის ცვლილებასთან, ხოლო მეორე, საქონლის მიწოდების პირობებთან. მოცემულ შემთხვევაში, ყურადღებას უმეტესწილად ვამახვილებთ მეორე რიგის ფაქტორებზე, რომლებიც უშუალოდ განაპირობებენ მისაღები საქონლის პარტიის კომპლექსურობისა და შეზიდვის სიხშირის ცვლილებას.

სადაზღვევო მარაგის გაანგარიშება საქონლის მარაგის სხვადასხვა მაჩვენებლების მსგავსად შეიძლება განხორციელდეს მათემატიკურ-სტატისტიკური მეთოდების დახმარებით.

ჩვენს მიერ განსახილველად შერჩეულ სავაჭრო საწარმოში საანგარიშო პერიოდში (1 წელი) საქონლის შეზიდვა განხორციელდა 8-ჯერ. პირველ შემთხვევაში მორიგ შეზიდვათა შორის ინტერვალმა შეადგინა 28 დღე, მეორე შემთხვევაში - 56, მე-3-ში - 50, მე-4-ში - 32, მე-5-ში-40, მე-6-ში-62, მე-7-ში - 44, ხოლო მე-8 შემთხვევაში 48 დღე. როგორც ირკვევა მორიგ შეზიდვათა შორის ინტერვალი არასდროს არ მეორდება. ასეთ შემთხვევაში შეზიდვათა შორის ინტერვალის საშუალო ანუ ტიპური სიდიდე შეიძლება გამოითვალოს უბრალო საშუალო არითმეტიკულის დახმარებით:

$$X = \frac{28+56+50+32+40+62+44+48}{8} = \frac{360}{8} = 45$$

მაშასადამე, მორიგ შეზიდვათა შორის საშუალო ინტერვალი მოყვანილი მონაცემების მიხედვით შეადგენს 45 დღეს. ფაქტობრივად არსებული ინტერვალები იცვლებოდა 28 დღიდან 62 დღემდე ანუ რყევის ამპლიტუდა საკმაოდ მაღალია, რაც მიანიშნებს სავაჭრო საწარმოს საქონელმომარაგებაში არსებულ ნაკლოვანებებზე.

სხვაობა ინტერვალის ყოველ კონკრეტულ მაჩვენებელსა და საშუალო არითმეტიკულ სიდიდეს შორის ის საშუალოდან გადახრაა, რომელიც გრაფიკულად შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ:

სავაჭრო საწარმოში საქონლის მორიგ შეზიდვათა შორის ინტერვალების გადახრა საშუალო არითმეტიკული მაჩვენებლიდან



საშუალო სიდიდიდან ცალკეულ ინტერვალთა რყევადობის ხარისხის დადგენის საუკეთესო საშუალებაა საშუალო გეომეტრიული გადახრა, რომელიც განისაზღვრება იმავე მაჩვენებლებში, რომელშიც წარმოდგენილია მოვლენის ამსახველი მაჩვენებლები (ჩვენ ჩემთხვევაში დღეთა რაოდენობა).

საშუალო კვადრატული გადახრის გასაანგარიშებლად შეიძლება ვისარგებლოთ შესაბამისი ფორმულით:

$$\sigma = \sqrt{\frac{\sum(\bar{\alpha}-\alpha_i)^2}{n}}$$

სადაც σ არის საშუალო კვადრატული გადახრა (დღეებში), $\bar{\alpha}$ - ინტერვალის საშუალო არითმეტიკული სიდიდე (45 დღე); α_i- კონკრე-

ტული ინტერვალის დღეთა რაოდენობა; n -ᵢ საეჭვო საწარმოში საქონლის შეზიდვის რაოდენობა პერიოდში (წლის განმავლობაში).

შევიტანოთ მოცემულ ფორმულაში საანალიზო ციფრობრივი მონაცემები და მივიღებთ:

$$\sigma = \sqrt{\frac{(45-28)^2+(45-56)^2+(45-50)^2+(45-32)^2+(45-40)^2+(45-62)^2+(45-44)^2+(45-48)^2}{8}}$$

$$= 10,9$$

მაშასადამე საშუალო კვადრატული გადახრა შეადგენს 10,9-ს. მიღებული მაჩვენებლის მიხედვით ვარიაციის კოეფიციენტი (V_n) გაუტოლდება:

$$V_n = \frac{\sigma \cdot 100}{45} = \frac{10,9 \cdot 100}{45} = 24,2$$

ხოლო თანაბარზომიერების კოეფიციენტი $P_n = 100 - V_n = 75,8$.

როგორც ირკვევა საეჭვო საწარმოში საქონლის შემოზიდვის თანაბარზომიერების კოეფიციენტი საკმაოდ მაღალია, რაც საშუალებას იძლევა საქონლის მარაგის სადაზღვევო ფონდი განისაზღვრის შედარებით მცირე რაოდენობით.

არის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მუშაობის ნორმალურ პირობებში სადაზღვევო მარაგი უნდა მერყეობდეს 2σ-3σ-ის ფარგლებში, ე.ი. საშუალო კვადრატულ გადახრას უნდა უნდა აღემატებოდეს 2-3-ჯერ. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ვარიაციის კოეფიციენტი ანუ რყევადობა იზრდება, საჭიროა შესაბამისად გაიზარდოს სადაზღვევო მარაგის საშუალო კვადრატული გადახრის მაჩვენებელთან თანაფარდობაც. იმ შემთხვევაში, როდესაც სადაზღვევო მარაგი განსაზღვრულია 4σ-5σ-ის ფარგლებში, ე.ი. საშუალო კვადრატული გადახრის მაჩვენებელს აღემატება 4-5-ჯერ, ეკონომიკურ მოულოდნელობათა (შეფერხებები მოწოდებაში) გავლენა საქონელბრუნვის უწყვეტობაზე მინიმუმამდე დაყვანილი. მაგრამ ეს

სრულებითაც არ მიანიშნებს სადაზღვევო მარაგის დაუსაბუთებელ ზრდასე. ნებისმიერი სახის მარაგის საგრძნობლად გადიდება ხშირად იწვევს საქონლის ჩაწოლას საცალო ქსელში, შენახვის ხარჯების გადიდებასა და ფინანსური მდგომარეობის გაუარესებას. ამიტომ მთავარია არა სადაზღვევო მარაგის მაქსიმიზაცია, არამედ მისი ოპტიმალური მოცულობის განსაზღვრა.

ჩვენი მონაცემების მიხედვით სადაზღვევო მარაგის ოპტიმალური მოცულობა უკეთესია განისაზღვროს 2,3 σ-ის ფარგლებში, რაც ბრუნვა დღეებში გამოხატული შეადგენს 25 დღეს (10,9x2,3).

საქონლის სადაზღვევო მარაგის განსაზღვრისას დაშვებული იყო, რომ შესაბამისი საქონლის პარტიის მოცულობის მუდმივობა, ე.ი. შესაბამის პარტიაში საქონლის რაოდენობრივ-სტრუქტურული ღირებულებითი მაჩვენებლები ყოველთვის იყო უცვლელი. იცვლებოდა მხოლოდ შეზიდვათა შორის ინტერვალები ანუ დღეთა რაოდენობა მორიგ შეზიდვათა შორის.

საავჭრო საწარმოში საქონლის მარაგის მაღალ დონეზე მართვისათვის საჭიროა მისი სეზონური რყევადობის ანალიზი. ანალიზის პროცესში უნდა გამოვლინდეს, თუ რა გავლენას ახდენს მარაგის სეზონურ ცვლაზე უშუალოდ მოთხოვნასა და მიწოდებასთან დაკავშირებული ფაქტორები. პირველი რიგის ფაქტორებს შეიძლება მივაკუთვნოთ მოსახლეობის მოთხოვნის სეზონური ცვლილება, რაც შეიძლება მოხდეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების რეალიზაციის შედეგად ფულადი შემოსავლების გადიდებით, „გაყინული“ ხელფასების და პენსიების გაცემით, მოსახლეობის სეზონური გადაადგილებით, სეზონური სამუშაოების არსებობით, ახალი სასწავლო წლის დაწყებით, საღღესასწაულო დღეების მოახლოებით, ბუნებრივ-კლიმატური პირობების შეცვლით. რაც შეეხება საქონლის მიწოდების სეზონური ცვალებადობით განპირობებულ ფაქტორებს, ისინი ძირითადად დაკავშირებულია წარმოების ნედლეულით და მასალებით მომარაგებასთან, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების სეზონურ ხასიათთან, საქონლის ტრანსპორტირების პირობებთან და საქონელმოძრაობის თვისებრივ მხარეებთან. მოთხოვნა-

მიწოდებასთან დაკავშირებული ფაქტორები იწვევენ საქონლის მარაგის ცვლილებას უშუალოდ ან საქონელბრუნვის მოცულობის შეკვლის გზით.

საქონლის მარაგის ოპტიმალური მართვა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საქონელმიმოქცევის არხებს შორის მის რაციონალურ განლაგებაზე. ამჟამად ქვეყნებში არსებული სამამულო წარმოებისა და იმპორტის გზით შემოტანილი ფართო მოხმარების საქონლის მარაგის აბსოლუტური უმეტესობა კონცენტრირებულია საცალო რგოლში, რაც უმეტესწილად გამოწვეულია საბითუმო საავჭრო საწარმოების უმოქმედობისა და სამრეწველო საწარმოებთან კავშირის არ არსებობით. აღნიშნულს, თავის მხრივ, განაპირობებს მრავალი სუბიექტური და ობიექტური ხასიათის ფაქტორი, რომელთა მიზეზშედეგობრივ კავშირში განხილვა საჭიროებს სპეციალურ კვლევა-ძიებას.

მარაგის ასეთი არარაციონალური განლაგება და მისი თავმოყრა საცალო ქსელში საკმაოდ ართულებს მის ეფექტიან მანევრირებას და საბოლოო მომხმარებლამდე დაყვანას. სამწუხაროდ, საავჭრო საწარმოში მარაგის დაუსაბუთებელი ზრდის ინიციატორად ხშირად გვეელინება თვით მისი ხელმძღვანელობა, რომელსაც საქონელი მაღაზიაში შეაქვს რეალიზაციის რეალური შესაძლებლობების გაუთვალისწინებლად. ამგვარი უარყოფითი მოვლენების თავიდან აცილების მიზნით, სასურველია საავჭრო საწარმოში სისტემატურად თუ არა, პერიოდულად მაინც განისაზღვროს საქონლის მარაგის გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობა. იგი შეიძლება გავიანგარიშოთ შემდეგი ფორმულის დახმარებით:

$$Э = \frac{З_1 + П - З_2}{О}$$

სადაც Э არის საქონლის მარაგის გამოყენების ეფექტიანობის მაჩვენებელი, $З_1$ და $З_2$ - საქონლის მარაგი შესაბამისად პერიოდის დასაწყისისა და ბოლოსათვის (ლარი), П - საქონლის მიღება საანგარიშო პერიოდში (ლარი), О - საქონელბრუნვის მოცულობა

საანგარიშო პერიოდში (ლარი).

აღნიშნული ფორმულის დახმარებით რამდენიმე საავჭრო საწარმოში გამოვიკვლიეთ მარაგის გამოყენების ეფექტიანობის მაჩვენებელი. შედეგები მერყეობდა 0,71–0,92-ის ფარგლებში, რაც მიუთითებს იმაზე, რომ საქონლის მარაგის ფორმირება და გამოყენება საავჭრო საწარმოებში უმეტესად ხორციელდება ნაკლებად ეფექტიანად.

დასასრულ, კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ საავჭრო საწარმოში საქონლის მარაგის ოპტიმალური რაოდენობით მომარაგება და მისი ეფექტიანად გამოყენება, საქონელმოძრაობის დაჩქარებასთან ერთად ხელს უწყობს მომხმარებელთა საავჭრო მომსახურების გაუმჯობესებასა და საწარმოთა კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, რასაც საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

8. მარტყოფლიშვილი

საცალო საქონელბრუნვის განვითარება საქართველოში საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრების პირობებში

საქართველოს ისტორიაში მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან იწყება ახალი ეტაპი. ამ პერიოდში ერთმანეთს დაემთხვა ორი ისტორიული პროცესი: 1) ქვეყნის მიერ პოლიტიკური თავისუფლების მოპოვება; 2) საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა. ამ მნიშვნელოვანი მოვლენების დაწყება საჭიროებდა ქვეყნის მატერიალური და სულიერი პოტენციალის სრულ მობილიზაციას, ქვეყნის შიგნით ძალების შემჭიდროებას. სამწუხაროდ, ამ და სხვა მნიშვნელოვანი ამოცანების გადასაწყვეტად საქართველო მზად არ აღმოჩნდა.

მმართველობის ცენტრალური სისტემის გაუქმებამ, სსრკ-ს დაშლამ, ახალი საზოგადოების შენების არცოდნამ, ქვეყნის შიგნით არსებული ძალების დაპირისპირებამ, გავლენის სფეროებისათვის ლტოლვამ და სხვა არაჯანსაღმა მოვლენებმა საქართველოში გამოიწვია ღრმა ეკონომიკური კრიზისი, უკანასკნელი 8-9 წლის მანძილზე თითქმის მთლიანად დაეცა წარმოების დონე, კატასტროფულად შემცირდა მოსახლეობის მყიდველობითი უნარიანობა, რამაც განაპირობა სამომხმარებლო ბაზრის ტევადობის დეგრადაცია, მოიშალა სამეურნეო კავშირები, არნახულად გაიზარდა დაუსაქმებელი მოსახლეობის რიცხვი, მკვეთრად ამაღლდა კვალიფიციური მუშახელის და ინტელიგენციის დიდი ნაწილის მიგრაცია საზღვარგარეთ სამუშაოს საძებნელად.

ეკონომიკური კავშირების მოშლისა და მეურნეობრივი ჩამორჩენილობის გამო, უმნიშვნელოვანესი სამრეწველო საწარმოები წლების მანძილზე გაჩერებულია. მათი დიდი ნაწილი გაიძარცვა და ნაძარცვი ჯართის სახით გააქვთ საზღვარგარეთ სხვადასხვა რეგიონის ბორიტმოქმედებს.

თანამედროვე პერიოდში ქვეყნის სტრუქტურული გარდაქმნების ძირითად მიმართულებად იქცა კერძო სექტორის როლის გაძლიერება მიკროეკონომიკური პროცესების პროპორციების ჩამოყალიბებაში.

წარმოების სფეროში არსებულმა სიძნელეებმა და ჩავარდნებმა თავისი უშუალო ასახვა ჰპოვა მიმოქცევის სფეროში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პრივატიზაციის პროცესში ეაჭრობაში, მიუხედავად არსებული ნაკლოვანებებისა და დარღვევებისა, ძირითადად დამთავრდა. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით 1999 წელს სახელმწიფო საცალო სავაჭრო ქსელის წილად მოდიოდა საქონელბრუნვის 1,1%. ხოლო არასახელმწიფო წილმა შეადგინა 3,7%, ნაცვლად 4%-ისა წინა წელს.

უკანასკნელ წლებში საცალო საქონელბრუნვის განვითარებაში ერთგვარად დაიწყო შემობრუნების პროცესი, რაც გამოიხატება ბრუნვის მოცულობის გადინებაში. კერძოდ, 1999 წელს წინა წელთან შედარებით ქვეყნის საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობა გაიზარდა

4,3%-ით.

საერთო საქონელბრუნვის გადინების ფონზე აღსანიშნაია სახელმწიფო სექტორის ისედაც მცირე მაჩვენებლის კიდევ უფრო კლება: კერძოდ, აღნიშნული ერთი წლის მანძილზე იგი დაახლოებით 11%-ით შემცირდა. მიუხედავად მთლიანი საქონელბრუნვისა მოცულობის მატების (4,3%), აღინიშნება ფრიად განსხვავებული მაჩვენებლები ცალკეული რეგიონების მიხედვით. მაგალითად, ქ.თბილისში ზრდამ შეადგინა 8%, მცხეთა-მთიანეთის მხარეში - 24,8%. სამაგიეროდ სერიოზული ჩამორჩენა აღინიშნება მთელ რიგ რეგიონებში: კერძოდ, გურიის მხარეში იგი 3,5%-ით შემცირდა, კახეთის მხარეში - 7,3%-ით, შიდა ქართლის მხარეში - 4,5%-ით, ქვემო ქართლის მხარეში - 3,7%-ით.

განსაკუთრებით არასახარბიელო მდგომარეობა აღინიშნება საერთოდ ვაჭრობის განვითარების და, კერძოდ, სახელმწიფო სექტორის ხაზით გურიის, კახეთის, და ქვემო ქართლის მხარეებში. სახელმწიფო სექტორი ამ მხარეებში სრულებით უყურადღებო მდგომარეობაშია და უარყოფითი შედეგებიც სახეზეა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო სექტორის სავაჭრო ობიექტები შედარებით წვრილია და მათში საქონელბრუნვის გადიდების პერსპექტივები ნაკლებ შესაძლებელია.

სახელმწიფო სექტორში არსებული სიძნელეების და ნაკლოვანებების პარალელურად ბევრი რეგიონის შესაბამისი მაჩვენებლები არასახელმწიფო სექტორშიც ფრიად არადამაკმაყოფილებელია. კერძოდ, თუ მთლიანად საქართველოში 1999 წ. არასახელმწიფო სექტორის ბრუნვის მოცულობა 4,5%-ით გადიდდა, აჭარის ავტონომიურმა რესპუბლიკამ და ცხრა მხარიდან ექვსმა სამხარეო დანაყოფმა, საქონელბრუნვის საერთო მოცულობა მატების ნაცვლად შეამცირა, რაც საგანგაშო მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ამ მხრივ განსაკუთრებით „გამოიჩინა" თავი აჭარის ავტონომიურმა რესპუბლიკამ, გურიის, კახეთის, შიდა ქართლის და ქვემო ქართლის მხარეებმა.

მას შემდეგ რაც ჩვენს პირობებში დამკვიდრება იწყო საბაზრო ურთიერთობებმა, თავი იჩინა არაკონკურენტული გარემოს დამკვიდ-

რების ტენდენციამ, რაც უჩვეულოა საბაზრო ეკონომიკის პირობებში. ეს გარემოება, ჩვენი აზრით, გამოწვეულია კონკრეტული მიზეზებით. ისეთ ვითარებაში, როცა მეწარმეს არ შეუძლია გაუმკლავდეს საგადასახადო კოდექსის მოთხოვნებს, იგი იძულებული ხდება ბაზარზე არასწორი ხერხებით დაიმკვიდროს ადგილი - დამალოს შემოსავლები, რათა არსებობა შეინარჩუნოს. პრაქტიკულად ბევრი მათგანი კიდევაც აღწევს ამას. საბოლოოდ ხელოვნურად მცირდება სამეურნეო საქმიანობის მაჩვენებლები, ზარალდება სახელმწიფო ბიუჯეტი.

ყურადღებას იქცევს საქონელბრუნვის მდგომარეობის ანალიზი მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში მომხდარმა ცვლილებებმა და ამის შედეგად წარმოშობილმა ეკონომიკურმა და საბიუჯეტო კრიზისმა არსებითად შეამცირა სულადობრივი საქონელბრუნვის მაჩვენებლებიც, არა მარტო მთლიანად ქვეყანაში, არამედ განსაკუთრებით მის ცალკეულ რეგიონებში.

ზრდის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აღინიშნება ქვემო ქართლის მხარეში და ქ. თბილისში. აღსანიშნავია, რომ ქ.თბილისის მიხედვით მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით საცალო საქონელბრუნვის მოცულობა ბევრად აღემატება დანარჩენი რეგიონების შესაბამის დონეს, თუმცა ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ თბილისის საცალო საქონელბრუნვის დიდი ნაწილი (დაახლოებით 25%-ზე მეტი) მოდის ჩამოსული მოსახლეობის წილად, რაც ხელოვნურად ზრდის ადგილობრივი მოსახლეობის სულადობრივი საქონელბრუნვის მოცულობას.

მიუტევებლად დაბალი დონეა რაჭა-ლეჩხუმის და სვანეთის მხარეებში, სადაც ისედაც დიდი ჩამორჩენისა 1999 წელს კვლავ შემცირება აღინიშნება. ეს ხდება იმ პირობებში, როცა საქონელბრუნვის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე აღნიშნულ მხარეებში დონის დაახლოებით 21%-ს შეადგენს. განსაკუთრებით გაკვირვებას იწვევს გურიის მდგომარეობა, დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ გურიის მხარის მოსახლეობის ერთ სულზე 1999 წლის მონაცემებით მხოლოდ 69 ლარის წლიური ბრუნვა იყო და იგი

ქვეყნის საშუალო მიღწეული დონის 22%-ია.

საბაზრო ეკონომიკის გზაზე ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში კიდევ ერთი სიახლის მოწმენი გავხდით. საქმე ეხება ე.წ. ბაზრობების მასობრივ აღმოცენებას, რომელიც გარკვეული ზომით დაემატება არსებულ აგრარულ (საკოლმეურნეო) ბაზრებს.

ბაზრობების განვითარების პროცესებმა იმდენად მასობრივი ხასიათი მიიღო, რომ საქართველოს პირობებში იგი ფაქტობრივად უმართავი გახდა. ამ წესით მოვაჭრე საწარმოები მთლიანად არასახელმწიფოებრივ ობიექტებს მიეკუთვნება, მათმა საქონელბრუნვის მოცულობამ ქვეყნის ბრუნვაში უკანასკნელ წელს შეადგინა 68,5%, მაშინ როცა სავაჭრო ობიექტების წილის მიხედვით ქვეყნის მთლიან ქსელში 1,4%-ს არ აღემატება, როგორც ეხედავთ საქმე ეხება უმეტესწილად უმსხვილეს საწარმოებს, რომელთა ორგანიზებული მართვა და რეგულირება მოკლებულია ყოველგვარ ცივილურ მეთოდებს. ამ შემთხვევაში სახელმწიფო ორგანოების ძირითადი ამოცანაა საგადასახადო და საბაჟო სისტემის აქტიური ამოქმედება ბიუჯეტში შემოსავლების მობილიზაციის უზრუნველსაყოფად.

ბაზრობების უმცირესი ნაწილი ორგანიზებულია არა სპეციალიზებულ შენობებში, არამედ მათი ფუნქციონირება მიმდინარეობს შუა ქუჩაში, ადამიანთა მასობრივი თავშეყრის ადგილებში, აგრარული ბაზრების მიმდინარე ტერიტორიებში: განსაკუთრებით უამინდობის დროს, აქ ვხედებით უწესრიგობას, ანტისანიტარიას, ვაჭრობის წესების დარღვევას და ათასგვარ ანომალიურ მოვლენებს. საკმარისია აღინიშნოს, რომ მარტო თბილისში ფუნქციონირებს 51 ასეთი ვაჭრობა, რომლის ბრუნვის მოცულობა სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით 1999 წ. იყო 739,4 მთლიანი ლარი და წინა წელთან შედარებით 12,3%-ით გაიზარდა.

მიუხედავად გარკვეული დადებითი მომენტებისა, ვაჭრობის აღნიშნული ფორმა საჭიროებს შემდგომ გაუმჯობესებას. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ აღნიშნული ბაზრობები ასოცირდება ძველი, არქაული ტიპის ვაჭრობებთან, ამიტომ გადაუდებელი ამოცანაა ბაზრობების მოწყობა კაპიტალურ შენობებში სათანადო დახლ-

მაცივრებით და მოწობილობა-დანადგარებით. დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ეაჭრობა, როგორც სახალხო მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგი, ქვეყნის მასშტაბით მოითხოვს მეტ ყურადღებას და მზრუნველობას. საბაზრო ურთიერთობების თანდათანობით დამკვიდრებას უნდა გამოეწვია ეაჭრობის შუალედური რგოლის გაუქმება. მაგრამ რეგიონის თუ ქვეყნის მასშტაბით უყურადღებოდაა ძირეული რგოლიც, რასაც თან მოჰყვა წერილ-წერილი ობიექტების, ჯიხურების მასობრივი მომრავლება. საქმე იქამდე მიდის, რომ ნებისმიერი პიროვნება, ვინც მოისურვებს და სადაც გაუხარდება, აფუძნებს საეაჭრო საწარმოს პურსაცხობს, სახაჭაპურეს თუ სხვა ობიექტს. დროა ცენტრალურმა და ადგილობრივმა ხელისუფლებამ, ბოლო მოუღოს აღნიშნულ ქაოსს, დაამყაროს წესრიგი ეაჭრობის ნებისმიერ უბანზე. აუცილებელია ყველამ შეიგნოს, რომ საბაზრო ეკონომიკა არ ნიშნავს ანარქიას, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უგულებელყოფას, უკონტროლო საქმიანობას.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეაჭრობის პირველადი რგოლი, რომელსაც აწევს საცალო ეაჭრობის მთელი სიმძიმე, არის საეაჭრო საწარმო. იგი არის მიმოქცევის სფეროს ძირითადი ობიექტი და ფლობს სამეურნეო და იურიდიულ დამოუკიდებლობას, დაპყავს რა საქონელი უშუალოდ მომხმარებლამდე ყიდვა-გაყიდვის მეშვეობით, აკმაყოფილებს ბაზარზე წარმოდგენილ მომხმარებელთა მოთხოვნას.

აღნიშვნის ღირსია საცალო ეაჭრობის კიდევ ერთი სახეობა, სოფლის მეურნეობის პროდუქტებით საცალო ეაჭრობა აგრარული ბაზრების მეშვეობით. იგი საბაზრო ურთიერთობათა ჩამოყალიბებამდე საკოლმეურნეო ეაჭრობად იწოდებოდა. აღნიშნული ეაჭრობა სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა უწყების დაქვემდებარებაში იყო, თუმცა ამით მის საქმიანობას რაიმე გაუმჯობესება არ მოჰყოლია. პირიქით, გარკვეული ზომით კიდევაც გაუარესდა. მოიშალა სოფლად წარმოებული პროდუქციის ორგანიზებული ხაჩით მომხმარებლამდე მიტანა. ამჟამად აგრარულ ბაზრებში გაბატონებული განუკითხაობის გამო, პროდუქციის უშუალო მწარმოებელს (გლეხს) არავინ გააჭაჭანებს ბაზრის ტერიტორიაზე, ამის დიდი სურვილიც რომ ჰქონდეს. მათ

ბაზრის შესასვლელშიევ ხვდებიან ე.წ. გადამყიდველები (ქორეაჭრები) და აიძულებენ ნახევარ ფასში მოჰყიდონ პროდუქტები, რომლებსაც შემდგომ ორმაგ ფასში ჰყიდიან ჩვენ შეჭირვებულ მომხმარებელზე. თუ სასწაული მოხდა და გლეხმა როგორმე შეაღწია ბაზარში, იგი ადგილს ვერ პოულობს, რამდენადაც გამყიდველები ყველგან გაბატონებულნი არიან და პროდუქციის მეპატრონეს იძულებულს ხდიან ჩალის ფასად მიჰყიდოს იგი შუამავალს, რადგანაც მიტოვება არ შეუძლია, მეტიც, პროდუქცია მალეფუჭებადია, ხანგრძლივად შენახვა უფრო მეტი ზარალის ტოლფასია. ასეთი პირობების გამო გაკვირვებას იწვევს ზემდგომი ორგანოების და, უპირველესად, მერიის გულგრილი დამოკიდებულება ამ ფაქტისადმი. იბადება საკმარისლიანი კითხვა: ნუთუ ელემენტარული წესრიგის დამყარება არ შეიძლება აგრარულ ბაზრებზე, რომ მშრომელმა კაცმა - პროდუქციის უშუალო მწარმოებელმა შვებით ამოისუნთქოს, თავისი შრომითა და ოფლით მოყვანილი ჭირნახული თვითონვე გაყიდოს? ამ შემთხვევაში ბევრად უფრო მეტ სარგებლობას ჰპოვებს არა მარტო მწარმოებელი, არამედ, უპირველესად, მომხმარებელი.

მ. ბარამიძე, დ. ბოგოლაძე

შრომის ბაზრის ფუნქციონირების მექანიზმი საბაზრო ეკონომიკის პირობებში

საბაზრო ეკონომიკის პირობებში განსაკუთრებით აქტუალურია ყველა სახის წარმოების ფაქტორის, მათ შორის შრომის ფაქტორის ოპტიმალური გამოყენების პრობლემა. შრომის ბაზარი განვითარებული სასაქონლო სისტემის განუყრელი და აუცილებელი ნაწილია, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკის ყველა დარგს სამუშაო ძალით. ეს უკანასკნელი კი აუცილებელია როგორც რაოდენობრივ-ხარისხობრივი თვალსაზრისით, ისე პროფესიული სტრუქტურის და გეოგრაფიული გადაადგილების მიხედვით. იგი გარკვეულად ხელფასის მანევრირებასაც ახდენს და ამით აძლიერებს საბაზრო სისტემის ისეთი ძირითადი რეგულატორების როლს, როგორებიცაა – დანახარჯები და მოგება. შრომის ბაზარი უზრუნველყოფს მოქალაქის საკუთრებას თავის სამუშაო ძალაზე, მისი გამოყენების თავისუფლებაზე და ა.შ.

სადღეისოდ ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა შრომის ბაზრის ფორმირება და მისი ეფექტიანი ფუნქციონირება.

ეკონომიკურ მეცნიერებაში ბაზრის ცნების საყოველთაოდ მიღებული განმარტება არ არსებობს. თავისი წარმოშობიდან თანამედროვე პერიოდამდე ბაზარმა და ბაზრის გაგებამ მნიშვნელოვანი განვითარება და სახეცვლილება განიცადა. ... თავისი არსით, თავდაპირველი მნიშვნელობა შეინარჩუნა და ამით საკუთარი თავისთავადობა დაამტკიცა.

ბაზრის ბევრ განმარტებაში ხშირად წინა პლანზეა წამოწეული ვაჭრობის სფერო. აღნიშნავენ, რომ ბაზარი ესაა ნებისმიერი ურთიერთკავშირი, რომელსაც ადამიანები ახორციელებენ ვაჭრობისათვის [1]. საბაზრო ურთიერთობის სუბიექტებად გვევლინებიან მყიდველები, ე. ი. ვინც წარმოადგენს მოთხოვნის მხარეს და გამყიდველები, ე. ი. ვინც გვთავაზობს ამა თუ იმ სახის

საქონელს ან მომსახურებას. ბაზრის ცნება მრავალწახნაგოვანია. იგი რიგორც ეკონომიკური, ისე მნიშვნელოვანი სოციალური შინაარსის მატარებელია. ზოგადად შეიძლება დაეეთანხმოთ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც *ბაზარი – ესაა მექანიზმი, რომლის საშუალებითაც თავს იყრიან ცალკეული საქონლისა და მომსახურების მყიდველები და გამყიდველები.* ბაზარი ყველას აძლევს საშუალებას საკუთარი კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად მაქსიმალურად გამოაყლინოს თავისი უნარი და შესაძლებლობანი.

შრომის ბაზარი საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაა, რომელიც დასაქმებას არეგულირებს სამუშაო ძალის მობილურობისა და სამუშაო ძალაზე მოთხოვნა-მიწოდებისა და ამ უკანასკნელის რეალური ფასის გათვალისწინებით.

შრომის ბაზრის არსში აისახება საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ურთიერთობათა ერთობლიობა, რომელიც ყალიბდება სამუშაო ძალის მოთხოვნა-მიწოდების ფუნქციათა აგრეგირებით, ბაზარზე ხდება მოთხოვნისა და მიწოდების ფორმირება და ფასების სტიქიური მერყეობის გზით მათი გაწონასწორება. შრომის ბაზარზე მოთხოვნის ობიექტები არიან საკუთრების მიუხედავად, ყველა სახის საწარმოები და სახელმწიფო. ხოლო მიწოდების სუბიექტებს კი – საოჯახო მეურნეობები. შრომის ბაზარზე დამქირავებელსა და მიმწოდებელს შორის ურთიერთობა საკმაოდ რთული პროცესია. ეს განპირობებულია იმით, რომ მხარეების ინტერესები ხშირად არ ემთხვევა ერთმანეთს, რაც გამოწვეულია ეკონომიკური, სოციალური ან ტერიტორიული ხასიათის მიზეზებით, ნაწილობრივ ეს შეიძლება აიხსნას ინფორმაციის უკმარისობით, აქ დიდი დახმარების გაწევა შეუძლია შრომის ბირჟას, როგორც შუამავალს მისი საქმიანობის სფერო მოიცავს უმუშევრების აღრიცხვა-დასაქმებას.

როგორც განვითარებული ქვეყნების გამოცდილება ადასტურებს, შრომის ბირჟაზე მიმდინარე პროცესების ძირითადი, მარეგულირებელი რგოლია სპეციალური დასაქმების სახელმწიფო სამსახურები – *შრომის ბირჟები,* რომლებიც განსაზღვრავენ მოსახლეობის დასაქმების

სტრატეგიულ პოლიტიკას, უმუშევართა დაცვის ეკონომიკურ, სოციალურ, ორგანიზაციულ და სამართლებლივ საფუძვლებს.

შრომის ბაზრის ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია სამართლებლივი ბაზის არსებობა, რომლის მიზანია კონკურენციის საფუძველზე ერთიან ეკონომიკურ სივრცეში შრომის ფაქტორის თავისუფალი მოძრაობის უზრუნველყოფა. შრომის ბაზრის ფუნქციონირებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამუშაო ძალის პროფესიული მომზადება-გადამზადების სისტემას. ამ მიზნით მნიშვნელოვანად გვესახება ადგილობრივი ორგანოების აღმასრულებელი ხელისუფლების მოქნილი მუშაობა და აუცილებელი ფინანსური და მატერიალური საშუალებების არსებობა, რომელიც საჭიროა შრომითი მოწყობის, პროფესიული ორიენტაციის, კადრების მომზადებისათვის და დასაქმების სტიმულირებისათვის.

შრომის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია კონკურენცია. შრომის კონკურენტული ბაზარი ხასიათდება მეიდველთა დიდი რაოდენობით, რომლებიც დაქირავებისას ერთმანეთთან კონკურენციაში იმყოფებიან. ასეთ შემთხვევაში ერთნაირი კვალიფიკაციის მქონე მრავალრიცხოვანი მუშაკი ერთმანეთის დამოუკიდებლად სთავაზობენ მეიდველს გარკვეული სახის შრომას და მომსახურებას, რომლის დროსაც არც გამეიდველი და არც მეიდველი ვერ ახერხებს ხელფასის საბაზრო განაკვეთზე კონტროლის განხორციელებას და ამავე დროს ისინი არ კარნახობენ ხელფასს. საბაზრო სისტემის პირობებში განასხვავებენ შრომის ბაზრის მონოპოლიურ და ოლიგოპოლიურ მოდელს.

შრომის ბაზრის მონოპოლიური მოდელის შემთხვევაში დამქირავებელი ფლობს მონოპოლისტურ ძალას. ამ მოდელის პირობებში დასაქმებულთა დიდი ნაწილი დაკავებულია არამობილური კონკრეტული ხასიათის შრომით, რის გამოც თავიანთი შრომის ალტერნატიული გამოყენების შესაძლებლობის შემთხვევაში ისინი ძალებულნი არიან შეიძინონ ახალი კვალიფიკაცია. დამქირავებლის მონოპოლიური ძალაუფლება სრულია, როდესაც შრომის ბაზარზე მხოლოდ ერთი დამქირავებელია. ეს ხდება მაშინ, როდესაც

მცირერიცხოვანი დასახლებების ეკონომიკა დამოკიდებულია ერთ რომელიმე დიდ ფირმაზე.

შრომის ბაზრის ოლიგოპოლიური მოდელის დროს რამდენიმე მყიდველი ფირმა ახდენს შრომის ბაზარზე კონკრეტული მიწოდების უდიდესი ნაწილის დაქირავებას.

შრომის ბაზრის ფუნქციონირების პრობლემის განხილვის დროს ცალკე უნდა გამოიყოს პროფკავშირების როლის საკითხი. შრომის ბაზარზე პროფკავშირების ძირითადი მიზანია მათი წევრი მუშების სოციალურ-ეკონომიკური პირობების დაცვა, კონკრეტულად, შრომის ანაზღაურების მოწესრიგება, შრომითი რესურსების რაციონალური განაწილების ორგანიზაცია, გამართლებული მიგრაციის ხელის შეწყობა და სხვა. შრომითი რესურსების მიგრაციის პრობლემა მეტ-ნაკლებად დგას მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის წინაშე. მიგრაციის ერთ-ერთი მიზეზია ქვეყნებს შორის მკვეთრი განსხვავება ხელფასში, აგრეთვე ქრონიკული უმუშევრობა, რაც უბიძგებს მოქალაქეს დატოვოს თავისი ქვეყანა, გახდეს ემიგრანტი და იმუშაოს თუნდაც ყველაზე შრომატევად და დაბალანაზღაურებად დარგებში.

საბაზრო ეკონომიკა გულისხმობს ისეთი ძირითადი პრობლემების გადაჭრის აუცილებლობას, როგორიცაა უმუშევრობა. იგი თითქმის ყველა განვითარებული ქვეყნის წინაშე იდგა სხვადასხვა ეტაპზე და ამჟამადაც საზოგადოების ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემაა.

შრომის ბაზარი მნიშვნელოვან როლს თამაშობს შრომის ფასის დადგენის პროცესში, რომელიც წარმოგვიდგება სხვადასხვა პროფესიული და კვალიფიკაციური ჯგუფის, დარგის, რეგიონის, სტატუს მიხედვით საშუალო ხელფასის სახით. ამასთან, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მინიმალური ხელფასის დადგენის საკითხს, რამდენადაც ეს უკანასკნელი სოციალური დაცვის ერთ-ერთი საშუალებაა. განვითარებულ ქვეყნებში პროფკავშირები აღწევენ ხელფასის მყიდველობითი უნარის შენარჩუნებას, მაშინ როდესაც იზრდება წარმოებული საქონლის და მომსახურების ფასი. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება ხელფასის ინდექსაციის გავრცელებული მეთოდი,

რომელიც ითვალისწინებს ხელფასის ავტომატურ გაზრდას ფასების ინდექსაციის გათვალისწინებით. ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში ხელფასის ინდექსაცია წარმოებს ფირმის, ეკონომიკის ცალკეული დარგის დონეზე მეწარმეებს და პროფკავშირებს შორის ხელშეკრულების დადების გზით.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში წინა პლანზეა წამოწეული ხელფასის ინდივიდუალიზების პრინციპის მაქსიმალურად ამოქმედება, რადგან ის უზრუნველყოფს წარმოების ეფექტიანობას და მაღალი შემოსავლების მიღებას.

საბოლოოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ შრომის ბაზრის მობილურობის გაძლიერება საბაზრო ეკონომიკის პირობებში ყველა ცივილიზებული ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია, ამიტომ საჭიროა მობილური შრომის ბაზრის მთელი შესაძლებლობით გამოყენება. ასეთ პირობებში მობილური შრომის ბაზარი უზრუნველყოფს სამუშაო ძალის კვლავწარმოების ოპტიმალურ სტრუქტურას, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, ახალი ტექნოლოგიების დანერგვას და შრომის პირობების გაუმჯობესებას, რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს საზოგადოების ცხოვრების დონის ამაღლებას.

ლიტერატურა

1. Долан Э.Ю., Лендсей Д.Е., Рынок микроэкономической модели, М., 1991
2. Котлер Ф., Основы маркетинга, М., 1992

V. ბალანსი

საკუთარი კაპიტალი და ბალანსში მისი ასახვის თავისებურებები

საკუთარი კაპიტალი თავისი სიდიდით წარმოგვიდგება რიგორც სხვაობა საწარმოს აქტივებსა და ვალდებულებებს შორის. ხშირად მას საწარმოს წმინდა აქტივებსაც უწოდებენ.

რიგორც წესი, საკუთარი კაპიტალი იყოფა ორ ძირითად კატეგორიად - ინვესტირებული კაპიტალი და გაუნაწილებელი მოგება. თავის მხრივ ინვესტირებული კაპიტალი მოიცავს კაპიტალისებულ გაუნაწილებელ მოგებას. ინვესტირებული კაპიტალი წარმოდგენილია ნეკუულებრივი და პრივილეგირებული აქციებით მათი ნომინალური (ან გამოცხადებული) ღირებულებით. იგი მოიცავს აგრეთვე იმ კაპიტალის ღირებულებას, რაც განადღებულია ნომინალის ზევით და რომელიც ასევე შეიძლება დადგეს წარმოქმნის წესრიგების მიხედვით.

რიგორც წესი, საკუთარი კაპიტალი ბალანსში არ აისახება არც მიმდინარე საბაზრო და არც სხვა სახის შეფასებით. თანხა, რომელიც ასახულია ანგარიშგებაში, სხვაობაა აქტივების ბუღალტრულ შეფასებასა და საწარმოს კრედიტორულ დავალიანებას შორის.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ინფორმაციას საკუთარი კაპიტალის საბალანსო ანგარიშგებაში ასახვის შესახებ განხილულია ბუღალტრული აღრიცხვის რამდენიმე საერთაშორისო სტანდარტში, მათ შორის: ბაას № 1 "ფინანსური ანგარიშგების წარდგენა", ბაას № 32 "ფინანსური ინსტრუმენტები: ახსნა-განმარტება და წარდგენა", და სხვა.

აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით კაპიტალი ბალანსში დაიყოფილია შემდეგ შემადგენელ ნაწილებად:

1. აქციონერების მიერ დაბანდებული კაპიტალი;
2. დამატებითი კაპიტალი, მიღებული აქციის ნომინალური ღირებულების ზევით ანუ საემისიო შემოსავალი;
3. რეზერვები;
4. დაგროვილი გაუნაწილებელი წმინდა მოგება;

5. რეზერვები, რომელიც განაწილებული დაგროვილი წმინდა მოგების ნაწილია;

6. გადაფასებიდან მიღებული დამატებითი კაპიტალი.

ბაალ № 1 „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა" მიხედვით საწარმოს ანგარიშგებაში უნდა აისახოს ინფორმაცია, რომელიც ეხება საკუთარ კაპიტალს, კერძოდ გამოსაშვები არსებული აქციები; გაუნაწილებელი კაპიტალის წილი; ერთი აქციის ნომინალური ღირებულება; მიმოქცევაში მყოფი აქციების რაოდენობა წლის დასაწყისსა და წლის ბოლოსათვის; უფლებები, პრიოლეგიები და შეზღუდვები, რომელიც ეხება ამა თუ იმ ჯგუფს; დივიდენდების განაწილებისა და კაპიტალის დაფარვასთან დაკავშირებული შეზღუდვების ჩათვლით; საწარმოს მიერ გამოსყიდული აქციები; აქციები, რომელიც რეზერვირებულია გამოშვებული ოფციონებისა და სავაჭრო ხელშეკრულებისათვის პირობებისა და თანხების ჩვენებით; ნებისმიერი კუმულაციური პრიოლიგირებული დივიდენდების თანხა, რომელიც არ არის აღიარებული.

შეეხოთ და კონკრეტულად განვიხილოთ დაბანდებული კაპიტალის შემადგენლობაში არსებული ორი მუხლი, რომელიც შეიძლება წარმოიშვეს განსაზღვრული ოპერაციებისა და მოვლენების შედეგად. ასეთი სახის ოპერაციებია უსასყიდლოდ და ქონების გადაფასების შედეგად მიღებული კაპიტალი. ამერიკის პრაქტიკაში არსებობს აზრი იმის შესახებ, რომ უსასყიდლოდ მიღებული ქონება უნდა აისახოს მოგება-ზარალის ანგარიშის კრედიტში, როგორც მოცემული საანგარიშგებო პერიოდის შემოსავალი. გადაფასების შედეგად კაპიტალი წარმოიქმნება აქტივების ცვლილებების (ზრდების) შედეგად.

საწარმოს საკუთარი კაპიტალის მეორე ნაწილი არის წმინდა მოგება, რომელიც არ განაწილებულა აქციონერებს შორის, რეინვესტირებულია საწარმოში და გვევლინება გამოშვებული კაპიტალის სახით. იგი ანგარიშზე აისახება როგორც "დაგროვილი, გაუნაწილებელი წმინდა მოგება". როგორც წესი, მას გააჩნია საკრედიტო ნაშთი. ამ ანგარიშის დებეტის ნაშთი კი ვეძებენებს

დაუფარავ ზარალს.

დაგროვილი მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საწარმოს დირექტორთა საბჭო და ასეთი განაწილების მიზანი უნდა მიეთითოს ანგარიშგების შენიშვნებში. მოგების რეზერვებში განაწილება შეიძლება მოხდეს როგორც საკანონმდებლო ხასიათის მოთხოვნებით, ისე საწარმოთა მიზნებიდან გამომდინარე. ასეთი სახის მიზნები შეიძლება იყოს როგორც წარმოების გაფართოება, ისე მომავალი ზარალისაგან დაზღვევა და სხვა.

ამრიგად, ბალანსში ნაჩვენები დარეზერვებული მოგება მომხმარებელს შესაძლებლობას აძლევს სათანადო ინფორმაცია მიიღოს საწარმოს მიზანმიმართულებების შესახებ მის ხელთ არსებული საშუალებების გამოყენების საქმეში.

სარეზერვო კაპიტალის დიფერენციაციამ ალრიცხვა-ანგარიშგებაში ფართო გაერცელება ჰპოვა მსოფლიო პრაქტიკაში. ასე მაგალითად, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ყოველი სახის რეზერვს ბალანსში გამოყოფილი აქვს ცალკე მუხლი, გერმანიისა და საფრანგეთის კანონმდებლობით კი დაშვებულია 25 სახის სხვადასხვა რეზერვის გამოყენება.

ბალანსის მუხლების დეტალიზაცია ცალკეული სახის რეზერვების მიხედვით, ერთი მხრივ, მნიშვნელოვნად ზრდის ბალანსის ანალიზურობას, ხოლო, მეორე მხრივ, აძლიერებს კონტროლს, მის დანიშნულებისამებრ გამოყენებას.

დ. ჯაფარიძე

პლასტიკური ბარათები საბანკო სისტემაში.

ფული კაცობრიობის ერთ-ერთ უდიდეს აღმოჩენად ითვლება და როგორც ადამიანის საქმიანობის ნებისმიერმა სფერომ, ფულმაც განვითარების დიდი გზა განვლო. პლასტიკური ბარათები თანამედროვეებისათვის ცნობილი ფულის ყველაზე სრულყოფილი ფორმაა. მისი შექმნის იდეა პირველად ედუარდ ბელამის წამოაყენა ნაშრომში „მზერა წარსულისაკენ" («Looking Baskward»), რომელიც გამოიცა 1888 წელს. პლასტიკური ბარათი პერსონიფიცირებული, უნაღდო ანგარიშსწორების და ნაღდი ფულის მიღების საშუალებაა სხვადასხვა სავაჭრო, მომსახურების თუ ფინანსურ ობიექტებში. ბანკი ცხოვრებაში დანერგვის მცდელობები გვხვდება ოცდიანი წლების აშშ-ში, თუმცა პირველი პლასტიკური ბარათების გამოშვება ომის შემდგომ პერიოდში მოხდა Diners Club-ისა და American Express-ის მიერ. ამის შემდეგ ბარათები ტექნოლოგიური პროგრესის პარალელურად ეთანადება და იხვეწება.

დღეისათვის პლასტიკური ბარათების უამრავი სახეობა არსებობს, რომლებიც ერთმანეთისაგან ეკონომიკური და ტექნიკური თვისებურებებით განსხვავდება. დამზადების მასალის მიხედვით არსებობს მუყაოს, ლითონის და პლასტმასის ბარათები. ბარათებზე ინფორმაციის დატანის მეთოდების მიხედვით არსებობს ბარათები გრაფიკული გამოსახულებით, შტრიხ-კოდით, რელიეფური შრიფტით, მაგნიტური ზოლით, მიკროსქემით და ოპტიკური ბარათები, რომლებზეც ინფორმაციის ჩაწერა ლაზერის საშუალებით ხდება. ზემოთ ჩამოთვლილი სახეობებიდან ყველას არა აქვს მასობრივი გამოყენება: ზოგს დაცვის დაბალი დონის, ზოგს კი ძალზედ მაღალი თვითღირებულების გამო. კლიენტების კატეგორიების მიხედვით განასხვავებენ ჩვეულებრივ, ვერცხლის, ოქროს და ელექტრონულ ბარათებს. ჩვეულებრივი ბარათები განკუთვნილია ფიზიკური პირებისათვის, ვერცხლის ბარათები გაიცემა იურიდიულ პირებზე და გამოიყენება ბიზნესთან დაკავშირებული ხარჯებისათვის, ელექტრონული ბარათები

ბანკომატებიდან ნაღდი ფულის მისაღებად. რაც შეეხება ოქროს ბარათებს, ისინი გაიცემა ფინანსურად ძლიერ კლიენტებზე და გულისხმობს მრავალ შეღავათს მათი მფლობელებისათვის. მაგ., ავტომატურ დასვლვეას ტურიზმის სფეროში, უფასო კონსულტაციებს და სხვა. აგრეთვე განასხვავებენ ორმხრივ და მრავალმხრივ, საკრედიტო და სადებეტო, ძირითად და დამატებით, ინდივიდუალურ და კორპორაციულ ბარათებს ეკონომიკური ნიშნით და ბარათებს მაგნიტური ხოლით და ბარათებს მიკროსქემებით (chip card, smart card...) ან მიკროპროცესორით ტექნიკური ნიშნის მიხედვით. ორმხრივი ბარათების გამოყენება შედარებით შეზღუდულია, რადგან მათი გამოშვება ეკონომიკის ცალკეულ სფეროებში მოქმედ კომპანიების მიერ ხდება, ხოლო მრავალმხრივი ბარათებით სარგებლობა შესაძლებელია მრავალი დასახელების საქონლის შეძენისა და მოწესახურების ანაზღაურებისას. საკრედიტო ბარათებს ბანკები მხოლოდ მაღალკრედიტუნარიან კლიენტებზე გასცემენ და ისინი მომსახურების გაწილებით ფართო სპექტრს მოიცავენ. აღსანიშნავია, რომ თანხა საბარათო ანგარიშზე გაიცემა კრედიტით. ბარათის გაცემამდე ბანკი ვალდებულია დეტალურად შეამოწმოს კლიენტის კრედიტუნარიანობა და მისი საკრედიტო ისტორია. სადებეტო ბარათები მოსახლეობის ფართო მასებისათვის არის გათვალისწინებული, რადგან მომსმარებლისათვის გადახდის უფრო მოსახერხებელი საშუალებაა. ბარათის გაცემა კლიენტის მიერ ბანკში სპეციალური საბარათო ანგარიშის გახსნის და მასზე გარკვეული თანხის შეტანის საფუძველზე ხდება. ინდივიდუალური ბარათები გაიცემა ცალკეულ პირებზე, ხოლო კორპორაციული ბარათები - სხვადასხვა ორგანიზაციებზე, რომლებსაც, თავის მხრივ, შეუძლიათ ინდივიდუალური ბარათების გაცემა ცალკეულ პირებზე. ძირითადი ბარათების პარალელურად კლიენტს შეუძლია მოითხოვოს დამატებითი ბარათები ოჯახის წევრებისათვის. ამჟამად ბარათებს ახალი ანგარიში არ ეხსნებათ. ბარათები მაგნიტური ხოლით სამოციან წლებში დაინერგა. მაგნიტურ ხოლებში მოცემულია ინფორმაცია კლიენტის შესახებ, რაც მისი იდენტიფიკაციის საშუალებას იძლევა. ზოგიერთი მონაცემით დღეისათვის მსოფლიოში

2 მილიარდამდე ამგვარი ტიპის ბარათია გამოშვებული. რაც შეეხება ბარათებს მიკროსქემებით, ისინი პლასტიკური ბარათების ახალ თაობას მიეკუთვნებიან და უსაფრთხოების გაცილებით მაღალ დონესა და მოხერხებულობას უზრუნველყოფენ. მათი განვითარებული ფორმაა ბარათები მიკროპროცესორით, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე პერსონალური კომპიუტერის ძირითადი მოწყობილობებით და სიძლიერით ოთხმოციანი წლების კომპიუტერს უტოლდება. თუმცა მათ არსებითი ნაკლიც აქვთ, ისინი მაღალგანვითარებული და შესაბამისად ძალიან ძვირი ტექნოლოგიების გამოყენებას საჭიროებენ, რაც დიდ კაპიტალდაბანდებებს მოითხოვს. უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს უმსხვილესი საბარათო სისტემები მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ხოლო ახალი თაობის ბარათების თანდათანობითი დანერგვის საერთო პროგრამის შემუშავების და განხორციელების შედეგად მათ ხარჯების მინიმუმამდე შემცირების რეალური საშუალება მიეცემათ.

პლასტიკურ ბარათებს უამრავი უპირატესობა გააჩნიათ ფულის სხვა ფორმებთან შედარებით. მათი გამოყენება მომგებიანია საბარათო სისტემის ნებისმიერი სუბიექტისთვის: ბარათის მფლობელისთვის, საყაჭრო და მომსახურების ობიექტებისთვის, ბანკი-ემიტენტისთვის, მომსახურე ბანკისთვის (ბანკი ეკვაერი) და საპროცესინგო ცენტრებისთვის. ბანკი ემიტენტი კლიენტის ანუ ბარათის მფლობელის მომსახურე ბანკია. ემიტენტის ძირითადი ფუნქციებია: ბარათის დამზადება, კლიენტის კრედიტუნარიანობის ანალიზი, ვერიფიკაცია (კლიენტის მიერ წარდგენილი ბარათის რეალურობის და ქმედუნარიანობის დადასტურება), ბილინგი (ბანკი ყოველთვიურად უგზავნის კლიენტს ამონაწერს, რომელშიც აღნიშნულია კლიენტის მიერ დადებული გარიგებები, მისი ანგარიშის მდგომარეობა, ლიმიტის გადაჭარბება, დავალიანება და ა.შ.), ლიმიტების კონტროლი (ლიმიტები რამდენიმე სახის შეიძლება იყოს. მაგ., ლიმიტი, რომელიც დაკავშირებულია საბარათო ანგარიშზე შეტანილ თანხასთან, ლიმიტი ერთი გარიგების ღირებულებაზე, ბანკომატიდან ფულის ერთჯერად ამოღებაზე ან 24 საათის განმავლობაში ბარათის გამოყენებაზე),

მომხმარებლის დაცვა თაღლითობისგან (1994 წლის მონაცემებით თაღლითობასთან დაკავშირებულმა დანაკარგებმა მარტო დიდ ბრიტანეთში შეადგინა დაახლოებით 100 მლნ ფუნტი სტერლინგი, ხოლო ა.შ.შ.-ში - 2 მილიარდ დოლარამდე), კლიენტის უშუალო მომსახურება და მარკეტინგი. ბანკი ეკვაერი ემსახურება სავაჭრო და მომსახურების ობიექტებს. მისი ძირითადი ფუნქციებია: სპეციალური ჩეკების-სლიპების მიღება, რომლებიც გარიგების მომენტში სამ ეგზემპლარად მზადდება, მათი დამუშავება, შესაბამისი თანხის გადარიცხვა ობიექტების ანგარიშზე და სავაჭრო პუნქტების ტექნიკური დახმარება. რაც შეეხება საპროცესინგო ცენტრს, ის საბარათო სისტემის ტექნიკური ბირთვია. თუმცა ზოგჯერ მათ ფუნქციებს ბანკი ეკვაერი ასრულებს, ზოგჯერ კი ყველა ამ ფუნქციის შესრულება ერთ ბანკს აქვს ნაკისრი. პლასტიკური ბარათების გამოყენების შემთხვევაში სავაჭრო კომპანიებს ეძლევათ საშუალება გააფართოონ გაყიდვის ქსელი და მოიზიდონ ახალი კლიენტები, თავიდან აიცილონ საბანკო ჩეკებთან დაკავშირებული რისკი, გააადვილონ ანგარიშსწორება და ა.შ.. ბანკები სარგებლობენ სამომხმარებლო სესხების გაზრდით, საქმიანობის სფეროს გაფართოებით, იღებენ საკომისიო შემოსავალს და სხვა. თუმცა ყველაზე დიდი სარგებლობა პლასტიკურ ბარათებს მაინც მომხმარებლისთვის მოაქვს: მომხმარებელს აღარ სჭირდება დიდი რაოდენობით ფულის ტარება ჯიბით იმ მიზნით, რომ რაიმე მნიშვნელოვანი საყიდლები გააკეთოს, ბარათები საშუალებას იძლევა უკეთესად ეკონტროლოთ საკუთარი ბიუჯეტი, თანაც ბარათის დაკარგვის შემთხვევაში, თუ კლიენტი დროულად შეატყობინებს ბანკს, ბანკი მოცემული ანგარიშის ბლოკირებას მოახდენს, რაც ზარალის თავიდან აცილების საშუალებას იძლევა. თუმცა არსებობს უარყოფითი მხარეებიც, რომლებიც უნდა აღინიშნოს, კერძოდ: ჩვენ ფულს ვიხდით ერთდროულად და წინასწარ, ხოლო ვხარჯავთ თანდათანობით და, რა თქმა უნდა, ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია სარგებლის გადახდასთან (ბანკის საკომისიო), თუმცა თანამედროვე ბანკები ცდილობენ მინიმუმამდე შეამცირონ ეს თანხა, ახალი კლიენტების მოზიდვის და კონკურენტულ ბრძოლაში

გამარჯვების მიზნით.

თანამედროვე საბარათო ბიზნესს ლიდერობენ Viza International, Evrocard/Mastercard და Amerikan Exspress.

Viზა-ს ლოგოტიპით მოქმედებს 350 მლნ-მდე ბარათი და წლიური მიმოქცევა დაახლოებით 700 მილიარდ დოლარს აღწევს. მას ემსახურება 12 მილიონამდე საეაჭრო და მომსახურების პუნქტი, 300 ათასამდე ფინანსური ორგანიზაცია და დაახლოებით ამდენივე ბანკომატი.

ზოგიერთი მონაცემით ბარათების საერთო რაოდენობის 50 პროცენტი მოდის Viza International-ზე, დაახლოებით 20 პროცენტამდე Evrocard/Mastercard-ზე და 10 პროცენტამდე American Exspress-ზე.

პლასტიკურმა ბარათებმა საკმაოდ ღრმად გაიდგა ფესვები განვითარებულ სამყაროში, მაგრამ მათი დანერგვა განვითარებად ქვეყნებში თანამედროვეობის ერთ-ერთ პრობლემად რჩება. ბუნებრივია, ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველოა. ფულის ამ ახალი და პროგრესული ფორმის დანერგვის პერსპექტივების ანალიზის დროს აუცილებელია გავითვალისწინოთ შემდეგი ფაქტორები:

- მოსახლეობის მომზადება და განწყობა ამ სიახლის მიმართ;
- ბანკების მიერ ბარათების პერსპექტიულობის შეფასება;
- ინფრასტრუქტურის არსებობა, რომლის გარეშეც შეუძლებელია პლასტიკური ბარათების ფუნქციონირება;
- გავლენა, რომელიც ბარათების შემოღება იქონიებს სხვადასხვა კომპანიების საქონელზე და მომსახურებაზე არსებული სამომხმარებლო მოთხოვნის დონეზე.

ღრმა ეკონომიკური, ენერგეტიკული, პოლიტიკური, სამართლებრივი და ა.შ. კრიზისის და მოსახლეობის უკიდურესი სიღატაკის პირობებში პლასტიკური ბარათების მასობრივი დანერგვის პერსპექტივა ბუნდოვნად გამოიყურება, თუმცა საქართველოში კაცობრიობის ამ უნიკალური მიღწევის სარგებლობა ნამდვილად არ არის შორეული მომავლის საქმე და ამის დადასტურებაა ის, რომ ბევრი ქართული ბანკი უკვე გაერთიანდა საერთაშორისო საბარათო სისტემებში. ამასთან, წინ გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს 1996 წელს

საპროცესინგო კომპანიის შექმნა, რომელშიც ხუთი წამყვანი ბანკი გაერთიანდა და ქართველ მომხმარებელს მიეცა საშუალება, ისარგებლოს Viza-ს, Evrocard/Mastercard-ის და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, UFC-ის ლოკალური ბარათებით.

თანამედროვე ქართული ბანკები საკრედიტო ბარათებთან დაკავშირებული ოპერაციების საკმაოდ ფართო სპექტრს გთავაზობენ, რაც ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა. იმედს ვიტოვებთ, რომ უახლოეს მომავალში ფულის ეს უნიკალური ფორმა რიგითი ქართველის ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდება.

დოც. ვ. გოგიჩაიშვილი, შ. კახიძე

ლექცია-სემინარებზე სტუდენტთა დასწრების აღრიცხვის ავტომატიზაცია

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექცია-სემინარებზე სტუდენტთა დასწრების აღრიცხვა ხორციელდება პერსონალური კომპიუტერის გამოყენების გარეშე, რაც თავის მხრივ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. დიდია – დროის დანაკარგები, შეცდომის დაშვების ალბათობა, მის აღმოჩენასთან და გასწორებასთან დაკავშირებული დრო, დაკავებულ მომუშავეთა რიცხოვნობა. ვერ ხერხდება საჭირო ინფორმაციის ოპერატიულად მიღება. ეს ყოველივე რა თქმა უნდა არაეკონომიურია და სამუშაო პერიოდის არაეფექტურად გამოყენების წინაპირობაა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გამო გადავწყვიტეთ, რომ მოგვეხდინა აღნიშნული საქმიანობის ავტომატიზაცია, მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტზე არსებული სპეციალობების ჯგუფების მიხედვით, სადაც ხორციელდება ავტომატურად:

– თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების თანახმად, სტუდენტთათვის ადმინისტრაციული სასჯელის დადების შესახებ ბრძანების პროექტის დაწერა (იხ. ცხრილი №2);

– საფაკულტეტო მონაცემების მიღება ლექცია-სემინარებზე სტუდენტთა არასაპატიო მიზეზით გაცდენების შესახებ (იხ. ცხრილი №3);

იმისათვის, რომ გადავწყვიტოთ ეს ამოცანა, თითოეული სპეციალობის მიხედვით საჭიროა:

1) შეექმნათ მონაცემთა ბაზა, რომლის სტრუქტურა შედგება შემდეგი სახის ველებისაგან: სტუდენტის რიგითი ნომერი, გვარი, სახელი, სემესტრში შემავალი სასწავლო თვეების შესაბამისი კვირეები, ნაზარდი ჯამები, შენიშვნები, შენიშვნის სახეები (იხ. ცხრილი №1);

ცხრილი №1

	A	B	C	D	E	F	G	H	I	J	K	L	M	N	O	P	Q
14			ხ ე ქ ტ ე მ ბ ე რ ი														
15	№	სტუდენტის გვარი, სახელი	1 კვირა	ზეგანაკვეთი	2 კვირა	ჯამი	შენიშვნა	ზეგანაკვეთის ჯამი	3 კვირა	ნაზარდი ჯამი	შენიშვნა	ზეგანაკვეთის ჯამი	4 კვირა	ნაზარდი ჯამი	ზეგანაკვეთი	ზეგანაკვეთის ჯამი	1 კვირა
16	1	ანთაძე თეა	0	0	1	1	0	0	3	4	0	0	0	4	0	0	0
17	2	ბერიძე დათო	9	0	11	20	1	1	0	20	0	1	0	20	0	1	0
18	3	ვასაძე ტატა	10	0	3	13	0	0	5	18	0	0	2	20	1	1	1
19	4	თორდია ნიკა	0	0	2	2	0	0	15	18	0	0	2	20	1	1	1
20	5	კილაძე ანი	4	0	11	15	0	0	2	17	0	0	3	20	1	1	4
21	6	ლაბაძე ვახო	10	0	1	11	0	0	2	13	0	0	12	25	1	1	1
22	7	ლომაძე მარი	10	0	10	20	1	1	5	25	0	1	7	32	2	2	1
23	8	მელაძე ლადო	11	0	4	15	0	0	10	25	1	1	8	30	2	2	1
24	9	ნინიძე ხახა	15	0	15	30	2	2	9	39	0	2	1	40	3	3	

2) შევიტანოთ მასში შემდეგი სახის ინფორმაცია: სტუდენტის რიგითი ნომერი, გვარი, სახელი (იხ. ცხრილი №1);

3) სვეტში „1 კვირა“ შევიტანოთ სემესტრში შემავალი პირველი სასწავლო თვის პირველი კვირის მიხედვით სტუდენტის მიერ

არასაპატიოდ გაცდენილი საათების რაოდენობა (იხ. ცხრილი №1);

4) სვეტში „შენიშვნა1" აისახოს, თუ სტუდენტმა რა სახის შენიშვნა დაიმსახურა მიმდინარე პერიოდისათვის (საყვედური, სასტიკი საყვედური, გარიცხვა).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ზემოაღნიშნული ბრძანების თანახმად, სტუდენტს სემესტრის განმავლობაში 20-დან 29-ის ჩათვლით დაგროვილ არასაპატიო გაცდენაზე ეცხადება საყვედური, 30-დან 39-ის ჩათვლით დაგროვილ არასაპატიო გაცდენაზე – სასტიკი საყვედური, ხოლო თუ სტუდენტი სემესტრის განმავლობაში არასაპატიოდ გააცდენს 40 საათს და მეტს, ის ირიცხება უნივერსიტეტიდან.

შემოვიღოთ შემდეგი სახის შიფრები: საყვედური - 1, სასტიკი საყვედური - 2, გარიცხვა - 3.

გამოვიყენოთ ფორმულა: IF(C16>19;IF(C16<30:1;2);0) (იხ. ცხრილი №1)

5) დაიწეროს ბრძანების პროექტი ლექცია-სემინარების არასაპატიო მიზეზით გაცდენების გამო სტუდენტთათვის ადმინისტრაციული სასჯელის დადების თაობაზე. გამოვიყენოთ შემდეგი ფორმულები.

1) IF (O46>0; B46; " ")

2) CHOOSE (O46+1; " "; „საყვედური"; „სასტიკი საყვედური"; „გარიცხვა") (იხ. ცხრილი №2)

თვალსაჩინოებისათვის, ცხრილი №2 ასახავს სემესტრში შემავალი პირველი სასწავლო თვის მეოთხე კვირის ბოლოს, სტუდენტთაოვის დადებულ ადმინისტრაციულ სასჯელს (საყვედური, სასტიკი საყვედური, გარიცხვა).

6) სვეტში „2 კვირა" შეიტანოთ სემესტრში შემავალი პირველი სასწავლო თვის მეორე კვირის მიხედვით თითოეული სტუდენტის მიერ არასაპატიოდ გაცდენილი საათების რაოდენობა; (იხ. ცხრილი №1);

7) სვეტში „ჯამი 1" დავაჯამოთ სტუდენტის მიერ მოცემულ და წინა კვირებში ლექცია-სემინარების არასაპატიოდ გაცდენების რიცხვითი მაჩვენებლები. გამოვიყენოთ ფორმულა: SUM(C16;E16) (იხ. ცხრილი №1);

8) სვეტში „შენიშვნა2" აისახოს, თუ სტუდენტმა რა სახის შენიშვნა დაიმსახურა მოცემული მომენტისათვის. რისთვისაც უნდა გამოვიყენოთ

ფორმულა: IF((AND(D16=0; F16>19;F16<30));1;(IF(AND(D16=0;F16>29; F16<40);2;(IF(AND(D16=1;F16>29;F16<40);2;IF(AND(D16=0;F16>39);2;IF(AND (E16>0;F16>39);3;0))))))) (იხ. ცხრილი №1);

9) დაეწეროთ ბრძანების პროექტი ლექციათა-სემინარების არასაპატიო მიზეზით გაცდენების გამო სტუდენტთათვის ადმინისტრაციული სასჯელის დადების თაობაზე. გამოიყენოთ მე-5 პუნქტში მითითებული ფორმულები;

ცხრილი №2

ბრძანება	
ლექციათ-სემინარების	
არასაპატიო მიზეზით გაცდენების გამო დაედოთ	
ადმინისტრაციული სასჯელი	
შემდეგ სტუდენტებს:	
ვასაძე ტატა	საყვედური
ბორდია ნიკა	საყვედური
კილაძე ანი	საყვედური
ლაბაძე ვახო	საყვედური
ლომაძე მარი	სასტიკი საყვედური
შელაძე ლადო	სასტიკი საყვედური
ნინიძე ზაზა	გარიცხვა

10) სვეტში „შენიშვნის სახე“ აისახოს თუ რა სახის შენიშვნა მიიღო სტუდენტმა მოცემული პერიოდისათვის სემესტრის დასაწყისიდან. რისთვისაც გამოიყენოთ ფორმულა: IF(G16> D16;G16;D16) (იხ. ცხრილი №1);

11) გაიმეოროთ მე-6, მე-7, მე-8, მე-9, მე-10 პუნქტებში მოცემული მითითებები სემესტრში შემავალი სასწავლო თვეების დანარჩენი სასწავლო კვირეების მიხედვით, იმ განსხვავებით, რომ მე-8 პუნქტში მითითებული ფორმულის ნაცვლად გამოიყენოთ ფორმულა IF ((AND (H16=0;J16>19;J16<30));1;(IF (AND(H16=0;J16>29;J16<40);2;(IF (AND(H16=1;J16>29;J16<40);2;IF(AND(H16=0;J16>39);2;(IF(AND(I16>0;

J16>39);3;0)))))) (იხ. ცხრილი №1);

12) აისახოს სპეციალობების მიხედვით ფაკულტეტზე ლექცია-სემინარების სტუდენტთა მიერ არასაპატიო მიზეზით გაცდენების მხრივ არსებული მდგომარეობა (იხ. ცხრილი №3);

მოცემული ნაშრომის უნივერსიტეტში დანერგვა საგრძნობლად გააუმჯობესებს სტუდენტთა ლექცია-სემინარებზე დასწრების აღრიცხვასთან დაკავშირებულ საქმიანობას.

აღნიშნული ნაშრომი იმდენად ავტომატიზებულია, რომ პიროვნება, რომელსაც დაეევალება ლექცია-სემინარებზე სტუდენტთა დასწრების აღრიცხვა პერსონალური კომპიუტერის გამოყენებით, არ საჭიროებს ელექტრონული ცხრილის (Excel) ღრმა ცოდნას.

ცხრილი №3

	ფაკულტეტი:							
	მენეჯმენტის და მიკროეკონომიკის							
ჯგუფის №	სპეციალობის დასახელება	I დონე	II დონე	ჯამი	III დონე	ნახევარ ჯამი	IV დონე	ნახევარ ჯამი
033	ეკონომიკური თეორიებიდან და მართვის საერთაშორისო სისტემები	116	141	257	152	409	43	452
037	ხიდრული ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაციის და მართვა	97	123	220	103	323	103	426
039	სახელმწიფო და მუნიციპალური მართვა	78	85	163	82	245	103	348
	ჯამი ბაკალავრების რაოდენობა	291	349	640	337	977	249	1226

ლიტერატურა

1. გოგინაიშვილი ვ., ქახიძე შ., სტუდენტთა აკადემიური მოსწრების აღრიცხვის ავტომატიზაცია, სამეცნიერო ნაშრომთა კრებული

ეკონომიკის აქტუალური საკითხები, XVII გამოშვება, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2001
2. გოჯიაშვილი ჯ., რაზმაძე ს., Microsoft Excel 97, პრაქტიკული სახელმძღვანელო, თბ., 1998
3. ეკონომიკური ინფორმატიკა მ. მაღრაძის რედაქციით, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1997
4. მაღრაძე მ., სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ინფორმატიზაცია (თეორია და პრაქტიკა), თბ., 2000
5. ძნელაძე შ., ცერცვაძე მ., Microsoft Excel 2000, თანამედროვე ელექტრონული ცხრილი, თბ., 2001
6. Столярова А., Столярова Е., Excel, 1997

ლ. ზაალიშვილი

კონცესიები როგორც სარკინიგზო ტრანსპორტის ეკონომიკის გაჯანსაღების საშუალება

რამდენიმე განვითარებული ქვეყნის მთავრობა თუ იქნება კმაყოფილი ბოლო წლების იმ მაჩვენებლებით, რომლებშიც სარკინიგზო ტრანსპორტის მოქმედების შედეგები აისახება. სტაგნაცია ან უარეს შემთხვევაში გადასაზიდი ტვირთების მოცულობის შემცირება, მნიშვნელოვანი ფინანსური დანაკარგები, მომხმარებლის მომსახურების დაბალი დონე - ჩვეულებრივი და დამახასიათებელი მაჩვენებელია ბევრი ქვეყნისათვის.

ქვეყნების მთავრობები ეძებენ სხვადასხვა გზებს სარკინიგზო სისტემის ნორმალურად მართვისა და ფუნქციონერებისათვის. ხელისუფლება ეფექტიანობის ამაღლების მიზნით და ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებიდან გამომდინარე მეტნაკლებად ახორციელებს თავის დაქვემდებარებაში მყოფი სატრანსპორტო სისტემების რესტრუქტურიზაციას. ფორმები მრავალგვარია,

საორგანიზაციო ფორმების ცვლილებიდან დაწყებული მომსახურე პერსონალის შემცირებით დამთავრებული. სარკინიგზო ტრანსპორტსე კერძო სექტორის გავლენის გაძლიერების ერთ-ერთი მეთოდია კონცესირება. დღესდღეობით რესტრუქტურიზირებული სარკინიგზო ხაზების უმეტესობა არაპირდაპირი მნიშვნელობით - კერძო საკუთრებაა. უმეტეს შემთხვევაში ისინი გადაცემულნი არიან კონცესიით კერძო სექტორზე, რომელიც პასუხისმგებელია ინფრასტრუქტურაზე, მოძრავ შემადგენლობაზე და სხვა მანქანა-დანადგარებზე, რომლებიც საჭიროა რკინიგზის ნორმალური ექსპლუატაციისათვის. მთავრობა რჩება მფლობელად და ინარჩუნებს იმის უფლებას, რომ მომავალშიც ნახოს ახალი კონცესიონერი. აღსანიშნავია ისიც, რომ კონცესიის ვარიანტები არ მოქმედებს ახალი მშენებლობის დაწყებაზე.

კონცესირების წესი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია აპრობირებული და დღემდე კარგად მუშაობს. ამ ფორმას მრავალი სხვადასხვა სახე აქვს. მაგალითად, ინფრასტრუქტურის გამოყენებაზე მოლაპარაკება ხდება ყოველ სამ წელიწადში შემოსავლის დონის მიხედვით; მოძრავი შემადგენლობის იჯარაზეც ცალკე მოლაპარაკება იმართება, აგრეთვე ხდება მოლაპარაკება გრძელვადიანი ვალდებულებების მომსახურებაზეც ორ ეროვნულ კორპორაციას შორის.

ამ და სხვა გადახდების ხარჯზე სახელმწიფომ უნდა შექმნას ინვესტირებისა და მოდერნიზაციის ფონდი, რომელიც ეროვნულ კომპანიას საშუალებას მისცემს განაახლოს მოძველებული მანქანა-დანადგარები და აპარატურა. კონცესირების წესი უკეთესია იმითაც, რომ სახელმწიფო არ კარგავს კონტროლს ქვეყნის ერთ-ერთ სტრატეგიულ ობიექტზე და ხელს უწყობს მის აღორძინება-განვითარებას. ქვეყანაში არსებული კომერციული სტრუქტურა ანუ კომპანია-კონცესიონერი ნახულობს გარკვეულ შემოსავალს რკინიგზის გამართული მუშაობის შედეგად, ეს უკანასკნელი ორმაგად არის დაინტერესებული იმ პერიოდში რკინიგზამ იმუშაოს გამართულად და რაციონალურად რაც შეიძლება ნაკლები დანახარჯებით. მაგალითად, სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთ ქვეყანაში ეროვნული

რკინიგზა წლების განმავლობაში იყო წამგებიანი და სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად მოითხოვდა დოტაციას 600-700 მილიონის ფარგლებში. კონცესიის წესით მისი გადაცემის შედეგად ორ წელიწადში მოხდა რეორგანიზაცია და რესტრუქტურიზაცია, რის შედეგადაც ეროვნული რკინიგზა გახდა მომგებიანი და ბიუჯეტმა მიიღო 200 მლნ დოლარი.

კონცესიურ შეთანხმებებს ახასიათებთ არსებითი დისკუსიური მომენტი. უმეტესობა სარკინიგზო მაგისტრალებისა ამ წესით გადაცემულია ექსკლუზიური უფლებებით და იმ შესაძლებლობებით, რომ ხელმისაწვდომი იყოს მეზობელ სარკინიგზო ხაზებთან ურთიერთობა. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ შექმნას ჯანსაღი კონკურენციული გარემო მსხვილ სატრანსპორტო ბაზარზე ან შესრულდეს ერთმანეთში არაკონკურენტული გადაზიდვები. ჩვენს ქვეყანაში, მართალია, კონცესიების წესით არ მოხდა რკინიგზის გადაცემა, მაგრამ კარგი მენეჯმენტის წყალობით და სახელმწიფოს ნებით საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტი გამართულად მუშაობს.

საქართველოში საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული რკინიგზას ეჭირა მნიშვნელოვანი როლი მთელი სატრანსპორტო დარგის ინფრასტრუქტურაში. ტრანსპორტის ეს სახეობა იყო ყველაზე ეფექტიანი ტვირთების გადაზიდვასა და მგზავრთა გადაყვანაში. მთელ ქვეყანაში სარკინიგზო ტრანსპორტი ითვლებოდა ეკონომიკურად რენტაბელური ტრანსპორტის სახეობად. მას ყველაზე დიდი პერსპექტივა ჰქონდა საერთაშორისო სატრანსპორტო სისტემაში ინტეგრირებისათვის.

როგორც ცნობილია, 1992-93 წლის მოვლენებმა საქართველოში მძიმე დაღი დაასვა ქვეყნის ეკონომიკას, განსაკუთრებით კი რკინიგზას. აფხაზეთის დაკარგვის შემდეგ საქართველოს რკინიგზა ფაქტობრივად ჩიხში მოექცა. ევროპისაკენ მიმავალი მთავარი მაგისტრალი მოჭრილია. დარგმა განიცადა დიდი მატერიალური სარალი, მარტო 1998 წლის მონაცემებით საქართველოს რკინიგზას გადაჰქონდა 60 მილიონამდე ტონა სხვადასხვა ტვირთები და გადაჰყავდა 19,4 მლნ მგზავრი. დღესდღეობით კი 11,5 მლნ ტონა სხვადასხვა ტვირთი და 2,2 მლნ მგზავრი. ამ მონაცემებით ნათლად ჩანს, თუ რა სტაგნაცია განიცადა

საქართველოს რკინიგზამ.

კრიზისიდან გამოსვლის საშუალებაა რკინიგზის კონცესიის წესით გადაცემა სახელმწიფოდან კერძო სექტორზე. ამ პროცესებში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება მსოფლიო ბანკს, რომელიც მხარს უჭერს კონცესირების პროცესს იმ შემთხვევაში, როდესაც შემოთავაზებული პირობები უწევენ ფინანსურ დახმარებას:

ასალ მშენებლობას, თუ კონცესირების პოლიტიკის მიღწევა დამოკიდებული იქნება ინფრასტრუქტურის განახლებაზე; სარკინიგზო მაგისტრალის ტექნიკური საშუალებების რემონტი ან მოდერნიზაცია, რომელიც სისტემას მიიყვანს დამაკმაყოფილებელ მდგომარეობამდე, აგრეთვე თუ განახორციელებენ გარემო პირობების გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს;

კადრების პროფესიული გადამზადების სქემების შექმნა, პერსონალის გამოთავისუფლება ან ვადამდე მოხსნა გამოშვება პენსიაზე;

ტექნიკური დახმარება კონცესიის მარკეტინგის პროცესების ჩამოყალიბებაში.

ყველა ქვეყანაში არის თავისებური მეთოდი და მიდგომა კონცესირების პოლიტიკისადმი, აგრეთვე შესაძლებელი შედეგის შეფასებისადმი, მაგრამ შესაძლოა გამოვყოთ რამდენიმე საერთო მომენტი.

რესტრუქტურიზაცია და მნიშვნელოვანი კაპიტალდაბანდებები კონცესირების პროცესის მომზადებასთან დაკავშირებით უზრუნველყოფენ ამ ფორმის წარმატებას. თუ კონცესირების პირობები მისაღებია, მაშინ გამოვლინდება დიდი ინტერესი მრავალი კერძო კომპანიის მიერ. ის შეიძლება იყოს პოზიტიური, როდესაც კონცესიონერი უხდის მთავრობას შეთანხმებულ თანხას კონცესიის უფლებაზე ან ნეგატიური, როდესაც მთავრობა უხდის კონცესიის მფლობელს საკუთრების ექსპლოატაციისა და ტექნიკური უზრუნველყოფის დროს ზარალიანობის შემთხვევაში, თუ იგი სოციალურად აუცილებელი მომსახურების სფეროში ხდება (მაგალითად მგზავრთა გადაყვანა, საგანგებო მდგომარეობა და სხვა);

კონცესიონერებმა შეიძლება მიაღწიონ იმ შედეგებს, რასაც მათგან ელოდებიან: ტვირთბრუნვის მოცულობის ზრდას, სატრანს-

პორტო მომსახურების დონის ამაღლებას და გადასიდეების ეკონომიკურ ეფექტიანობას, თუ მათ მიეცემათ საშუალება აკეთონ ის, რასაც ჩათელიან საჭიროდ.

კონცესირების პროცესი მარტივი არაა. მთავრობამ პირველ რიგში უნდა მოახერხოს არსებული ქსელის მდგომარეობის გაანალიზება, საკუთარი მიზნები და კონცესიაში თავისი პოტენციური დაინტერესება. პროცესი ძალიან რთულია, დაკავშირებულია გარკვეულ რისკთან, მაგრამ მის შედეგად, როგორც სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებამ გვიჩვენა, შეიძლება მოხდეს მწარმოებლურობის ამაღლება და ეკონომიკური მაჩვენებლების მკვეთრი გაუმჯობესება.

კონცესირების პროცესს რკინიგზის ტრანსპორტი შეჰყავს საბაზრო პირობებში. იცვლება ორგანიზაციულ-მმართველობითი ფორმა, იქმნება ახალი გარემო, სადაც ხარჯების შემცირება რკინიგზას აძლევს შესაძლებლობას კვლავ ითამაშოს მთავარი როლი ქვეყნის სატრანსპორტო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საქმეში. კონცესირებას მოაქვს სასურველი შედეგი და ხშირად ცალსახად ითვლება კრიზისის დაძლევის ერთ-ერთ ოპტიმალურ ვარიანტად, რაც ჩვენი ქვეყნისთვის გასათვალისწინებელია.

დოც. რ. ბერიძე

საერთო დანიშნულების ავიაციის და ბიზნეს-გადაზიდვების სახელმწიფო რეგულირების ზოგიერთი პრობლემა

უდიდესი წიაღვალი აქვს საერთო დანიშნულების ავიაციის (ICAO-ს განმარტებით - ყველა არაკომერციული გადაზიდვა სამოქალაქო ავიაციაში) აღმავლობას. ადრე თუ გვიან ის გადაიქცევა ქვეყნის სატრანსპორტო სისტემის სერიოზულ შემადგენელ ნაწილად. მნიშვნელოვანი გახდება ისე, როგორც კერძო და სამსახურებრივი

საავტომობილო ტრანსპორტი.

მსოფლიოში ბიზნეს-კლასის თვითმფრინავების ექსპლოატაციით დაკავებული ავიაკომპანიები აღმავლობის პერიოდს განიცდიან. არსებობს რთული ეკონომიკური და საექსპლოატაციო პრობლემები, რომლებიც შორეულ მომავალში ბიზნეს-ავიაციის განვითარებას საფრთხეს უქმნიან. პირველ რიგში ბიზნეს-ავიაციის განვითარებაზე ძლიერ ზემოქმედებას ახდენს ეკონომიკური კრიზისები. პროგნოზის მიხედვით ჩრდილოეთ ამერიკასა და დასავლეთ ევროპაში არსებული ეკონომიკური ზრდის ტემპების პირობებში მომავალ ათწლეულშიც შენარჩუნდება ბიზნეს-გადაზიდვების აღმავლობის ტემპი. ხოლო აზიის რეგიონმა, რომელმაც ფინანსური კრიზისი განიცადა და ახლა ხდება ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, შესაძლებელია გამოიწვიოს ბიზნეს-ავიაციის განვითარების გააქტიურება.

ამერიკული კომპანია „ელაიდსიგნალ აეროსპეის"-ის (Auiedsignai Aerospace) მიერ ჩატარებული გამოკითხვის მონაცემებით, უახლოესი ათი წლის განმავლობაში შეიძლება გაიყიდოს 89 მილიარდი დოლარი საერთო ღირებულების 6800 ადმინისტრაციული დანიშნულების ახალი თვითმფრინავი.

საერთო დანიშნულების ავიაციასა და ბიზნეს-გადაზიდვებზე მზარდმა მოთხოვნამ როგორც აშშ-ში, ასევე ევროპაში გამოიწვია ამ კლასის თვითმფრინავების წარმოების ზრდა. მაგალითად, კომპანია „ცესანა ეირკრაფტ"-ი (Cessana Aircraft) ზრდის ადმინისტრაციული დანიშნულების „სიტეიშნ" ტიპის რეაქტიული თვითმფრინავების გამოშვებას და აგრეთვე აპირებს ახალი მოდელის CJ2, ფართო ტვეადობის სალონის მქონე „სოვერინ"-ის და საშუალო სიდიდის სალონის მქონე „ეკსელ"-ის გამოშვებას. კომპანია „რეიტეონ ერკრაფტ"-ს (Rautheon Airkraft) დასახული აქვს რეაქტიული თვითმფრინავების "პრემიერ I"-ის და „ხოუკერ ხორიზონ"-ის გამოშვების გაზრდა. ბაზარზე ადგილისათვის იბრძვიან კომპანიები „გალფსტრიმ" (Gulfstream) და "ბომბარდე" (Bombardier), რომლებიც აწარმოებენ დიდი ზომის და ფრენის სიშორის მქონე ადმინისტრაციულ თვითმფრინავებს. დიდი რაოდენობით იყიდება კომპანია „დასო ავიეიშნ ფალკონ ჯეტ"-ის

(Dassault Aviation Falkon Jet) თვითმფრინავები - „ფალკონ 50", "ფალკონ 900 EX" და „ფალკონ 2000".

ჩრდილოეთ ამერიკაში ბიზნეს-გადაზიდვებზე მოთხოვნილების ზრდა კარგ გაელენას ახდენს შვეულმფრენების მწარმოებლებზეც. როგორიცაა: „ამერიკენ ეეროკოპტერ" (Amerikan Eurosopter), „ბელ ჰელიკოპტერ ტექსტრონ" (Bell Helicopter Textron), „რობინსონ" (Robinson), „შვეიცერ" (Schweizer) და სხვა.

ადმინისტრაციული თვითფრინავების მნიშვნელოვანი რაოდენობის ექსპლოატაცია ხდება წილობრივი მონაწილეობის უფლებით, რამაც ბოლო წლებში ხელი შეუწყო ამ სახის გადაზიდვების სწრაფ. წილობრივი მონაწილეობის პროგრამის გამოყენებამ კომპანიებს საშუალება მისცა ისარგებლონ ამ აეიატრანსპორტის ყველა უპირატესობით.

რა თქმა უნდა, საერთო დანიშნულების აეიაცია და ბიზნეს-გადაზიდვები ინდუსტრიულ ქვეყნებში განიცდიან შხარდ ადმაყლოობას. მაგრამ არსებობს რიგი პრობლემებისა, როგორიცაა - ბიზნეს კლასის თვითმფრინაეების მიღებისათვის ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება, საჰაერო სივრცის გადატვირთვა, კვალიფიციური მფრინავების რიცხვის შემცირება და ა.შ., რომლებიც საფრთხეს უქმნიან მის შემდგომ განვითარებას, თუ ერთობლივი ძალისხმევით აეიაკომპანიები და FAA (ფედერალური საავიაციო ადმინისტრაცია) არ მიიღებენ ეფექტიან ღონისძიებებს.

ბიზნეს-გადაზიდვებმა აქტიურად დაიწყო განვითარება ბივსტ-საბჭოური სივრცის ქვეყნებში. არსებობს არა მარტო ექსპლოატანტები ან ბიზნეს-გადაზიდვების მომსახურე ფირმები, არამედ მისი შეფასების ცენტრები. ბიზნეს-გადაზიდვების ასოციაციაში გაერთიანებული არიან რუსეთის, ლატვიის, ყაზახეთის და აზერბაიჯანის კომპანიები. ისინი ასოციაციის ფარგლებში დსთ-ის და ბალტიის სივრცეში ბიზნეს-გადაზიდვების მიზნით ახორციელებენ ერთობლივ ინიციატივებს.

აღნიშნული პროცესები შეეხო საქართველოსაც. აეიაკომპანია „საქართველოს აეიახაზებს" ახლო მომავალში აპირებს სამგზავრო „ЯК-40" ტიპის თვითმფრინაეების ბიზნეს კლასის ვარიანტად

გადაკეთებას. ქ. ბათუმში დაიწყეს ამერიკული „Business-Jet"-ის ტიპის 6 ადგილიანი თვითმფრინავების და მსუბუქი ვარიანტის ორადგილიანი შვეულმფრენების აწყობა, ხოლო ქ. თბილისში საავიაციო ქარხნის მიერ ბიზნეს კლასის თვითმფრინავების (ЯК-ის ბაზაზე) წარმოების პროექტის განხორციელება, სხვადასხვა პრობლემების გამო, დროებით შეჩერებულია.

ჩვენ ქვეყანაში საერთო დანიშნულების ავიაციამ ისე რომ დაიწყოს განვითარება, როგორც ის განვითარებულ ქვეყნებშია, სადაც ის ეროვნული ეკონომიკის ერთ-ერთი შემადგენელი სექტორია, საჭიროა სახელმწიფო მარეგულირებელ ორგანიებში ამ დარგის ინტერესების ყართოდ წარმოჩენა და სხვადასხვა ქვეყნების თვითმფრინავების მფლობელთა და პილოტთა ასოციაციასა (AIRCRAFT OWNERES & PILOTS ASSO-CIATION)- „AOPA" და ბიზნეს-ავიაციის ცენტრებთან კავშირი.

საქართველოში საერთო დანიშნულების ავიაციის და ბიზნეს-გადაზიდვების სახელმწიფო რეგულირების ტრადიცია არ არსებობს. ახალი წესების შემუშავება სხვადასხვა მიზეზების გამო, აწყდება გარკვეულ წინააღმდეგობებს, რადგანაც საჰაერო ტრანსპორტის მარეგულირებელ ორგანოს არ გააჩნია რეგულირების საბაზო კონცეფცია. საავიაციო ტრანსპორტის განსაკუთრებული მნიშვნელობის, ფრენის უსაფრთხოების მკაცრი კონტროლის წარმოჩინების და სხვადასხვა პრობლემების გამო, იკარგება სახელმწიფო რეგულირების ფუნქციის სოციალურ-ეკონომიკური აზრი.

საზოგადოება რთული სოციალური ორგანიზმია, რომელიც ჰაერს იყენებს როგორც სატრანსპორტო გარემოს. საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე, ამ გარემოს უსაფრთხო გამოყენების უზრუნველყოფისათვის. სახელმწიფო რეგულირების ორგანო იმყოფება საზოგადოებასა და სატრანსპორტო გარემოს შორის. ამიტომაც საზოგადოებასა და სატრანსპორტო გარემოს შორის სახელმწიფოს ჩარევის ძირითადი პრინციპები და მეთოდები ატარებს სოციალურ-ეკონომიკურ და არა ტექნიკურ ხასიათს.

სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანო საწარმოს სერტიფიკაციის-
რების საშუალებით მუდმივად აკონტროლებს ავიატრანსპორტის
ექსპლოატაციის ყველა ეტაპს. თუ ავიაკომპანიებს შორის
გადაჭარბებულმა კონკურენციამ შეიძლება გამოიწვიოს ფრენის
უსაფრთხოების სტანდარტების შემცირება, მაშინ სახელმწიფო
მარეგულირებელი ორგანო ავიაკომპანიების საბაზრო ურთიერთობებში
ერევა ლიცენზირების საშუალებით. ასევე ის ახდენს ინფრასტრუქტუ-
რის ობიექტების: ტერმინალების, საწვავის, ნავიგაციის და მოძრაობის
რეგულირების საშუალებების სერთიფიცირებას. ეს პრინციპები
თითქმის იდეალურადაა შემუშავებული განვითარებულ ქვეყნებში
და გამოიყენება საგარეო ტრანსპორტზე.

დაუშვებელია საზოგადოებრივი საჰაერო ტრანსპორტის
რეგულირების წესების საჰაერო დანიშნულების ავიაციაზე მექანიკურად
გადატანა. ეს გამოიხატება საჰაერო ხომალდის ექსპლოატანტის სერთი-
ფიცირების პრინციპების კერძო და კორპორაციულ მფლობელობებზე
გავრცელების მცდელობაში, რომელიც ჩვეულებრივ გამოიყენება
მხოლოდ საზოგადოებრივი ავიატრანსპორტის სფეროში. ალბათ ეს
ხდება შეგნებულად, რადგანაც არსებობს მცდარი აზრი, რომ საერთო
დანიშნულების ავიაცია საზოგადოების მდიდარი ფენების გართობის
სფეროა და ამიტომაც სახელმწიფომ ის მკაცრად უნდა გააკონტროლოს
და დამატებით დაბეგროს. ყოველივე ამის შედეგი იქნება ის, რომ
საერთო დანიშნულების ავიაციის ბევრი ერთეული არ გაიელის ამ
პროცედურას და დარჩება სამოქალაქო ავიაციის საპარალელო
სისტემის გარეთ. ამ მომენტმა გარკვეული ასახვა უნდა ჰპოვოს
ქვეყნის საჰაერო ტრანსპორტის კოდექსში.

საერთო დანიშნულების ავიაციის სერთიფიცირება საჭიროა
იმ შემთხვევისათვის, თუ თვითმფრინავი გამოიყენება კომერციული
მიზნებისათვის, აეროტაქსის სახით, საავიაციო სამუშაოებისათვის,
ე.ი. იმათთვის ვინც საერთო დანიშნულების ავიაციიდან გადადის
კომერციულ ავიაციაში. ამიტომაც სახელმწიფო მარეგულირებელმა
ორგანომ ზუსტად უნდა განსაზღვროს, რა იგულისხმება ბიზნეს-
გადაზიდვების, კორპორაციული და კერძო ავიაციის გაგებაში.

შემდგომი ლიცენზირება საჭირო იქნება იმ კონკრეტული შემთხვევისათვის, როგორც ფრენის და მომსახურების კონტროლის დამატებითი მეთოდი.

მსოფლიოში საერთო დანიშნულების ავიაცია იყენებს ICAO-ს მიერ დადგენილ საბაზო წესებს, რომელიც კონტროლის უნიფორსალური საშუალებაა. თვითმფრინავს, რომელიც სარეგისტრაციო ნომერს იყენებს როგორც პაროლს, უნდა ჰქონდეს საჰაერო ხომალდის რეგისტრაციის მოწმობა, ეკიპაჟის ფრენის მოწმობა, დაზღვევა მე-3 პირების მიმართ და ხმაურის მიხედვით შესაბამისი დაშვება. ხოლო თვითმფრინავს, რომელსაც რეისის ნომერი აქვს, ზემოთ ჩამოთვლილი პირობების გარდა, უნდა ჰქონდეს ექსპლოატანტის მოწმობა.

აღნიშნულ საკითხებში საჭიროა სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოს მონოპოლიური ფუნქციის გარკვეული გამიჯვნა, რადგან არ მოხდეს ყველა შემთხვევისათვის ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით სერთიფიცირება და ლიცენზირება, ამ მომსახურებაზე ფასების გაზრდა. შემოსული თანხების უმეტესი ნაწილი ბრუნდება სახელმწიფო ბიუჯეტში. უფრო ძისაღები იქნება, თუ მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანოს ბიუჯეტი დამოკიდებული იქნება დარგის განვითარებაზე, მაგალითად, ავიაკომპანიის მიერ გაყიდული ბილეთების და საერთო დანიშნულების ავიაციაში გამოყენებული საწვავის რაოდენობაზე. ამ შემთხვევისათვის ფრენის უსაფრთხოების წესები უნდა აღიქმებოდეს საჰაერო ტრანსპორტის განვითარების ძირითად ფაქტორად.

ის დონე, რომელსაც მიაღწია აშშ-ის სამოქალაქო ავიაციამ, ბევრადაა განსაზღვრული ფედერალური საავიაციო სააგენტოს (FAA) მხრივ ავიაკომპანიების და საერთო დანიშნულების ავიაციისადმი ზემოთ აღნიშნული ფინანსური დამოკიდებულებით. საჭიროა საჰაერო ტრანსპორტის რეგულირების ისეთი საფუძვლების შექმნა, რომელიც პასუხობს დარგის განვითარების ობიექტურ პირობებს და მსოფლიო გამოცდილებას.

საერთო დანიშნულების ავიაციის განვითარებას მძლავრი ბიძგი შეიძლება მისცეს ფრენის დაბალ სიმაღლეზე, ქვედა ეშელონის

დაბლა „არაკონტროლირებადი საჰაერო სივრცის შემოღებაშ". ავიაციის მოყვარულთა და კორპორაციული სექტორის განვითარების პირობებში, საჰაერო მოძრაობის მართვასთან ყოველი გაფრენის შეთანხმება დაკავშირებულია გარკვეულ წინააღმდეგობებთან და დამატებით ხარჯებთან. ტერმინი "არაკონტროლირებადი" აღნიშნავს ფრენის უსაფრთხოებისადმი საჰაერო მოძრაობის მართვის პირველადი პასუხისმგებლობის არსებობას და არა თვითმფრინავების გადაადგილების კონტროლის უქონლობას.

საერთო დანიშნულების ავიაციისათვის ინფრასტრუქტურის განვითარებასთან, როგორიცაა: აეროდრომების ქსელი, ავიასაწვავი, ტექნიკური მომსახურების ქსელი და სხვა დაკავშირებული მრავალრიცხოვანი პრობლემა შეიძლება გადაწყდეს ამ დარგის გადახდისუნარიანი მოთხოვნილების ზრდასთან ერთად.

ბიზნეს-გადაზიდვების შემდგომი განვითარების ერთ-ერთი განმსაზღვრელი წინაპირობაა შესაბამისი ტერმინალების არსებობა, რომლის მთავარი დანიშნულებაა თვითმფრინავის მესაკუთრის ან დამკვეთის მაღალ დონეზე მომსახურება. დასავლეთში ბიზნეს-ავიაციის ყოველ ტერმინალს. თვითმფრინავის შენახვისა და ტექნიკური მომსახურებისათვის აქვს საკუთარი ანგარი. ჩვენს პირობებში ასეთი ტერმინალის გარკვეული ფუნქცია შეიძლება შეასრულოს "ძალზე მნიშვნელოვანი პერსონის" (VIP) მომსახურების უზრუნველყოფის სისტემამ.

ამ დარგის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია აგრეთვე თვითმფრინავების და სათადარიგო ნაწილების იმპორტის დროს მოქნილი საბაჟო პოლიტიკის გამოყენება. სასარგებლო იქნება ამ სფეროში საერთაშორისო გამოცდილების გამოყენება და ანალიზი. ასევე უდიდესი ყურადღება უნდა დაეთმოს მფრინავთა კადრების მომზადებას. (ქ. ბათუმში მოქმედება დაიწყო საავიაციო სასწავლებელმა, რომელიც მფრინავთა კადრებს მოამზადებს).

ბიზნეს-გადაზიდვების პერსპექტიული მიმართულება შეიძლება გახდეს საჰაერო ტაქსების არსებობა, რომელიც უფრო მიმზიდველი გახდება შვეულმფრენების გამოყენების პროგრამის განხორციელებით.

დოც. ლ. ძოძიაური

საინვესტიციო კლიმატი საქართველოში: პრობლემები და შედეგები

ინვესტიციების რაციონალურად გამოყენების პირობების ანალიზისთვის ეკონომიკურ ლიტერატურასა და პრაქტიკაში, იყენებენ საინვესტიციო კლიმატის კატეგორიას. ესაა იმ სოციალური, ეკონომიკური, ორგანიზაციული, სამართლებრივი, პოლიტიკური და სოციალურ-კულტურული წანამძღვრების ერთობლიობის განსაზღვრული დახასიათება, რომლებიც განსაზღვრავენ ამა თუ იმ სისტემაში (ქვეყნის, რეგიონის, კორპორაციის ეკონომიკა) ინვესტირების მიმზიდველობასა და მისანშეწონილობას (ეკონომიკურ პუბლიკაციებში საინვესტიციო კლიმატს და საინვესტიციო მიმზიდველობას არც თუ იშვიათად სინონიმებად იყენებენ).

ეკონომისტთა უმრავლესობა ერთნაირად განმარტავს ამ ცნების შინაარს, მაგრამ მისი სტრუქტურის და შეფასების მეთოდიკების დაკონკრეტების დროს მეცნიერთა აზრები არსებითად განსხვავებულია. შეიძლება გამოვყოთ საინვესტიციო კლიმატის შეფასებისადმი სამი ყველაზე უფრო დამახასიათებელი მიდგომა.

პირველი – შეეიწროებული. იგი ეყრდნობა შემდეგი მაჩვენებლების შეფასებას: მთლიანი შიდა პროდუქტის, ეროვნული შემოსავლისა და სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობათა დინამიკა; ეროვნული შემოსავლის განაწილების, დაგროვებისა და მოხმარების პროპორციების დინამიკა; საპრივატიზაციო პროცესების მიმდინარეობა; საინვესტიციო საქმიანობის საკანონმდებლო რეგულირების მდგომარეობა; ცალკეული საინვესტიციო (მათ შორის საფონდო და ფულის) ბაზრების განვითარება.

მეორე – გაფართოებული, ფაქტორული. იგი ეყრდნობა საინვესტიციო კლიმატის მოქმედი ფაქტორების კომპლექსის შეფასებას. მათ შორისაა:

- ეკონომიკური პოტენციალის დახასიათება (რეგიონის უსრულყოფა რესურსებით, ბიოკლიმატური პოტენციალი, თავისუფალი

მიწის არსებობა საწარმოო ინვესტირებისთვის, ენერგიო- და მრეწველობა-რესურსების უსრულფასოვნების დონე, სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის და ინფრასტრუქტურის განვითარება);

- მეურნეობრიობის ზოგადი პირობები (ეკოლოგიური უსაფრთხოება, მატერიალური წარმოების დარგების განვითარება, დაუმთავრებელი მშენებლობების მოცულობები, ძირითადი საწარმოო ფონდების ცვეთის ხარისხი, სამშენებლო ბაზის განვითარება);

- რეგიონში საბაზრო გარემოს სიმწიფე (საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარება, პრივატიზაციის გაელვენა საინვესტიციო აქტივობაზე, ინფლაცია და მისი გაელვენა საინვესტიციო საქმიანობაზე, საინვესტიციო პროცესში მოსახლეობის ნაბიჯის დონე, მეწარმეობის კონკურენტული გარემოს განვითარება, ფასიანი ქაღალდების ადგილობრივი ბაზრის ტევადობა, მეურნეობათაშორისი კავშირების ინტენსივობა, საექსპორტო შესაძლებლობები, საზღვარგარეთული კაპიტალის არსებობა);

- პოლიტიკური ფაქტორები (რეგიონის ხელისუფლებისადმი მოსახლეობის ნდობის ხარისხი, ფედერალური ცენტრისა და რეგიონული ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულება, სოციალური სტაბილურობის დონე, ეროვნულ-რელიგიურ ურთიერთობათა მდგომარეობა);

სოციალური და სოციალურ-კულტურული ფაქტორები (მოსახლეობის ცხოვრების დონე, საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები, სამედიცინო მომსახურების განვითარება, ალკოჰოლიზმი და ნარკომანიის გავრცელება, დანაშაულობათა დონე, რეალური ხელფასის სიდიდე, მიგრაციის გაელვენა საინვესტიციო პროცესზე, მოსახლეობის დამოკიდებულება ადგილობრივი და უცხოელი მეწარმეების მიმართ, საზღვარგარეთელი სპეციალისტებისთვის მუშაობის პირობები);

- ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფაქტორები (ხელისუფლების დამოკიდებულება საზღვარგარეთელ ინვესტორებისადმი, ხელისუფლების ორგანოების მიერ კანონმდებლობის დაცვა, ოპერატიულობის დონე საწარმოების რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ადგილობრივი

ადმინისტრაციის პროფესიონალიზმის დონე, სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის ეფექტიანობა, საქონლის, კაპიტალისა და სამუშაო ძალის გადაადგილების პირობები, ადგილობრივ მეწარმეთა საქმიანი თვისებები და ეთიკა);

- ფინანსური ფაქტორები (ბიუჯეტის შემოსაელები, აგრეთვე, არასაბიუჯეტო ფონდების სახსრებით უზრუნველყოფა მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით, ფედერალური და რეგიონული ბიუჯეტებიდან ფინანსური რესურსების მიღების ხელმისაწვდომობა, უცხოური ვალუტით კრედიტის მიღების ხელმისაწვდომობა, საბანკო პროცენტის დონე, ბანკთაშორისი თანამშრომლობის განვითარება, ბანკების კრედიტები 1000 სულ მოსახლეზე, წამგებიან საწარმოთა ხვედრითი წონა).

საინვესტიციო კლიმატის შეფასებისადმი მრავალფაქტორული მიდგომის განმასხვავებელ თავისებურებად გვეველინება: საინვესტიციო კლიმატისა და საინვესტიციო რისკის კატეგორიათა დაპირისპირებულობა; საინვესტიციო და სამეწარმეო კლიმატის ცნებათა განსხვავება; საინვესტიციო კლიმატის კავშირი ეკონომიკის რეალურ სექტორში განხორციელებულ ინვესტიციებთან; ქვეყნის (რეგიონის) საინვესტიციო კლიმატის ობიექტური ხასიათის და ცალკეული ინვესტორების ნებისგან მისი დამოუკიდებლობის განსაკუთრებულად ხაზგასმა; საინვესტიციო კლიმატის კავშირი ძირითად კაპიტალში შესრულებულ ინვესტიციებთან; მოცემული მიდგომის მრავალდონიანი ხასიათი; საინვესტიციო კლიმატის კავშირი ინვესტორის საინვესტიციო პოტენციალთან და საქმიანობის პირობებთან; ფაქტორების თვისებრივი ერთგვაროვნების პრიორიტეტი რეგიონების კლასიფიკაციის დროს.

სხვადასხვა დონის სამეურნეო სისტემების საინვესტიციო კლიმატის შეფასებისადმი ფაქტორული მიდგომის დროს კრებსით მაჩვენებლად გამოდის ყველა ფაქტორის მიხედვით შესრულებულ მრავალრიცხოვან საშუალოშეწონილ შეფასებათა ჯამი:

$$Q= \sum_j (Xj \times Pj)$$

სადაც Q რეგიონის ან დარგის საინვესტიციო კლიმატის ჯამური შეწონილი შეფასებაა; X_j – j ფაქტორის საშუალო ბალური შეფასება რეგიონის ან დარგისათვის; P_j – j ფაქტორის წონა.

საინვესტიციო კლიმატის შეფასების კრებსითი მაჩვენებელი ვერ გამოდგება ინვესტიციების დაბანდებისათვის ამა თუ იმ სამეურნეო სისტემის მიმზიდველობის ერთმნიშვნელოვან კრიტერიუმად. მას, ჩვეულებრივ, აესებენ ინფორმაციით იმ ფაქტორების განვითარების შესახებ, რომლებიც უშუალო გავლენას ახდენენ საინვესტიციო კლიმატის მდგომარეობასა და დინამიკაზე. ამდენად, სახსრების დაბანდების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს ყოველ ინვესტორს შეუძლია ორიენტირება მოახდინოს მის მიერ შერჩეული ფაქტორების მეშვეობით.

მესამე მიდგომა – რისკისმიერი. ამ მიდგომის მომხრეები საინვესტიციო კლიმატის მდგენელებლად განიხილავენ ორ ძირითად ვარიანტს: საინვესტიციო პოტენციალი და საინვესტიციო რისკები; საინვესტიციო რისკები და სოციალ-ეკონომიკური პოტენციალი. ზოგჯერ ითვალისწინებენ მხოლოდ რისკებს (საკრედიტოს).

საინვესტიციო კლიმატის ანალიზისადმი რისკისმიერი მიდგომის პირველ ვარიანტს ბოლო რამდენიმე წელიწადია იყენებენ სპეციალისტები და იგი, მისი ავტორების აზრით, „სტრატეგიულ ინვესტორზეა“ გათვლილი. ისინი საინვესტიციო პოტენციალს აფასებენ მაკროეკონომიკური მახასიათებლების საფუძველზე, რომლებიც მოიცავს: მოცემულ ტერიტორიაზე წარმოების ფაქტორების (მათ შორის შრომითი რესურსების) არსებობას; სამომხმარებლო მოთხოვნას; რეგიონში მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობის შედეგებს; მეცნიერების განვითარების და მისი მიღწევების დანერგვის დონეს; საბაზრო ეკონომიკის წამყვანი ინსტიტუტების განვითარებას; კომპლექსური ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფას.

საინვესტიციო რისკებს აფასებენ ინვესტიციებისა და შესაძლოა დაკარგვის ალბათობის პოზიციებიდან. ამ რისკებს შორის ითვალისწინებენ ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, ეკოლოგიურ, კრიმინალურ და საკანონმდებლო რისკებს. მაჩვენებელთა

დიდი ჯგუფის საფუძველზე აფასებენ ყოველი რეგიონის რეიტინგს მთლიანად, საინვესტიციო პოტენციალის თითოეული შემადგენელი ბლოკის მიხედვით და თითოეული რისკის მიხედვით.

რისკისმიერი მიდგომის კონცეფციას საფუძვლად უდევს საინვესტიციო კლიმატის დონის შეფასება მთლიანად რეგიონული საშოგადოებრივი სისტემის განვითარების პოზიციიდან. ამ ვარიანტის ავტორები სხვა დანარჩენთან ერთად ითვალისწინებდნენ ადამიანისეულ პოტენციალს, განვითარების მატერიალურ ბაზას, სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას და პოლიტიკური რისკის ფაქტორებს, ეკონომიკის მდგომარეობას და მისი მაროვის დონეს.

საინვესტიციო კლიმატის შეფასების ზემოაღწერილი მეთოდების მეცნიერული დასაბუთებისა და პრაქტიკული მნიშვნელობის შესაფასებლად განვიხილოთ შესაბამისი საზღვარგარეთული გამოცდილება. იაპონიასა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში საინვესტიციო კლიმატის აღწერილობით მახასიათებლებს იყენებენ მისი რაოდენობრივი შეფასების მცდელობის გარეშე. ეს მეთოდიკა არსულებს სამეურნეო სისტემების შედარებას და მასში ჭარბადაა სუბიექტურობის ელემენტი, რის გამოც სხვა ქვეყნებში მის დანერგვას სპეციალისტებმა მხარი არ დაუჭირეს.

აშშ-ში იყენებენ სხვადასხვაგვარი ფაქტორების გათვალისწინების მეთოდს, რომელთა შორისაცაა: პოლიტიკური მისწრაფებები, ეკოლოგიური მოძრაობის მდგომარეობა და სხვა. მათ ბაზაზე ყველა შტატის მიხედვით აქვეყნებენ „ყოველწლიურ სტატისტიკურ რუკას", რომელიც საინვესტიციო კლიმატის ოთხ განზოგადებულ მაჩვენებელს მოიცავს: ინვესტიციების ეკონომიკურ ეფექტიანობას, საქმიან სიცოცხლისუნარიანობას, ტერიტორიის განვითარების პოტენციალს და საგადასახადო პოლიტიკის ძირითად მდგენელებს.

საინვესტიციო კლიმატის შეფასებას საზღვარგარეთ, როგორც წესი, ახდენენ მაკროეკონომიკური სფეროს მიმართ. სპეციალური კონსალტინგური ფირმები, ბანკების, ჟურნალებისა და გაზეთების ექსპერტები ანალიზს ატარებენ სხვადასხვა რაოდენობის (15-დან 178-მდე) ქვეყნების მიხედვით, რაც დამოკიდებულია მკითხველებისა და

შემკვეთების ინტერესზე და ა.შ. ამასთან, გასათვალისწინებელი მაჩვენებლების რაოდენობა 9-დან (ჟურნალი „Euromoney") 381-მდე (შვეიცარიის მენეჯმენტის განვითარების ინსტიტუტის შრომები) მერყეობს.

ჟურნალ „Euromoney"-ს მეთოდიკა მოიცავს იმ ექსპერტების გამოკითხვას, რომლებიც განვითარებული ქვეყნების მსხვილ ბანკებს წარმოადგენენ, მაგრამ იგი ამა თუ იმ ფაქტორის მდგომარეობის შესახებ სტატისტიკურ ინფორმაციასაც ითვალისწინებს. ამ ფაქტორების მახასიათებელთა შორისაა: მაკროეკონომიკური მაჩვენებლების პროგნოზები; საქონელზე არგადახდათა რისკი; კრედიტების არდაბრუნების რისკი; დივიდენდების გაცემასთან დაკავშირებული რისკი; ქონების ნაციონალიზაციის, ექსპროპრიაციისა და კონფისკაციის რისკი; ვალების მაჩვენებლები; ქვეყნების კრედიტუნარიანობის შეფასებები; საბანკო აქტივებისა და საერთაშორისო ობლიგაციების ღარგში მოქმედი პოლიტიკა; შეღავათებთან და ჯარიმებთან დაკავშირებული პოლიტიკა. 90-იან წლებში რუსეთს ამ ჟურნალის რეიტინგში ერთ-ერთი ბოლო ადგილი ეკავა და საინვესტიციო მიმზიდველობის მიხედვით ჩამორჩებოდა ჩეხეთს, ჩინეთს, უნგრეთს, პოლონეთს, ლიტვას, რუმინეთს, ესტონეთსა და ლატვიას. ეს რეიტინგი გარკვეულწილად შეესაბამება ჩვენს ქვეყანაში შემოსული საზღვარგარეთული ინვესტიციების მოცულობას სხვა ქვეყნებთან შედარებით. ამავე დროს, „Euromoney"-ს მეთოდი უნაკლო არაა. ჯერ ერთი, ის ერთმანეთისგან არ მიჯნავს საპორტფელო და რეალურ ინვესტიციებს; მეორე, სწორად არ მიგვაჩნია საინვესტიციო კლიმატის შეფასება მაჩვენებელთა ერთი და იმავე ერთობლიობით რუსეთში, აშშ-ში, ჩინეთსა და გერმანიაში, ერთი მხრივ, და საქართველოში, ლუქსემბურგში, ესტონეთში, ალბანეთსა და სხვა მცირერიცხოვან ქვეყნებში, მეორე მხრივ. მესამე, მაჩვენებელებს შორის აკლია ინოვაციური მდგენელი, რომელიც სულ უფრო მეტ როლს თამაშობს მრავალი ქვეყნის მაკროეკონომიკურ დინამიკაში.

საინვესტიციო კლიმატის შეფასებაში დაგროვილი ადგილობრივი და საზღვარგარეთული გამოცდილების შესწავლა გვიჩვენებს,

რომ ხშირად გათვალისწინებული არაა თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში შემუშავებული მთელი რიგი მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური დებულებები.

1. ქვეყნის და რეგიონის საინვესტიციო კლიმატიც კი ლიტერატურაში, როგორც წესი, განხილულია მოგების (შემოსავლის) დაჩქარებულად, მაქსიმალურად, შეუფერხებლად მიღების მოსურნე აბსტრაქტული სტრატეგიული ინვესტორის პოზიციიდან. მაგრამ კაპიტალი, ისე როგორც ინვესტიციები, სხვადასხვაგვარია (სამრეწველო, საავჭრო, სასესხო, სააქციო), ინვესტორებს კი განსხვავებული მიზნები აქვთ. დროის მოკლე მონაკვეთში მოგების მაქსიმუმზე ორიენტირებული სასესხო კაპიტალი ფინანსურ, საპორტფელო ინვესტიციების მეშვეობით მოქმედებს. სამრეწველო კაპიტალი მოგებასთან ერთად ცდილობს საწარმოს, კორპორაციის თუ რეგიონის საქმიანობაზე მდგრადი ვავლენის მოპოვებას, რაც განსაზღვრავს ინვესტორის სურვილს, დაამყაროს გრძელვადიანი ურთიერთობები, მონაწილეობა მიიღოს გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში და საწარმოს მართვაში. ამ ბოლო მიზნის გულისთვის ინვესტორი მზადაა შეეგუოს ინვესტორების მომგებიანობის ერთგვარად დაქვეითებას ხანმოკლე პერსპექტივაში. ეს კაპიტალი მოქმედებს რეალური, პირდაპირი, კაპიტალწარმოქმნელი და ადამიანში განხორციელებული ინვესტიციების მეშვეობით. ინვესტიციების ეკონომია ამ სახესხვაობისთვის განსხვავებული საინვესტიციო კლიმატია აუცილებელი.

2. ინვესტიციების მიმღები და ინვესტორი, როგორც წესი, განსხვავებულ მიზნებს ისახავენ. პირველი ესწრაფვის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მთელი კომპლექსის მოგვარებას მინიმალური სახსრების მოსიდვით, მეორე კი – მაქსიმალური მოგების ამოქაჩვას და ბაზრებსა და ეკონომიკურ სისტემებში დამკვიდრებას ხანგრძლივი პერიოდით. აქედან, საინვესტიციო კლიმატი ინტერესთა ბალანსის შესაბამისი უნდა იყოს.

3. ინტეგრირებული საინვესტიციო რესურსული ფაქტორი საზოგადოებრივ კეთილდღეობაში იმ რესურს-ფაქტორების

(სამეცნიერო-ტექნიკური, ტექნოლოგიური, სამეწარმეო, საინფორმაციო, ორგანიზაციული, მმართველობითი და ა.შ.) გათვალისწინებაა, რომლებიც შეთანხმებულად ურთიერთქმედებენ დროსა და სივრცეში. ერთი მხრივ, საინვესტიციო კლიმატი სტაბილური უნდა იყოს ხანგრძლივი დროის განმავლობაში, მეორე მხრივ კი, იგი უნდა იყოს საკმაოდ მოქნილი და ითვალისწინებდეს საზოგადოებრივი კვლავწარმოების რესურს-ფაქტორების თანაფარდობაში მომხდარ ცვლილებებს. იმავდროულად იგი მიმართული უნდა იყოს ქვეყნისა თუ რეგიონის სახალხო მეურნეობაში რესურს-ფაქტორთა სისტემის ფორმირებისკენ.

4. დღეს ობიექტური მოთხოვნილება არსებობს მოზიდული ინვესტიციების ინოვაციურად "შეესებაზე". ინვესტიციების შერწყმა განვითარების ინოვაციურ ფაქტორებთან განსაკუთრებით აქტუალურია მცირე ინოვაციურ მეწარმეობაში (ვენჩურულ ინვესტიციებში) ინვესტიციების მოზიდვის დროს. ეს განაპირობებს განსაკუთრებულ მოთხოვნებს საინვესტიციო კლიმატის, მისი მდგენელებისა და ინვესტირების მექანიზმის მიმართ.

5. სოციალურ დინამიკასთან ინვესტირების კავშირს, როგორც წესი, განიხილავენ სოციალური ამოცანების გადაჭრის აუცილებლობის თვალსაზრისით (დასაქმების უსრუნველყოფა, ცხოვრების დონის ამაღლება, შრომის შემოქმედებითი ხასიათის ფორმირება და ა.შ.) მაგრამ ინვესტიციები მკაფიოდ უნდა იყოს დაკავშირებული ადამიანისეული კაპიტალის განვითარებასთან, მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებასთან ცხოველმოქმედების ყველა სფეროში, რისი გათვალისწინებაც საჭიროა ქვეყნის ან რეგიონის სათანადო საინვესტიციო კლიმატის შექმნის დროს.

6. საინვესტიციო კლიმატმა არ უნდა დაარღვიოს სამეურნეო სისტემების ეკონომიკური მდგრადობისა და ეკონომიკური უსაფრთხოების კომპლექსური თვისებები. ეს განაპირობებს ეკონომიკის ოპტიმალური სტრუქტურის აუცილებლობას.

7. ინვესტორებისა და ინვესტირებადი სოციალ-ეკონომიკური სისტემის ინტერესთა ბალანსის დაცვის მიზნით საჭიროა მოზიდული

ინვესტიციების გამოყენების ეფექტიანობის და საინვესტიციო კლიმატის კეთილსასურველობის კომპლექსურად შეფასება. ამ თვალსაზრისით მიზანშეწონილად არ გვეჩვენება ყველაზე რაციონალური საინვესტიციო კლიმატის მაჩვენებლად მოზიდული ინვესტიციების მოცულობის და მათი ზრდის განხილვა სამეურნეო სისტემის განვითარების სოციალ-ეკონომიკური, ეკოლოგიური და სამეცნიერო-ტექნიკური პრესპექტივისთვის მისი შედეგების გაუთვალისწინებლად (ჩვენი აზრით, ინტერესთა ბალანსის თვალსაზრისით უფრო მიზანშეწონილია ტერმინი „რაციონალური საინვესტიციო კლიმატი", ვიდრე „კეთილსასურველი საინვესტიციო კლიმატი").

ე. ხუნწარია

უცხოური ინვესტიციები და კონტრაქტის მნიშვნელობა

თანამედროვე ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის საკითხი ძალიან მწვავედ დგას. ეკონომიკური კრიზისი საინვესტიციო სახსრების მკვეთრი შემცირება გადაუვალს ხდის უცხოურ ფინანსურ წყაროებთან დაკავშირების აუცილებლობას.

როგორც თეორიული კვლევები, ასევე პრაქტიკული მაგალითები ცხადყოფს უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვან დადებით შედეგებს ქვეყნის ეკონომიკისათვის: დასაქმებისა და შემოსავლების ზრდა, ახალი პროგრესული ტექნოლოგიების დანერგვა, საბანკო საპროცენტო განაკვეთების შემცირება, საექსპორტო პოტენციალისა და ქვეყნის საგალუტო შემოსავლების ზრდა, როგორც საგაჭრო ასევე საგადასახდელო ბალანსის გაუმჯობესება, ქვეყნის ინტეგრაცია საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში და სხვა.

მსოფლიოში კაპიტალექსპორტიორი ქვეყნებისათვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წარმოადგენს შემოსავლების მიღების წყაროს, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და გაფართოების საშუალებას, საქონლისა და მომსახურების გადიდების წყაროს. უცხოური ინვესტიციების მიღებისათვის კი - განვითარების დამატებით და ზოგჯერ ერთადერთ წყაროს, საწარმოო და ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის საშუალებას.

ბოლო ათწლეულში სახელმწიფო პოლიტიკა კაპიტალის იმპორტთან დაკავშირებით მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მნიშვნელოვნად გაფართოვდა. უფრო მჭიდრო გახდა კავშირი სავაჭრო პოლიტიკასა და უცხოურ ინვესტიციებს შორის. საბაჟო ტარიფების, იმპორტისა და ექსპორტის შეზღუდვის დარგში ნებისმიერ შესლუდვას შეუძლია იქონიოს უშუალო ზემოქმედება უცხოური ინვესტიციების მიმართულებასა და მოცულობაზე. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ღია ეკონომიკის ქვეყნები უფრო მიმზიდველია უცხოელი ინვესტორებისათვის.

ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებისათვის სახელმწიფო პოლიტიკის ყოველი მიმართულება მოითხოვს ერთიან მიდგომას და მჭიდრო კოორდინაციას ქვეყნის სახელისუფლებო ორგანოების მხრიდან.

საქართველო დღეისათვის იმყოფება თავისი ისტორიული განვითარების ერთ-ერთ ურთულეს ეტაპზე. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველო შიდა კონფლიქტებმა და პოლიტიკურმა არეულობამ მოიცვა, რასაც ეკონომიკის მკვეთრი და მტკივნეული დაცემა მოჰყვა. ამ პერიოდში შეუძლებელი იყო ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების თანმიმდევრული მართვა. მითუმეტეს, რომ ქვეყანას არ გააჩნდა არც საკუთარი კონსტიტუცია და არც საბაზრო ეკონომიკის პრინციპზე გადასვლისათვის საჭირო საკანონმდებლო ბაზა. ამასთან ქვეყანაში გამწვავდა ენერგოკრიზისი. იჩინა თავი სასურსათო დეფიციტმა და მკვეთრად შემცირდა ცხოვრების დონეც.

აღნიშნულმა სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ ლლის

წესრიგში დააყენა ანტიკრიზისული პროგრამების შემუშავება და განხორციელება. ამ პროგრამების მიხედვით ქვეყანაში დაიწყო რადიკალური ეკონომიკური გარდაქმნები, მიღწეულ იქნა ფინანსური სტაბილიზაცია და დამკვიდრდა ეკონომიკური ზრდის ტენდენცია.

საქართველოს ეკონომიკა საყოველთაო რესტრუქტურიზაციისათვის დიდ და ხანგრძლივ კაპიტალდაბანდებებს მოითხოვს, შეზღუდული სახელმწიფო რესურსების პირობებში კი კაპიტალდაბანდებათა ერთადერთი წყარო უცხოური ინვესტიციებია. უცხოური კაპიტალის მოსაზიდად საქართველოს მთავრობამ აქტიური მუშაობა დაიწყო ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის შესაქმნელად. უცხოელ ინვესტორთათვის გარანტიის მისაცემად საერთაშორისო დონეზე საქართველომ აქტიურად დაიწყო იმ საერთაშორისო ხელშეკრულების გაფორმება, რომელთა მიზანია ინვესტიციების ხელშეწყობა. აღსანიშნავია, რომ საქართველომ 23 ქვეყანასთან მოაწერა ხელი შეთანხმებებს ინვესტიციების ურთიერთხელშეწყობისა და დაცვის შესახებ. აქედან შეთანხმებები ორმხრივად იქნა რატიფიცირებული და უკვე ძალაშია 16 ქვეყანასთან. ასეთი გარანტიების არსებობა, როგორც ეს დამცავ ხელშეკრულებებშია განსაზღვრული, გარკვეულწილად, სახელმწიფო გარანტიების გაცემის წინაპირობაა. მაგრამ საქართველოში არსებობს საკმაოდ უარყოფითი გამოცდილება გარანტიების გაცემაში და ამიტომ, მიმდინარე ეტაპზე ამ ფაქტორზე აქცენტის გაკეთება არასასურველია, გამონაკლის შემთხვევაში სახელმწიფოს მხრიდან აუცილებელია დეტალურად გაანალიზებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების მინიმუმამდე დაყვანა.

როგორც უკვე ვთქვით დიდია ძალისხმევა ქვეყნის შიგნითაც ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის შესაქმნელად და ამ მხრივ გარკვეულ წარმატებებს მივაღწიეთ. საინვესტიციო კლიმატზე მოქმედი ფაქტორია ინფლაციის ტემპი. საქართველოს მთავრობამ ამ მხრივ გარკვეული წინსვლა აღნიშნა. აგრეთვე მნიშვნელოვანი ფაქტორია ვალუტის კურსი, კერძოდ, მისი გრძელვადიანი ტენდენცია. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ლარის შემოღების შემდეგ შეძლო კურსის შენარჩუნება.

საქართველოს საინვესტიციო გარემოზე უარყოფითად მოქმედი ფაქტორია ქვეყანაში საბანკო სისტემის მდგომარეობა. მართალია საქართველოს საბანკო სისტემაში სრული ქაოსი არ არის, მაგრამ არც თუ ისე სახარბიელო მდგომარეობაა. ქვეყანაში მოკლევადიანი კრედიტები, მაღალი საპროცენტო განაკვეთის გამო, პრაქტიკულად მიუწვდომელია, გრძელვადიანი კრედიტები კი საერთოდ არ გაიცემა. აშკარად დასახვეწია კლიენტების მომსახურების დონე და ა.შ.

უცხოელ ინვესტორთა მხრიდან საქართველოს ხლობის საკითხი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საგარეო ვალების სიდიდეზე და მათ მომსახურებაზე. საქართველოს დღევანდელმა ვალმა 2.5 მლრდ დოლარი შეადგინა, რომელიც საქართველოსათვის საკმაოდ მძიმე ტვირთია.

საინვესტიციო კლიმატზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყანაში მიმდინარე პრივატიზაციის პროცესი. თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ უცხოელი ინვესტორის მონაწილეობა უმნიშვნელო იყო იმის გამო, რომ პირველი ეტაპობრივი პრივატიზაციის პროგრამის გარდა საქართველოში არ იყო შემუშავებული მექანიზმი, რომლითაც უცხოელ ინვესტორს შეეძლო შეესყიდა სახელმწიფო საკუთრება. საინვესტიციო კლიმატზე მოქმედი მნიშვნელოვანი ფაქტორია საგადასახადო სისტემა. საქართველოს დღევანდელი საგადასახადო სისტემა თავისი შეღავათებით არც თუ ისე ცუდია, მაგრამ ძირითადი პრობლემა საგადასახადო ორგანოს კორუმპირებული თანამშრომლებია.

მნიშვნელოვანი ნაბიჯი ქვეყნის საინვესტიციო ბარიერის სრულყოფისაკენ არის ისეთი კანონების მიღება, რომლებიც ამკანონებენ მიწის საკუთრების, ბიზნესის წარმართვის, კონკურენციის, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საკითხებს. 1996 წლის 12 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული იყო კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ" აღნიშნული კანონი უზრუნველყოფს ყველა ინვესტორს თანაბარი უფლებებით. კანონის მიხედვით უცხოელი ინვესტორები მოლიანად და უპირობოდ არიან დაცულნი, გამორიცხულია მაით დისკრიმინაცია. 1997 წლის 14 მაისს „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და

გარანტიების შესახებ" საქართველოს კანონში დამატებითი ცვლილებები შეიტანეს.

საინვესტიციო გარემოზე მოქმედ ერთადერთ ფაქტორს, რომელზედაც ქვეყნის მთავრობას ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლია არის გეოპოლიტიკური მდებარეობა. საქართველოს მდებარეობა სავაჭრო გზებზე წყარო უნდა გახდეს დიდი რაოდენობის კაპიტალის შემოდინებისა. ეს პროცესი უკვე დაწყებულია და თავისი ასახვა „ტრასეკას" პროექტში ჰპოვა.

მიუხედავად 1998 წლიდან გამეფებული ფინანსური კრიზისისა, მაკროეკონომიკური გარემო მეტ-ნაკლებად სტაბილურია, რაც კვლავ რჩება საქართველოს საინვესტიციო გარემოს უპირატესობად. საქართველოში სტაბილურობის დამყარებისა და მთელ რიგ სექტორებში რეფორმების დაწყებიდანვე ადგილობრივი ინვესტიციების პარალელურად გააქტიურდა უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. ამოქმედდა ინვესტიციებით შექმნილი მსხვილი კომპანიები. საქართველოში უცხოური კაპიტალის მონაწილეობით შექმნილი საწარმოების რიცხვი 750-მდეა. ქვეყანაში ინვესტიციების ძირითადი ნაწილი გამოიწვია კავკასიური ნავთობისა და ძველი აბრეშუმის გზის აღდგენის პროექტებმა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყანა უნდა დარჩეს მხოლოდ სატრანსპორტო-სატრანზიტო ფუნქციის ანაბარა, აუცილებელია განვითარდეს მრეწველობის გადამამუშავებელ დარგებში ინვესტიციების მოზიდვის კონცეფცია.

1999 წელს 133,7 მლნ ლარის ინვესტიცია განხორციელდა, რაც 1998 წელთან შედარებით 244,3 მლნ ლარით ნაკლებია. ასეთი კლების ერთ ერთი უმთავრესი მიზეზი საქართველოს ხელისუფლების მიერ ინვესტიციების მოზიდვისათვის განხორციელებული პოლიტიკის არაეფექტიანობა იყო. ყველაზე დიდი პრობლემა საქართველოში, რაც ხელს უშლის ინვესტორებს, არის კორუფცია. კორუფციის არსებობა აიძულებს როგორც უცხოელ, ისე ადგილობრივ ინვესტორებს არაეფექტიანად ხარჯონ საკუთარი რესურსები და დრო. კორუფციის წყაროდ განიხილება აგრეთვე ჩრდილოვანი ეკონომიკა. ერთ-ერთ ყველაზე კორუმპირებულ სახელმწიფო ორგანოდ ითვლება საბაჟო

ლეპარტამენტი. ექსპერტების შეფასებით, ამ ორგანიზაციაზე საქონლის იმპორტის 60-75% აღურიცხავი და დაუბეგრავია. ასეთ პირობებში ბევრ ინვესტორს არ ძალუძს ბიუროკრატიული ბარიერების გადალახვა. ამ მხრივ შედარებით გაიოლებულია მსხვილი ინვესტორების საქმიანობა, რაც მათი მხრიდან სამთავრობო სტრუქტურებში მეგობრული კავშირებით აიხსნება.

ამასთან აღსანიშნავია, რომ საქართველოში მოღვაწეობს ინგლისური ფირმა „აი-ტი-ეს-ი", რომელმაც გარკვეული ვალდებულებები აიღო საბაჟო ინსპექტირებისა და სისტემის გაუმჯობესების მხრივ. ამ პერიოდის მანძილზე დრომ გვიჩვენა, რომ აღნიშნული კომპანიის მოღვაწეობა საქართველოში წარუმატებელი აღმოჩნდა და საბაჟო სისტემაში არსებული პრობლემები კიდევ უფრო გამწვავდა, რაც ქვეყანაში მოღვაწე ბიზნესმენების უკმაყოფილებას იწვევს.

საბაზრო ეკონომიკა კონტრაქტების ეკონომიკაა. ინვესტიციების განხორციელებისას კონტრაქტს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ინვესტიციების მიმღები ქვეყნების თვალსაზრისით, კონტრაქტი საშუალებას იძლევა აღმოფხვრას მოთხოვნა პირდაპირ ინვესტიციებზე, როგორც მმართველი დახმარების აღმოჩენის წყარო, ხოლო ფირმების თვალსაზრისით, რომლებიც ინვესტიციებს ახორციელებენ, კონტრაქტებს შეუძლიათ კაპიტალის (ინვესტიციების) დაკარგვის თავიდან აცილება.

კონტრაქტის დადებისას აუცილებლად გასათვალისწინებელია ის, რომ კონტრაქტის ხელის მოწერა უდიდეს პასუხისმგებლობასთან აგებული. პასუხისმგებლობა ფული ღირს. ეს გასათვალისწინებელია არა მარტო ქვეყნებს შორის, არამედ ნებისმიერ დონეზე, ნებისმიერ სფეროში. კონტრაქტში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული თუ მისი დარღვევის შემთხვევაში ვის რა პასუხი მოეთხოვება.

კონტრაქტის დადებისას არ შეიძლება დაეუშვათ კომპრომისული ქცევა. ამ დროს გასათვალისწინებელია ეროვნული ინტერესები და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება უცხოური ინტერესების თავს მოხვევა.

ამრიგად, საქართველოში ჩვენ გვაქვს ინვესტიციების

არაეფექტიანად წარმართვით გამოწვეული არასასურველი ნეგატიური გარემო.

3. თათულაშვილი

კაპიტალის საზღვარგარეთ „გაქცევა“ და მასზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი

კაპიტალის „გაქცევა“ ესაა კაპიტალის ექსპორტის განსაკუთრებული ფორმა ანუ უშუალოდ საზღვარგარეთის ქვეყნებში საფალუტო რესურსების ფინანსური და სხვა სახის აქტივებში მოთავსების ფორმა. აღნიშნული ძირითადად გამოწვეულია ქვეყანაში ეკონომიკური და პოლიტიკური არასტაბილურობის გაძლიერებით ან ეროვნული ვალუტის გაუფასურების შიშით. კაპიტალის „გაქცევა“ ქვეყნიდან კაპიტალის გადინების სახესხვაობაა, როგორც ლეგალური, ასევე არალეგალური არხებით. კაპიტალის „გაქცევის“ ნიშნად ითვლება ქვეყნის საფინანსო საინვესტიციო პოტენციალის შემცირება, რომელიც რაოდენობრივად გამოვლინდება საგარეო ვალის მომსახურებისა და ეროვნული საინვესტიციო პროგრამების შესაძლებლობების გაუარესებაში.

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში კაპიტალის „გაქცევის“ ფენომენის განსაზღვრება პირველად შემოიტანეს აშშ-ის პრინსტონის უნივერსიტეტის პროფესორმა ჯ. კადინტონმა საერთაშორისო საფალუტო ფონდის ეხპერტებმა მ. დეპლერმა და მ. უილიამსონმა. აკადემიკოს ლ. აბალკინის აზრით კაპიტალის „გაქცევა“ განსხვავდება კაპიტალის ექსპორტის ჩვეულებრივი ფორმებისაგან, ის სულ სხვა ბუნებისაა და გამოწვეულია სერიოზული ხანგრძლივადიანი გადახრებით სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ

სფეროში.

პოსტსაბჭოურ ქვეყნებში არ არსებობს საზღვარგარეთ გასული ეროვნული ინვესტირების რეგისტრაციის, აღრიცხვისა და კონტროლის ქმედითი სისტემა, რაც ხელს უშლის სრულყოფილი ანალიტიკური საქმიანობის წარმოებას. ადეკვატური აღრიცხვის უქონლობა განაპირობებს მნიშვნელოვან გადახრებს „გაქცეული" კაპიტალის მასშტაბების შეფასებაში, თუმცა შესაძლებელია მიახლოებითი გაანგარიშებების ჩატარება. კერძოდ, ფინანსური სახსრების სახელმწიფო აღრიცხვისაგან დაფარული მასშტაბების ზრდაზე მიუთითებს საგადასახდელო ბალანსის სტატისტიკაში მუხლის - „წმინდა შეცდომები და გამოტოვებები" – მაჩვენებლის მკვეთრი ზრდა, რომლის ჩვეულებრივი მნიშვნელობა ითვლება სტატისტიკურ ცდომილებად, ხოლო მასზე გადაჭარბება წარმოადგენს კაპიტალის აღურიცხავი გატანის სავარაუდო მოცულობას.

კაპიტალის „გაქცევის" განმსაზღვრელი ფაქტორებია:

1)არახელსაყრელი ეკონომიკური და საინვესტიციო კლიმატი (პოლიტიკური და კრიმინოგენური სიტუაციის არასტაბილურობა, ბაზრის ტევადობის შემცირება, ბიუჯეტის დიდი დეფიციტი, საფინანსო ბაზრის ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა);

2)საგარეოეკონომიკურ სფეროში გატარებული სამეურნეო კურსის შედეგები (საგადასახადო წნეხის ზრდა, მკაცრი საკრედიტო პოლიტიკა, საგარეო სესხების არამიზნობრივი და არაეფექტიანი გამოყენება);

3)კორუფციის მაღალი დონე;

4)მოსახლეობის უნდობლობა ბანკებისადმი და ბიზნესმენების უნდობლობა ხელისუფლებისადმი;

5)კაპიტალის კრიმინალური წარმომავლობა. პოსტსაბჭოურ ქვეყნებთან მიმართებაში საუბარია არა იმდენად „ჭუჭყიანი" ფულის (შემოსავლები ნარკობიზნესიდან და სხვა აკრძალული საქმიანობიდან) გაწმენდის შესახებ, არამედ სახელმწიფო სახსრების მითითების გზით დაგროვილი კაპიტალის საზღვარგარეთ განთავსებაზე.

კაპიტალის გადინებამ, შორს გადასწია ამ ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის განახლება. გააძლიერა მათი დამოკიდებულება

უცხოურ სესხებზე და შექმნა დაგროვილი ვალების მომსახურებაზე დანახარჯების სიდიდის კრიტიკული ზრდის საფრთხე, თუმცა იმავდროულად ხელი შეუწყო მსოფლიოს საფინანსო საზოგადოებაში ინტეგრაციას და საზღვარგარეთ შეიქმნა საინვესტიციო რეზერვი, რომელიც სწორი პოლიტიკის გატარებით შეიძლება რეპატრირებულ იქნეს.

კაპიტალის „გაქცევა" ერთ-ერთი საყურადღებო საკითხია საქართველოს საგარეოეკონომიკური ურთიერთობების სფეროში. უკანასკნელი 1995-99წ.წ. განმავლობაში საქართველოს საგარეო ვაჭრობას საქონელბრუნვის უდიდესი უარყოფითი სალდო ახასიათებს. დეფიციტმა ჯამში 2584 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა.

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბალანსი
1995-2000 წ.წ. (მლნ აშშ დოლარი)*

№	წლები	ექსპორტი	იმპორტი	საგარეო სავაჭრო ბალანსის სალდო
1	1995	291	603	-312
2	1996	290	711	-421
3	1997	372	685	-313
4	1998	377	1052	-675
5	1999	299	1162	-863
6	2000	387	668	-340
	სულ:	1957	4881	-2924

უარყოფითი სავაჭრო ბალანსის პირობებში საქართველო იძულებულია წავიდეს მსხვილ საერთაშორისო სესხებზე, რაც განაპირობებს მეტისმეტად დიდ დამოკიდებულებას უცხოურ კრედიტებსა და ინვესტიციებზე, იმპორტულ საქონელსა და კაპიტალზე.

*ცხრილი შედგენილია საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემთა მიხედვით.

1992-95 წლებში კაპიტალის „გაქცევის" მასშტაბების დადგენა მეტად რთულია, რადგან ამ პერიოდში ფაქტობრივად ხელიდან იყო გაშვებული ფულის მიმოქცევისა და მარეგულირებელი სისტემა, ფულადი ნაკადების აღრიცხვისა და ანალიზის მექანიზმი. რაც შეეხება 1997-99 წლებს, საქართველოს საგადასახდელო ბალანსის საფუძველზე ჩატარებული ანალიზით ირკვევა, რომ 1997 წელს კაპიტალის არალეგალურმა „გაქცევამ" 27.798 ათასი აშშ დოლარი შეადგინა, 1998 წელს – 120.590 ათასი აშშ დოლარი ანუ 4,3-ჯერ მეტი, ხოლო 1999 წელს – 151098 ათასი აშშ დოლარი ანუ 5.1-ჯერ მეტი 1998 წელთან შედარებით და 1.2-ჯერ მეტი წინა წელთან შედარებით. ეს. საქართველოდან კაპიტალის „გაქცევა" ხასიათდება მზარდი ტენდენციით. საქართველოს ეკონომიკის „დოლარიზაცია" მისი სტრუქტურული დეგრადაციის განსაკუთრებული პრობლემაა. საქართველო ჯერ კიდევ შორსაა რუსეთის მსგავსი საფინანსო კრიზისის ნიშნულამდე, მაგრამ საგანგაშო ტენდენციაა ის, რომ მოვლენების ანალიზით ელინდება საბიუჯეტო კრიზისის ნიშნები.

პრობლემის გადაწყვეტის ქმედითი საშუალებად და მნიშვნელოვან რეზერვად მიგვაჩნია იმგვარი ღონისძიებების სისტემის შემუშავება და ამოქმედება, რაც დაარეგულირებს კაპიტალის გადიდების პროცესს და ხელს შეუწყობს უკვე „გაქცეულის" სახსრების დაბრუნებას.

არსებობს კაპიტალის გატანის შეზღუდვის, აღრიცხვისა და კონტროლის მთელი რიგი მეთოდები, რომლებიც ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირში წარმოქმნიან ქვეყნიდან კაპიტალის გატანების სახელმწიფო რეგულირების სისტემას. კაპიტალის გატანის შეზღუდვა ხორციელდება უპირატესად საზღვარგარეთ გასული ინვესტიციების ლიცენზირებით, ზოგიერთი სახის ინვესტიციის აკრძალვით, კაპიტალის გატანის დაფინანსების შემცირებით, საბანკო არხებში საევალუტო სახსრების მოქცევით, ფისკალური პოლიტიკის ლიბერალიზაციით, კომერციულ საბანკო სისტემასა და სახელმწიფო მაკონტროლებელ ორგანოებს შორის კაპიტალის მიმართვის ეარეგულ დონეზე თანამშრომლობისა და ინფორმირების მარეგულირებელი. მექანიზმების შემოღებით, აგრეთვე რიგი წინასწარი პირობების

ნებადაერთებული, რომლებიც რეალიზირდება უპირატესად ადმინისტრაციული და საგალუტო კონტროლის მეშვეობით. აღსანიშნავია, რომ კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობასთან დაკავშირებულ ოპერაციებზე შეზღუდვები 1996 წელს არსებობდა საერთაშორისო საგალუტო ფონდის 180 წევრი ქვეყნიდან 126 სახელმწიფოში. უთუოდ დადებით მომენტად უნდა ჩაითვალოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი მოთხოვნა საზღვარგარეთიდან გადმოსარიცხი თანხების დაუბრუნებლობის გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ. ამასთან საჭიროა „კომერციულ ბანკების" შესახებ კანონის მე-17 მუხლის მოთხოვნათა ლიბერალიზაცია იმ მიმართულებით, რომ დაევალოთ კომერციულ ბანკებს, მიაწოდონ შესაბამისი ინფორმაცია საგადასახადო ორგანოებს, საგალუტო ანგარიშსწორებათა წინასწარ განსაზღვრული მაქსიმალური ზღვრული დონის (30 000 აშშ დოლარი) მიღწევის შემთხვევაში და ა.შ.

განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საგადასახდელო ბალანსზე კაპიტალის გატანის უარყოფითი ზემოქმედების შესაზღუდავად ყველაზე ქმედითი ღონისძიებებია:

– სამამულო ინვესტორების ინფორმაციული და ტექნიკური დახმარება (მხარდაჭერა საზღვარგარეთ პარტნიორის მოძებნაში, საქმიანი მისიების ორგანიზებაში, ბიზნეს-გეგმების შემუშავებაში საინფორმაციო პროექტების რეალიზაციაში);

– კერძო ინვესტიციების დაფინანსება (მონაწილეობა კაპიტალდაბანდებებში, საგადასახადო შეღავათების მიცემა, დაკრედიტება და ა.შ.);

– ინვესტიციების დაზღვევა და გარანტიების მიცემა.

ეს ღონისძიებები უნდა გამოიყენოთ საქონლისა და მომსახურების ექსპორტის და კრიტიკულად მნიშვნელოვანი იმპორტის სტ. ულირებასთან ერთად.

მსოფლიო პრაქტიკაში არსებობს არასტანდარტული სქემები, რომლების საშუალებას იძლევა არა მარტო რეპატრირებულ იქნეს „გაქცეული" კაპიტალი ეკონომიკის რეალურ სექტორში, არამედ

გაკეთდეს ეს სახელმწიფო ბიუჯეტისათვის სარფიანად საკვლევი სავალო დამოკიდებულების ერთდროული შესასწავლად. მიზანშეწონილია, შევისწავლოთ ასეთი გამოცდილება. ამისათვის შესაბამისი დავალებები უნდა მიეცეს ეკონომიკური პროფილის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს.

ზ. შავდია, გ. შავდია

ფრენშაიზინგი: რეალობა და განვითარების პერსპექტივები

80-იანი წლებიდან მოწინავე საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ფართო განვითარება ჰპოვა სახელშეკრულებო ურთიერთობათა სისტემამ, რომელიც მთელ მსოფლიოში ცნობილია „ფრენშაიზინგის" სახელწოდებით. „ფრენშაიზინგი" ესაა განუწყვეტელი ურთიერთობა ფრენშაიზის გამყიდველსა (დონორს) და მის მყიდველს (ოპერატორს) შორის, რომლის დროსაც მთელი ცოდნა, საავტორო ნიშანი, საწარმოო და მარკეტინგული მეთოდები, რომელთაც დონორი ფლობს, ანადაგებს ოპერატორს საპასუხო ინტერესების დაკმაყოფილების საფასურად. თანამედროვე პირობებში ფრენშაიზინგი მსხვილი და წვრილი საწარმოების სამეურნეო ინტეგრაციის ყველაზე გავრცელებული ფორმაა. მაგალითად, აშშ-ში ამ სისტემაზე მოდის საცალო საქონელბრუნვის 40% და მომსახურების თითქმის მესამედი. დღეისათვის „ფრენშაიზინგს" განიხილავენ, როგორც ალტერნატივას იმ ორი გზისა, რომელთა საშუალებითაც აქამდე შეიძლებოდა მეწარმეობის დაწყება. ესენია: ახალი საწარმოს შექმნა და უკვე არსებული

საწარმოს შესყიდვა.

„ფრენშაიზინგი" ხელსაყრელია ხელშეკრულების მონაწილე ორივე მხარისათვის. მცირე ბიზნესისათვის მსხვილი კომპანიების მხარდაჭერის გარეშე ძნელია ბაზარზე ადგილის მოპოვება. მათი დამოუკიდებლად ფუნქციონირების პირობებში ძალზე დიდია გაკოტრების რისკი. შესაღუდულია კაპიტალის წყაროები, დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული პროგრესული ტექნოლოგიის გამოყენება, ძნელია მომხმარებელთა ნდობის მოპოვება და სხვა. ფრენშაიზინგის მეშვეობით წვრილი ფირმები დიდი კაპიტალისა და სამეურნეო გამოცდილების უქონლობის პირობებში, მსხვილი ფირმების ეგიდით ახერხებენ საკუთარი საქმის გახსნას. სარგებლობენ რა მათი საავაჭრო მარკით, მეწარმე-ოპერატორები ბაზარზე შედარებით ადვილად იმკვიდრებენ ადგილს, რაც დამოუკიდებლად ფუნქციონირების პირობებში გაცილებით ძნელად მისაღწევია. ეს სისტემა წვრილ მეწარმეებს იმის საშუალებასაც აძლევს, რომ პროდუქციის და მომსახურების ცალკეულ ბაზარზე მსხვილ კორპორაციებსაც გაუწიონ კონკურენცია. თავის მხრივ, „ფრენშაიზინგის" მეშვეობით მეთაურ კომპანიებს დიდი შესაძლებლობა ეძლევათ გადაჭრან ორი პრობლემა: 1) გააფართოონ თავიანთი პროდუქციის გასაღების ბაზრები და 2) სამეურნეო ბრუნვაში მოსახლეობის დანაზოგის ჩართვის გზით მოიზიდონ დამატებითი კაპიტალი.

არსებობს ფრენშაიზინგის ორი სახე: პროდუქციის - საავაჭრო ნიშნის ფრენშაიზინგი, რაც ნიშნავს, რომ დონორი უბრალოდ გადასცემს თავისი პროდუქციის წარმოების უფლებას ოპერატორს და ბიზნეს ფორმატის ფრენშაიზინგი, რომელიც ითვალისწინებს დონორის დახმარებას მენეჯერულ, მარკეტინგულ, ფინანსურ და სხვა სახის საკითხებში. ფრენშაიზინგის პირველი სახის უპირატესობა ისაა, რომ უფრო ნაკლებ ხარჯებს საჭიროებს და საშუალებას აძლევს ოპერატორს, რომ საკუთარი პოლიტიკა, პროცედურები, საამქროები და მოწყობილობებიც კი უცელელი დატოვოს, მაგრამ ნაკლი ის არის, რომ ოპერატორი პრაქტიკულად მარტო რჩება და წარმატებისაკენ მიმავალი გზა მან მრავალი შეცდომით უნდა გაიაროს,

რომლებსაც თავიდან აიცდენდა დონორის დახმარებით. მეორე გზის დადებითი მხარე კი ისაა, რომ ახლად დაყუძნებული და გამოუცდელი მცირე საწარმო სარგებლობს დიდი კომპანიის საწარმოო მეთოდებით და უფრო ეფექტიანად მოქმედებს, ხოლო ნაკლია ის, რომ ოპერატორი უკვე აღარ არის იმდენად დამოუკიდებული თავის ქმედებებში და ეალდებულია, ზუსტად შეასრულოს დონორის მითითებები, რომლებიც შეიძლება საზიანოც კი იყოს.

აღსანიშნავია, რომ მხარეებს შორის ხელშეკრულება იდება 5-10 წლით, ზოგჯერ 3-დან 20 წლამდე. თუ ფირმა ოპერატორი დაარღვევს ხელშეკრულებას და ზიანს მიაყენებს მეთაური კომპანიის რეპუტაციას, ამ უკანასკნელს ნებისმიერ შემთხვევაში შეუძლია წინასწარი შეტყობინების გარეშე დაარღვიოს მასთან ხელშეკრულება. კონტრაქტში ფიქსირებულია მიმდინარე გადასახადებისა და მოგებიდან ანარიცხების ოდენობა. იმის გამო, რომ მხოლოდ მსხვილ ფირმებს შეუძლიათ განახორციელონ ძვირადღირებული სარეკლამო ღონისძიებები, რომლებზედაც დიდადაა დამოკიდებული კონკურენტულ ბრძოლაში მცირე ფირმების წარმატებები, ამიტომ ხშირ შემთხვევაში, მეთაური კომპანიები ფირმა ოპერატორებისაგან, გარდა თავდაპირველი გასამრჯელოსი, მოითხოვენ ასევე რეგულარულ გადასახადს მათი საავჭრო მარკით სარგებლობისათვის (სამუშაოდ ამონაგების 1 - 5%-მდე). ძირითადი გასამრჯელო აშშ-ში საშუალოდ შეადგენს 10-25 ათას დოლარს. მისი ოდენობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ სფეროში ხორციელდება ფრენშაიზინგი. სახელდობრ: კომპიუტერის საცალო ვაჭრობით დაკავებული ფირმებისათვის ერთდროული შესატანი შეადგენს 5 ათასიდან 75 ათას დოლარამდე, უძრავი ქონების გამყიდველი ფირმებისათვის 2,5 ათასს, ავტომობილების გამქირავებელი საწარმოებისათვის - 3,5 ათასიდან 15 ათას დოლარამდე [1].

ბოლო დრომდე ფრენშაიზინგი მხოლოდ საზოგადოებრივი კვებისა და სასტუმროების ქსელებთან ასოცირდება, მაგრამ სწრაფი ტემპით განვითარებამ, მრავალი დარგის ათვისებამ, წარმატებულმა ფუნქციონირების მაღალმა პროცენტმა (90%-მდე) და საკმაოდ გრძელმა სასიცოცხლო პერიოდმა (საშუალოდ 12 წელი) აშკარა გახადა მისი

უპირატესობა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის, რადგანაც, როგორც წესი, ასეთი საწარმოები თავდაპირველად მაინც არ ფლობდნენ დიდ ფულად კაპიტალს.

ფრენშაიზინგის, როგორც სასარგებლო ურთიერთობის საუკეთესო მაგალითია კომპანია „მაკდონალდსი", რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და სახელგანთქმული კომპანიაა. იგი აერთიანებს 2979 საკუთარ და 7263 სახელშეკრულებო საწარმოს, რომელთაგანაც 2301 განალაგებულია მსოფლიოს 44 ქვეყანაში (მათ შორის საქართველოშიც). ყოველივე ეს ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ ფრენშაიზინგი არის ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად რისკიანი, ეფექტიანი და შედარებით იაფი ინვესტიციის ფორმა, რომელიც საშუალებას იძლევა სწრაფად დაფუძნდეს ახალი ბიზნესი და მეწარმეს უქმნის შესაძლებლობას, წარმატებით მართოს იგი.

საკმაოდ რთულია იმის თქმა, ექნება თუ არა ფრენშაიზინგს განვითარების პერსპექტივები საქართველოში. ერთი მხრივ, ფულადი კაპიტალის ნაკლებობა და ეკონომიკის არასტაბილურობა ქმნის მსხვილი უცხოური კაპიტალის შესაძლებლობის გამოყენების აუცილებლობას, მაგრამ, მეორე მხრივ, ფრენშაიზინგის შესახებ ინფორმაციის სიმცირე და საკმაოდ მწირე სამართლებრივი ბაზა, რომელიც სამამულო ოპერატორი საწარმოს დაცვას არ უზრუნველყოფს, ართულებს მის განვითარებას. ყველაზე უარყოფითი შედეგები, რომლებიც ფრენშაიზინგის განვითარებამ შეიძლება გამოიწვიოს, ის არის, რომ უცხოური საწარმოების ინტერვენცია შიდა ბაზარზე გამოიწვევს ფულადი კაპიტალის საზღვარგარეთ გადინებას. გარდა ამისა, უცხოურ საწარმოებზე ორიენტირებამ შეიძლება ძალიან დააკნინოს სამამულო მრეწველობა, რადგანაც ეკონომიკურ აგენტებს აღარ ექნებათ სტიმული, რომ ეძებონ ორიგინალური პროდუქციის წარმოებისა და მისთვის საბაზრო ნიშნის მოძებნის გზები, რადგანაც მათი მიზანი - მოგების მიღება უკვე განხორციელებულია.

მიუხედავად უარყოფითი თვისებებისა, ფრენშაიზინგის განვითარება, ალბათ, მაინც მიზანშეწონილია, რადგანაც გამოიწვევს მოთხოვნის გაზრდას სამამულო წარმოების ფაქტორებზე, რომლებიც

დღეისათვის აუთვისებელია. სახელმწიფო უნდა აჩარებდეს ენერგიულ ზომებს ეკონომიკის გაჯანსაღებისა და ბაზრის განმტკიცებისათვის, რაც შექმნის შესაძლებლობას, დაბალანსდეს ფრენშაიზინგის უარყოფითი მხარეები და ისინი ქვეყნისათვის უმტკივნეულო გახდეს.

საწყის ეტაპზე საქართველოში ფრენშაიზინგი შეიძლება განვითარდეს შემდეგი ფორმით: საზღვარგარეთული ფრენშაიზერი (დონორი) - საქართველოს ფრენშაიზი (ოპერატორი), ხოლო შემდეგ, როდესაც აღმოცენდება მსხვილი ფირმები, ისინი თავის თავზე აიღებენ ფრენშაიზერის როლს და აღნიშნული სისტემა შეიძლება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გავრცელდეს, როგორც საწარმოო, ისე სავაჭრო მომსახურების სფეროში. ფრენშაიზინგის, ასევე არენდის, იჯარისა და ლიზინგის მექანიზმთა გამოყენებით, შესაძლებელი გახდება საქართველოში მოიძებნოს მსხვილი საწარმოების რესტრუქტურიზაციის ოპტიმალური ვარიანტი, რაც საბოლოოდ, ხელს შეუწყობს ეროვნული მეურნეობის აღორძინება-განვითარებას.

ლიტერატურა

1 Разумнова И., Маленький бизнес и эффективность американской экономики, М., 1997, с.26

პროფ. ლ. ყორღანაშვილი

საერთაშორისო ვაჭრობის სუბიექტების სამართლებრივი რეგულირება

საერთაშორისო ვაჭრობის სუბიექტები არიან იურიდიული და ფიზიკური პირები, რომელთაც ეროვნული კანონმდებლობით მინიჭებული აქვთ საერთაშორისო საეაჭრო გარიგებების განხორციელების უფლება.

პრაქტიკულად ყველა სახელმწიფოს კანონმდებლობით უცხო ფიზიკურ პირებს ეძლევათ მოცემული სახელმწიფოს მოქალაქეების ანალოგიური უფლებები (პოლიტიკური უფლებებისგან განსხვავებით), მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში (გარკვეული სახის გარიგებებისათვის) მათთვის განსაზღვრულია განსაკუთრებული პირობები. აღსანიშნავია, რომ ერთჯერადი საერთაშორისო საეაჭრო გარიგებებისათვის ჩვეულებრივ არაა საჭირო რაიმე ფორმალობათა დაცვა, ხოლო ფიზიკური პირის მიერ მისთვის უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე საქმიანობის განხორციელებისათვის, მრავალი ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, მოეთხოვება მოცემულ ქვეყანაში ბინადრობის მიღება, აგრეთვე კომერსანტის სახით რეგისტრაცია.

იურიდიული პირი ეწოდება ქონებრივად განცალკევებულ და გარკვეული უფლება-მოვალეობის მქონე პირს. იურიდიული პირის ქონება განცალკევებულია მისი წევრების ქონებისაგან. მისი საკუთარი ქონება იძლევა ვალდებულებაზე დამოკიდებული ქონებრივი პასუხისმგებლობის შესაძლებლობას. იურიდიული პირი შეიძლება გულისხმობდეს პიროვნებათა გაერთიანებას და კაპიტალის გაერთიანებას.

იურიდიული პირები ორი სახისაა: საჯარო სამართლის იურიდიული პირები და კერძო სამართლის იურიდიული პირები. პირველი სახის იურიდიული პირების მიზნები საჭირო ხასიათისაა. მათ ახასიათებთ მბრძანებლური უფლებამოსილებანი და წევრობის განსაკუთრებული ხასიათი. საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს მიეკუთვნებიან: სახელმწიფო (მისი ორგანოები, დაწესებულებები და

ორგანიზაციები), საეკლესიო და სამრეწველო პალატები, მეწარმეთა კავშირები, რომლებიც სამეწარმო საქმიანობას არ ახორციელებენ.

მართალია, სახელმწიფო ტრადიციულად განიხილება საჯარო სამართლის სუბიექტის როლში, მაგრამ ამასთან ერთად ერთდროულად შეიძლება იყოს კერძო სამართლის სუბიექტი. ეს ესაა პირი, რომელიც შეიძლება გახდეს ქონებრივი (შესაბამისად სავაჭრო) ურთიერთობების მონაწილე.

საერთაშორისო ბაზარზე სახელმწიფო გამოდის თავისი ორგანობის (სამინისტროებისა და უწყებების) მეშვეობით. საერთაშორისო ვაჭრობაში იგი ყველაზე ხშირად მონაწილეობს შემდეგ ურთიერთობებში: სახელმწიფო სესხი, მათ შორის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვება; მოცემული სახელმწიფოს სუბიექტების სესხზე სახელმწიფო გარანტია, საინვესტიციო ხელშეკრულებები, საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებები (როგორც წესი, ეს ხდება საგარეო ვაჭრობაზე მონოპოლიის დაწესების ან შესაღლუდვის შემთხვევაში).

საეკლესიო და სამრეწველო პალატები, მეწარმეთა კავშირები მეწარმეთა ცალკეული ჯგუფების გაერთიანებანი: ისინი შექმნილია ორგანიზაციებში მეწარმეთა ინტერესების დასაცავად და საერთაშორისო საქმიანობაში მათი დახმარებისა და ხელშეწყობისთვის. მათი უმეტესი ნაწილი საერთაშორისო კომერციულ ოპერაციებში უშუალოდ არ მონაწილეობს, მაგრამ ზოგიერთ ქვეყანაში (განსაკუთრებით სკანდინავიის ქვეყნებში) მეწარმეთა დარგობრივ კავშირებს მოდის საერთაშორისო კომერციული ოპერაციების უდიდესი ნაწილი ან ისინი საერთოდ მონოპოლისტები არიან. მაგალითად ფინეთში ტყე-ქაღალდის მრეწველობის პროდუქციის ექსპორტის მონოპოლიური უფლებით სარგებლობს მხოლოდ ოთხი მეწარმეთა კავშირი: ქაღალდისა და მუყაოს დამამუშავებელი ფინური ფაბრიკების კავშირი, ფინური ტყესახერხი ქარხნების მფლობელთა კავშირი და ყუთების კომპლექტების დამამზადებელი საწარმოების მფლობელთა კავშირი.

კერძო სამართლის იურიდიული პირები არიან ფირმის სახით რეგისტრირებული პირთა და კაპიტალის ეაერთიანებანი (აქციათა

ბები). ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს საქმიანობისა და საკუთრების ხასიათს, კაპიტალის კუთვნილებასა და კონტროლის უფლებას.

ფირმის მიერ სამართლებრივი ანუ იურიდიული პირის უფლების მისაღებად ხდება მისი რეგისტრაცია სავაჭრო რეესტრში. სავაჭრო რეესტრი სამართლებრივი მნიშვნელობის მონაცემების ჩასაწერად გაჩკუთვნილი საჯარიცხვო წიგნია. სავაჭრო რეესტრებს აწარმოებენ სასამართლოები ან ადმინისტრაციული ორგანოები. მაგალითად, ინგლისში სავაჭრო რეესტრებს აწარმოებს ვაჭრობის სამინისტრო, აშშ-ში - შტატის ადმინისტრაციული ან სასამართლო ორგანო, საფრანგეთში - სავაჭრო სასამართლოები, გერმანიაში - პირველი ინსტანციის სამოქალაქო სასამართლოები და ა.შ.

სავაჭრო რეესტრების წარმოების ძირითად მიზნებს მიეკუთვნება:

სავაჭრო საზოგადოების (ამხანაგობების) რეგისტრაცია;

სავაჭრო საქმიანობის, ფირმების (სავაჭრო დასახელებების), აგრეთვე საქმიანობის იმ სახეების რეგისტრაცია, რომელთა განხორციელების უფლება აქვთ მოცემულ სუბიექტებს.

სავაჭრო ბრუნვის ყველა მონაწილისათვის რეგისტრირებული სუბიექტის შესახებ მონაცემების (საწესდებო ფონდის ოდენობა, ადგილსამყოფელი მართვის ორგანოები, მოცემული სუბიექტის სახელით, გარიგების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირები) მიწოდება.

სავაჭრო რეესტრში არსებული მონაცემების განხორციელებასა და დამოწმებული ასლების მიღების უფლება აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს (სათანადო თანხის გადახდით). ამასთან, სახელმწიფოთა უმეტესობაში მოქმედებს სავაჭრო რეესტრში მითითებული მონაცემების ცოდნის, აგრეთვე მათი უტყუარობის პრეზუმაციის პრინციპი. ეს ნიშნავს, რომ არც ერთ პირს არ შეუძლია გამრიყენოს ის გარემოება, რომ მას არ ჰქონდა ინფორმაცია სავაჭრო რეესტრში არსებული მონაცემების შესახებ, ხოლო სავაჭრო რეესტრის სუბიექტს არ აქვს იმის მითითების უფლება, რომ სავაჭრო რეესტრში შეტანილი მონაცემები არასწორია.

საერთაშორისო სავაჭრო სამართალში ფაქტობრივად არაა გათვალისწინებული საერთაშორისო ვაჭრობის სუბიექტების რეგულირება. ეროვნული კანონმდებლობის უნიფიკაცია სამეწარმეო სუბიექტების მიმართ განხორციელებულია მხოლოდ, ზოგიერთი რეგიონული ორგანიზაციის (მაგალითად, ევროკავშირის) ჩარჩოში.

სახელმწიფოთა უმეტესი ნაწილის ეროვნული კანონმდებლობა აღიარებს რა პირს სავაჭრო სამართლის სუბიექტად, აეტომატურად აძლევს მას საერთაშორისო სავაჭრო გარიგებათა განხორციელების უფლებას. მაგრამ, ამასთან, სხვა სახელმწიფოს სუბიექტებთან გარიგების განსახორციელებლად საჭიროა მოცემული სახელმწიფოს მიერ მათი სამართალუნარიანობის, აგრეთვე ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე საქმიანობის განხორციელების უფლების აღიარება.

სახელმწიფოში უცხო იურიდიული პირების აღიარების პრობლემა სხვადასხვა ქვეყნის ეროვნულ კანონმდებლობაში სხვადასხვანაირადაა წარმოდგენილი. ამ თვალსაზრისით სახელმწიფოები დაყოფილია სამ ჯგუფად.

პირველი ჯგუფის სახელმწიფოებში (აშშ, ინგლისი და სხვა) უცხო იურიდიულ პირს აღიარებენ იმ შემთხვევაში, თუ მას იურიდიული პირის უფლება მიღებული აქვს იმ სახელმწიფოში, რომელსაც ეს სახელმწიფო ოფიციალურად აღიარებს.

მეორე ჯგუფის სახელმწიფოთა (საფრანგეთი და სხვა) უცხო სახელმწიფოთა იურიდიულ პირებს აღიარებენ ამ სახელმწიფოსთან საერთაშორისო ხელშეკრულების დადების შემთხვევაში.

მესამე ჯგუფის სახელმწიფოებში უცხო იურიდიული პირების აღიარება ხდება ნაცვალგების პრინციპით. ამასთან, ნაცვალგება ეხება არა მარტო იურიდიული პირების აღიარების ფაქტს, არამედ, აგრეთვე, ორივე სახელმწიფოში მოცემული სახის იურიდიული პირობებისათვის სამართალუნარიანობის მოცულობის დამთხვევას.

ზოგიერთ შემთხვევაში ერთი ქვეყნის იურიდიულ პირს მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე სურს საქმიანობის განხორციელება ამ უკანასკნელში იურიდიული პირის შექმნის გარეშე. ასეთი შემთხვევები სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირად რეგულირდება. აღსანიშნავია,

რომ უცხო იურიდიულ პირთა სამართალუნარიანობის აღიარების საკითხი განსხვავდება გარკვეული სახელმწიფოს ტერიტორიაზე სამეურნეო საქმიანობისადმი მისი დაშვების საკითხისაგან. უკანასკნელისათვის შემუშავებულია სხვადასხვა კანონები. მაგალითად ინგლისში უცხო იურიდიული პირების დაშვება სამეურნეო საქმიანობისათვის რეგულირდება კომპანიების შესახებ მიღებული კანონით. ამ ქვეყანაში უცხო კომპანიად ითვლება ის კომპანია, რომელსაც იურიდიული პირის უფლება მიღებული აქვს დიდი ბრიტანეთის ფარგლებს გარეთ. აშშ-ის ყოველ შტატს მიღებული აქვს საკუთარი კანონი კორპორაციების შესახებ, ამიტომ ამ ქვეყანაში უცხო იურიდიულ პირად ანუ უცხო კორპორაციად ითვლება როგორც აშშ-ის ფარგლებს გარეთ რეგისტრირებული, ასევე სხვა შტატებში რეგისტრირებული იურიდიული პირები.

უცხო იურიდიული პირებისათვის დადგენილ შეზღუდვებსა და პირობებს იყენებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი საქმიანობა სცილდება ერთჯერადი ოპერაციის ჩარჩოებს. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ ქვეყანაში (მაგალითად, ინგლისსა და აშშ-ში) განასხვავებენ ხელშეკრულებათა ჩვეულებრივ დადებასა და ინტერესების წარმოებას. იმისათვის რომ უცხო იურიდიულ პირზე გავრცელდეს ნორმები სამეურნეო საქმიანობისათვის უცხო კომპანიების (კორპორაციების) დაშვების შესახებ, საჭიროა რომ მას: დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის ტერიტორიაზე ჰქონდეს: ინტერესის წარმოების ადგილი - საქმიანი საწარმო და ინტერესის წარმოების ხერხი, რომლის შესაბამისად იგი მოქმედებს.

ინგლისში ინტერესების წარმოების შემთხვევაში უცხო კომპანიამ ასეთი საქმიანობის დადების მომენტიდან ერთი თვის ვადაში სავაჭრო რეესტრში უნდა წარმოადგინოს კომპანიის ლეგალიზებული დოკუმენტები და მიუთითოს დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე უფლებამოსილი პირის ოფიციალური და პროცესუალური დოკუმენტების მისამართად. გარდა ამისა, მოცემულმა კომპანიამ უნდა წარადგინოს საგადასახადო ანგარიშები და ბალანსები ინგლისის ტერიტორიაზე განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

აშშ-ში საქმიანობის განხორციელებისათვის უცხო კორპორაციების დასაშვებად გამოიყენება კვალიფიკაციის სპეციალური პროცედურა, რომლის თანახმად უცხო კორპორაციამ შტატის მდივანს უნდა წარუდგინოს გარკვეული დოკუმენტები (ისინი უნდა შეიცავდნენ მონაცემებს მოცემული კორპორაციის შესახებ) და მიუთითოს შტატის ტერიტორიაზე პასუხისმგებელი პირი. წარდგენილი დოკუმენტების საფუძველზე შტატის მდივანი გასცემს ნებართვას შტატის ტერიტორიაზე ინტერესების წარმოებაზე. აღნიშნული პროცედურის დაუცველობის შემთხვევაში უცხოური კორპორაციის მიერ დადებული გარიგებები ითვლება უმოქმედოთ. გარდა ამისა, უცხო კომპანია კარგავს შტატის სასამართლოებში მოსარჩლის როლში გამოსვლის უფლებას, შეიძლება თანამდებობის პირების პასუხისგებაში მიცემა და დაპატიმრება.

გერმანიის ტერიტორიაზე სამეურნეო საქმიანობისადმი უცხო კომპანიების დასაშვებად გათვალისწინებულია ნებართვების მოთელი სისტემა. უცხო იურიდიულმა პირმა სპეციალური ნებართვა უნდა მიიღოს გფრ-ს იმ მიწის მეურნეობის სამინისტროში, რომლის ტერიტორიაზეც ნავარაუდევია საქმიანობა. ნებართვაში მითითება საქმიანობის მხოლოდ გარკვეული სახე. იგი შეიძლება იყოს ვადიანი ან პირობითი ხასიათის: უცხო კომპანიამ შეიძლება უარი მიიღოს ნებართვის მიღებაზე, თუ მის სახელმწიფო'ში არაა აღიარებული გფრ-ში შექმნილი იურიდიული პირების უფლებები ან თუ მისი საწესდებო კაპიტალი ნაკლებია გერმანიაში ანალოგიური სახის სამეურნეო საზოგადოებისათვის ან ამხანაგობისათვის დადგენილ ნორმაზე.

უცხო იურიდიული პირის მიერ გერმანიის ტერიტორიაზე განყოფილების გახსნის შემთხვევაში საჭიროა სავაჭრო რეესტრში მისი რეგისტრაცია გერმანული სამეურნეო საზოგადოებებისა და ამხანაგობებისათვის დადგენილი წესების შესაბამისად.

უცხო იურიდიული პირების სავაჭრო საქმიანობა საფრანგეთის ტერიტორიაზე რეგულირდება 1967 წელს მიღებული დეკრეტით სავაჭრო რეესტრის შესახებ. ამ დეკრეტით გათვალისწინებულია გარკვეული

ფორმალობების დაცვა, რომელშიც შედის უცხო იურიდიული პირის განყოფილების, სააგენტოს და ა.შ. რეგისტრაცია სავაჭრო რეესტრში ფრანგული სავაჭრო საზოგადოებებისა და ამხანაგობებისათვის დადგენილი წესების შესაბამისად.

უცხო სავაჭრო საზოგადოებების საქმიანობა იტალიის ტერიტორიაზე მოქმედი განყოფილებების მეშვეობით რეგულირდება იტალიის სამოქალაქო კოდექსით. მასში განსაზღვრულია ამ განყოფილებათა სავალდებულო რეგისტრაცია სავაჭრო რეესტრში იტალიური სავაჭრო საზოგადოებებისა და ამხანაგობებისათვის განსაზღვრული წესების შესაბამისად. ამასთან, რეესტრში უთითებენ უფლებამოსილი პირების გვარებსა და მათი ხელმოწერის ნიმუშებს. აღსანიშნავია, რომ თუ უცხო იურიდიული პირი შექმნილია ისეთი ფორმით, რომელიც იტალიის კანონმდებლობაში არაა გათვალისწინებული, მისი რეგისტრაცია სავაჭრო რეესტრში ხდება სააქციო საზოგადოებისათვის დადგენილი წესით. რეგისტრაციის შესახებ მოთხოვნის დაუცველობის შემთხვევაში, უცხო იურიდიული პირისათვის იტალიის ტერიტორიაზე გათვალისწინებულია შეუზღუდავი სოლიდარული პასუხისმგებლობა.

საერთაშორისო სავაჭრო საქმიანობის პროცესში ამა თუ იმ სახელმწიფოს სხვადასხვა მიდგომა აქვს უცხო იურიდიული პირებისადმი, ამიტომ მათი აღიარებისა და სახელმწიფოს ტერიტორიაზე საქმიანობისათვის დაშვების პრობლემების გარდა, დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მოცემული იურიდიული პირის "ეროვნულობის" გარკვევის საკითხსაც. "ეროვნულობის" დადგენა ანუ იმის დადგენა, თუ რომელი სახელმწიფოს სუბიექტია მოცემული იურიდიული პირი, საჭიროა ბაჟებისა და მოსაკრებლების, საგადასახადო განაკვეთების და ა.შ. სწორი განსაზღვრისათვის.

ამჟამად იურიდიული პირის "ეროვნულობა" განისაზღვრება სამი ძირითადი მიდგომის (დოქტრინის) საფუძველზე.

პირველი დოქტრინაა ინკორპორაციის დოქტრინა, რომლის თანახმად იურიდიული პირის ეროვნულობა განისაზღვრება მისი რეგისტრაციის ადგილით. ამ დოქტრინას აღიარებენ აშშ, ინგლისი,

დსთ.

მეორე დოქტრინის თანახმად იურიდიული პირის ეროვნულობა განისაზღვრება მისი ადგილსამყოფელით. იურიდიული პირის ადგილსამყოფელი ჩვეულებრივ განისაზღვრება მისი მართვის აღმასრულებელი ორგანოს ადგილსამყოფელით. ამასთან, იურიდიული პირის აღმასრულებელი ორგანოს ადგილსამყოფელად ითვლება არა დამფუძნებელ დოკუმენტებში მითითებული ადგილი, არამედ ის ადგილი, სადაც რეალურად იმყოფება მისი მართვის ორგანო. ამ დოქტრინის მხარდამჭერი სახელმწიფოების (კონტინენტური ევროპის ქვეყნების უმეტესობა) კანონმდებლობა მოითხოვს, რომ იურიდიული პირი რეგისტრირებული იყოს იმ სახელმწიფოში, რომელშიცაა მისი მართვის აღმასრულებელი ორგანოს ადგილსამყოფელი. ასეთი მიდგომიდან გამომდინარეობს, რომ თუ იურიდიულ პირს დასაწყისში თავისი მართვის ორგანო ჰქონდა სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე და არა მისი რეგისტრაციის სახელმწიფოში, ან მართვის ორგანო შემდგომ გადაიტანა რეგისტრაციის სახელმწიფოში, მეორე დოქტრინის მხარდამჭერი სახელმწიფოები მას იურიდიულ პირად არ აღიარებენ. აღნიშნულის გამო, ეს პრინციპი შეისლუდა წესით, რომლის თანახმად მოთხოვნა იურიდიული პირის რეგისტრაციის შესახებ მისი მართვის ორგანოს ადგილსამყოფელში გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთივე მოთხოვნას შეიცავს მართვის ორგანოს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობა.

იურიდიული პირის „ეროვნულობის" განსაზღვრის მესამე დოქტრინა ცნობილია ე.წ. „კონტროლის დოქტრინის" სახელწოდებით. ამ დოქტრინის თანახმად იურიდიული პირის ეროვნულობა განისაზღვრება იმისდა მიხედვით, თუ რომელი სახელმწიფოების სუბიექტთა კაპიტალი ზემოქმედებს მოცემული იურიდიული პირის კონტროლზე.

კ. გაბისონია

საერთაშორისო საზღვაო გადაზიდვების დინამიკა და გეოგრაფიული მიმართულებები 1970-2000 წ.წ.

XX საუკუნეში საერთაშორისო საზღვაო გადაზიდვები ჩნიშვნელოვან ზრდას განიცდის, რაც, უპირველესად, საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების შედეგია. 20-იან წლებში საერთაშორისო საზღვაო გადაზიდვების მოცულობამ წელიწადში 500 მლნ ტონაც კი არ შეადგინა, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის წლებში 350 მლნ ტონამდე შემცირდა, ხოლო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მათი მოცულობა ზრდას განიცდის. კერძოდ, 1950 წელს - 550 მლნ ტ., 1960 წ. - 1,1 მილრდ.ტ., 1970 წ. - 2,6 მლრდ ტ., 1980 წ. - 3,7 მლრდ ტ., 1990 წ. - 4 მლრდ ტ., ხოლო დღეისათვის საერთაშორისო საზღვაო გადაზიდვების მოცულობამ 5 მლრდ ტონას გადააჭარბა.

ეს მონაცემები მოჰყავს გაეროს სტატისტიკას, სადაც ყველაზე ერცლადაა ასახული საერთაშორისო საზღვაო გადაზიდვების მოცულობა და გეოგრაფია. ამასთან მხედველობაში უნდა მიიღოთ, რომ საუბარია დატვირთვასა და გადმორტვირთვაზე ცალკეული ქვეყნების და კონტინენტების პორტებში, და ეს მონაცემები პირობითად მიიღება, როგორც საერთაშორისო საზღვაო გადაზიდვების მოცულობა.

1970-2000 წლებში საერთაშორისო საზღვაო გადაზიდვები მნიშვნელოვანი ზრდით ხასიათდება, 1975 და 1985 წლების გამოკლებით, როდესაც ადგილი ჰქონდა მათ დროებით შემცირებას. ამ პერიოდში გადაზიდვები გაიზარდა 104,3%-ით, ამასთან 1990-2000 წლებში - 30,7%-ით.

1974 წლიდან საზღვაო ვაჭრობის განვითარება ფერხდება, რაც გამოწვეული იყო ენერგეტიკული და სანედლეულო კრიზისით. 1975 წელს პირველად მრავალი წლის მანძილზე ეს გახდა საერთაშორისო საზღვაო გადაზიდვების შემცირების მიზეზი. შეინიშნებოდა აგრეთვე მზარდი მსოფლიო ფლოტის ტონაჟის გამოყენების მკვეთრი შემცირება, რომელიც არაპროპორციულად სწრაფად ეითარდებოდა.

1980-1990 წლებში საერთაშორისო საზღვაო გადაზიდვებმა კვლავ დაიწყო ზრდა, თუმცა მისი ზრდის ტემპი არ იყო ისე მაღალი, როგორც წინა წლებში.

როგორც ცხრილი 1-ის მონაცემები გვიჩვენებენ, 1995 წლის შემდეგ საერთაშორისო საზღვაო გადაზიდვების ყველაზე მაღალი წლიური ზრდა დაფიქსირდა 1997 წელს – 4,1%. ამის შემდეგ გადაზიდვების წლიური პროცენტული ზრდა კლებას განიცდის. თუმცა უკვე 2000 წლისათვის შეინიშნება პოზიტიური ძვრები, და 1999 წლის 1,3%-ის შემდეგ, წლიურმა ზრდამ 2,0% შეადგინა, როდესაც საერთაშორისო საზღვაო გადაზიდვების მოცულობამ რეკორდული 5,230 მლრდ ტონას მიაღწია.

ცხრილი 1

საერთაშორისო საზღვაო გადაზიდვები
1970-2000 წლებში*

წლები	გადაზიდვები			ტვირთბრუნვა		
	სულ მლნ ტ	ნავთობი მლნ ტ	მშრალი ტვირთი მლნ ტ	სულ, მლრდ ტონა-მილი	ნავთობი მლრდ ტონა-მილი	მშრალი ტვირთი მლრდ ტონა-მილი
1970	2566	1442	1124	10654	6487	4167
1975	3072	1644	1428	15363	9727	5636
1980	3704	1871	1833	16777	9405	7372
1985	3382	1459	1923	13065	5157	7908
1990	4008	1755	2253	17161	7821	9340
1995	4651	2049	2602	20188	9170	11018
1996	1758	2127	2631	20678	9403	11275
1997	4953	2172	2781	21672	9880	11792
1998	5064	2181	2884	21425	9763	11662
1999	5129	2159	2970	21480	9510	11970
2000	5230	2202	3028	21563	9543	12020

* წყარო: UNCTAD, Rewiew of Maritime Transport, 2000

საზღვაო გადაზიდვების გეოგრაფია ახასიათებს მის სიერცობრივ

სტრუქტურას. გადაზიდვების ანალიზი დატვირთვისა და გადმოტვირთვის მიხედვით გვიჩვენებს, რომ ტვირთვების ექსპორტით საერთაშორისო საზღვაო გადაზიდვებში ყველაზე დიდი ხვედრითი წონა აზიის განვითარებად ქვეყნებს ეკუთვნის, ხოლო იმპორტით - ევროპას. ეს უპირველესად ხდება იმიტომ, რომ აზიის ქვეყნებში ნავთობისა და ნედლეულის ძირითადი სახეების მთავარი ექსპორტიორები არიან, ხოლო ევროპის ქვეყნებში – მათი მთავარი იმპორტიორები. საერთაშორისო საზღვაო გადაზიდვების სტრუქტურა ქვეყანათა ჯგუფების მიხედვით ნაჩვენებია ცხრილში II.

მსოფლიო სატრანსპორტო ფლოტის განვითარება არაერთგვაროვნად ყალიბდებოდა. ფლოტის განვითარების მაფორმირებელი ბევრი ფაქტორის ზეგავლენით მისი ყოველწლიური აბსოლუტური და შეფარდებითი ნაზრდები განსაზღვრულნი იყვნენ. ახალი გემების შემოსელასთან ერთად ფლოტის განვითარების დინამიკა ყალიბდებოდა ტონაჟის ჩამოწერის გავლენით.

ნაოსნობისათვის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1988 წელს სპარსეთის ყურეში საომარი მოქმედებების შეწყვეტა. 1988 წლის 20 აგვისტოს ერაყის კუთვნილმა როლკერმა „ჰავლამ" დაბრკოლების გარეშე გაიარა რომუსის სრუტე, რომელსაც ტანკერები მიჰყვნენ. „ინტერტანკოს" მონაცემებით, 1984 წელს „ტანკერების ომის" დაწყებიდან თავდასხმა განიცადა 383-მა, რომელთა მთლიანი დედვეიტი 10,9 მლნ ტონა იყო.

სპარსეთის ყურეში ომის დამთავრებამ გავლენა მოახდინა მსოფლიო ნაოსნობაზე ორი მიმართულებით. ჯერ ერთი, მნიშვნელოვნად გაიზარდა ნავთობის მიწოდება მსოფლიო ბაზარზე. ჯერ კიდევ 1988 წლის ოქტომბერში მან უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში უმაღლეს დონეს მიაღწია. მეორეც, გაიზარდა სამშენებლო მასალების მიწოდება, რაც აუცილებელი იყო ომით დანგრეული ობიექტების აღსადგენად ირანსა და ერაყში. სატანკერო ტონაჟის ბაზარი გამოეხმაურება "ტანკერების ომის" დამთავრებას ახლო აღმოსავლეთში საფრახტო განაკვეთების მნიშვნელოვანი მატებით VLCC (Veru Large crude carrier) და ULCC (ultralarge crude carrier)

საერთაშორისო საზღვაო გადაზიდვები 1970-2000 წლებში

ცხრილი II

ქვეყნების ჯგუფი	წლები	დაცლილი ტვირთი				გადმოტვირთული ტვირთი			
		ნავთობი		მშრალი ტვირთი	სულ	ნავთობი		მშრალი ტვირთი	სულ
		გადაუმუშავი	პროდუქტი			გადაუმუშავი	პროდუქტი		
განვითარებული ქვეყნები	1970	10.5	26.7	58.5	29.7	79.9	80.6	78.0	79.1
	1980	60.3	26.5	64.7	37.0	72.0	79.6	67.8	70.5
	1990	13.4	32.7	63.4	43.8	71.4	77.9	61.7	66.6
	1998	11.9	33.0	63.3	43.4	71.4	72.5	61.9	65.9
	1999	11.7	33.0	63.2	43.9	71.3	72.0	61.3	65.5
	2000	11.6	33.1	63.1	43.8	71.0	72.0	61.1	65.3
ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები	1970	3.4	7.9	7.2	5.7	1.2	1.0	3.8	2.3
	1980	3.6	14.6	5.2	5.4	2.3	0.4	6.0	4.0
	1990	4.6	11.8	3.8	5.0	2.6	0.3	5.8	4.1
	1998	2.8	9.5	3.2	3.7	1.4	0.2	4.6	3.1
	1999	2.9	9.4	3.2	3.7	1.4	0.2	4.5	3.1
	2000	2.8	9.3	3.2	3.7	1.4	0.2	4.6	3.2
აზიის სოციალისტური ქვეყნები	1970	-	-	1.2	0.5	0.5	0.1	2.2	1.2
	1980	1.4	1.7	1.0	1.2	1.4	1.6	4.0	2.7
	1990	2.5	0.9	2.0	2.0	1.8	4.6	3.4	3.0
	1998	1.5	0.9	2.3	1.9	2.4	6.1	3.6	3.5
	1999	1.5	1.3	2.3	1.9	2.4	6.3	3.7	3.6
	2000	1.5	1.2	2.3	1.9	2.5	6.4	3.7	3.6
განვითარებადი ქვეყნები	1970	95.0	65.4	33.2	64.1	18.4	18.3	16.0	17.3
	1980	88.7	58.1	29.0	56.3	24.3	18.5	22.3	22.8
	1990	79.5	54.7	30.8	49.2	24.2	17.2	19.1	26.2
	1998	84.2	56.6	31.2	51.0	24.8	21.1	30.02	27.7
	19[illegible]	83.9	56.4	31.3	50.5	24.8	21.5	30.05	27.8
	2000	84.1	56.3	31.4	50.6	25.1	21.2	30.[illegible]	27.9

წყარო: UNCTAD secretariat on the basis of data surrelied by reporting countries and other specialized sources, 2000

კლასის ტანკერებზე.

მსოფლიო სატრანსპორტო ფლოტის სტრუქტურა და დინამიკა გემების ძირითადი სახეების მიხედვით 1997, 1998 და 1999 წლებისათვის მოცემულია ცხრილში III. 1999 წლის ბოლოსათვის მსოფლიო სატრანსპორტო ფლოტის დედვეიტმა 799,0 მლნ ტონა შეადგინა. მან 1998 წლის შემდეგ 1,3%-ით მოამატა, მაშინ, როდესაც იმავე 1998 წელს ტონაჟის წლიური ზრდა 1,6% იყო. ფლოტის ზრდის შედარებით დაბალი მაჩვენებელი, უპირველესად, განპირობებული იყო 30,7 მლნ დედვეიტი ტონაჟის განადგურებითა და დაკარგვით, როცა ახალაშენებულთა მიწოდება 40,5 მლნ დედვეიტით გაიზარდა, რამაც ძოიტანა 9,8 მლნ დედვეიტი წმინდა ზრდა 1999 წელს, 1998 წლის 12.0 მლნ-თან შედარებით.

ცხრილი III

მსოფლიო ფლოტი ძირითადი სახის გემების მიხედვით, 1997-1999 (ათასი dwt)

ძირითადი სახის გემები	1997 წ.	1998 წ.	1999 წ.	პროცენტული ცვლილება 1998 / 1999
ნავთობის ტანკერები	272 023 35.1	279 509 35.4	282 458 35.4	1.1
ბალკერები	281 012 36.2	275 519 34.9	276 091 34.6	0.2
გენერალური ტვირთის გემები	103 880 13.4	101 259 12.8	101 481 12.7	0.2
კონტეინერ-მზიდები	56 108 7.2	61 147 7.8	63 637 8.0	4.1
სხვა სახის გემები	62 904 8.1	71 291 9.0	75 328 9.4	5.7
სულ მსოფლიოში	775 927 100.0	788 725 100.0	798 995 100.0	1.3

წყარო: UNCTAD, Review of Maritime Tramsport, 2000

ლიტერატურა

1. Revirw of Maritime Transport, UNCTAD, 2000
2. Аверин Н., Проблема тарифов и торговое мореплавание, Ж. "Морской Флот", 1990, №6
3. Воовудка Ч., Состав и структура мирового флота, Ж. "Морской Флот", 1990, №7

ლ. ზაალიშვილი

საერთაშორისო სატრანსპორტო გადაზიდვების მსოფლიო ტენდენციები

საერთაშორისო სატრანსპორტო გადაზიდვებში იგულისხმება მომსახურება ყველა სახის ტრანსპორტით, რომელსაც უწევენ ერთი ქვეყნის რეზიდენტები სხვა ქვეყნის რეზიდენტებს. ანალიტიკური მიზნებისათვის გამოყოფენ საზღვაო ტრანსპორტს, რომელიც ძირითად როლს თამაშობს საერთაშორისო ტვირთების გადაზიდვაში და საჰაერო ტრანსპორტს, რომელიც მთავარია ქვეყნებს შორის ხალხის მოძრაობაში. ჩვენ ძირითად აქცენტს ვაკეთებთ საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვებზე. მიმოვიხილავთ თუ რა ტენდენციით და რა სიახლით ხასიათდება ეს დარგი.

ბოლო პერიოდში სატვირთო გადაზიდვების ყველაზე მნიშვნელოვანი სახეობაა შერეული გადაზიდვები, რომელშიც იგულისხმება გადაზიდვა, ორი ან მეტი სახეობის ტრანსპორტის გამოყენებით. ასეთ გადაზიდვებს ზოგჯერ უწოდებენ მომსახურებას „კარიდან კარამდე". ამ გადაზიდვებში ჩართულია მთელი სატრანსპორტო სისტემა და თუ რომელიმე რგოლმა ვერ იმუშავა ან სამუშაო შეფერხებით და არახარისხიანად შეასრულა, მაშინ მთელი

გადაზიდვა და ტვირთის მიტანის გრაფიკი ირღვევა. შერეულ სატვირთო გადაზიდვებში ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი რკინიგზას უჭირავს. ერთავალი წლის პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ რკინიგზაზე სატვირთო გადაზიდვები ბევრად უფრო რენტაბელურია, ვიდრე სამგზავრო, ამიტომ ინვესტიციების მოცულობა ამ მიმართულებით ყველაზე დიდია.

უნდა აღინიშნოს, რომ სატვირთო გადაზიდვები ძირითადი მსოფლიო რკინიგზის მუშაობის 75%-ს უდრის. ოკეანის გაღმა უკვე დანერგილია და მუშაობს ორიარუსიანი საკონტეინერო ვაგონ-პლატფორმები. ამან კიდევ უფრო ეფექტიანი გახადა ტრანსპორტის ეს სახეობა, ამ მიმართულებით ევროპის სარკინიგზო ხაზზეც მიმდინარეობს მუშაობა. ეს ახალი ტენდენცია, ალბათ, ძალე დაინერგება ევროპის ქვეყნებში.

ყურადღების ღირსია აგრეთვე ის სარკინიგზო-საბორნე გადაზიდვები, სადაც ვაგონები პირდაპირ პორტიდან ბორანზე გადადიან ყოველგვარი ზედმეტი დანახარჯების გარეშე. ეს შერეული გადაზიდვების ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე სახეა.

საქართველოს ორივე პორტში ექსპლუატაციაში შევიდა საბორნე გადასასვლელები: ფოთი ილიჩევსკის და ბათუმი-ვარნის მიმართულებით. მსოფლიო მასშტაბით, სატვირთო გადაზიდვების წილი შეადგენს დაახლოებით 75%-ს. ჩვენ სწორედ რომ განვსაჯოთ სიტუაცია, საჭიროა გავითვალისწინოთ ეკონომიკური ფაქტორები. შეიძლება მოვახდინოთ კონსტანტაცია იმისა, რომ სატვირთო გადაზიდვების საშუალო ღირებულება მნიშვნელოვნად დაბალია სამგზავროსთან შედარებით. ამიტომ ქვეყნების უმეტესობა საერთაშორისო სარკინიგზო სატვირთო გადაზიდვებში ხედავენ უფრო დიდ პერსპექტივას და თავიანთ მომავალს მათ განვითარებაში. იმისგან განსხვავებით თუ რა ხდებოდა ევრაზიის კონტინენტზე ეკონომიკური დაცემის დროს ბოლო ათწლეულში, აშშ-ში შეიმჩნეოდა გარკვეული გამოცდილება სარკინიგზო ტრანსპორტში. არ შეჩერებულა სატვირთო გადაზიდვების ზრდა ჩინეთსა და სამხრეთ აზიის უმეტეს ქვეყნებში, რაც დაკავშირებული იყო სატრანსპორტო მომსახურების მოთხოვნილების ზრდაზე. ამგვარად სატვირთო გადაზიდვების მოცულობა

სარკინიგზო გზებზე ბოლო წლების განმავლობაში 4-დან 8%-მდე ყოველწლიურ ზრდას განიცდის.

ცხრილი 1

მსოფლიოს უდიდესი სარკინიგზო გზების მუშაობა 2000 წ.

ქსელი, რკინიგზა	ქსელის სიგრძე	გადაზიდვების ზომები			შრომის ნაყოფიერება, ულნ მოყვანილი ტ·კმ /კაცი წელიწადში
		სატვირთო გადაზიდვ. მლრდ ტ·კმ	სამგაერ. გადაყვან მლრდ მგზ·კმ	სულ მლრდ ტ·კმ	
რუსეთი	87000	1613	272	1885	1,2
ჩინეთი	53800	1192	348	1540	0,75
ინდოეთი	62500	250	315	565	0,35
Burlington Northern (აშშ)	35700	342	–	342	11,2
უკრაინა	22600	246	76	322	0,6
Union Pacific (აშშ)	26500	318	–	318	10,8
ყაზახეთი	14000	265	15	280	მონაცემი არ, არის
CSX (აშშ)	30000	211	–	211	7,2
Norfolk Couthern (აშშ)	23300	161	–	161	6,3
Canadian National (აშშ და კანადა)	31700	145	–	145	4,9
Southern Pacific (აშშ)	19000	145	–	145	8,0
Canadian Pacific (აშშ და კანადა)	24800	138	–	138	5,6
Santa Fe (აშშ)	13700	134	–	134	9.5
Rail East (იაპონია)	7500	–	128	128	1,6
Conrail (აშშ)	18300	125	–	125	5.1
გერმანია	40400	60,5	55,5	116	0,3
საფრანგეთი	32300	45	58	103	0,5

აშშ-სა და კანადაში სატვირთო გადაზიდვების საერთო მოცულობამ 24 უმსხვილეს სარკინიგზო მაგისტრალზე მიაღწია სარეკორდო დონეს – 2000 მილიარდ ტონა-კილომეტრს, რაც მთელი მსოფლიოს გადაზიდვების მესამედია, ჩინეთის რკინიგზაზე კი სატვირთო გადაზიდვების მოცულობამ 1300 მილიარდ ტონა კილომეტრს მიაღწია. დსთ და ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში კი, პირიქით, გადაზიდვების მოცულობა 30%-ით დაეცა. მან შეადგინა დსთ-ს ქვეყნებში 1200 მილიარდი ტონა-კმ. მათ შორის რუსეთში 700 მილიარდი ტონა-კმ. ქვემოთ ცხრილში(1) მოყვანილია მსოფლიოს უდიდესი სარკინიგზო გზების მუშაობის 2000 წლის მაჩვენებლები.

ცნობილია, რომ უპირატესი ტენდენცია მსოფლიო სატრანსპორტო ბაზარზე არის გადასაზიდი საერთო ტვირთის მასის მნიშვნელოვანი შემცირება და გადაზიდვების მოცულობის შემცირება. ამ ტენდენციას აქვს უნივერსალური ხასიათი და მართებულია როგორც ინდუსტრიული, ისე განვითარებადი ქვეყნებისათვის. ქვეყნებს, რომლებიც აწარმოებენ პირველად ნედლეულს, როგორც წესი, არ გააჩნიათ ისეთი სატრანსპორტო სისტემა, რომელიც აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს. ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებს ახასიათებთ თავიანთი ცენტრების განლაგება ძირითადად მომხმარებელთან ახლოს, იმიტომ რომ ეფექტიანი იყოს სატრანსპორტო გადაზიდვები და რაც შეიძლება საკლები ხარჯით მოხდეს პროდუქციის მომხმარებლამდე მიტანა. ამიტომაც მიზანშეწონილია მსხვილი კაპიტალდაბანდებები სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებაში, რათა ბიზნესი იყოს უფრო დაცული და კონკურენტუნარიანი. სწორედ ამიტომაც სარკინიგზო გზები უნდა იყოს უფრო ხისტი, უფრო დივერსიფიცირებული, უნდა გაუმჯობესდეს მომსახურების ხარისხი.

საავტომობილო ტრანსპორტი, სარკინიგზოსა და საჰაერაოსაგან განსხვავებით, უფრო მობილურია გადასაზიდი ტვირთებისადმი. დიდ საეჭვო ცენტრებსა და სამრეწველო საწარმოებს აღარ აქვთ აუცილებლობა ახლოს იყვნენ სარკინიგზო მაგისტრალებთან, ისინი უპირატესობას ანიჭებენ ავტომაგისტრალებთან სიახლოვეს, მითუმეტეს,

როცა არსებობს საშიშროება მისადგომი სარკინიგზო გზების ჩაკეტვისა. ამავე დროს სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს მასიური ტვირთების ნაკადები, ისეთები, როგორიცაა ქვანახშირი. განსაკუთრებით ეს ხდება ისეთ ქვეყნებში, სადაც არ არის განვითარებული ატომური ენერგეტიკა. ეს განსაკუთრებით აღსანიშნავია სამხრეთ ამერიკისა და ცენტრალური ამერიკის ქვეყნებში. აშშ-ს ზოგიერთ შტატში, მაგალითად, ვაიომინგიდან აღმოსავლეთ სანაპიროებისაკენ არის მარშრუტი, რომელსაც ყოველდღე თითქმის 10 000 ტ ქვანახშირი გადააქვს 3000 კმ-ის მანძილზე. მსოფლიოს სხვა რეგიონებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია რკინის მადნის გადატანას რკინიგზით. ერთ-ერთი ყველაზე დიდი სარკინიგზო გზა არის შვეციიდან გერმანიამდე, სადაც ხმარებაშია მადანმზიდი მატარებლები, რომელთა საერთო მასა 5400 ტ-ს შეადგენს.

მასიური გადაზიდვების ყველა სფეროში დომინირებს სამარშრუტო მატარებლები. რკინიგზაზე მოქმედებენ ყველა კომპანია ფიქრობს გამოიყენოს თავისი მთავარი უპირატესობა - ეს არის დიდი მასის მქონე მატარებლები, რომლებსაც შეუძლიათ კონკურენტუნარიანი ტარიფებით საავტომობილო და საზღვაო ტრანსპორტთან შედარებით მოახდინონ ტვირთის მიტანა კარიდან კარამდე. ასეთი ტიპის გადაზიდვა საგრძნობლად ამცირებს ტვირთის დაკარგვის ან გაფუჭების რისკს. ამასთან ერთად საექსპლოატაციო ხარჯებიც მინიმუმამდე იწევს და მიტანის საშუალო სიჩქარე შემოიფარგლება მხოლოდ ტექნიკური პრობლემებით, დამოკიდებულია რა მატარებლების დატვირთვასა და სიჩქარეზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ისეთი ხაზები, რომლებიც მთლიანად აკმაყოფილებენ მასიურ სამარშრუტო გადაზიდვებს, ჯერ კიდევ არ არის საკმარისი.

ტვირთების გადაზიდვების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მათი მეთოდების ორგანიზაციის მიხედვით სამარშრუტო გადაზიდვების წილი სარკინიგზო სატვირთო გადაზიდვებში საშუალოდ 30%-ია. ეს მაჩვენებელი სხვადასხვაა აშშ-სა და ევროპაში. აშშ-ში სამარშრუტო მატარებლების რიცხვი დაახლოებით ორი მესამედია მთელ-

სარკინიგზო სისტემაში, ეს მაჩვენებელი იმაზე მეტყველებს, თუ რა როლი ენიჭებათ სამარშრუტო მატარებლებს საერთაშორისო ტვირთბრუნვაში. სავსებით ნათელია, რომ სატვირთო გადაზიდვების ლაყოფა სახეობებად მოძველდა. 90-იან წლებამდე კლასიფიკაცია ხდებოდა სამარშრუტო მატარებლების, სავაგონო გზაცვლების, შერეული გადაზიდვების და სხვათა სახით. დღეისდღეობით სატვირთო გადაზიდვების კლასიფიკაცია ხდება კომერციულ დონეზე: სამარშრუტო გადაზიდვები, შერეული გადაზიდვები და სხვა. ბოლო კატეგორიაში იუნლინსმება გადაზიდვები ცალკეული ვაგონებით. მათი მოცულობა ლლითიდლე მცირდება: 1990 წელს იყო 20 მილიარდი ტ-კმ, 1995 წელს 12,8 მლდ ტ-კმ, ხოლო 2000 წელს – 8,4 მლდ ტ-კმ.

სინამდვილეში ტექნიკური და პრაქტიკული მნიშვნელობით ყველაზე კონკურენტუნარიანად ითვლება გადაზიდვები კარიდან კარამდე, რომლებიც ხორციელდება გადამუშავების გარეშე. ისინი ითვლებიან ერთ-ერთ მომგებიან გადაზიდვებად სარკინიგზო ტრანსპორტსე, დამოუკიდებლად ტვირთის სახეობისა და ტარისა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაზიდვები ატარებს მასიურ ხასიათს.

დოც. რ. ბერიძე

ავიაგადაზიდვების გაყიდვა და რეზერვირების გლობალური სისტემები

სამამულო აეროსაწარმოების ბიზნესის განვითარება მიმართულია გადაზიდვების მოცულობის, პირველ რიგში ავიაკომპანიის შემოსავლებისა და მოგების ზრდაზე. რომლის მიღწევის ერთ-ერთი საშუალებაა გადაზიდვების გაყიდვის თანამედროვე ტექნოლოგიის დანერგვა და ოპტიმიზაცია. აქ საყურადღებოა ისეთი საკითხები, როგორიცაა: რესურსების გონიერული მართვა, ტარიფების ეფექტიანი

სისტემის დამუშავება, საკუთარ და სააგენტოს მიერ გაყიდვებს შორის თანაფარდობა, სააგენტოს ქსელის განვითარება, აგენტისა და გადამზიდავებს შორის ურთიერთობის რეგლამენტაცია, აგრეთვე ურთიერთანგარიშსწორების ნორმალური სისტემის ჩამოყალიბება.

ავიაკომპანიები საერთაშორისო გადაზიდვების გაყიდვას ახორციელებენ შემდეგი სახით:

- ავიაკომპანიები იღებენ თავისუფალი გაყიდვის უფლებას და სხვადასხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე თავისი სააგენტოების ან წარმომადგენლობის საშუალებით ახდენენ გადაზიდვების საკუთარ გაყიდვას;

- აგენტების, სხვა ავიაკომპანიების და გენერალური აგენტების მიერ გადაზიდვების გაყიდვა.

შერჩეული სტრატეგიის შესაბამისად ავიაკომპანია განსაზღვრავს, თუ როგორ განახორციელოს გადაზიდვების გაყიდვა. მაგალითად, სატვირთო გადაზიდვების შემთხვევაში მიზანშეწონილია სატვირთო საშუამავლო ფირმებთან თანამშრომლობა. თუ საქმიანობა, ტურისტების გადაყვანასთანაა დაკავშირებული, მაშინ შეუცვლელია ტურისტული ფირმებისა და აგენტების მომსახურება, ხოლო იმ მგზავრებისათვის, რომლებიც დასასვენებლად მიდიან ნათესავებთან ან ახლობლებთან, უკეთესია გადაზიდვების საკუთარი გაყიდვის ორგანიზაცია.

გადაზიდვების გაყიდვების ორგანიზაციასთან დაკავშირებით, ავიაკომპანიის კომერციულ საქმიანობაში შეიძლება გამოიყოს ოთხი ძირითადი დონე:

- რესურსებთან, ე.ი. წარმოებულ პროდუქტთან მუშაობა;
- აგენტებთან მუშაობა, საცალო ქსელი;
- შემოსულ ფინანსურ ნაკადებთან მუშაობა;
- გადაზიდვების აღრიცხვასთან დაკავშირებით მუშაობა.

იმის მიუხედავად, რომ ჩამოთვლილი პოზიციები ერთი და იგივე პროცესია, ისინი მაინც საკმაოდ დამოკიდებულნი არიან ერთი მეორესაგან. ბოლო ორი ელემენტი ინდივიდუალურია ყველა ავიაკომპანიისათვის და ანალიზს ნაკლებად ექვემდებარება.

ავიაკომპანიის რეალური კომერციული ინსტრუმენტია რესურსების მართვა და გაყიდვის საკუთარი ქსელის ორგანიზაცია.

როგორც წესი, რესურსების მართვაში გაიგება ერთი ან რამდენიმე ინვენტორულ სისტემაში კონკრეტული ავიარეისის შესახებ ინფორმაციის გადაადგილება-ადგილების რაოდენობა, ტარიფების სტრუქტურა და მათი გამოყენების წესები, ცალკეული ტარიფისათვის ადგილების ბლოკის და ადგილის ერთი ბლოკიდან მეორეში გადასვლის წესის დაწესება, გაყიდვის და დაჯავშნის სიღრმის განსაზღვრა, რიგში მგზავრის დაყენების შესაძლებლობა და რიგის დამუშავების წესი.

ავიაკომპანიის ერთიანი კომერციული პოლიტიკის გატარება რთულდება მაშინ, როდესაც ყველა აგენტს არ აქვს გათავისებული, თუ რა არის რესურსების მართვა, რისთვის და როგორ ხორციელდება.

ავიაკომპანიის კომერციულ საქმიანობაში არსებით როლს ასრულებს ავიაგადაზიდვების რეზერვების სისტემა. ეს წმინდა ტექნოლოგიური სისტემა ძირითადი „შუამავალია" თვითმფრინავში არსებულ რეალურ ადგილებსა და მათი დაკავების მსურველ მგზავრებს შორის.

დაჯავშნის არსებული სამამულო სისტემა ბევრად ჩამორჩება განვითარებული მსოფლიო ანალოგებს. მაგრამ, როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ, სიტუაციის გაუმჯობესების ძირითადი წინაღმდეგობაა არა მარტო ტექნოლოგიურად და ორგანიზაციულად არასრულყოფილი არსებული სისტემების ან მსოფლიო ანალოგებთან რეალური შეპირისპირების შესაძლებლობა, არამედ ავიაგადამზიდავებისა და აგენტების მიერ არსებული დაჯავშნის სისტემების გამოყენების მნიშვნელობის სრულად გაგებაც.

ავიაგადაზიდვების რეზერვების სისტემა ემსახურება, ერთი მხრივ, ავიაკომპანიების მიერ ბაზარზე შეთავაზებული გადაზიდვების მოცულობის და მათი დამუშავების (ინვენტორული სისტემები) ვერტიკალურად გამოხატვის შენახვას, ხოლო, მეორე მხრივ, გაყიდვების ფართო ქსელით (დისტრიბუტორული სისტემები) რესურსების რეალიზაციის შესაძლებლობის უზრუნველყოფას.

მსოფლიოში არსებობს მნიშვნელოვანი რაოდენობის ინვენტორული და დისტრიბუტორული სისტემები, რომლებიც პრაქტიკულად წარმოიშვნენ და განვითარდნენ ავიაკომპანიების ბაზაზე.

გლობალურ დისტრიბუტორულ სისტემებს - Global Distribution System (GDS) შორის ყველაზე მსხვილია შაბრე (შეიქმნა ტერიკან ირლინეს ბაზაზე და აქციების საჯარო განლაგებით პრაქტიკულად დამოუკიდებელია), რომელიც ლიდერობს აშშ-ის ბაზარზე, ხოლო ევროპაში Amadeus-ი (ახლანდელი მფლობელები არიან: Air France, Lufthansa da Iberia) და Galileo (საფუძველად უდევს ევროპის „კოლექტიური" Galileo და ავიაკომპანია United Airlines-ის Apollo, ლლუისაოეის აქციების 75% თავისუფალ მიმოქცევაშია), Worldspan (არის ავიაკომპანიების: Delta Air Lines, Northwest Airlines და Trans World Airlines-ის „შვილობილი" კომპანიის საკუთრებაში).

ევროპაში დაჯავშნის სხვადასხვა კომპიუტერული სისტემების წილი შემდეგია: 56% მოდის Amadeus-ის სისტემაზე, 36% უკავია სისტემა Galileo-ს, ხოლო 8% მოდის Sabre/Worldspan სისტემაზე.

დსთ-ის ბაზარზე დომინირებადი პოზიცია უჭირავს ევროპის წამყვან გლობალურ დისტრიბუტულ სისტემას (GDS) Amadeus-ს. საქართველოს, აზერბაიჯანისა და შუა აზიის რესპუბლიკების Amadeus-ის წარმომადგენლობა ყაზახეთშია.

მსოფლიოს სხვა გლობალურ დისტრიბუტორულ სისტემებთან (GDS) შედარებით Amadeus-ი არის მეტად პოპულარული სისტემა, რომლის საშუალებით ხდება საერთაშორისო გადაზიდვების მაქსიმალური რაოდენობა და რეზერვების უმეტესი მოცულობა. გადაზიდვების სფეროში სისტემა ფლობს მონაცემების სრულ ბაზას და არის ტურიზმის დარგში ინფორმაციული ტექნოლოგიის მფლობელი ერთ-ერთი წამყვანი კომპანია, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ემსახურება 50 ათასზე მეტ ტურისტულ სააგენტოს და ავიაკომპანიების 8200-ზე მეტ ოფისს.

გადამზიდავებისთვის თავისი მომსახურებით Amadeus-ი უნიკალურია, რადგანაც ის უზრუნველყოფს მუშაობის ორ დონეს: წმინდა დისტრიბუტული ფუნქცია და სრულფასოვანი ინვენტორულ-

დისტრიბუტული პაკეტი.

პირველ შემთხვევაში გადამზიდავს აქვს რესურსების მართვის საკუთარი სისტემა ერთ-ერთი ინვენტორული სისტემის ბაზაზე (როგორიცაა - Gabriel, Alpha-III, Lufthansa Sustems და სხვა) და Amadeus-თან აფორმებს შეთანხმებას გადამზიდავის მონაწილეობის შესახებ (Portisipation Carier Agreement, PGA). დოკუმენტი, რომელიც რეგლამენტირებას უკეთებს GDS-თან თანამშრომლობის დონეს (წმინდა ინფორმაციულიდან დაწყებული სრულფასოვანი დაჯავშნით დამთავრებული), განსაზღვრავს ავიაკომპანიების რესურსებთან დაშვების სისტემის ფორმებს და ანუსტებს ნებისმიერ დამატებით გაწეულ მომსახურებას.

მეორე შემთხვევაში Amadeus-ი გამოიყენება საკუთარ ოფისებში როგორც მომსახურების გაყიდვის ექსკლუზიური სისტემა. ამ სისტემის სარგებლობისათვის უხდიან პრემიას (distribution fee) ყოველი დაჯავშნისათვის, რომელიც კეთდება Amadeus-ის მონაწილე ავიაკომპანიის ავიარეისებზე, აგრეთვე იმ კომპანიების სასტუმროების და ავტომობილების იჯარის ყველა დაჯავშნისათვის, რომლებსაც სისტემაში წარმოდგენილი აქვთ საკუთარი რესურსები (ერთი დაჯავშნის ღირებულება საშუალოდ შეადგენს ერთიდან რამდენიმე დოლარს, დაჯავშნის სისტემა თავისი შემოსავლების 80%-მდე იღებს სააგენტოებიდან და არა ავიაკომპანიებიდან). ასევე შემთხვევაში ავიაკომპანიებთან ფორმდება შეთანხმება სისტემის სარგებლობის შესახებ (System User Agrement, SUA).

უმეტეს შემთხვევაში მსოფლიოს ყველა მსხვილ ავიაკომპანიას გააჩნიათ საკუთარი ინვენტორული სისტემები, რომლებშიც, როგორც წესი, მთლიანად განვითარებულია მათი და ერიგ შემთხვევაში არც თუ დიდი გადამზიდავების რესურსი. ზოგჯერ ეს ცენტრები ურთიერთმოქმედებენ მხოლოდ ერთი GDS-ის დახმარებით (Amadeus-თან ასე მუშაობენ ავიაკომპანიები Lufthansa და Iberia), რომლის საშუალებითაც ავიაგადამზიდავების რესურსებთან დაშვება აქვს რეზერვების ყველა დანარჩენ სისტემას და აგენტს, საკუთარი მოლარეების ჩათვლითაც კი.

ავიაკომპანიები ხშირად პირდაპირ კავშირს ამყარებენ საკუთარ ინვატორულ „ხოსტებსა" და ბევრ CRS-ს შორის. მაგრამ იშვიათ შემთხვევაში ავიაკომპანიის რესურსებთან აგენტები უშუალოდ დაიშვებიან, როგორც ეს ხდება რუსეთში სისტემა Gabriel-თან.

Gabriel-ი ფაქტობრივად მულტიხოსტური ინვენტორული ცენტრია, რომელიც ეკუთვნის SITA-ს (საავიაციო კომპიუტერული კავშირის სისტემა), მაგრამ რუსეთის, ასევე დსთ-ის სხვა ქვეყნების ბაზარზე, სადაც სუსტადაა წარმოდგენილი მსოფლიოს ძირითადი GDS, ფაქტობრივად თავის თავში ცვლის გამანაწილებელ სისტემებსაც.

გლობალურ დისტრიბუტორულ სისტემა Galileo-ში წარმოდგენილია მსოფლიოს 537 ავიაკომპანიის რესურსი (მ.შ. ნახევარზე მეტი პირდაპირი შეღწევის რეჟიმში), 40 ათასზე მეტი სასტუმროს, ავტომობილების იჯარით დაკავებული 41 კომპანიის, 36 ტუროპერატორული და 9 კრუიზული ჯგუფის რესურსები.

ეს სისტემა ტურისტულ სააგენტოებს მსოფლიოს 107 ქვეყნის 40 ათას გაყიდვის წერტილებში, საშუალებას აძლევს ინფორმაცია მიიღონ ავიაკომპანიის განრიგისა და ტარიფების, ავიარეისზე თავისუფალი ადგილების შესახებ, აგრეთვე დაჯავშნონ ავიაგადაზიდვები, სასტუმროს ნომრები, ავტომობილი, კრუიზი და გამოწერონ ბილეთი.

Galileo International-ი ფლობს დაჯავშნის ორ კომპიუტერულ სისტემას - Apollo გამოიყენება კანადაში, აშშ-ში, მექსიკაში, იაპონიასა და კარიბის ზღვის აუზის ზოგიერთ ქვეყანაში. Galileo და სხვა დანარჩენ რეგიონებში. Galileo და Apollo სისტემების საშუალებით ხორციელდება მსოფლიო მთლიანი დაჯავშნის ერთი მესამედი.

ბოლო დროს მსოფლიოს წამყვანმა გლობალურმა დისტრიბუტორულმა სისტემებმა თავიანთი საქმიანობა გააქტიურეს დსთ-ის ქვეყნებში. Galileo-ს და Amadeus-ის ტერმინალების რაოდენობა და ავიაკომპანიებთან ხელშეკრულების რიცხვი იზრდება. დღეისათვის გადამზიდავის „გაფორმება" ნებისმიერ GDS-ში შეიძლება პრობლემების გარეშე. მაგრამ გლობალურ დისტრიბუტორულ სისტემებში სრული მონაწილეობისათვის ავიაკომპანიამ უნდა

გადაწყვიტოს რიგი შუალედური ამოცანები.

პირველი – რესურსი აუცილებლად უნდა განთავსდეს ისეთ სისტემაში, რომელსაც აქვს სრულფასოვანი შესაბამისობა GDS-თან. დსთ-ის ქვეყნების უმეტესი გადამზიდავებისათვის ამ სიტუაციიდან ჯერ-ჯერობით გამოსავლად რჩება Gabriel-ის გამოყენება (უფრო მეტიც, მასთან ერთობლივად შესაბამის მომსახურებას თავაზობს Amadeus-ი), მაგრამ შესაძლებელია გამოინახოს უფრო იაფი ზემოთ აღნიშნულიდან ერთ-ერთი ინვენტორული ცენტრი.

მეორე – GDS-ი ინფორმაციას ტარიფებისა და განრიგების შესახებ ილებს უშუალოდ არა გადამზიდავისაგან, არამედ GDS-ზე უფრო გლობალური სისტემიდან, როგორიცაა მონაცემების საერთაშორისო ბაზები. ტარიფებისათვის, როგორც წესი, ესაა - ATPCO, ხოლო განრიგისათვის ძირითადია - OAG. აქ შესაბამისი შეტანა უნდა უზრუნველყოს თვით გადამზიდავებმა, ე.ი. მათ საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით აუცილებელია შეიმუშაონ და მოახდინონ ტარიფების ფაილირება, რომელიც ბევრს არ ძალუძს.

მესამე – თუ ავიაგადამზიდავი ხელშეკრულებას დებს GDS-თან, მაშინ, რა თქმა უნდა, პირველ რიგში გაითვალისწინება საზღვარგარეთ გაყიდვა. ამიტომაც მან უცხოეთის სააგენტოები უნდა უზრუნველყოს და შეუქმნას ბილეთების გაფორმების შესაძლებლობა. ამის მიღწევა შეიძლება რამდენიმე გზით: ანგარიშსწორების შესაბამის სისტემაში გაერთიანება (მაგ. IATA-ს BSP, ხოლო აშშ-ში APC ბილეთების ბლანკების გამოყენება), პოტენციალურ გამყიდველებზე (ან ერთიან გენერალურ აგენტებზე) საკუთარი ბილეთების ბლანკების გადაცემა, აგრეთვე უცხოეთის რომელიმე ავიაკომპანიასთან ინტერლაინის შესახებ ხელშეკრულების გაფორმება.

გლობალური დისტრიბუტორული სისტემები და თანამედროვე ინვენტორული ცენტრები მოსახერხებელი და ეფექტიანი ინსტრუმენტია, მაღალ შედეგებს ისინი უზრუნველყოფენ მათი შესაძლებლობების სრული გამოყენების შემთხვევაში.

ავიაგადამზიდვების გაყიდვის ორგანიზაცია რჩება სამამულო ავიაბიზნესის ერთ-ერთი სუსტი მხარე.

გადაზიდვების გაყიდვის ერთ-ერთი პერსპექტიული მიმართულებაა კორპორაციულ კლიენტებთან სამმხრივი ხელშეკრულების გაფორმების შესაძლებლობა. ამ შემთხვევაში სააგენტო დამატებით შემოსავალს არ იღებს, მაგრამ ფასდაკლებაზე ექსკლუზიური უფლების მოპოვებით საშუალება ეძლევა დამატებით მიიზიდოს კლიენტები.

ახალი ინიციატივაა ბილეთების ავტომატურად ბეჭდვის შემოღება, რომლის განხორციელებისათვის საჭიროა სააგენტოების მუშაობის ტექნოლოგიის შეცვლა, პროგრამული უზრუნველყოფის გადაწყობა და დამატებითი ტექნიკის შესყიდვა.

ავიაგადამზიდავების ბანკებთან თანამშრომლობის ერთ-ერთი ინიციატივაა, აგენტებზე ავიაკომპანიის ბილეთების ბლანკების უშუალოდ გადაცემა ბანკის მეშვეობით ან მისი გარანტიით.

გადაზიდვების გაყიდვის მოცულობის გაზრდის არსებითი რეზერვია (ტარიფების ზრდის შემთხვევაშიც) ავიაკომპანიებსა და სააგენტოებს შორის ურთიერთმოქმედების გაუმჯობესება. ფართოდ გავრცელებულია აზრი, რომ ავიაგადაზიდვებისათვის განსაზღვრული ბილეთის ფასი. მაგრამ გადამზიდავებისა და სააგენტოების დაკვირვება აჩვენებს, რომ მოლარეები ყურადღებას არ აქცევენ კლიენტის პოტენციურ მყიდველობითუნარიანობას და თავდაპირველად თავაზობენ ყველაზე იაფ ტარიფებს. უბრალოდ დღეისათვის ყველა სააგენტოსათვის ხელმისაწვდომი არ არის ავიაბილეთის გაყიდვის მაღალი ხელოვნება. ამ მიმართულებით პერსონალის სწავლება ფაქტობრივად არ არსებობს, შემოიფარგლებიან მხოლოდ ინსტრუქციის ამა თუ იმ სისტემის გამოყენების საკითხების გაცნობით.

უმეტესად აგენტების დაბალი კვალიფიკაციის შედეგია ის, რომ რთული სატარიფო სისტემის გამოყენებისათვის გადამზიდავების ძალისხმევა ხშირად არ იძლევა განსაზღვრულ პოტენციურ ეფექტს. ამიტომაც ახლო მომავალში შესამჩნევი იქნება პატარა და მსხვილ სააგენტოებს შორის განსხვავება, რადგანაც ამ უკანასკნელს დიდი საშუალება ეძლევა დაამბანდოს სახსრები მის განვითარებაში.

ავიაკომპანიებსა და სააგენტოებს შორის მსარდი ურთიერთთანამშრომლობის განვითარება და გადაზიდვების რეალიზაციის ახალი

ტექნოლოგიის განვითარება უზრუნველყოფს ავიაგადაზიდვების მოცულობის და შემოსავლების ზრდის პოტენციალს.

დღეისათვის მსოფლიოში ავიაბილეთების საერთო რაოდენობის 80%-მდე იყიდება აგენტების საშუალებით. მაგრამ უცხოეთის ავიაგადამზიდავების 78%-ს, რომლებსაც ინტერნეტის ქსელში აქვთ საიტი, როგორც SITA-ს გამოკვლევებმა აჩვენა, დღეისათვის მათი საშუალებით ავიაკომპანიები ყიდიან ბილეთების საერთო მოცულობის 10%-ს. უახლოეს მომავალში ეს წილი არსებითად გაიზრდება.

ბიზნეს-ტექნოლოგიის ახალი მარკეტინგული ინიციატივაა ავიაკომპანიების მიერ ინტერნეტის საშუალებით პრომოუშენ-აქციების ორგანიზება.

სპეციალისტების პროგნოზით უახლოეს დროში საავიაციო ინდუსტრიაში შესამჩნევი იქნება ბიზნესის წარმოებისათვის ონლაინური ტექნოლოგიის მასობრივი გამოყენება. შეეხება თუ არა ეს პროცესები საქართველოს საჰაერო ტრანსპორტს, ამას დრო აჩვენებს.

ავიაგადაზიდვების კომერციული პოლიტიკის ერთ-ერთი საფუძველია ფრენის განრიგის და ტარიფების სისტემის აგების საკითხები. არანაკლებ მნიშვნელოვანია შესაბამისი ინფორმაციის გავრცელების ხერხები, დაჯავშნის სისტემაში მისი ჩართვა. მსოფლიო ავიაგადაზიდვების ბაზარზე სტანდარტებს ადგენს IATA, ხოლო განრიგებისა და ტარიფების შესახებ ინფორმაციის აკუმულირებას ახდენს დამოუკიდებელი კომერციული კომპანიები, როგორიცაა - ATPCO და OAG (ძირითადი), Innovata და Mapping (ალტერნატიული).

საერთაშორისო კლირინგულ პალატასთან (ТКП) რუსეთში არსებობს განრიგისა და ტარიფების ცენტრი (ЦРТ), რომელსაც მსარი დაუჭირა დსთ-ის ქვეყნებმა და მასთან გააფორმეს სპეციალური ხელშეკრულება.

აღნიშნული სისტემების გამოყენების დროს ავიაკომპანია თავისი ოფისიდან შედის შერჩეულ სისტემაში, შეაქვს შესწორებები. სისტემა მათ ავტომატურად დააშუშავებს და აკონტროლებს ლიცენზიის პარამეტრების შესაბამისად. ისინი არიან მსოფლიო ავიაკომპანიების განრიგისა და ტარიფების შესახებ ინფორმაციის გლობალურ

დისტრიბუტორულ სისტემაზე (GDS) მიმწოდებლები.

მომავალში გადაზიდვებზე მოთხოვნილების ზრდის დროს, სამამულო ავიაკომპანიების მსოფლიო ავიაგადაზიდვების ბაზარზე ინტენსიური ინტეგრაციისათვის უდიდესი ძალისხმევაა საჭირო, რათა რეალურად ხდებოდეს ავიაკომპანიის რესურსების მართვის, რეზერვირების და მგზავრებზე ფართო სპექტრის მომსახურების გაწევის უნივერსალური სისტემების სრული გამოყენება.

რ. ძინძლაძე, შ. მეტრეველი

ტურიზმი და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში

ტურიზმი დასვენების ერთ-ერთი გავრცელებული ფორმაა, რომელიც უფრო ჩქარი ტემპით ვითარდება, ვიდრე სხვა მსგავსი მომსახურება. მას უდიდესი პოტენციალი გააჩნია, რათა შექმნას ახალი სამუშაო ადგილები და საგრძნობლად გაზარდოს სახელმწიფოს შემოსავლები უცხოურ ვალუტაში. საქართველოს უთუოდ გააჩნია შესანიშნავი ბუნებრივი და ხელოვნური რესურსები, რაც საშუალებას მისცემს სწრაფად განავითაროს ტურისტული ინდუსტრია. ჩვენს ქვეყნის ტურისტული რესურსი შემდეგი ფაქტორებით ხასიათდება: დასავლეთ ევროპასთან - მსოფლიო ტურიზმის ჯველაზე დიდ ბაზართან სიახლოვე, რბილი პავა და შესანიშნავი ბუნებრივი რესურსები, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყანაში წელიწადის თორმეტივე თვის განმავლობაში ტურისტთა ნაკადებს; მსოფლიოს უძველესი რელიგიური და არქიტექტურული ძეგლები; მაღალგანვითარებული ლიტერატურა, რომელიც ერთ-ერთ ორიგინალურ ენასა და დამწერლობას ეფუძნება და ძალზე საინტერესო სამზარეულო.

. აღნიშნულიდან გამომდინარე, არ არის გასაკვირი, რომ საქართველო ყოფილ საბჭოთა კავშირში ტურიზმის მნიშვნელოვანი ობიექტია. აქ ყოველწლიურად დაახლოებით 4 მლნ რუსი და სხვა ერიოვნების საბჭოთა ტურისტი და საბჭოთა კავშირში საშუალო უცხოელ ტურისტთა 40% ნაშოდიოდა. 1991 წელს საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ტურიზმის მთელი ინდუსტრია ეროვნულად მოიშალა, და ქვეყანას თავიდან მოუწია ამ საქმიანობის დაწყება. ოღონდ შეიძლება ითქვას ტურიზმის სფეროში ეკონომიკური საქმიანობის ამსახველი მონაცემების შეგროვებაზეც. მისი მოპოვება მხოლოდ სპეციალური სოციოლოგიური გამოკვლევებისა და შერჩევითი დაკვირვების საშუალებით შეიძლება რადგან სრულყოფილი ოფიციალური სტატისტიკური ანგარიშების ფორმები ჯერჯერობით არ არსებობს. თუმცა ოფიციალური ინფორმაციის მიღების იდეალსაზრისით სასურველი იქნება სპეციალური "ალრიცხვის ბარათის" შემოღება, რომელსაც ყველა უცხოელი შეავსებს, რომელიც საჰაერო, საზღვაო თუ სახმელეთო გზით შემოვა ქვეყანაში. ეს კი ქვეყნის ტურიზმის განვითარების კონცეფციის შემოღებასთან ერთად, ხელს შეუწყობს სტატისტიკური ინფორმაციის ბაზის შექმნასა და შემდგომ სრულყოფას.

აშშ-ის ექსპერტთა მიერ მოპოვებული ინფორმაციისა და ტურიზმის დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით საქართველოს 1995 წელს ეწვია 85.500 ვიზიტორი, მათ შორის დსთ-დან 59,5% და თურქეთიდან 29%, 1996 წელს 117 ათასი, მათ შორის დსთ-დან - 40%, თურქეთიდან - 43,1%, 1997 წელს 313 ათასი. მათ შორის დსთ-დან - 59,3%, თურქეთიდან - 31,7%, 1998 წელს 317 ათასი, მათ შორის დსთ-დან - 55,9%, თურქეთიდან - 32,2%, 1999 წელს 384 ათასი, მათ შორის დსთ-დან - 57%, თურქეთიდან - 26,3%, 2000 წელს 387 ათასი, დსთ-დან 56,8%, თურქეთიდან 21,7% და 1995 - 2000 წლებში საშუალო წლიურმა მატებამ შეადგინა 24%.*

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის შეფასებით ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავალმა 1997 წელს შეადგინა

* მონაცემები აღებულია კურორტებისა და ტურიზმის დეპარტამენტიდან.

700 მლნ ლარი, 1998 წელს - 750 მლნ ლარი, 1999 წელს 800 მლნ ლარი, ხოლო 2000 წელს - 832 მლნ ლარი და 1997 - 2000 წლებში შემოსავლების საშუალოწლიურმა მატებამ შეადგინა 5,8%.

1999 წლის 8/III - 21/III-ის ჩათვლით სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ყოველ საერთაშორისო რეისზე ჩატარდა უცხოელ მგზავრთა სოციოლოგიური გამოკითხვა სპეციალურად შედგენილი ანკეტების საშუალებით. გამოკითხვას მგზავრთა 50% დათანხმდა (სულ 339 მგზავრი), რომელთა შორის 42,2% პირველად იყო ჩამოსული საქართველოში, 8,8% - მეორეჯერ, ხოლო დანარჩენი მესამეჯერ და მეტჯერ. გამოკითხულთა 67,2% ვიზიტის მიზეზია ბიზნესი, ხოლო ტურიზმი მხოლოდ 8,1%-ის. ვიზიტორთა 46,5% გაჩერებას აპირებდა სასტუმროებში, კერძოდ 22,7% შერატონ მეტეხში, ხოლო 9,1% სასტუმრო გუდაურში. ამასთან უმეტესობა თბილისში დარჩენას, ხოლო 17,8% თბილისის გარეთ აპირებდა გაჩერებას. გამოკითხულთა 21,8%-მა მონაწილეობა მიიღო ექსკურსიებში, ხოლო 4,1%-ს საერთოდ არ ჰქონდა ინფორმაცია ამ შესაძლებლობის შესახებ.*

ამ გამოკვლევის შედეგებით შეიძლება საუბარი იმ პრობლემებზე და, შესაბამისად, ის ძირითად ღონისძიებებზე, რომელიც ქვეყნის ტურიზმის წინაშე დგას. კერძოდ, ძირითადი პრობლემა საქართველოს ტურისტული რესურსების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობაა. ამას ადასტურებს 1998 წლის ივნის-ივლისის თვეებში არტურ კონსალტინგის ჯგუფის წევრთა მიერ ფრანკფურტში, პარიზში, ლონდონსა და მილანში ჩატარებული გასაუბრებები, რომლის მიხედვითაც ევროპელ ტუროპერატორებს საქართველოს შესახებ ძალზე მცირეოდენი ინფორმაცია გააჩნიათ. ტუროპერატორებმა არ იცოდნენ საქართველოს შესანიშნავი ტურისტული რესურსების, პოლიტიკური სტაბილურობისა და ეკონომიკური განვითარების შესახებ. ამიტომ აუცილებელი მათი ინფორმირება, რათა საბოლოოდ ეს ინფორმაცია უცხოეთის ტურისტის ბაზარს მიეწოდოს. ამ პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი საუკეთესო გზა დასავლეთ ევროპაში, საერთოდ საქართველოზე და მის ტურისტულ პოტენციალზე აგრესიული, პოზიტიური მარკეტინგული [illegible]

* მონაცემები აღებულია საქ. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტიდ[illegible]

ეფექტიანობით შეხედულების შეცვლა. ამ თვალსაზრისით მიზანშეწონილია უცხოელ ტუროპერატორთა დაპატიჟება, რათა მათ თავად იხილონ აქაური ეითარება და დარწმუნდნენ ტურისტული პროდუქტის მრავალფეროვნებაში, უნდა მიეცეთ შეკეთები უცხოეთში სამოგზაურო ლიტერატურის გამომცემლებს საქართველოზე სპეციალური გამოშვების მომზადებაზე; საზოგადოებრივი ურთიერთობათა სფეროში მომუშავე ფირმების მეშვეობით პრესაში გავრცელდეს დასურათებული და ჟურნალისტთა მიერ შერჩეულ თემატიკაზე დაფუძნებული დეტალური სტატიები; მომზადდეს სარეკლამო პლაკატები საქართველოს შესახებ და გავრცელდეს მსოფლიოს სამოგზაურო სააგენტოებში. ამასთან, ყოველმხრივ უნდა წახალისდეს და სრული თავისუფლება უნდა მიეცეს ადგილობრივ ტუროპერატორებს შიდა ტურიზმის აღორძინებისათვის. საქართველოსათვის მნიშვნელოვანი პრობლემაა ასევე ტურისტული ინფრასტრუქტურის არსებული დონე, კერძოდ სასტუმროთა ქსელი. დღეისათვის საქართველოში 211 სასტუმროა,* მათგან ყველაზე საუკეთესოა „შერატონ მეტეხი პალასი", რომლის ფასები ხელოვნურადაა აწეული და იგი 215 დოლარის დღეღამეში (საუსმის ჩათვლით). მას მუდმივი კლიენტები გაუჩნდათ და ამიტომ აღნიშნულ ბაზარზე კონკურენტი, შეიძლებ ითქვას, თითქმის არ ჰყავს, ამიტომ აუცილებელია სასტუმროთა ფართო ქსელის შექმნა და საერთაშორისო სტანდარტების დონესთან მისი გათანაბრება; ახალი სასტუმროების მშენებლობა, როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში, მინი-სასტუმროების მშენებლობა კავკასიის მთიან რაიონებში. სემოთ აღნიშნული მუშაობისათვის საჭირო თანხების ყველაზე რეალური წყარო უცხოური ინვესტიციებია, რადგანაც ადგილზე საკმარისი თანხები და ტექნოლოგია ჯერჯერობით ძალიან მცირეა. აქედან გამომდინარე, საქართველომ უნდა შეიმუშაოს უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ძირითადი გეგმა.

ტურიზმის განვითარების სფეროში მსოფლიოს თითქმის ყველა

---

* მონაცემები აღებულია საქართველოს სტატისტიკური წელიწდეულიდან (თბ., 1999 წ.).

ქვეყანაში ჩატარებული კვლევები გვიჩვენებს, რომ ქვეყანა ვერ მიაღწევს ტურისტთა ნაკადის ზრდას, თუ არ შესრულდა შემდეგი ძირითადი პირობები: 1. დაისახოს კონკრეტული ეროვნული პოლიტიკა და მიზნები ტურიზმის სფეროში; 2. დასახელებული მიზნების მისაღწევად ეფექტიანად უნდა გამოვიყენოთ ეროვნული სტრატეგია; 3. აქტიურად განხორციელდეს სამოქმედო გეგმა, რომელიც შემდეგ საკითხებს უნდა მოიცავდეს:

- ტურისტული პროდუქციის შექმნა;
- მარკეტინგი და ბაზრის სეგმენტაცია;
- სეზონური ცვლილებები;
- რეკლამა;
- შემოსული უცხოური ვალუტის აღრიცხვა;
- სატრანსპორტო და სასაზღვრო პოლიტიკა;
- ტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარება;
- საჭირო კადრების შერჩევა;
- ინვესტიციების მოზიდვა;
- ფისკალური პოლიტიკა.

თუ საქართველო შეინარჩუნებს მიღწეულ დონეს და შეძლებისდაგვარად გადაჭრის ზემოთ აღნიშნულ პრობლემას, მაშინ 2005 წლისათვის ჩვენს ქვეყანას 1 მლნ ტურისტი ეწვევა, რომელთა დაბინავებისათვის საჭირო იქნება საერთო ჯამში 8 ათასი ოთახის მოცულობის მქონე ახალი სასტუმროს მშენებლობა, დასაქმდება 100 ათასამდე კაცი. შემოსავლების საერთო თანხა 1 მლრდ აშშ დოლარი იქნება, საიდანაც ქვეყნის ბიუჯეტში მხოლოდ დღგ-ის სახით 200 მლნ აშშ დოლარი ჩაირიცხება.

ნ. ჭაჩეიშვილი

ევროპის საფალუტო სისტემა

ევროპის ქვეყნებში საფალუტო კავშირების შექმნას ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ცდილობდნენ. ამ საკითხთან დაკავშირებით გარკვეული მოსაზრებებს თვით პლატონის შრომებშიც კი ეხდებით.

პირველი საფალუტო კავშირი ევროპაში 1857-1866 წლებში შეიქმნა ავსტრია-გერმანიის საფალუტო კავშირის სახით, თუმცა იგი მალევე დაიშალა და მას ერთიანი ვალუტის შემოღება არ მოჰყოლია. შემდეგი ანალოგიური კავშირი ჩამოყალიბდა 1875 წელს ლათინური საფალუტო კავშირის სახით, რომელშიც შედიოდნენ: საფრანგეთი, ბელგია, იტალია და შვეიცარია. ასევე, 1875-1917 წლებში არსებობდა სკანდინავიის საფალუტო კავშირი. 1921 წელს ჩამოყალიბდა ბელგია-ლუქსემბურგის ეკონომიკური კავშირი, რომლის შექმნისაც ლუქსემბურგის ფრანკი მიება ბელგიურ ფრანკს. სწორედ ამის შემდგომ ევროპაში გაჩნდა მოსაზრება ერთიანი ვალუტის შემოღების თაობაზე.

ევროპის ეკონომიკური კავშირის შექმნას საფუძველი ჩაეყარა 1950 წელს, როდესაც საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის რობერტ შუმანის მიერ შემუშავებული გეგმის განხორციელებას შედეგად მოჰყვა ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის საზოგადოების შექმნა. ეს იყო პირველი ერთობლივი ორგანო მსმენ ინდუსტრიის ფუნდამენტურ ნაწილში, რომელიც მაშინ მთელი მაკროეკონომიკის ხერხემალი იყო.

უკვე შემდგომ წლებში შეიქმნა ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობა, რომელიც მოიცავდა სამ ძირითად საკითხს: კაპიტალს, მუშახელს, საქონლისა და დოვლათის გაადვილებულ ურთიერთგაცვლას, რაც გამომდინარეობდა თავისუფალი გადაადგილების ანუ საზღვრების გამჭირვალობის შემოღების აუცილებლობიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის ეკონომიკური გაერთიანების საფუძველი არ იყო მხოლოდ და მხოლოდ წმინდა ეკონომიკური.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპაში გაჩღიერდა მიმართულება, რომელიც ითვალისწინებდა ისეთი ახალი ევროპული უსაფრთხოების სისტემის შექმნას, რომელიც ევროპას მომავალში ურთიერთომორის ომებს ააცილებდა. ასეთი მოდელის საფუძველად კი, რა თქმა უნდა, ევროპის ეკონომიკური ინტეგრაცია მიიჩნიეს.

წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტია, რომ სულ მცირე 16 წლის წინ ევროპის კავშირის ეროვნული საფალუტო სისტემის გაერთიანების აზრი ფანტასტიკურ იდეად ითვლებოდა, მაგრამ დღეისათვის ეს იდეის გეგმის განხორციელებამ პიკს მიაღწია.

ევროს შემოღების მექანიზმი ევროკავშირის სახელმწიფოთა მეთაურებმა სამ ძირითად ეტაპად დაყვეს:

I ეტაპზე განისაზღვრა ევროპის საფალუტო კავშირის ქვეყნები, ესენია: გერმანია, იტალია, საფრანგეთი, ავსტრია, ფინეთი, ირლანდია, ბენილუქსის ქვეყნები, პორტუგალია და ესპანეთი. სულ 11 ქვეყანა. II ეტაპზე აღნიშნულმა ქვეყნებმა უზრუნველყვეს თავიანთი ვალუტების ფიქსირებული გაცვლითი კურსი 1999 წლის 1 იანვრისათვის. ამ დროიდან ევრო გამოიყენება უნაღდო ანგარიშსწორებაში. მესამე, დასკვნით ეტაპზე, 2002 წლის 1 იანვრიდან ევრო მიმოქცევაში შეერევა როგორც უნაღდო, ისე ნაღდი ანგარიშსწორებისათვის და 2002 წლის 1 ივლისიდან მოხდება კავშირში შემავალი ქვეყნების ეროვნული ვალუტების მიმოქცევიდან ამოღება.

ახალ ერთიან ვალუტაზე ვაჭრობის დაწყების ოფიციალური თარიღიდანვე ევროპის ფინანსურ ბაზრებს «ევროფორიამ» ტალღამ გადაუარა. პირველ რიგში, გაელვნა განიცადა აქციების და სხვა ფასიანი ქაღალდების ფასებმა, რომელიც კატასტროფულად გაიზარდა.

უკვე განხორციელდა (მართალია, ამას უფრო სარეკლამო ხასიათი ჰქონდა) პირველი ანგარიშსწორება ევროპაში პლასტიკური ბარათებით, ხოლო პირველი ფასიანი ქაღალდები, რომლებიც ევროდაი იყო ნომინირებული, უკვე რამდენიმე წელია რაც გამოჩნდა.

ევროზე ვაჭრობის დაწყების დღესვე გაჩნდა მოსაზრება, რომ ყველაზე დიდი საფალუტო რეზერვების მქონე ქვეყნების ეროვნული ბანკები, როგორიცაა ჩინეთის ეროვნული ბანკი ან იაპონიის ბანკი,

მოისურვებდნენ დოლარის რეზერვების ნაწილის გადაყვანას ევროში, ეს კი დოლარის კურსს უცილობლად დასცემდა. თუმცა ჯერჯერობით ცენტრალური ბანკები, ისევე როგორც ბაზრის ყველა სხვა მონაწილე, არ ჩქარობენ და მოლოდინს ამჯობინებენ მანამ, სანამ ბაზარი არ დასტაბილურდება და ევრო თავს უფრო მეტად არ გამოავლენს.

მსოფლიოში კერძო და სახელმწიფო აქტივების დიდი ნაწილი ძირითადად დენომინირებულია დოლარებში, მათ შორის 50,2% განვითარებადი ქვეყნების საგარეო ვალებში, მაშინ, როდესაც ევროკავშირის ქვეყნების ვალუტაზე 15.8% მოდის. კიდევ ერთი უპირატესობა, რაც დოლარს დღეისათვის გააჩნია, ეს არის მისი მიმზიდველობა რეზერვების შექმნის თვალსაზრისით. დოლარი, როგორც წესი, უფრო ყაროიდ გამოიყენება თანამედროვე მსოფლიოში, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ევროგაერთიანების იგივე წონა აქვს მსოფლიო ეკონომიკაში, როგორც აშშ-ს, მაშინ უნდა ვიფარაუდოთ, რომ ევრო თანდათანობით, ისეთივე პოპულარული გახდება. თუმცა, ზოგიერთი ანალიტიკოსის განცხადებით, საზოგადოებაში უკვე შეიმჩნევა რწმენის შერყევა ევროს მიმართ, ხოლო საქმიანი წრეები კმაყოფილნი არიან ევროს შედარებითი სისუსტით, რაც მათ უპირატესობას ანიჭებს ოკეანისგაღმელ კონკურენტებთან ბრძოლაში. გერმანიის საბითუმო ვაჭრობისა და ექსპორტიორთა ასოციაციის აზრით (German Association of Wholesalers and Exporters), 2000 წლის პირველი რამდენიმე თვის მონაცემებით გერმანული ექსპორტი აშშ-ში გაიზარდა 40%-ით, ხოლო გაერთიანებულ სამეფოში 26%-ით. აქვე უნდა აღინიშნოს ერთი უარყოფითი მომენტიც, რომელიც თან სდევს ამ მოვლენას, ქვეყანა საკმაოდ დამოკიდებული ხდება საზღვარგარეთული გაყიდვებზე. მაგალითისათვის, გერმანიის ექსპორტის დაახლოებით ნახევარზე მეტი მოდის არა ევროზონის ქვეყნებზე და მშპ-ს მხოლოდ 17% - ევროზონაში.

ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება გაერთიანებული სამეყოს მონაწილეობას ევროპის საგალუტო კავშირში, ვინაიდან იგი ერთ-ერთი უძლიერესი ეკონომიკით არის წარმოდგენილი გერმანიასთან ერთად და სწორედ აქ არის განლაგებული ევროპის უმსხვილესი

საფონდო ბირჟა. თუმცა უმრავლესობა ნისლიან ალბიონზე კვლავ ევროსკეპტიკოსების მხარესაა. ამავე დროს, გაერთიანებული სამეფოს მთავრობა არასოდეს უარყოფდა აუცილებლობის შემთხვევაში ევროს ზონაში შესვლის შესაძლებლობებს, ყოველ შემთხვევაში ევრო ფუნტის გარეშე, ეს არის მხოლოდ გაბერილი გერმანული მარკა. ამასთანავე, არ უნდა დაგვავიწყდეს შვეიცარია, რომელიც არათუ საევალუტო კავშირის, არამედ თვით ევროკავშირის წევრიც კი არ არის. სწორედ ამ ეტაპზე ძალზედ მნიშვნელოვანია იმ ფაქტის აღნიშვნაც, რომ ევროპის რიგ ქვეყნებში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგად, სადაც განიხილებოდა საევალუტო გაწევრიანების საკითხი, იგი უარყოფითად გადაწყდა. ანუ შეიძლება ითქვას, რომ ბოლო 50 წლის მანძილზე მიმდინარე ევროინტეგრაციის წარმატებული სვლა, ევროს შემოღების შედეგად, გარკვეულწილად დეზინტეგრაციულ პროცესებს განიცდის, თუმცა უნდა გავითვალისწინოთ ამ კავშირში გაწევრიანების მსურველი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიც. ანალიტიკოსების აზრით, სწორედ ძალზედ განსხვავებული ეკონომიკური მდგომარეობის მქონე ქვეყნები აფერხებენ გარკვეულწილად ევროს პოპულარობას. აქის მაგალითად გამოდგება 2001 წლის მარტი, როდესაც საფრანგეთში წლიურმა ინფლაციამ 1,4% შეადგინა, ჰოლანდიაში სამომხმარებლო ფასების ინდექსმა - 4,9%, მაშინ, როდესაც იგივე პორტუგალიაში წლიური ინფლაციის მაჩვენებელმა 5,1% იყო. ამის გამო, ევროზონაში წლიური ინფლაციის დონე განისაზღვრა 2,3%-ით, მაშინ როდესაც ანალოგიური მაჩვენებელი გასულ წელს შეადგენდა 1,9%-ს. ასევეანავე, ევროს კურსმა 2001 წლის 19 აპრილს მონაცემებით შეადგინა 0 8956 აშშ დოლარი. თუ გავითვალისწინებთ, რომ შემოღების მომენტში ევროს კურსი შეადგენდა 1,3 აშშ დოლარს, მიეიღებთ, რომ ამ პერიოდში ევრო დოლარის მიმართ გაუფასურდა 30%-ით. სწორედ ამის გამო ენიჭება გაერთიანებული სამეფოს მიერთებას ძალზედ დიდი მნიშვნელობა, ეინაიდან მხოლოდ გერმანიასა და საფრანგეთს გაუჭირდება ევროპის ლოკომოტივის როლის შესრულება. აქედან გამომდინარე, ასეთი ცვალებადი ვალუტის გამოყენება საევალუტო რეზერვების თვალსაზრისით, ზემოთ აღნიშნული დიდი საევალუტო

რეზერვების მქონე ქვეყნების მხრიდან ცოტა სათუო იქნება. იმ შემთხვევაში, თუ გაერთიანებული სამეფო მაინც შეუერთდა ევროს, ეს აუცილებლად შეამცირებს დოლარის როლს საერთაშორისო ანგარიშსწორებაში.

მეტად საყურადღებოა თვით ევროს შემოღების დამაგვირგვინებელი გეგმის ფაზები:

ფაზა A (1990-1999); ფაზა B (1999-2002); ფაზა C (2002 შემდეგ).

მოსამზადებელი პერიოდის კრიტერიუმებია:

1. ფასების სტაბილიზაცია (ინფლაცია მაქსიმუმ 1,5%);
2. გაცვლითი კურსების სტაბილიზაცია (არაუმეტეს 2%);
3. ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-ს 3%;
4. ეკონომიკის კონვერგენცია.

ასეთი დიფერენციაციის შედეგად ევროპის მონეტარულ სისტემაში თავდაპირველად გაწერიანდა 11 ქვეყანა, რომელიც აკმაყოფილებდა აღნიშნულ მოთხოვნებს. 2001 წლის 1 იანვრიდან კი მათ შეუერთდა საბერძნეთი, რომელმაც შეძლო ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ძალიან დიდ მნიშვნელობას იძენს საქართველოს ეროვნული ბანკისათვის, დოლარით საგალუტო რეზერვების გაზრდის პარალელურად, ალტერნატიული ვალუტის ევროს მოზიდვა. აგრეთვე გადასაწყვეტი იქნება წმინდა საბანკო საოპერაციო საკითხები საკორესპონდენტო ანგარიშების გახსნა ევროსონის ქვეყნებში, რომელიც კომერციულ ბანკებს ევროპის ქვეყნებში გახსნილი საკორესპონდენტო ანგარიშების მეშვეობით, გადარიცხვების საწარმოებლად დასჭირდებათ.

ევროკავშირი საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი საგაჭრო პარტნიორია. საქართველოს ექსპორტის 9%-მდე ევროკავშირის ბაზარზე მოდის. საქართველოს იმპორტის დაახლოებით ასევე ევროკავშირზე მოდის (ცნობისათვის, აშშ-ზე საქართველოს იმპორტის მსოფლიოდ 7% მოდის). გარდა ამისა, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ფაქტიც, რომ გარდა თვით ევროკავშირის ქვეყნებისა, საქართველოს უმნიშვნელოვანეს პარტნიორები არიან ისეთი ქვეყნები, როგორიცაა:

თურქეთი, ბულგარეთი და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნები, რომლებმაც უკვე მოახდინეს საკუთარი ეალუტების მიბმა ევროზე და განიხილებიან ევროკავშირისა და ევროპის საეალუტო კავშირის პოტენციურ წევრებად (განსაკუთრებით თურქეთი). აქედან გამომდინარე, უკვე 1999 წლიდან ევროკავშირთან საქართველოს საგაჭრო ოპერაციების საწარმოებლად ევრო დასჭირდება. თუ გავითვალისწინებთ იმ დიდ დეფიციტს, რომელიც საქართველოს ევროკავშირთან და მასთან დაკავშირებულ ქვეყნებთან საგარეო ეკონომიკური კავშირების კვალობაზე მომდევნო წლებში წარმოიქმნება (საგარეო ვალებზე მომსახურების და იმპორტის შესყიდვაზე საჭირო თანხების გათვალისწინებით), საჭირო იქნება ევროში დენომინირებული სათანადო რეზერვების ფლობა. დღეიდანვე უნდა დაიწყოს ზრუნვა აღნიშნული აქტივების შესაქმნელად. ამასთან, დივერსიფიცირებული სახით აქტივების ფლობა უმჯობესი იქნება გაცვლითი კურსების რხევებთან დაკავშირებული რისკის ფაქტორის შემცირების მიზნით.

თ. ყანდაშვილი

ექსპორტის სტიმულირების საშუალებები

განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების ფორმები და მეთოდები, რომელთა საშუალებითაც ცდილობენ გაზარდონ ექსპორტის მოცულობები და მისი გეოგრაფია, მრავალმხრივია. ისინი ზრუნავენ სამამულო საქონლის საზღვარგარეთ გატანის პრობლემებზე, ამუშავებენ და ხვეწენ ექსპორტის ზრდის პროგრამას.

ექსპორის სტიმულირების მიზნით ფართოდ გამოიყენება ექსპორტიორებისათვის გათვალისწინებული სხვადასხვა საგადასახადო შეღავათები, რომელთა გამოყენება დაკავშირებულია ქვეყანაში

არსებულ საგადასახადო სისტემასთან.

კანონი „საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ", ადგენს „საქართველოს საბაჟო ტარიფის, როგორც საქართველოს შიდა სასაქონლო ბაზრის სახელმწიფო რეგულირებისა და საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის მექანიზმის, ფორმირებისა და გამოყენების წესს, აგრეთვე საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას საქონლის საბაჟო გადასახადით დაბეგვრის წესებს" [1].

ამ კანონის მიხედვით სახელმწიფომ ხელსაყრელი პირობები უნდა შეუქმნას მოვაჭრე სუბიექტებს და განახორციელოს საქონლის შემოტანა-გატანის რაციონალიზაცია, დაიცვას საქართველოს ეკონომიკა უცხოური კონკურენციის არახელსაყრელი ზემოქმედებისაგან და უზრუნველყოს მსოფლიო ეკონომიკაში საქართველოს ეკონომიკის ეფექტიანი ინტეგრაცია.

საქართველოში გამოიყენება საბაჟო გადასახადების შემდეგი სახეები: ჩვეულებრივი, სეზონური და განსაკუთრებული. გამოიყენება სპეციალური, ანტიდემპინგური და საკომპენსაციო საბაჟო გადასახადები. საბაჟო გადასახადის განაკვეთების სახეებია: ადვალური, სპეციფიკური და კომბინირებული, ხოლო განაკვეთებია 5 და 12 პროცენტი.

საქართველოს საბაჟო გადასახადის 5 და 12 პროცენტიანი განაკვეთი შუალედურია სხვა ქვეყნებთან შედარებით. მაგალითად, განვითარებულ ქვეყნებში საბაჟო გადასახადის განაკვეთი მერყეობს 5-6 პროცენტებს შორის; არგენტინაში - 30 პროცენტი, ბრაზილიაში - 25 პროცენტი, კოლუმბიაში - 22 პროცენტი, აზიისა და აფრიკის ღარიბ ქვეყნებში - უფრო მეტი [2,9]

საბაჟო გადასახადის 5 და 12 პროცენტით შესაბამისი სასაქონლო ნომენკლატურის პროდუქციის დაბეგვრის განსაზღვრა მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს საგარეო სავაჭრო პოლიტიკას აქვს ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკის ტენდენცია. ეს ხელს შეუწყობს საგარეო ვაჭრობის გააქტიურებას, ამას მოჰყვება ის დადებითი შედეგები, რასაც ვაჭრობის ლიბერალიზაცია იწვევს. მაგრამ იმ ქვეყანაში როცა ჯერ არ არის გამოკვეთილი პრიორიტეტული საექსპორტო

სასაქონლო ჯგუფი, რომელიც მყარი და სტაბილური უცხოური სავალუტო შემოსავლების მიღების გარანტი იქნება, ხოლო ვაჭრობის ბალანსის დეფიციტი უკანასკნელი წლების მანძილზე ქრონიკულ მოვლენად იქცა, საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციამ შეიძლება აშკარად დათრგუნოს ადგილობრივი წარმოების განვითარების პერსპექტივა.

საქართველოში ექსპორტის ზრდის ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორია საექსპორტო ოპერაციების დაზღვევის თანამედროვე სისტემის არარსებობა. OPEC - აშშ-ში, HERMES-გერმანიაში, COFAS - საფრანგეთში, EGAP - ჩეხეთში, BAEZ - ბულგარეთში არიან სპეციალური სადაზღვეო ორგანიზაციები, რომელთა ძირითადი ამოცანაა ექსპორტის სფეროში გაზრდილი რისკის მინიმუმამდე დაყვანა და ამ გზით ექსპორტიორთა ხელშეწყობა.

საქართველოში ექსპორტის სტიმულირების და განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორად უნდა გახდეს უცხოეთის, განსაკუთრებით პოსტსოციალური ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით, საექსპორტო წარმოებისა და საექსპორტო ოპერაციების დაზღვევის თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბება.

1999-2000 წლებში ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ექსპორტის ზრდის შემაფერხებელ ძირითად ფაქტორებად ქართველი ექსპორტიორები თვლიან საგარეო ბაზრებზე არსებულ მაღალ კონკურენციას, ინფორმაციის უქონლობას და დაბალპროცენტიანი საექსპორტო კრედიტების არარსებობას.

საქართველოს ექსპორტის სტიმულირებისა და განვითარებისათვის საჭიროა თავდაპირველად, ექსპორტის დაკრედიტება, დაზღვევის სტრუქტურის ფორმირება ექსპორტის ხელშეწყობის სააგენტოს დაქვემდებარებაში ან მასთან მჭიდრო კონტაქტში, სახელმწიფოს აქტიური როლით და მაღალი წილით. ასევე ექსპორტიორთა საშუალო და გრძელვადიანი ესესხებით უზრუნველყოფის სისტემების ჩამოყალიბება მყარი, დაბალი საპროცენტო განაკვეთებით. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დონორი ქვეყნების მიერ გამოყოფილი საინვესტიციო კრედიტები და გრანტები

პირველ რიგში მიმართული უნდა იყოს ისეთი საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად, რომლებიც უსრულველყოფენ საექსპორტო პროდუქციის წარმოებას. მიზანშეწონილად მიგვაჩნია დაწესდეს სისტემატური კონტროლი საინვესტიციო პროექტებზე გაცემული კრედიტების მიზანმიმართული გამოყენებისა და დაწესებულ ვადებში ამ კრედიტების თაობაზე [3].

ქართულ კომპანიებს აქტუალური ინფორმაციით უსრულველყოფს საქართველოს ექსპორტის ხელშეწყობის სააგენტო (GEPA). სასურველია ფართოდ გამოვიყენოთ მოწვეული სპეციალისტების გამოცდილება, რომელთა მიერაც განსაზღვრული იქნება საზღვარგარეთის პოტენციური ბაზრები ჩვენი მწარმოებლებისათვის, რაც საშუალებას მისცემს საქართველოს, ექსპორტის ხელშეწყობის სააგენტოს მეშვეობით, წარადგინოს საწარმო უცხოეთის ბაზრებზე. სააგენტომ კი, თავის მხრივ, აცნობოს საწარმოებს საზღვარგარეთის ქვეყნების ბაზრებისა და კომპანიების დეტალები, მიაწოდოს ინფორმაციები შესაძლო დისტრიბუტორების, ვალდებულებების, სატარიფო ბარიერების შესახებ და სხვა.

საერთაშორისო ბაზარზე ექსპორტის განვითარების მიზნით „საქართველოს ექსპორტის სააგენტომ" (GEPA) გადადგა კონკრეტული ნაბიჯები:

– 1999 წლის 19-20 ოქტომბერს თბილისში ჩაატარა ღვინის პირველი საერთაშორისო ფორუმი;

– 1999 წლის სექტემბერში მიაწოდა ქართული ღვინის 6 საწარმოს საქმიანი ვიზიტი კანადაში. ვიზიტის შედეგად დამყარებული კონტრაქტების საფუძველზე კანადაში საექსპორტოდ გადაიგზავნა 600 ყუთი ქართული ღვინო;

– ქართული ღვინის მწარმოებლების თხოვნით მოახდინა დიდი ბრიტანეთის ღვინის ბაზრის გამოკვლევა;

– 2000 წლის იანვარში მოამზადა ქართველ მეღვინეთა ჯგუფის ვიზიტი გერმანიაში, კერძოდ რაინპფალცის მხარეში, გამოცდილების გაზიარებისა და საქმიანი კონტაქტების დამყარების მიზნით [3].

თანამედროვე ეტაპზე ექსპორტის სტიმულირების გაკრკვლევებუ-

ლი ფორმაა სახელმწიფო სუბსიდიები, რომელიც ფართოდ გამოიყენება სოფლის მეურნეობაში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებაზე უარყოფითი გავლენა იქონია 2000 წელს განვითარებულმა სტიქიურმა მოვლენებმა (გვალვამ და სეტყვამ). ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ერთიან ძალისხმევით დაზარალებული მოსახლეობის დახმარების მიზნით გატარდა კონკრეტული ღონისძიებები. კერძოდ, საზღვარგარეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური ჩარევით კახეთის მოსახლეობისათვის გამოიყო 5 ათასი ტონა სათესლე ხორბალი, 500 ტონა დიზელის საწვავი და 182 ათასი ლარის ფულადი დახმარება. შიდა ქართლის მხარისათვის გაეგზავნა სოფლის მეურნეობისა და სასურსათო ორგანიზაციის მიერ გამოყოფილი 300 ტონა საშემოდგომო ხორბლის თესლი, რომელიც მთლიანად კასპის რაიონს გადაეცა. ს.ს „აზოტი"-ს მიერ გამოყოფილი 100 ტონა აზოტოვანი სასუქი. მხარეში შემოიტანეს 125 ტონა დიზელის საწვავი და სხვა მრავალი დახმარება.

მიუხედავად ამისა, აღნიშნული დახმარებები არ არის იმ ოდენობითა და იმ სახით, რაც საშუალებას მისცემდა ქართველ მეწარმეებს შეექმნათ სოფლის მეურნეობის პროდუქცია ექსპორტისათვის.

ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი „საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ". თავი I, მუხლი I, პარაგრაფი I., ჟ. „პარლამენტის უწყებანი", 1889, 8/04, №13-14

2. საქართველოს საბაჟო კოდექსი, თბ., 1998

3. საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს მასალები, თბ., 2001

შინაარსი

ა. ახვლედიანი საზოგადოებრივი პოლიტიკა და ეკონომიკური ზრდა პოსტკომუნისტურ ქვეყნებში. .3
ლ. კობახიძე - ეკონომიკური ზრდის ზოგიერთი ფაქტორი. .9
თ. გამსახურდია საბიუჯეტო რესურსების ეფექტიანი გამოყენება საბიუჯეტო პროცესის სრულყოფის თვალსაზრისით. 17
ნ. ცაგარეიშვილი ცენტრალური ბანკი მაკროეკონომიკური რეგულირების სისტემაში: უცხოური გამოცდილება და საქართველოს სინამდვილე. .24
კ. კაციტაძე - საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობათა პროგრესული მეთოდები მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების ბანკების გამოცდილების გათვალისწინებით. 43
ლ. ყორღანაშვილი ეენჩურული ბიზნესი და საქართველოში მისი განვითარების პერსპექტივები . 51
ც. ცხვარიაშვილი ფასწარმოქმნის ზოგიერთი მეთოდი საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში. . 55
გ. ნადირაშვილი - მარკეტინგი - ბიზნესის ფილოსოფია, საქონელმცოდნეობა - კომერციული საქმიანობის საფუძველი . 63
ე. ბოლოკაძე სადაზღვეო საქონლის მარაგი ვაჭრობაში 74
გ. მარტყოფლიშვილი საცალო საქონელბრუნვის განვითარება საქართველოში საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრების პირობებში 80
მ. ბარამიძე, დ. გოგოლაძე შრომის ბაზრის ფუნქციონირების მექანიზმი საბაზრო ეკონომიკის პირობებში. 87
ო. ჩადუნელი - საკუთარი კაპიტალი და ბალანსში მისი ასახვის თავისებურებები. 92
დ. ჯაფარიძე - პლასტიკური ბარათები საბანკო სისტემაში. 95
ვ. გოგიჩაიშვილი, შ. კახიძე ლექცია-სემინარებზე სტუდენტთა დასწრების აღრიცხვის ავტომატიზაცია 100
ლ. ზაალიშვილი კონცესიები როგორც სარკინიგზო ტრანსპორტის ეკონომიკის გაჯანსაღების საშუალება. 105

რ. ბერიძე - საერთო დანიშნულების ავიაციის და ბიზნეს-
გადაზიდვების სახელმწიფო რეგულირების ზოგიერთი პრობლემა. . . .109
ლ. ქოქიაური - საინვესტიციო კლიმატი საქართველოში: პრობლემები
და შედეგები 116
ე. ხუნწარია - უცხოური ინვესტიციები და კონტრაქტის
მნიშვნელობა. 124
ვ. თათულაშვილი - კაპიტალის საზღვარგარეთ „გაქცევა" და
მასზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი. 130
ზ. შავდია, გ. შავდია - ფრენშაიზინგი: რეალობა და
განვითარების პერსპექტივები. 135
ლ. ყორღანაშვილი საერთაშორისო ვაჭრობის სუბიექტების
სამართლებრივი რეგულირება. 140
კ. გაბისონია - საერთაშორისო საზღვაო გადაზიდვების დინამიკა
და გეოგრაფიული მიმართულებები 1970-2000 წ.წ. 148
ლ. ზაალიშვილი - საერთაშორისო სატრანსპორტო გადაზიდვების
მსოფლიო ტენდენციები 153
რ. ბერიძე - ავიაგადაზიდვების გაყიდვა და რეზერვირების
გლობალური სისტემები. 158
რ. ქინქლაძე, შ. მეტრეველი - ტურიზმი და მისი განვითარების
პერსპექტივები საქართველოში .167
ნ. ვაჩეიშვილი - ევროპის საერალუტო სისტემა 172
თ. ყანდაშვილი - ექსპორტის სტიმულირების საშუალებები .177

Актуальные вопросы экономики
(сборник научных трудов)
XVIII выпуск
(на грузинском языке)
Издательство Тбилисского университета
Тбилиси 2001

გამომცემლობის რედაქტორი ზ. გიორგაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 27.11.01
საბეჭდი ქაღალდი 60x84 1/16
პირ. ნაბეჭდი თაბახი 11,75
სააღრ.-საგამომც. თაბახი 9,05
ტირაჟი 200 შეკვეთა 19

ფასი სახელშეკრულებო

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის გამზ., 14

შპს ფირმა „ატლასი"
თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 15